

147
1978/3


ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

გეოგრაფია

8

1978



გენოტიპი



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მხატვრული
და საზოგადოებრივ-კულტურული უწყისების

წელიწადი 55-ე

№ 8

აგვისტო, 1978 წ.

საბარტყველოს სახელობა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

მეზა მარხიანი — ლექსები	3
გიორგი კალანდიაძე — ლექსები	10
მადია იოსელიანი — მართლმადიდებლური მოთხრობა	13
კეკელიძე ივანე — გოგონას სიუჟეტი. ლექსი	20
მეზა მარხიანი — მინი-კვანძი. რომანი. წიგნი მესამე. გაგრძელება	22
მეზა მარხიანი — გვირგვინი ფოთლები. რომანი. წიგნი მეორე. ნაწილი მეორე	46
კარგიანი ვახტანგ — ლექსები	98
ალექსანდრე — ლექსები	103
სიმონ მჭედიაშვილი — ორი ლექსი	107
სოლომონ მჭედიაშვილი — გოგონას მინი-კვანძი	108
მინი-კვანძი — ძახილი. მოთხრობა	114
ალექსანდრე მახარაძე — ლექსი. ნაწყვეტი რომანიდან "მეცხრეკლდე-უბუბუბი"	119
მეზა მარხიანი — მინი-კვანძი, მინი-ფიქრი... ლექსი. მკვლევართა დღიური თარგმანად	127
სიმონ მჭედიაშვილი — ლექსები. თარგმანი ზურაბ ვაბუცაძის	131

ბრძოლა და კულტურის ბრძოლა

მეზა მარხიანი — ცხოვრების გზის კინაზღვი	133
სოლომონ მჭედიაშვილი — კულტურის ბრძოლა	140
სიმონ მჭედიაშვილი — ბრძოლაში ადამიანის ადამიანობის აღდგენა	147
მეზა მარხიანი — ლიტერატურისა და კინოს ფართოდემოკრატიული საქმიანობების	152
სიმონ მჭედიაშვილი — მთავრობის	157
მეზა მარხიანი — მინი-კვანძი და მინი-ფიქრი	162

მეზა მარხიანი

მეზა მარხიანი — მინი-კვანძი	173
მეზა მარხიანი — მინი-ფიქრი	180
მეზა მარხიანი — მინი-ფიქრი და მინი-ფიქრი	180
მეზა მარხიანი — მინი-ფიქრი	183
მეზა მარხიანი — მინი-ფიქრი	185

ლალი ურულაშვილი — ნანახი და განდობილი
ალექსანდრო ვიგარსკი — ზომიერი ტალახი



შთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი.

საკრედიტო კოლეგია:

ი აბაშიძე, რ აბაშელი (მთ რედ. მოადგილე), ნ ზერულავა, მ პიპინეშვილი, ვ ლა-
ზანიძე, ლ მრეაშვილი, პ სულაკაური, ა ქუთათელი, ს შანშიაშვილი, დ შიგა-
ლაია, ნ წულეიანიძე, ვ წულუაბიძე, მ ვილახე, ბ ხარანაული, რ ჯაფარიძე,
ბ ჯიბლაძე.

ტექნიკატორი რ ნაკვიტაძე.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბალეონები: რედაქტორის — 98-55-11, 08751. ტირაჟი 14.400. შეკვ. 1923.
რედაქტორის მოადგილის — 98-55-13, განყოფილების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.
საქ. კვ ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. ც-ის გამომცემლობა, 1978.

რედაქცია მარბიანო

საწყვედურის ღაბისი

ლექსების ახალი წიგნიდან

ჩემს ტოლ-ამხანაგებს

ცოტალა დავრჩით,
ულმობელ ქარში
შეთხელდა ძმათა ჩვენთა ბანაკი.
ამ საწუთროში ცოტალა დავრჩით —
ჩვენ — ვისაც ვკვებია ტოლ-ამხანაგი.

ამ საწუთროში
მხოლოდ ნუგეში,
თუ იყო ჩვენი გზის გამკვალავი
და ოცნებათა მკრთალ სილურჯეში
მიტკაცუნებდა ჩვენი ალამი.

ცოტალა დავრჩით,
მაგრამ ერთმანეთს,
ვით საჭიროა ისე არ ვუვლით.
და მიტომ არის ასე შემცბარი
ჩვენი ოცნება და სიხარული.

ამ საწუთროში
ცოტალა დავრჩით,
ვისაც შემორჩა სული ფაქიზი,
ვისაც შემორჩა ღიმილი ბავშვის,
კეთილი წყარო და თაზისი.

ცოტალა დაფრჩით
 და ბედს ვნებდებით,
 რადგან გაგვიჩნდა დარდი ახალი:
 ზოგს — შინ კვიცი კყავს გაუხედნელი,
 ზოგს — ვასათხოვი მწეთუნახავი.

თავს გვახვევია თმააჭორჩილი,
 შვილიშვილები ფეთიანები,
 ჩვენ გავხდით ბაღლთა მონა-მორჩილი,
 ერთმანეთს ვეღარ ვეხმეიანებით.

ცოტალა დაფრჩით,
 უღმობელ ქარში
 ვადარჩენილებს თითზე დაითვლი,
 ტოლ-შეგობრები ცოტალა დაფრჩით
 ერთი თარგის და ერთი ყაიდის.

მაგრამ ვინც დაფრჩით,
 როგორც სიზმარში
 ჩვენს მერთალ სახეებს უხმოდ შევცქერით,
 მისთვის მუქდება ჩვენი რიერაფი,
 როგორც ზღაპარში კუპრით ქვესკნელი.

ჩვენ ვხვდებით
 მხოლოდ გლოვია-ტირილში
 და თვით არ ვიცით, ვის ვევიჯნებით,
 მოქსოვილები ერთი გვირისტით,
 დღეს კი ჭალარა გოგო-ბიჭები...

ამ საწუთროში
 ცოტალა დაფრჩით
 და საყვდური ყველას გვეკუთნის,
 რომ არ ვუდგევართ
 ერთმანეთს მხარში,
 დავშლილვართ, როგორც სვეტი გვეუთის.

თუმცა ლანრობას, ანდა სიავებს
 ვერვის დაფწამებ, არ მაქვს საბუთი
 და ესდა მინდა, როგორც ნიავი
 ერთმანეთისთვის ვიყოთ სათუთა!

ნუ დაფანებებთ გაღვიწყებულ
 წლებს სიჭაბუკის და სიჩაუქის,
 რომ დღევანდელმა გოგო-ბიჭებს
 ჩვენს სიყვარულზე არ თქვან აუფა!



ვიცი, ერთმანეთს
 გულით შეგხართ,
 მაგრამ სიხარულს ცოტას ვიშვებთ,
 ვაი თუ გაცვდა ჩვენი ბეჭთარი
 და ბნელი ფარავს ჩვენს ძველ ამედეგს?!
 ■

მაგრამ ამ „მაგრამ“
 ჭვალავით გამკრა,
 ჩამავლო კლანჭი და არ შეშვება,
 ღმერთო, მგობრებს ნუ დამიჩაგრავ
 და მათი მოვლის მოწყვეტებს!

თორემ
 უთქვენოდ როგორ გავიგო,
 როგორ მივალწვე დრმა სიბერემდე,
 ჩვენ უნდა მოფრწყათ ძმობის ყვავილი,
 რომ დარჩენილ წლებს ვახიმღერებდეთ!

მე კი უთქვენოდ და თქვენ უჩემოდ
 ეს კარგად ვიცი,
 არ გაგვეძლებს,
 სხვას მაგალითი უნდა ვუჩვენოთ,
 რათა ხულ მალლა ფრენდნენ მერცხლები.

ცოტალა დაფრჩით,
 მაგრამ ერთმანეთს
 ვით საჭიროა, ისე არ ვუვლით,
 ვერ იქნა,
 ერთად ვეღარ შეგვართ
 საერთო დარჯი და სიხარული!



ამ საწუთროში
 ცოტალა დაფრჩით,
 მგობრთაგან ვარ ეპიარცველი,
 ზოგი დაეცა უღმონველ ქარში
 და ვნახე მათი გზის დასასრული.

ამ საწუთროში
ცოტალა დაფრჩით,
გზა გავიარეთ,
გზა — უღმობელი.
ჩვენსუნებურად მზარი გვაქვს ხმაში,
სრულდება ჩვენი წუთისოფელი.

მე მიმიძიხს. მიმიძიხს,
როცა თქვენ გესმით
საყვედურების ჩუმი შრიალი,
სასაყვედურო, მდულარე ლექსის
კილო ოდნავად კაემნიანი.

რა ვუყოთ. ღმერთმა ასე ინება...
ამ ლექსს კეთილი გული განაგებს
ნუ გეწყინებათ,
ნუ გეწყინებათ
ჩემს სათაფვანო ტოლ-ამხანაგებს.

შპს და ღვასი შპსრნიო...

რაც გამაჩნდა დღემდე,
რასაც უნდა ვწერდე,
ჩემს სიმართლეს ენდე,
ჩემს სიწმინდეს ენდე!

რაც გამაჩნდა მაღლი
დღევანდლამდე შემჩრა,
ლექსითა და თაფლით
ავსებული გვეჯა!

ისევე ზუზუნს ისმენ,
ჩემი სიტყვის — ფუტკრის
და ჩემი ხმაც ისევე
სიხალისეს უდრის.

კვლავ ჩემს ნატრობს ნესტარს
ადღაფრული ბუტკო.

რომლის ცეცხლის დღესაც
მინდა დავითუთქო.

რაც მზე ჩაღღა კვირტში.
რაც შეგვამლა აღხმა,
რაც გაწებულ გირჩის
მწვანე ტანზე გაღღა —

შერჩა ჩემს ცხელ სიტყვას
მწველად, ნაირფერად,
ყვავილების ფიფქად,
მტვრად და გულისძვერად.

და სიბერის დამდეგს
ის ხმა ფეთქავს მკერდში...
ვერძნობ რომ სიკვდილამდე
შენ და ლექსი შემჩნით.

მითხარ, ის რა ჩიტია,
ანდა რა მგალობელი,
მის ბუდეს და სამყოფელს
თუ არ იცნობს სოფელი?

მითხარ, ის რა ჩიტია,
ან სიმღერის ოსტატი,
თუკი არ იგალობებს
განთიადის მოსვლამდე?

მითხარ, ის რა ჩიტია,
თუ არ უხმობს ძმობილებს,
კენესით დილის სიხარულს,
თუ არ შეგატყობინებს!

მითხარ, ის რა ჩიტია,
შენსკენ თუ არ იჩქარის,
არ დაუწვავს ნისკარტი
აღმოდებულ ცისკარით!

მითხარ, ის რა ჩიტია,
რანაირი მესიტყვე,

კენესას გულთ ამომსკდარს —
ხმას არ გასცემს კენესითვე?

თუ არ უდევს ბუდეში
ჭორფლიანი კვერცხები —
თოთო მზის ნაპერწკლები
ფრთებით ნალერსები.

მითხარ, ის რა ჩიტია,
თუ არ ვიცნობს მთის იქით,
აღმართს არ აგატარებს
ვალობით და კიკიკიკით!

მითხარ, ის რა ჩიტია
თავზე თუ არ დაგძახის,
თავზე თუ არ დაგბრუნავს
უცნაური ცაცახით!

მითხარ, ის რა ჩიტია,
ანდა რა მგალობელი,
მის სიმღერას წკრიალას,
თუ არ იცნობს სოფელი?!

პ ა თ ე ნ ლ ა

შემოიპარა გარიერაჟი,
შეთბა ლატანი,
უცბად გაიხმა ხარიხაში
ფრთხილი ტყაცანი.

გაფითრდა ღამე გარიერაჟით,
ღამე — დუშმანი.
სხივი ჩაურჭო ხარიხაში,
როგორც ღურსმანი.

ჩიტების გუნდი — მგალობელი
გაჩნდა ყავარზე.
ჩემი ხაისრე, მწყალობელი
სხივით ავავსე!

ამობიბინდა გარიერაჟი,
მზე ამობრძანდა.

უმაღვე ჩადგა ქარი ფშანში,
სითბო მომძლავრდა.

და გასაოცარ მზის ბადეში
ერთად გავებით
ერთად ნაგეში:
მე, მიმინო, ლექსის ტაეში,

აჰა, მობრძანდა მზის ნათელი,
უფრო მომძლავრდა,
ჩვილი ბალღივით უდარდელი
დილა მობრძანდა.

დაიწვა მძლავრი გარიერაჟით
ღამე — დუშმანი.
სხივი ჩაურჭო ხარიხაში,
როგორც ღურსმანი.

ბექობზე შედგა, შეტრაალდა
გრილი დილის მზე.
გამოეღვიძა მიწის კალთას
მამლის ყვილიზე.

და ქარის ფრთაზე მელნისფერი
კვამლი დაფეთდა,
სედავ, გათენდა, უცოდველი
დილა გათენდა!

ათინი — ზურჯი

ჩემს ყრმობაში დამრჩა ნატურად
ჰმცეულიყავ ეთიმ-გურჯად!
ცა სიმღერით დამეხანძრა,
მზისთვის ხელი ჩამებლუჯა!

ვარსკვლავიან ცისთვის თუნდაც
ზომეწყვიტა ერთი ყუნწი,
მომესმინა, როგორც მსურდა
მტკვრის ტალღებას ლაწა-ლუწი!

სიყვარულის ცეცხლის ალით
ვარსკვლავები შემერუჯა,
სიმღერების ნაპერწკალი
დამეყარა ბლუჯა-ბლუჯად!

მისებრ ელვად დამეკვესა,
ვყოფილიყავ მხნე და ურჩი.
ხალხს ესმინა ჩემი კენესა,
როგორც სიტყვა ეთიმ-გურჯის!

ნატურა მქონდა, დამრჩა ნატურად,
ფიჭრი ლექსად მომეჭუჩა.
სიმღერებით დამეხანძრა
საზანდრებით საფე კუჩა!

დარდი გულზე ამებლინა
შორს მესროლა ბადესავით.

დავმდნარიყავ თაფლის ფიჭად,
მზის და მთვარის ნათესავი.

ჩემს ყრმობაში ნატურა დამრჩა,
ოცნებათა გალღვა ბურჯი.
ცას შეაცვდა ლურჯი ფარჩა,
მაგრამ მაინც დარჩა ლურჯი,

ბროწეული დღესაც იწვის,
შინდის ცეცხლის ელავს ფუნჯი,
ლექსი სად გვაქვს დასავიწყი,
მწველი ლექსი ეთიმ-გურჯის.

შემზუნუნებს საზანდრებად,
შეუცნობი დარდი ბარდნის
და სიმღერას არ გვზარდება
ბებრის, ეთიმ-გურჯის ლანდი!

ჩემს ყრმობაში მქონდა ნატურა,
ლექსი გულში ჩამებლუჯა,
ცა სიმღერით დამეხანძრა,
და საზანდრით მთელი კუჩა!

დღესაც ძველი ფიჭრი მტანჯავს,
ძველ სიმღერებს თუ გადგურჩი.
მზად ვარ ლექსის დასახარჯად,
ისფ, როგორც ეთიმ-გურჯი!

ვარკვტი

მინახავს ბერი
ხანდაზმული, მაგრამ ვარპეტი
მაინც სხვა იყო
და ხიზარულს ვერ დავფარავდი.

ეფთჳ ისაყიანის ვახინება

შეზუღრა ჩვენი,
ხატცარი და უცაბედი
წმიდათაწმიდად
გონებაში ჩამრჩა მარადის.

კარგად ვიცოდი,
მტკიცე იყო, სულით--გრანიტი,
მას ბრძენზე უფრო
კეთილ სახელს ვერ დავარქმევდი.
ბევრი მინახავს
კაცი თბილი და ჭეშმარიტი,
ის კი სხვა იყო,
სულ სხვა იყო, ბრძენი ვარპეტი.

როცა მას შეეხვდი,
მამინ მართლა ვიყავე ჭაბუკი,
ბალღივით შეგვართი,
მოკრძალებით ხელს რომ ვართმევდი.
ასე მაგარი,
ასე ღბილი,
ასე ფაფუკი
და თბილი ხელი,
არ მინახავს, როგორც ვარპეტის.

რა მშვიდად იჯდა,
ჭირგავლილი და ხანდაზმული,
თითქოს მის სახეს
ორი ერის ანდა ნაჭდევი,
ძველი ვარამი
ულმობელი ჩვენი წარსულის,
ჩვენთა მრავალთა
ვარამთაგან გამოსარჩევი.


კაცი უკეთეს
მოსაუბრეს ვერ ინატრებდა.
გიმორჩილებდა,
გიზიდავდა სული ფაქიზი
და ფიქრიანი
არარატი — მუბლი ვარპეტის,
ზვარტნოცი,
მზე და არაგვი,
მზე და მასისი.

მასსთვის მრავალთა
გალიმება, მაგრამ სხვა იყო
მისი ღიმილი
მომზიბელები და მიმზიდველი.
მამინ მცხუნვარე.
ცხელზე-ცხელი და უთარილო
მზე ლივლივებდა,
ნაირის მზე,
წითელ-ყვითელი.

გრძელი გზა განვლო,
უღაბნოთა ხვატი, ქვიშნარი,
უკან დასტოვა
ნატურფალი სიმწრით ნაალი.
ჩვენთან მოვიდა
მგალობელი და გულთმისანი
და მზისკენ მჭროლი,
როგორც აბულ ალა მაარი.

... როცა ქართველებს
გვაცილებდა ბრძენი ვარპეტი.
ზეცას სწვდებოდა
მგალობელთა ხმა — ჟრიაშული.
ხელს რომ ვართმევდით,
მამინ გვითხრა:
— „მგონი დავებერდი,
ბედნიერი ვარ,
რომ ჭაბუკი მრჩება მამული“.

მინახავს ბევრი
ხანდაზმული, მაგრამ ვარპეტი
მაცხ სხვა იყო
და სიხარულს ვერ დავფარავდი...
ჭაბუკი ვიყავ,
შემოდგომის იყო დამდეგი
და სახე მისი
ჩემს ხსოვნაში ჩამრჩა მარადის.



გიორგი კალანდაძე

მიწის გოგონი „ახალი კოლხიდა“

ამ საოცრებას თვალი რომ ნახავს,
უფრო ბრწყინდება გონება მაშინ,
თითქოს მამონტი დამდგარა არსთან
და ხორთუმს ურევს დაშლამულ წყალში.

ან წარმოიდგენ, თითქოს, ხომალდი
შიაღგა ტაობს ზღვასავით გაშლილს
და, როგორც ცურვის დიდი ჯომარდი,
ფიქრობ, შეცურავს ტაობის ზღვაში.

როს ბუნებასთან ფარეკაობენ,
ის გიგანტების რიგებში ბრწყინავს, —
არხს ასუფთავებს, აშრობს ტაობებს,
სრუტავს ფსკერიდან შლამსა და სილას.

შთაგონებული ვდგავარ და ვუცქერ,
თითქოს რკინამაც იგრძნო, მომხედა,
დაიგუგუნა მანქანამ უცებ:
„კოლხეთს ამაგეს გმირმა კოლხებმა!“

ამუ-ღარიას გასაუბრება მუხთან

მზე შეჩერდა, თითქოს კრძალვით, რიდით,
მშვენიის მნათობს ნათელ სხივთა ფრქვევა,
დაბლა ამუ-ღარიაა დიდი
და არალის ზღვის ტალღების რხევა.

მზემ ქვეყანას დააფრქვია სითბო,
და ყარა-ყუმს დააშტერა თვალი,
მზე მიწის ბურთს ეკითხება, თითქოს;
„საით მიდის ჯეიბუნის წყალი?“

და მდინარემ ამოიღგა ენა,
მოშხუის და მოაქანებს ტალღებს:
„-ჰე, მნათობო, მიწუნებენ დენას,
ვერ ვრწყავ მინდვრებს, ვერ ვახარებ ბაღებს.“

მე პამირის მაღალ მთიდან მოვალ,
ზღვა არალის მეგობება ტაშით,

მე სიციცხლე, მე სიმდიდრე მომაქვს,
 მაგრამ უკმად ვიკარგები ზღვაში.

და უდაბნო ჩემსკენ იწვდის ხელებს,
 ოდითგანვე მისი მმართვებს ვალი,
 ამბობენ, რომ ყარა-ყუმის ველებს
 სულს ჩაუდგამს ჩემი ღურჯი წყალი!“.

ესა თქვა და ჯეისუნის წყალმა
 სიხარულით აატოკა ტალღა,
 გაიხარა მზის გულმა და თვალმა
 და ლაყვარდებს გაუღიმა ლაღად.

მზე იცინის, ძირს ჩამოსვლას ნატრობს,
 ჩანს, უხარის განახლება მიწის,
 წინ სამყარო გადაშლია მნათობს
 და მარადი სრბოლის ცეცხლით იწვის.

• • •

ჩემი თიხისგან როცა შედოქვ
 დოქს გააკეთებს მიწით და სილით,
 ის დოქი, როგორც ჩემი შეტოქვ
 იდგას სუფრაზე ღვინით ავსილა

ომარ ხაიამი

სალხინო სუფრა რა საამო სანახავია! —
 გარს გაზაფხულის იანი და ვარდნი ძყვავიან,
 მე ღვინით საუსე თეთრი დოქი ავიღე ხელში,
 ეს — შენი მტვერი ხომ არ არის, ომარ ხაიამ?!.

ჩემი ოთხი ღრო

გაზაფხულს ვლოცავ, —
 მწვანე ცეცხლად ამბერიალა,
 ზაფხულმა ხელში
 დამიტოვა მწვანე იარა.
 ეწამლე, ოქროს შემოდგომავე,
 კაცს ცამდე მართალს,
 ხელხვაგიანად შეაგებე
 იმ ცოვ, გრძელ ზამთარს.

საღვთისმეტყველების

საღვთისმეტყველების
საქმიანობის

იყო საღვთისმეტყველები
და ჯარისკაცები ხიმარტოვით,
იქვე სხვებზე უფლებით მავსებდით
დაფინანსების წინაშე იდგა პოეტები.
ტადეა ალმანის კენჭები ვსროდა
ამაღ თოღებზე უფლებად ავრუნებდით
იდგა პოეტები, უფლებად დაქვემდებარებულნი
და დახმარებულნი პოეტის დაფინანსებით.

ბევრი რამ განძი დაგვირგვინია.
შენს ბაღში ისევე ჰყვავის ღვინო,
ჩემს ბაღში ისევე გაზაფხულია,
მინდა მავსებურად კვლავ გამიღიმო.

შენ კი თევზების უფლებად დაგვირგვინია
და გული ოდნავ გაქვს გაყოფილი
მითხარ, ვინ არის იგი კაცუნა,
შენს გვერდით რომ დგას თვითგამყოფილი.





მ ა რ ტ ო ო ბ ა

(დაკლადან „პარტიზანის ნოველები“)

ამინდის ისევე უსულგულო დაესწრო უბედური პელაგიას დასაფლავების, როგორც მისი ცხოვრება იყო ვითომ უჭარო, მაგრამ უმშვეო, ცივი და დაღვრემილი.

მიცვალბულს ხმამაღლა არავინ ტირიდა, არ მოთქვამდა, რაკილა მარგოს გარდა ახლობელი ამქვეყნად არავინ დარჩენოდა, მაგრამ ერთი მუჭა პარტივისმცემლებიდან, ვინც ამ უკანასკნელ გზაზე აცილებდა, წარბი არავის გახსნია. მიჰქონდათ ნამლევა მოხუცი ქალის პატარა, ოხრის საღებავით შეღებილი კუბო და თითქოს მკვდარსაც და პროცესიისაც სცხებენოდა ამ დაჩივებისა და სიმძირისა.

როგორც კი კუბოს თავი დაჰედეს და ასევე მორჩილად საფლავში ჩაუშვეს, რომელსაც სიმაღლეს აკლდა, მარგოს ზღუტქუნი აფვარდა. მანამდე ერთ-თავად ქვითინებდა და ქვითინებდა, მაშინ კი აზღუტქუნდა, აზმუვლდა, თუ რაღაც ყმულივითაც კი აღმოხდა. ვერ იქნა და თავი ვერ შეიკავა მერტე კი, როცა ყველა გაიფანტა და სამარეც ფართო ნიჩბებით ამოავსეს.

მომცრო ტანის კაფანდარა მარგო თავის თავსაც და თავის საფლავსაც ტირიდა. თხუთმეტე-ოცი წლის შემ-

დეგ მასაც ასე მოასვენებდნენ, მაშინ ისიც გაღუული და გასაცოდავებული იქნებოდა, როგორც პელაგია ასევე სწრაფად ამოავსებდნენ ვეება ნიჩბებით მის სამარესაც, მაშინვე ქორისაგან დაფეთებული წიწილებივით დაიშლებოდნენ ერთი მუჭა მეზობელ-ნაცნობები და დარჩებოდა სამარადქამოდ მარტოდ.

მიწაში არავინ არავის ჩაპყოლია, მაგრამ ჩაუტანებიათ ცრემლი, მოთქმა, სითბო და არდავიწყების იმედი. ზოგი მიცვალბული ისეთი მძიმე და გაჯგომულია, ისე თვითმკაცრი და ძლიერი, გგონია, თავს არც საფლავში დაიჩაგრავსო, ან იმ ქვეყნიდან იმდენი სიტკბო, სიამოვნება და ფერ-ხორცი მიჰქვს, იქაც მაძლარი გეგულება.

პელაგიამ კი ისეთი საცოდავი მუღარა დატოვა: გულადმა ნუ დამმარჩავთ, გვერდზე გადამაბრუნეთ და მუხლები მომალუნინეთო, მარგოს გული გახეთქვაზე აქვს, რომ ეს ერთადერთი უმწერო სურვილიც ვერ აუსრულა. მარგო ტირიდა რომ, მასაც ასე გულადმა გაჰქიმავენენ და მთელი ცხოვრება პელაგისავეთ მოკუნტულ წოლას მიჩვეულს, სიკვდილის შემდეგ ამ სიამონებასაც წაართმევენენ. ველარასოდეს

მისწვდებოდა ხელებით თავის ცეცხლს.

მარგო სულ მარტოდმარტო რომ დარჩა, გზას ფეხით დაადგა. ქალაქის გარეუბანს დაღამებამდე ვერ მიიღწევდა, იქ კიდევ თავის მომცრო ოთახში სამარის სიცივე და მარტოობა დახვდებოდა და ამ ოთხს კედელში მარტოდმარტო ჯდომას სიარული ერჩია გზაზე ავტომანქანა მიინც ვახიბივინებდა, ვინმე შემოხვდებოდა. ან წამოეწეოდა და ერთხანს მის მხარდამხარ ივლიდა.

გვიანი შემოდგომის უქმური ნიავე ასირსილდა. ამ გამქოლმა სიცივემ ისევ წამით დავიწყებული პელაგია გაახსენა და ცრემლგამშრალი თვალები აუწვა.

დიდი ქალაქის განაპირა რკინიგზის პატარა სადგურის დამლაგებლად იმუშავა პელაგიამ მთელი ცხოვრება. მთელი სიცოცხლის მანძილზე ვინმეს არც მისი დაწინაურება მოგონებია და არც სამსახურიდან დათხოვნა. ბინაც ძველ, რკინიგზის სქელკედლებიან შენობაში, ცალფა აგურიით ოთხად გატიხრულ ოთახის მეოთხედში მიუჩინეს. მერე ბინის გამოცვლა არც სხვას მოგონებია ვინმეს და, კაცმა რომ თქვას, არც თვითონ პელაგიას. ცოცხი, სათლი, ჩვარი, სადგურის დარბაზის ქრელი იატაკი, სამორიგეოს კედლის ღუმელი, უფროსის კაბინეტი, სალარო და ორიოდ მომცრო ოთახი... მერე თავისი ცემენტის იატაკიანი თავისისროსავით ბინა — აი მთელი მისი ასპარეზი და ახლა მორჩილა კუბო და პატარა საფლავე. არც სიყვარული და სიძულვილი, არც შური და მტრობა, არც ქმრის ჩივილი და არც ბავშვების წიოკობა.

პელაგიას მამა ძლივს ახსოვდა, ორთქლმავლის მემანქანე იყო. ქვეყნის გადატრიალება-გადმოტრიალების დროს სადღაც ისე უკვალოდ გაქრა, ვერაინ გაიგო ვის მტრობდა და ვის ერთგულებდა. კიდევ კარგი, რომ ობოლ გოგოს მამის დაბრუნების იმედი მაშინვე არ მოუსპეს, თორემ ისედაც უღედოს

და უთვისტომოს ამ უბედურების დარღს რა გადაატანინებდა. უპატრონო ბავშვი სადგურის აღრიხდელი უფროსის უსინათლო ღედამ შეიკედლა. შეიკედლა კი არა, მოსამსახურედ იყვანა, მაგრამ ახალ დროში მოჯამაგირეობა მიღებული არ იყო და „შვილობილებს“ ან „ნათლულებს“ არქმევდნენ. უსინათლო ღედაბრის ერთადერთმა ვაჟიშვილმა ახალი დროების მოსვლის წინ აიკრა გუდა ნაბადი და თვალდამრეტელი ღედა ღეთის ანაბარა მიატოვა. მოხუცს სადგურის უფროსი ჩინოვნიკი შვილის მაგიერ უშწეო, საცოდავი პელაგია შერჩა ხელში, პელაგიას კი ჯან-ღონით სავსე მემანქანე მამის მაგიერ უსინათლო როკაბი, ქვეყანაზე გულადულებული ბრმა ღედაბერი.

მარგო მიდიოდა ახლა მარტოდმარტო და მისტროდა პელაგიას მთელ ცხოვრებას, რომელიც თავისი იყო.

მარგო თვითონ პელაგიამ შეიკედლა. ეს უკვე ომის წლებში, მამა და ბიძები რომ დაედუბა. ბებუის ვარდაცვალების შემდეგ ღედა ვილაც თათარს გაჰყვა. ერთ კვირა დღეს თითო ბავშვი მოსვენულად ცხრა წლი ნახევრის დას დაუტოვეს და საბაზროდ გაიკრიბნენ. გაწუწუებულმა მშვიერმა ღორმა, ცხვირი რომ შამფურივით აქონდა წაწვდილი, აკვანში ჩაქრულ ექვსი თვის ჩვილს ყური მოაქამა. მარგომ მუგუხალით ღორის გარეთ გამოგდება და კარის გამოხურვა კი მოასწრო და იმ საკერებელზე საკერებელდადებული კაბის იმარა, ფეხშიშველმა მოუსვა, შარაზე გაქცევა ვერ გახედა, ეზოს ბოლოში მოქცეულ ღობეს გადაეცლო და ჩირგენარში გაიჭრა. როცა დაბნელდა, მერეც არ შეუსვენია და ისევ ესმოდა ყურმოჭრილი ნახევარძმის გადაქაქული ტირილი; როგორ ან საიდან აღმოჩნდა რკინიგზის სადგურზე, რაც მანამდე ახლოდან არც ენახა, არაფერი იცოდა. მეტი სირბილი აღარ შეეძლო, ან საით და როდემდე ერბინა.

ლიანდაგებზე საბარგო მატარებელი

იდგა. მაგრამ მაშინ მარგომ ხეირიანად არც იცოდა, რა იყო საბარგო და სახალხო. იცოდა, მატარებელი აქედან წავიდოდა და აქაურობას მოაშორებდა. ერთადერთი სწრაფვა, როგორმე უყურო ბავშვის ჩხვილს და მამინაცვლის სისხლიანი თვალების აჩრდილს გაქცეოდა. საიდან წამოიყვანა მატარებელმა, რამდენი იარა, ან სად მიიყვანა, მაშინ კი არა, ამ ამბისა ახლაც ირავფერი გაეგება.

დიდი ქალაქის გარეუბანში შემადგენლობა ვაგონებად დაიშალა და თავისი ერთადერთი მგზავრი სადგურის ბაჟანზე მოისროლა. ლტოლვილმა ისიც არ იცოდა, თუ ამ რკინიგზისპირა თეთრ შენობაში ყველას თავისუფლად შეეძლო შესვლა და თუნდაც ძელსკამზე ჩამოჯდომა.

მეორე დღით უთენია პელაგიამ დარბაზის კუნჭულში, ძელსკამის ქვევით დაკონკილი ჩერების გროფა იპოვა და ცოცხით დაუბორა გამოხვეტა, მაგრამ ამ ძონძებიდან ჯერ ვალეული ბავშვის კანჭები გამოძვრა, მერე ვაბურძენული წაბლისფერთმიანი თავი. როცა მტვერში ამოვანგულული თვალბნაცვენილი მოჩვენება ქრელ იატაკზე დაოთხილი გამოფოფხდა, დამლაგებელს ისეთი მთავე, წამებული მუდარით შეღიმა, პელაგიამ მაშინვე ხელში აყვანა მოუნდომა. მარგო გაფხარკაულდა: ჩემი დაქერა და მამინაცვლის ხელში ჩაგდება უნდაო.

— მოიცა, შეილო, სად ვარბიხარ, შე უბედურო და შავ ღღეზე გაჩენილო!

— აარბა — ისივლა შავ ღღეზე გაჩენილმა, წამოვარდა და გასასვლელს მიაშურა.

— მოიცა შეილო, მოიცა დედა!

პელაგიას „შეილო“ და „დედა“ მანამდე არავისთვის უთქვამს.

მარგომ დარბაზის კარიდან მოიხედა და გახევედა. დამლაგებელი ჩითის გახუნებული თავსადრის ყურებით ცრემლებს იშრალებდა. ლტოლვილი ცხო-

ველური გუმანით მიხვდა, დაქვერი და დამტყვევებელი არ ტირისო, და უკან წამოვიდა, პელაგიას წელზე ხელები მოხვია და მუცელზე სახით მიკრულმა წვრილკოპლებიანი თალხი კაბის კალთა ცრემლებით დაუსველა, პელაგიამ — მტვერში ამოვანგულული წაბლისფერთმიანი ვაბურძენილი თავი...

პელაგიამ რაც როკაპი დედობილის ხელში სიმწარე და ტანჯვა გადაიტანა, რასაც მაშინ ნატრობდა და არ ეღიროსა, მარგოს აუსრულა, რა თქმა უნდა, რისი შემძლებელიც თვითონ იყო და რისი უნარიც შესწევდა. შეილობისაც ბევრი რა უნდოდა, ან რა იცოდა, რა იყო ბევრი. უბრალო ჩითის კაბა კაბადაც ეყოფოდა და პერანგადაც, რეზინისძირიანი წულები საშინაოდაც და საგარეოდაც... შავი პური და ჩაი... პელაგიას თავისთვის რომ ერთი კოვზი შაქარი არ ემეტებოდა, მარგოს ორჯერ მეტს ჩაუყრიდა. უნუგეშო ლტოლვილს ამაზე მეტი რა უნდა ენატრა.

პელაგიას მორწმუნეც არ ეთქმოდა, მაგრამ ყოველ გასაჭირში პირზე ღვთის სახელი ეკერა და ძლივს უფლის მადლიერი იყო, რომ მამაზეციერმა უსმინა მის უმწეობას, მარტოობას და იმ მტვერსა და ნავაშში, რასაც მთელი ცხოვრება ქექავდა, ძონძებში შეხვეული „შეილო“ მოუვლინა. მაინც ეშინოდა, იცოდა, ღმერთის დიდ სიკეთეში ეშმაკი და ბოროტი ცხვირს ჰყოფს, და „შეილს“ დიდხანს თავისი-სორო ოთახში მალავდა, ხმამაღლა ლაპარაკსაც კი ერიდებოდა, რომ ტიხარიდან ხმა არ გასულიყო მეზობლიდან მეზობლებში და მანეს ყურამდე არ მიეღწია. თვითონ მარგოსაც ზაფრავდა მამინაცვლის სისხლიანი თვალები და შეეძლო ერთად ერთ, რკინიგზის ლინდაგებს გადაწყურე ფანჯარასთან მთელი ღღე უხმოდ მკდარიყო.

მერე ეს სინთემე, ჩურჩული და პეტუნი ხასიათად ექცათ და მთელმა ცხოვრებამ ასე უხმაუროდ, უჩამჩუმოდ, მეზობლების შეუმჩნეველად, უმეგობ-

როდ და უნათესაოდ ჩაიარა. ჩაიარა პელაგიასათვის, მარგოსათვის კი ჯერ კიდევ ვინ იცის — რამდენ ხანს გაგრძელდებოდა უკვე სრულიად მარტოსულის ამ ქვეყნად ბოვინი.

წვიმა წამოვიდა, შემოდგომის ქარში შერეული, დამრეცი, ცივი და უამური. მარგოს შეაერყოლა, მაგრამ ნაბიჯი არ აუჩქარებია. დაცარიელებულ ნამკვდრეუ სახლში მარტოდმარტო ჯდომას და ცრემლნამქრალ ქეთიანს უქმური ამინდი და დამქანცველი გზა ერჩია. მართალია. ყურადღებას არავენ აქცევდა, მაგრამ შარაზე ვილაკები ზედებოდნენ, ან ეწეოდნენ და ასწრებდნენ და მარტო არ იყო. წინდაწინ ზარავდა იმის შიში, რომ როგორც პელაგია საფლავში სამარადქამოდ ჩაესვენა, ისევე ისიც უნუგეზოდ ჩაიკეტებოდა თავის ციკქნა ოთახში სიკვდილამდე და აღსასრულის დღესაც ხმის გამეცი არავენ ეყოლებოდა.

გზის კიდებზე მტვერი აიზინზლა, დაბალქუსლიან ფეხსაცმელებს მოედო. წვიმა გახშირდა, მაგრამ ქარი ისევ უსიარსილებს და წვეთებს ზურგში უტყალაშუნებს. არა უშავს, იწვიმოს, მიწა გამოქარულია და დილაამდეც რომ კოკისპირულად ასხას, პელაგიას კუბომდე მაინც ვერ ჩააღწევს.

მარტომ გზიდან გადაუხვია და რკინიგზის ლიანდაგების ხრემის კიდებზე მტკაეღიან ბილიკს გაჰყვა. შარავითაც შეიძლებოდა შინ დაბრუნება და მგზავრიც იშვიათად, მაგრამ მაინც გამოჩნდებოდა, მაგრამ ლიანდაგები მარგოსათვის მაინც უფრო მახლობელია. რკინიგზამ და მატარებელმა ისხნა მაშინ მამინაცულის სისხლიანი თვალები-საგან და მიიყვანა პელაგიასთან, მერეც, ფანჯარასთან მოკალათებული, რკინიგზას გასცქეროდა. მისი ერთადერთი გასართობი, სათვალსიერო და დროის საზომი მატარებელი იყო. რომ წამოიზარდა, მის ბედზე აშენდა რკინიგზის ახალი საწყობები, დასჭირდათ დამლაგებელი და მარგოს მოსამსახურე გახდა.

ხელფასი დაუნიშნეს, იმ ზამთარს ბამბა-შალის პალტო და ბოტინები უყიდა პელაგიამ. რკინიგზის პირზე იდგა და დგას მებისის ის მშრალი, მკვდარი წითელი ფერის ჯიხურები, რასაც ამ ჩამოსვლის დღიდან ფანჯრიდან უცქეროდა და უცქერის... იმ ჯიხურში დაბუზუნებდა შეახნის, გაბურძნეული მისი პროკოფი, სანამ დაიჭერდნენ... მერეც, პატიმრობის მერეც ისევ იმ ჯიხურში დაბრუნდა და მარგოს მას შემდეგ იქით გახედვის ეშინია. ეშინია თვითონ იმ უქმური მებისის და პელაგიასაც... პელაგიასაც ეშინოდა...

პროკოფი რომ პატიმრობიდან დაბრუნდა, იმ დამით კარები ზომ ჩაკეტეს და ჩაკეტეს, მაგიდა და სკამებიც ზედ მიალაგეს. არ გამოთვრეს ნატუსადარი, არ მოგვეფარდეს და არ დაგვბოცოსო არც სინათლე აღნთიათ, არც ჩაი დაუღვევათ, ჩაცმულები აწვენენ და კანკალით ელოდნენ ნაციზარს. პროკოფის არც იმ დამეს და არც მერე ამ მხარეს პირი არ უქნია, მარგო თუ გააპარებდა თვალს პელაგიას ნამალავად. რატომ ემართებოდა, ეს რა ღვთის წყრომა იყო, არ იცოდა, — მეტი რომ არაფერი იყო დასანახავი, თუ პროკოფი მაინც ერთადერთი კაცი იყო, რომელმაც მარგო ინდომა... ინდომა არა როგორც შეყვარებული, საცოლუ, ან რაღაც გულის ტოლი, ინდომა ისე, როგორც... რა ჰქვია ამას, გასაბახებლად, თუ გასარყენლად, მაგრამ ინდომა... სხვას, არც სხვა მებისრებს და რკინიგზის მუშებს, არც საწყობის მწონავეებს და გამგეს, არც მატარებლის შემდგენელს (ძალიან უყვარს ქალები), სადგურის მორიგეებს და უფროსს ზომ ეს ფიქრადაც არ მოსვლიათ.

პროკოფიმ ინდომა.

პროკოფი მარგოს, პირველად რომ საბარგოს ჩამოჰყვა, იმ დღიდან ახსოვდა. სადგურიდან მატარებელმა სვლას უკლო და შემფოთებულმა ცარიელი ვაგონის კარებში რომ გადმოიხედა, იხრის გასაყართან ყვითელბაირალიანი

შევწევრება ბურძენული კაცი დაინახა გაჯემული და მაშინვე თავი შემაღლა, მაგრამ გაშტომულმა ყვითელბაირადიანმა მხერმა მაინც გამოაყოლა და მერე ბაირადიც კი დაუქნია. ისედაც გულგახეთქილ გოგოს ეს უნდოდა?! მატარებელი გაჩერდა თუ არა, მაშინვე ვაგონიდან კისრისტეხით გადმოვარდა და ბორბლებში შეძვრა. იქიდან უცქერდა შორს გამოთეთქვილი წითელი ფერის ჭიხურთან მვისრეს, სანამ ყვითელ ბაირადს ახვევდა და მერე წელზე ჩამოკიდებულ ჩანთაში ტენიდა.

ეს ამბავი ერთი ათი წლის მერე კიდევ უთხრა პროკოფის, მასთან ჭიხურში პელაგამ რომ გაგზავნა ნაჯახის ტარის დასაგებად.

— მე თქვენ მაშინ მთლად უფროსი მეგონეთ... — მარგოს მორცხვად გაეღიმა.

პროკოფიმ დაფანჩული წარბებიდან გამოხედა, რალაც ნაპერწკალი გაუყრა თაღრმად ჩაკარგულ თვალეებში, და რომ იცის, ისე დაიბრინინა:

— უფროსი, როგორა, ახლა არ გგონივარ?!

— ახლა ვიცი ვინცა ხართ... — ისევ გაეღიმა მარგოს.

ისევ გაუყრა ნაპერწკალი პროკოფის, მაგრამ იქვე თუჯის მრგვალი დუშელი ერთო და მარგომ არც კი იცოდა, კაცისა და კატის თვალეებს, სინათლის ანარეკლის გარდა, რაიმე ათინათს თუ უჩინდა.

პროკოფიმ ნაჯახის ტარი რომ დააგო მერე ბოთლის ნატეხი შემოიბრანა და შუშით ფხეკა და წმენდა დაუწყო. ნელა, ნება-ნება. პაწაწინა ხუჭუჭა ბურბულელებით მოფანთხა ჭიხურის ერთი მტკაველა იატაკი. ბრინინებდა და თან თვალეებს აკვესებდა.

— შენა, არაფერიც არ იცი... მე ვარ უფროსი, თუ ვარ, აბა ვინა! უფროსი იქა თავისთვინა ზის, შენა კიდევ მატარებლებს ვიღებ და ვუშვებ... ვუშვებ და ვიღებ...

— ეგ კი, მაგრამ...

— მაგრამ და მიეთ-მოეთი არ უნდა ამას, უფროსი ვარ და მორჩმარცხვად დღე რომ წვერს არ ვიფხევამ, იმიტომა!

მარგოს ისევ გაეღიმა, ვითომ თანაგრძობით, თუ თავის მართლებით: მე ეს არც მიფიქრიაო.

— თუ იქნებ შენ ის ყვითელაპელატებიანი უფროსი უფრო მოგწონს, ან ის წითელქუდიანები?

— მე? მე? მე რა მომწონს... — მარგომ უნებურად გულზე ხელიც კი დაიდო და თვითონვე გაუყვირა, რომ მკლავი უთრთოდა.

— ქალი... მე ვიცი, რაცა ბრძანდება, სულ ის ზიზილ-პიპილო, სულ ის ელეთმელეთი ეხატება.

— შე... მე როდის... მე რატომ...

— როდის და რატომ... რატომ და შენც ერთი კარგი კოკოტინა ვინმე ხარ და იმიტომ. ქალი ხარ და იმიტომ.

— არა, ბიძია... მე რა ქალი ვარ...

— არა, მამა ბბრამის ბატყანი ხარ.

სრულიად დაფანტული მარგო წამოღება.

— იცით, მე მეჩქარება, შეშა გვაქვს დასაჩეხი... ძალიან მეჩქარება... თან დამდება, ბიძია...

— ბიძიაო... შენი ბიცოლას ქმარი ვარ თუ საყვარელი?! — თვალეები მოკუტუა პროკოფიმ და დაფანჩული წარბები ამჯობა.

— არა, ბიცოლა... რა ბიცოლაა... არა, მაგრამ უფროსი კაცი...

— განა ქალი და კაცი ერთ დღეს უნდა დაიბადოს, რო ერთმანეთზე თვალი დაიჭირონ?! — იწყინა პროკოფიმ და მოიღუშა.

— არა, მაგრამ ძალიან მეჩქარება... — მარგო ნაჯახის ტარს წაეტანა.

— უფროსი ხარო, საქმეს კი აღარ მაცლის...

— მაშინ... იყოს... ხვალ... სხვა დროს მოგაკითხავთ.

— შეშა მაქვს დასაჩეხიო, ახლა არა კიკიკებდი... — პროკოფიმ კარის გასწვრივ დაქვიმა ფეხი. — ი, მობუზუ-

ქ. მარკოსის საბ. საქ. სსრ
სახელმწიფო რუსკებლონი

ლი პელაგია სიცივით გინდა დააოსო?! მარგოს ხმა აღარ ვაუღია, მაგრამ აღარც დამკლარა და ჭიხურის სარკმლიდან თავისი ოთახის ფანჯარას გახედდა...

ჩამოხეულდა და წვიმამ იმატა. ლინდაგს ადევნებულმა მარგომ ახლაც გახედდა თავის სახლის ფანჯარას. ყველგან ერთი შეუქი, იქ კი ბნელიდა. მისის ჭიხურშიც სინათლე კიაფობდა.

პროკოფი არ მოვიდა პელაგიას დასაფლავებაზე. არა, რა თქმა უნდა, არ მოვიდოდა მარგომ იცოდა ეს შეუძლებელი იყო, და მაინც, რაღაცნაირად, რატომღაც უნდოდა მოსულიყო.

ნეტავ რა თავში იხლიდა ამ საძაგელ კაცს... როგორ გააწამა... გააწამა კი არა, აწვალა, ბურჯნა, სრისა და ლომნა, სულ ჩამოაფლითა გულისპირი. ძუძუებზე ნაებლიარი ახლაც აწნია გონია. დმერთო, რა დიუნდობელი ვიღაცაა, მთლად შექმა მოუნდომა. თორემ მარგო კივილს როგორ ატეხავდა, ხმას როგორ ამოიღებდა, რომ როგორმე მოეცილებინა, ან მარტო რომ ებურჯნა და ეკოცნა...

არა, მაინც როგორ მოუვიდა და მოეჩვია ამ მოღუშულ-მოქუფრულ კაცს, რატომ დადგა ფეხი იმ ჭიხურის ახლო-მახლო, რა ჯანდაბა ემართებოდა, რა იზიდავდა ამ ყიამყრალთან. ერთი თვე არ გაკარებია იმ ნაჯახის თათბაზე რომ იყო მას მერე. პელაგიაშეც უსაყვედურა: რას წამოჩქეა იმდენ ხანს იმ მიწის სამძიმართანაო. მაგრამ დრო გადიოდა, პროკოფი ლიანდაგების გადაღმა ჭიხურში იჯდა და მარგოს ესმოდა: „შენც ერთი კარგი კოკროტინა ვინმე ხარ“, „არა, მამა აბრამის ბატყანი ხარ“, „განა ქალი და კაცი ერთად უნდა დაიბადოს, რომ ერთმანეთზე თვალი დაიჭირონ?!.. მარგო ყურებზე ორივე ხელისგულს იფარებდა, თვალებს მაგრად ხუჭავდა. მაინც ჭიხურის სინათლეს ხედავდა და პროკოფის ბრინინი ესმოდა. ძილიც ვაუტყდა, ეჩვენებოდა, გაბანჯგელილი კა-

ცი ფანჯარას აღებდა და პირდაპირ საწოლზე გადმოდიოდა. მარტოც უნდა

დმერთო, ნუ უწყენს მხოლოდ მარტოც არისა და ამის გახსენების დროა? მაშინ ყველაფერმა, როგორც იყო, ძლივს ჩაიარა და პელაგიაც აღარაა ამქვეყნად. საფლავში მარტოდ მარტოდ, გაციებულ-გალიგვებული წევს... მერე როგორი მკივანა იყო, სულ მოკუნტული იწვა და ფეხის თითები მუკში ეჭირა.

ბნელი, ცივი, ნამკვდრევი ოთახიც სამარეს ჰგავდა, უიმედო და უსასოო, საფლავით შიმისმომგვრელი და უკაცრიელი. საწოლიც ნოტიო და მიცვალებულის სუნით ამაზრუნეი.

მარგო საწოლის კიდზე ჩამოჯდა. ტანზე მიწებებული სველი შავი კაბის გახდა და დაწოლა, ან გამოცვლა არც მოგონებია. კანკალი და ძიგძიგი აუფარდა ქვეთინთან ერთად. უცრემლოდ ქვითინებდა დაოსებული. მეტი აღარ შეეძლო და აღარც პელაგია თხოულობდა ამდენ დატირებას, მაგრამ ახლა უხმოდ თავისთვის მოთქვამდა, გლოვისა და დარდისათვის კი არა, არც ხსენასა და შევებას დაეძებდა, მარტოობისათვის. როგორმე რომ მარტო არ ყოფილიყო. ყოფილიყო ის და ქვითინი, ის და ტირილი, ის და კანკალი, ის და რაღაც, ან ვიღაც... თუნდაც თავვი და ვირთხა, ან ქურდი შემოსულიყო, ან ავზაკო... ვერავინ და ვერაფერი შეცვლიდა მისთვის პელაგიას, მაგრამ ამ სამარეში მარტო არ იქნებოდა, სრულიად უმწეო და უპატრონო, ასე ცოცხლად დამარბული და გულზე ხელებდაკრფილი.

თვით ურჩხულიც კი და მავნე, ამაზე საშიში და ამაზრუნეი არ იქნება, რაკი ის თავისთავად მეორე იქნება და ორი — მარტოობა აღარ არის.

ქარმა ახლა ოთახშიც შემოიტანა წვიმის წვეთები და ძლივს მოაგონდა, კუბოს გატანის წინ წესის მიხედვით ფანჯრის მინა გატეხეს. ახლა პროკოფიც რომ მოადგეს ამ გატეხილ მინას და რაფაზე გადმოაღაჯოს, სულ არ შეაკრთობს, ისევე რომ დაუწყოს ბურჯვა-

ნა და სრესა, არც ამისთვის გაუწევს წინააღმდეგობას...

თუმცა ამ კაცისკენ, შიშთან ერთად, მუდამ იზიდავდა რაღაც და თავისი თავის და პელაგიასი რცხვენოდა. ახლა უფრო რცხვენია პელაგიასი, რაკი მაშინ ერიდებოდა. ჰგონია, პელაგამ ისიც იცის, რაც გუნებაში უდევს.

როგორ ტორავდა დათვივით და ბლორინობდა: შენი წადილი მაქვსო... დიდი ხანია შენი წადილი მაქვსო... პატარა ხარო, ნაჩრდილავი ყვაველი ხარო...

ღმერთო, ნუთუ პელაგამ იმდენი ამბი და სიუყვარული, სათნოება და სასოება თან წაიღო და მარგოს მხოლოდ ამ გაბურძმვნილ მოძილადეზე ფიქრი დაუტოვა იმედად ამ უკუნ სენაჲში?

ლიანდაგების გადაღმა ჯიხურის სინათლის მქრქალი შუქი ეონავს კედელზე, ფანჯრის ტოლი და მსგავსი-

მაშინ სამართალში მაინც არ მიეცათ და ქალიშვილის გაბახების მცდელობისათვის ტუსაღად მაინც არ დაემწყვდით. ან მარგოს რა აეივლებდა, რომ ქვეყანა შეყარა მისმა წივილ-კივილმა, საწყალ, გავეშებულ კაცს ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან სამოსშემოგლეჯილი, მკერდღალურჯებული ქალიშვილი. მარგო რომ არ გაეკრბებულებო და მის ნებაზე მიეშვა, არც ტანსაცმელს შემოაფლეთდა და არც დაღეჷავდა. გადარია კაცი და რა ჯნა, აღარც კი იცოდა.

ნასვამიცი იყო... მარგოსთან არ დოლია? გახეთქილი ქვიჯა რომ მიუტრუნინა, იქნებ რაიმე სალტე შემოუჭიროთო... მოთუთიებული თუნუქის სალტე გაუქეთა იმ კაცმა და მერე ერთი ბოთლი კარგი ჰაჷის არაყიც გამოამხუტურა. ვიცო, შენ არ დალევ, მაგრამ შენი საღღგრძელო დამალევიწიო... მართალია, მთლად კი არ გამოუცლია, მაგრამ ორისამი ღვინის ჰიქა კი გადაჷკრა: შენაო იციო, რომ თვალში მიზიხარო.

სინათლე კიდევ მაინცა და მაინც მაშინ გამოირთო, თორემ ილაპარაკებდა ის კაცი, ილაპარაკებდა, მარგოსაც გულს მოესალბუნებოდა და

წამოვიდოდა შინ. ჩაქრა და მარგოც მაშინვე წამოვარდა. მჯდარი იყო, ვინ ჩაუქდა კალთამ წამოვარდა და იმ ერთ მტკაველა ჯიხურში აბა ფეხის დასადგმელი ადგილი სადაა, არაყიანი ბოთლიც გაუტეხა, კალთაშიც თვითონვე ჩაუვარდა, თავიდან იმ კაცმა შეილივით მიიქრა გულზე, მაგრამ ქალი რომ გაუფხარკალდა და ქვები ისროლა, მერე მასე არ უნდაო, მარგოს სუსტ ძვლებს სულ ტაცატაჷცი აუყენა.

წივილ-კივილზე ქვეყანა რომ შეიყარა, სინათლევ მაშინ მოვიდა და გვეშებული პროკოფი და დაფლეთილი მარგო საამყარაოზე დადო.

ციხე ციხედ მიიღო და ცოლიც დაუკარგა.

ახლა ზის მარტოღმარტო ამ თავგის სოროში, მკედლის პატრონი შინაბერა ქალი (რა ხანია ამ ოთახის ირგვლივ მცხოვრებლებმა იმდენი იჩივლეს, იდავიდარაბეს, ბინები მიიღეს, მათი სოროები საწყობების დამხმარე სათავსოებად აქციეს). ზის მარგო და იქ, სადაც ნაბატიმრალი პროკოფი ეგულება, გახედვის უფლება არა აქვს.

შორიდან მატარებლის ბუბუნი მოისმა და ფანჯარაში შუქი გაკრთა. მალე ელმავლის წვიტინმა, ბორბლების ღვანდგარმა და სინათლემ წყვდიადი და სინუემ დააფრთხო, ოთახი ხმაურით და ნათელით აივსო. მაგრამ მატარებელმა ჩაიგრაილა და ჯერ ჩამობნელდა, მერე გუგუნიც მიწყდა. კიდევ უფრო უღეთო სიბნელე და სამარისებური მყუდროება ჩამოწვა.

როცა მგლოვიარემ ფეხები ლოგინზე აიტანა, მოიკუნტა და ცივი ტერფები ხელებში მოიქცია, ისევ შეაჩვია თვალი წყვდიადს და ფანჯრის საპირისპირო კედელზე მზერამიციებულმა მარტოსულმა, კვლავ გაარჩია, ლიანდაგების გადაღმა, განათებული ჯიხურის სარკმლიდან მოღწეული მქრქალი ნათელი, ოთახის ყრუ კედელზე ფანჯრის ტოლი და მსგავსი.

ჯეზალ ინჯია

პოპარული სიმღერა

ამ ერთ საფლავეში
სიცილს ჰქონდა
ჯაფრი ჩაყრილი,
სიცილს გარდაცვლილს,
ასსახოვანს,
ბეფერს და დაუთვლელს...
ბოლოსდაბოლოს,
მოიპარეს
ჩარლი ჩაბლინი —
ცოცხლადვე ღმერთთან
წილნაყარი,
ღმერთს არ დაუთმეს.
ის მწყურალად იყო
აზრისაგან
დაცლილ სიტყვებთან
და ამ დუმილში
ჩამოიქნა
დიდი არტისტი.
სამოცდაათი
კილოგრამის
კაცი იტვედა
სიცილის მარაგს
მთელი ოთხი
მილიარდისთვის.
ასე იწონის
ტონას შხისგან
სამი პარსეკით
ღანორებული
სირიუსის
თანამეზავრის ქვა,
მოსამკელია
ცხოვრებაში

ცოტა ფარსაუი
და ამიტომაც
ვმატება
ძალი ამ რისხვას.
მკედარი სიცილი
მოიპარეს
და ამოთხარეს
მარად ცოცხალი
უკვდავება,
ესეც ცინიზმი!
რა უნდა უთხრა
ამ ქვემძროშებს
და ამ მათხოვრებს,
დამთვრალებს მყრალი
აკაციის
ესენციის ხმით.
ოქვენს აგაკობას
აფარია
შაფი საფარი,
მისხელა უნდა
იყოთ, რომ მსგავს
ფათურაკს მიგცეთ,
დღეს თვალდათხრილი
ციკლოპივით
ჩარლის საფლავე —
ხვალ შეიძლება
რომ ვულკანის
კრატერად იქცეს.
ახლა, როდესაც
ხალხის ნაწილს
მელანქოლია
მოსძალეობა

და ზიცილში
 ვძიებს სველას,
 რა ცინიკურად
 დაუპირა
 ნელამ გოლიათს,
 თუმიცა ვარდაცვლილს,
 მაგრამ მაინც
 გლოიათს, შებმა.
 გადიწვა რამის
 ჩინაღდნები,
 შიჭუნა ჭკივისს,
 სერიის ხალხი
 ქურდობას სჯის
 თავის არშინით,
 მსოფლიო სევდა
 ცადაუღვა
 მსოფლიო ტკივილს,
 დროთა კავშირი
 დარღვეულა,
 დროთა კავშირი.
 დაფუთფუთებენ
 ბანდიტები
 და საქმოსნები,
 არც ვინ შერცხვება
 დღის ნათელზე
 გამოჭენებით,
 უკახუნებენ
 ვრთურთს ჭიჭებს
 კარის მგოსნები,
 ქურდბაცაცები,
 ყალბი ფულინ
 განომჭრულები.

ზოგი ქრისტეა,
 ზოგი კიდევ
 კეისარია,
 ზოგი ყალყზეა,
 ზოგი ბანგით
 გაღეშილია,
 შორს კი ღრმად სძინავს
 ნეიტრალურ
 შევიცარიას,
 ნეიტრონული
 ბომბისა რომ
 არ ეშინია,
 მე კი მგონია,
 ვინც გაჰყვება
 ამ ჩვენს ეპოქას —
 სარდალიც, მუშაც,
 გნებავთ თეთრიც,
 ზანტიც, ფერმერიც, —
 იმასთან ერთად
 იარსებებს
 ჩარღვი ჩაპლინი,
 ყველა ალაღვენს
 ხელმეორედ
 თავის ნეკნებში.
 ის ჩვენთან მუდამ
 ისე მოვა,
 როგორც აბრილი
 დადგება ხოლმე
 ზომიერი
 ჰაგის ქვეყნებში.



რედაქცია

მეიმა ჯვარი

რომანი ოთხ წიგნად

წიგნი მესამე

თავი XXX

სისწლინდრად გაგარვარებული მზე კლდოვანი თხემების უკან ჩაიწურა. ნახარი არეშარე ბინდმა მოიცივა და მალე კიდევ დაღამდა. სროლა თითქმის აღარსაით ისმოდა. მხოლოდ მახვილ სმენას თუ მოსწვდებოდა თითო-ორთ-ლა თოფის ჭახანი და შემდეგ ისევ მკვდრული სინთუმე ისადგურებდა. მიწ-ყნარებულყო უპატრონო გვამებით მოფენილი ტბაშავის ვაკე და ახლომახ-ლო მთების ფერდობები. მკვდარს სად აღარ ნახავდი — ვენახში თუ ბოსტანში, ჭებთან, წყაროსთან თუ ღელისპირ-ზე, შეუებში თუ სასოფლო გზების გა-საყართან. ყველაფერი იმას მოწმობდა, რომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეჯახე-ბულ ადამიანებს, მომხედურთ და დამ-ხედურთ, არავინ დაენდოთ, ერთიმეო-რე უწყალოდ გაეყოლებათ.

ომის ბედი, როგორც მეფის ბანაკში თავის დროზე ივარაუდეს და სათანადო თადარიგიც გასწიეს, აღრევე გადაწყდა, როცა აგარიანთა მრავალრიცხოვანი რა-ზმები ტბაშავის ვაკეზე შემოვიდნენ და

სამი მხრიდან გარსშემორტყმული ილ-მოჩნდნენ, მაგრამ ოსმალებს ნამდვილი აღსასრული მაშინდა დაუდგათ, როცა სერასკირ ბაშალას მთავარი ძალების ზურგს სვან-აფხაზ-ოდიშართა თვრამეტ-ათასიანმა ლაშქარმა დაარტყა და ხერ-ხემალი გადაუმტვრია, ხოლო სულ ბო-ლოს უკანდახეული მტრის ნაშთებს წესი ზემომხრის სარდალმა ჭიხოსრო წერეთელმა და სწორედ დროზე შემო-სწრებულმა გურიის მთავარმა მამიამ აუგეს.

ომში ამ უკანასკნელთა ჩარევამდე ბა-რე ორჯერ იყო წუთები, როდესაც იმე-რთა სიბოლოთ გამარჯვება ჯერ კიდევ ბეწვზე ეკიდა. თითქოსდა ცეცხლმოდე-ბულ გალიაში გამომწყვდეულმა ოსმა-ლებმა, რომელთაც, თუ კედელს შუბ-ლით არ გაანგრევდნენ და სამშვიდობოს არ გავიდოდნენ, გასაქცევი გზა უკვე აღარსაით ჰქონდათ, იმდენი კიდევ მოა-ხერხეს, მეგზური იშოვეს, ორი მხრიდან ხრესილში შეიჭრნენ და მეფე, თავისი ამალითურთ, სრულიად მოულოდნელად ალყაში მოაქციეს.

სოლომონი იძულებული შეიქნა ხმალი ხელახლა ამოედო ქარქაშიდან, დმერთი ესხმებინა და უთანასწორო ბრძოლაში მტერს შეებოდა...

საქმე ის იყო, რომ, სანამ სულ ახლოს არ მოვიდნენ და სახეები არ გააჩრჩეს, საერთო ორომტრიალში აგარიანები ვერაფერს იცნო, ყველას ეგონა, ბოლოსდაბოლოს, საწირეში დაბანაკებული როსტომ რაჭის ერისთავი შემოგვიერთდა და მეფეს ასეც ახარეს. ერისთავის ლაშქრის მაგიერ აგარიანთა მოზრდილი რაზმის პირისპირ აღმოჩნა ყველა იმედი გააცრუა და აურაცხელი მსხვერპლის ფასად მოპოვებული გამარჯვების ხელიდან გაშვებას თითქმის უკვე აღარაფერი იკლდა.

გაციოფებულმა, პირზე დუქმომდგარმა ბაშბუზუკებმა თვით მეფის თვალწინ აუწუნეს ტახტის უერთგულესი კაცი, სოლომონის მისანდო თანამთაბჯრე, წინა შეტაკების დროს თემოში ტყვიით დაკოვნილი სახლთუხუცესი ლომკაც ვაფარაძე, რომელმაც ასკერის შუბით გულგანგმირულ საყვარელიძეს სეფედრომა იარაღი და წაქცეული ან მტრის ხელში გადასული რომ არავის დაენახა და ქართველთა გული არ გასტეხოდათ, ჰერში ააფრიალა. დაკარგული დროშა გურულებმა იხსნეს. ის თვით მეფის ბიძამ, მიმიდის თანამეცხედრე ქობულეთის ბატონმა, მამუკა თავდგირიძემ გამოგლიჯა წაივით შავ ცხენზე გადამჯდარ თავწითელა იანიჩარს. იანიჩარი ცხენიდან შუბის ძგერებით გადმოაგდო, სეფედრომა კი თავად აღმართა და ვაჟაკური შეძახილით, არ შეშინდე, მეფე, ჩვენ აქა ვართო, სოლომონს მხარში ამოუდგა.

— საუკუნეც რომ გავიდეს და მე ვიცოცხლო, თქვენს ამაგს ვერ დავივიწყებ, ბიძა-ბატონო, — უთხრა ბრძოლის შემდეგ მეფემ მამუკა თავდგირიძეს. — ჩემს მომდევნოთაც ამასვე დავუღვებ ანდერძად, რომ შენი სახელი თაობიდან თაობას ქებითა და დიდებით გადასცენ. დაე, აწ და მარადის ყველამ იცოდეს,

რომ სამშობლო ქვეყნისათვის თავდადება ყველაზე დიდი განძია, რაც ყოველმა იძლება კაცმა თავის სიცოცხლეში მოიპოვოს!

გაღმა-გამოღმა სოფლებში: ძუყუნურსა, ბუეთსა, ციხია-ჯვარისასა და ხრესილში სინათლეები გაუბედავად აკაფდნენ, შემდეგ კი ლურჯი ღამე თითქოს ისობით ბრიალა კოცონმა გაანათა.

ტყე-ღრეში უგზოუცვლოდ გაიხზნულ ხალხს, დიდსა თუ მცირეს, რაკი შეეტყო შემოსეულმა ურიცხვმა აგარიანმა პირი მოგჭამა, ღვთის ნებით გამარჯვება ჩვენს მირონცხებულ მეფე სოლომონს ხედაო, სახიზარი მიეტოვებინა, სახლ-კარსა და ეზო-გარემოს მობრუნებოდა და კერიაზე ცეცხლი დაენთო.

ნაშუალამეს, მცხრალი მთვარე რომ ამოვიდა, სოფლებში გაბნეულმა უთვალავმა სინათლეებმა ფეხი აიდგეს და სხვადასხვა მხრიდან წყალწითელას ჩაბნელებულ ჭალებს მიაშურეს. დახოცილი გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლებოდა. სათვალავი აირია. სანახაობით გაოგნებული და თავზარდაცემული ხალხი ხედავდა, რომ მათ მოსვლამდე აქ უკვე ყოფილიყვნენ სხვები და გულისწყრომით ივსებოდა. ბევრი მოკლული, ქრისტიანიცა და ურჯულოც, გაძარცული იყო, ბევრს ტანზეც აღარაფერი ეცვა და გვაშების ეს უსირცხვილო სიშიშველე ახლა გაცილებით უფრო ამაზრზენი ჩანდა, ვიდრე ოდესმე. ვინ მოიმოქმედა ეს? ვინ წაიწყვიდა სული? გლოვითა და ვარამით ნაადრევად მოტეხილი, სანთლებივით ჩამომდნარი, ძაძებში გახვეული დედაკაცები ლოყებს იხოკავდნენ, ადგილიდან ადგილზე გადადიოდნენ, ანთებულ ვინჯილის მალა სწევდნენ, ომის ახალა მსხვერპლი რომ უკეთ დაენახათ, მოთქვამდნენ და გულში მჯიღებს იცემდნენ:

— ვაი, შეილო, ვაი შენი გაკირვების შემსწრეს, დედა... ვეღარ მიუხვალ შენს დამტირებელს, ვეღარ გამოჩნდები ტოლ-სწორებში... ვაი შენს დაქვრივებულ ცოლს, დაობლებულ შვილებს!..

იქნებ არც ერთი არა გყავდა და შევს მიწაში უშვილძიროდ ჩადიხარ, დედა...

დიდძალ ჯარს მოეყარა თავი გელათის მონასტრის გალავანში. ჯარი ახლომახლო ფერდობებზეც დაბანაკებულიყო. გაღმა მოწამეთას სერებიც აევსო, კარვები გაეშალა, კოცონები გაეჩაღებინა და დიდი ომის გადახდის შემდეგ განცხრომას მისცემოდა. ჯერ ხეირიანად და სარწმუნოდ არაიენ იცოდა, ვინ გადაარჩა და ვინ სიცოცხლე გასწირა ბრძოლის ველზე. ზოგი სათითაოდ და ზოგიც ჯგუფ-ჯგუფად კოცონიდან კოცონთან ინაცვლებდა. ძმა ძმას ეძებდა, ბიძაშვილი — ბიძაშვილს, ნათელ-მირონი — ნათელ-მირონს, მეზობელი — მეზობელს ბატონი — ყმას, ყმა — ბატონს... ხშირად ისმოდა ხალისიანი გამოპასუხება, აჟ ვარ, ვინ მკითხულობსო და ახლობელი ადამიანები, ერთმანეთს რომ კვლავ საღსა და უვნებელს ზედავდნენ, თითქოს ზელმეორედ იბადებოდნენ და თვალებზე კურცხალმომდგარნი მაღალ ღმერთს მაღლობას სწირავდნენ, რომ შეიბრაღა მათი წვრილშვილი, მოხუცებული დედ-მამა ან შინ ახალი მოყვანილი გულისსწორი და სიცოცხლე არგუნა.

სანთლებით გაჩირადდებულ ღვთისმშობლის ტაძარში ომში დაღუპულ წაჩინებულ პირთა გვაშები დაესვენებინათ. მათი რიცხვი მცირე როდი იყო. ვარდა აფხაზეთის მთავრის შვილ ხუტუნია შერვაშიძისა და სახლთუხუცეს ლომკაც ჯაფარიძისა ბრძოლის ველზე მამაცთა სიკვდილი ერგო ორ ძმა მიქელაძეს — ბეჟანს და ვახტანგს, მსახურთუხუცეს ზურაბ მიქელაძის ვაჟებს, ორ ძმა საყვარელიძეს, განდქმულ მგალობლებს, სოლომონის სიყრმის თანაზიართ, სამ ძმა იოსელიანს, ქვემოხზრის სარდალ ბერი ლორთქიფანიძის ფიცის კაცებს, მამია გურიელის სიძეს, მეფის ნათესავ გურიის ერისთავ ვამებს და ბევრ სხვა ვინმეს. მთელ ღამეს რეკდა სამგლოვიარო ზარი მონასტრის სამრეკლოზე. წირვა-ლოცვა კი გათენებამდე

არ შეწყვეტილა. ეილაცამ დაიძახა, თვალი რამ დაგიყენათ, ხალხი რა უნდა ვერ ხედავთ, თვით ბატონი მეფე მობრძანდებაო?

უამისოდაც აღვზნებული ლაშქარი თავის გამარჯვებას ღვთის განგებასა და ქვეყნის გვირგვინოსანი ბატონის მაღლს რომ მიაწერდა, სასიხარულო ცნობამ კიდევ უფრო აღავზნო და აღაფრთოვანა. ყველას გულთ სწაღდა ენახა და მესხიერებაში სამუდამოდ აღებეჭდა, როგორი იყო ტყვისმსყიდველ ავაზაკთა დაუძინებელი მტერი, ქვრივ-ობლის ქომაგი და გაქირვებული უაცის განმკითხავი მეფე სოლომონი უარყო მტერზე ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ. ბევრს ის უკვე დედამიწაზე ჩამოსულ ნათლის სვეტად ჰყავდა წარმოდგენილი და ცოტა არ იყოს, განცვიფრებული და გულაცრუებულიც კი დარჩა, როდესაც თავად-აზნაურთა, სამღვდელთა და მღაბითთა ხალხმრავალ იმალაში ერთი სადად ჩაცმული, თუმცა დიდებული შესახედაობის პირხმელი მხედარი დაინახა. სოლომონი ახლა გველშაპის მძლეველ ხელშუბიან წმიდა გიორგის მიამსგავსეს. შემდეგ, ხანი რომ გამოხდა, ცოტა ვინმე როდი ამტკიცებდა და ფიცით ირწმუნებოდა: საკუთარი თვალით ვიხილე ღვთაებრივი შარავანდედი, თერთი ცხენით აღმა-აღმა მომავალ მეფეს თავზე რომ ადგაო.

სოლომონმა და მასთან ერთად გელათს მობრძანებულმა იმერთა სარდლებმა, რომელთა შორის ომის ქარცეცხლში პირველად გამოვლილი ბატონიშვილი არჩილი და ქართლიდან მომეტა შესაწევნად მოსული იასე ქსნის ერისთავის უფროსი ვაჟიშვილი ელიზბარიც ერივნენ, სანთლები აანთეს, მხურვალედ ილოცეს და სამშობლოსათვის თავშეწირული ძვირფასი მიცვალებულების წინაშე მუხლი მოიყარეს. აფხაზეთის მთავრის შვილი ხუტუნია შერვაშიძე ზედ საკურთხევლის წინ, შემადლებულ ადგილზე ესვენა, დიდრონი, მაგრამ ნატიფი, მტრის უწყალოდ მშუს-

რავი ხელემა გულზე ჰქონდა დაკრეფილი. და აქეთ-იქით მობრიალე სანთლების შუქზე ახალ ჩაძინებულს ჰკავდა.

სოლომონმა პირველად გადაიწერა. დაცემულ გმირს სპეტაკ შუბლზე სათუთად ეამბორა, დაიხოქა, პირველად ერთხელ კიდევ გადაიწერა და ასე კარგა ხანს დაჩა. ტაძარში მყოფთაგან ყველა აქეთ იუბრებოდა. გამარჯვების ყვავილი დიდი საზღაურის ფასად იყო მოკრეფილი და ამ საზღაურის სიმძიმეს დღეს ვინ ლა არ ვგრძობდა.

კართან ჩოჩოლი შეიქნა. იქ მეფის ქეშეები იდგნენ და თანახმად ციხისთავ და ქეშეოტუხუცეს ქაიხოსრო აგიაშვილის ბრძანებისა, შიგნით აღარავის უშვებდნენ.

მეფის ცოლისძმა, დადიანის ძე კაცია მობრძანდა. მას ომში გარჯილი ოდიშარი დიდებულები ახლდნენ, ვინც თავი დიდად გამოიჩინა და იმერეთში ცეცხლითა და მახვილით მოსვლა პირშავ მტერს ძვირად დაუსვა.

სოლომონმა უკვე იცოდა, რომ სერასკირი ბაშადა, ურჯულოთა ლაშქრის სული და გული, ოდიშარების ტყვე იყო. მრავალ დიდსა და მცირე ომში გამარჯვებული ოსმალო სარდალი დადიანის ძე კაციამ მაშინ შეიბურთ, როდესაც ათი თუ თორმეტი თავზეხელაღებული იანიჩრის თანხლებით ის ალყიდან გაიჭრა და უბრალო მესხ მოლაშქრედ გადაცემული ქუთაისისკენ დახვეას აპირებდა.

ქუთაისის ციხისთავი მამედ-ალი კიციანი ფაშა ყველაფერს იღონებდა იმისათვის, რომ შავ დღეში მყოფი სერასკირი აჩიკ-ბაშ მღვერებისაგან დაეთვარა, მაგრამ ეს განზრახვა მანამ ჩაიშალა, ვიდრე მის აღსრულებას შეუდგებოდნენ. ბაშადას დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია. როცა დარწმუნდა, მღვერები ბევრნი არიან, ძალით ეღარაფერს გავაწყობთო, იარაღი თავისი ნებით დაჰყარა, მხლებლებსაც უბრძანა, ასევე მოიქცეთო და მტერს უსიტყვოდ დანებდა. ათას გველის ხერხელში ნამყოფი სარდალი იმას-ღა იმედოვნებდა, რომ აჩიკ-ბაშები და

მათი თანამდგომნი ვერ იცნობდნენ და მართლაც უბრალო მოლაშქრედ მინდებოდნენ, ტყვედ ჩაეარდნო უბრალო მოლაშქრეებს კი გურჯები და აჩიკ-ბაშები არასოდეს არათერს ერჩოდნენ: უკეთეს პატიოსან სიტყვას მისცემდი, დღეის ამას იქით თქვენს წინააღმდეგ ხელში იარაღის ამღები აღარა ვარო, შინაც გავიშვებდნენ და, შიმშილით სული რომ არ ამოვხდომოდა, ცოტაოდენ საგზალსაც გაგატანდნენ. გადაცემული სერასკირი თვით დადიანის ძე კაციამ შეიცნო. სალიპარტიანოს ახალგაზრდა ბატონს, ოტია დადიანის პირშოსა და ერთადერთ მემკვიდრეს. ბაშადა ბეგლარბეგის კარზე ჰყავდა ნახული, როცა ოთხი თუ ხუთი წლის წინათ, ალექსანდრე მეფის ზეობაში, ფაშას ჯორკიდებულთა და საჩუქრად მიერთმეული მშვენიერი ასულებისა და კალმით ნახატი ყმაწვილების გუნდით ეახლა. საიდუმლო მოლაპარაკებამ, კაციასა და ბაშადას შორის ორბი-რში რომ გაიმართა, ამჯერად სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. სერასკირის დატყვევების ამბავი სევან-აფხაზ-ოდიშართა შორის თვალის დახამხამებაში გავრცელდა, აქედან სოლომონის ლაშქარშიაც შეაღწია და სახარბიელო გამოასახადის აღების იმედით ტყვის გაპარება, თუ არ გინდოდა შეფე სამუდამოდ მოგემდურებინა, უკვე აღარ მოხერხდებოდა.

სიძე და ცოლისძმა ერთმანეთს თავშეკავებული სიხარულით შეხვდნენ.

— მოგილოცავ. ბატონო მეფე, თვით კეისრის საკადრის ბრწყინვალე გამარჯვებას, — უთხრა კაციამ და ნახევარი ნახევით უკან დაიხიო, იმერთა ბატონს, თითქოს ამოწმებს, მართლა ის არის თუ არაო, შუბლშეკრულმა აპხედ-დაპხედა და მერე თვალი თვალში გაუყარა. — ღმერთსა ვთხოვ, სულ აგრე გამარჯვებული და ცამდე ამადლებული შენახო!

— ამინ!.. გილოცავთ, მეფეო!... — დააწიეს ხმა ოდიშარმა სარდლებმა და უფროს-უმცროსობის წესის დაცვით ხელმწიფეს მიეახლნენ, კაბის კალთაზე

მოწიწებით ეამბორნენ, უკუდგნენ და დადიანის ძის მარჯვნივ და მარცხნივ კვლავ თავ-თავისი ადგილი დაიკავეს.

— ჩვენც გილოცავთ, ძმაო კაცია, ძმანო ოდიშარებო, — მიმართა თანამდგომთ სოლომონმა და იგრძნო, სუნთქვა უძძიდა, პაერი არ ყოფნიდა. — ეს პირველი არ არის, როდესაც თქვენ ყველა, უკლებლივ, ამოდებული ხმლით გვერდში უდგახართ და მხარს უმაგრებთ იმერეთის ტახტს. მადლობას გწირავთ!.. ძალა დაგვადგა და თქვენ არც ახლა დაგიხევიათ უკან, ლაშქარს წინ გამოუძებნით და თქვენი შეურაცხველი დროშებით იქ მოხვედით, სადაც ყოველ ღვთისმოსავს, ქრისტეს რჯულის ჭეშმარიტ აღმსარებელს, და მამულიშვილს მართებდა მოსვლა. მიიღეთ ჩვენგან გულითადი სამძიმარი, ძმაო კაცია, — მეფემ სახე მიიბრუნა, თვალი ადევლები-საგან ლოყებატკეცილ არჩილ ბატონიშვილს, ქსნის ერისთავის ვაჟ ელიზბარს და იმერ სარდლებს — ქაიხოსრო აგიაშვილს, ბერი წულუკიძეს, ბერი ლორთქიფანიძესი და ქაიხოსრო წერეთელს ჰქიდა, — ჩვენს გვერდით დღეს ვეღარ ეხედავთ და აწვევრც ველარასოდეს დავინახავთ ბევრ სანაქებო ვაჟაკს, თავადს, აზნაურს თუ გლეხთაგანს, — უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმისას სოლომონს თვალწინ უნაგირზე გადმოყიდებული ძიძიშვილი დათუნა ნაფიჩვაძე დაუდგა, მისი საწყალობელი მუდარა ყურთ ჩაესმა და გულის სიღრმიდან უნებლიე კვნესა აღმოხდა. — ღმერთმა და მამაშეციერმა სასუფეველი დაუშკვიდრათ იმ ქვეყანაში, სადაც ყველას მიგველიან. — განაგრძო მან განზარტული ხმით, თვალეზი ზე აღაპურო, პირჯვარი გადაიწერა და დაიხოქა, — ნუ მოშლილიყოს მათი სახელი და ხსენება უკუნითი უკუნისამდე!..

— ამინ.. — უპასუხეს ოდიშარებმა და დადიანის ძე კაციასთან ერთად მათაც პირჯვარის წერით დაიხოქეს. დაიხოქეს სხვებმაც.

ღიაკვნები და მორჩილები ერთიმეო-

რეს ენაცვლებოდნენ და გათენებამდე სძლისპირებს კითხულობდნენ. უწმიდესი კათალიკოსი ბესარიონი კრიკორიანე აღსაელის კარში გამობრძანდა, ერს ჯვარი გადასახა და ცად დაღუპულთა სულის მოსახსენებელი ლოცვა ადავლინა. ნაწირვებს საკურთხეველის წინ ჩამწკრივებული საკაცეები ასწიეს და მიცვალებულები მონასტრის რკინის ჭიშკართან ჩამოყენებულ ურშებზე დაასვენეს. გადატანილი შფოთითა და ღამისთევით შუბლგაცხელებული სოლომონი ამალითურთ შუა ტაძარში იდგა და თვალს ადევნებდა, ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც წესი და რიგი იყო თუ არა. სამგზავროდ მომზადებული კაცია გამოსათხოვებლად შემობრუნდა.

— როგორ, ახლავე მიბრძანდები, თუ? — შეიცხადა მეფემ, — დედოფალს არ მოინახულემ და ურჯულო მტრის ძლევას არ მიულოცავ? ხომ აგვიყოლო საყვედურებით!

— არა, თქვენი უმაღლესობავ, გთხოვ სიყვარულით მომიკითხო დაც და დისწულიც. მალე ტახტის მემკვიდრის შეძენაც მოგველოცოს! სხვიმის იქნება დრო გამოვნახო და თუ თქვენ ვერ მოიწყვეთ ხელი იქით სასტუმროდ, როგორმე სახლუულით გვეწვიოთ. სანადიროდ მაინც გავინავარდებდით ერთად, გულს გადავაყოლებდით. ჩემი და მოილხენდა. რაც თავზე დედოფლის გვირგვინი დავიდგი, ხელში თოფი აღარა მჭერია და აღარც მწვევარ-მეტეხარი მინახავსო.

— მერე არა რცხვენია, ძმასთან და მამასთან რომ გვიჩივლა? — ზუმრობა სცადა სოლომონმა. — თქვენის სიკეთით და კარგად ყოფნით, ოღონდ სტუმრად გვეწვიეთ და თავის მოქალება ჩვენს კისერზე იყოს. ახლა კი ნუ დამემდურებთ და, ვერსად ვერ გაგიშვებთ. ღმერთი გაგვირისხდება, თუ სამიო სუტრას არ შემოვუსხედით, ზეღამით საესე ყანწს პირი არ წაფუქციეთ.

— ვერა, სოლომონ, ნურც შენ დაგწყუდება გული, ჯარი ამრულია, მკედრები

უკვე წაისვენეს და არ გამოვა ლამაზი, მე რომ ფეხი ავითრიო.

მეფეს წყენა დაეტყო.

— ამ დილას ცუცხვათში გველიან. ნაბრძანები მაქვს, ყველა ტყვეს იქ მოუყარონ თავი და ჩვენი ჭარბი იქ მოგროვდნენ.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, — უჩვეულოდ დატკბა კაცია. — თუ ალაფს გაყოფთ და ცოტა რამეს ჩვენც გვიწილადებთ, ერთობ მადლიერნი დავრჩებით.

— როგორ თუ ცოტას! — შესძახა ცოლისძმის დაუჭერებელი თავაზიანობით განცვიფრებულმა სოლომონმა და

იქვე ჭაიხოსრო ავიაშვილს მიუბრუნდა. ჭარბს ყველა ქონებისა და იარაღისა რველის განმგებელი ის იყო. — განა სისხლი ერთად არ დავღვარეთ? ვულნაგლული არავინ გაუშვათ, თავადო! თითო ცხენი, თოფ-იარაღი და აღკაზმულობა ყველას შეხედება. მანამდე ვი ჩვენ ცუცხვათში ავიდეთ, ბატონო კაცია, ვინაიდან ამ საქმეს უჩვენოდაც კარგად მოუვლიან. შენს თავს ვფიცავ, სამხრობამდეც არ გაგაჩერებ!..

— რა გაეწყობა, რაკი აგრეა... — დედინის ძემ ფარ-ხმალი დაყარა, მეფის მხლებლებს გულკეთილად გაუცინა და განზე გადავა.

თავი XXXI

ცუცხვათში რომ ავიდნენ, ყველა განაციფრა დატყვევებული ჭარბის სიმრავლემ. იარადაყრილი და თავისი ხვედრით დაბეჩავებული ტყვეები რამდენიმე მოზრდილ ნაწილად გაეყოთ, საკირის ორმოსავით მრგვალ, თითქოს ამ შემთხვევისათვის საგანგებოდ გათხრილ ბუნებრივ ღრუდეებში ჩაესხათ და ირგვლივ ყარაული დაეყენებინათ.

— სულ რამდენი კაცია, ბერი? — მეფე წულუკიძეს მიუბრუნდა და ცხენს სადავე მიუშვა, რადგან ამ ალაგას ციკაბო აღმართი იწყებოდა და გვერდიგვერდ მხოლოდ ორ მხედარს შეეძლო გავლა.

— ჩვენ თერთმეტი ათას შეიდას ოცდაექვსი კაცი დავითვალებ. ბატონო.

— შენ წარმოიდგინე, მე მეტი მგონია.

— ახლა შეიძლება მეტიც იყოს. ბევრი ტყვეებსა და კლდე-ღრეშია გაბნეული და იმალება. გლეხები სათითაოდ იჭერენ და მოყავთ. იხვეწებიან, ოღონდ სული შეგვარჩინეთ, აქ ნუ ჩაგვკლავთ და თქვენი ყურმოჭრილი ყმები გავხდებითო. ზოგი რჯულზედაც უარს ამბობს. გაიძახის, ჩვენც თქვენსავით ქრისტიანე-

ბი ვართ, მამა-პაპა ქრისტიანი გყავდა, ისლამი ძალად მიგვადებინესო.

— აქეთ რომ მოდიოდნენ, მაშინ სხვა კუთხე იყვნენ? ეპ, ან მაგათ რა ქნან უბედურებმა. საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო, ასეა ჩვენი საქმე. ესენი ვინ მოდიან თავდაღმართში?

ბერი წულუკიძემ მათრახიანი ხელი მოიჩრდილა და ზემოთ გაიხედა. შორიდანვე იცნო მხედრები, რომლებიც მძიმედ ეშვებოდნენ თავდაღმართში და მეფიონს კუს ნაბიჯით უახლოვდებოდნენ.

— ერისთავი როსტომია, ბატონო, — ხმა დაიდებალა და თითქმის ჩურჩულით მოახსენა მეფეს ცხენოსანი ჭარბის სარდალმა. — ალბათ მოსალოცად გეახლა.

სოლომონს აღმური მოედო სახეზე, შუბლზე სიმხურვალე იგრძნო, თვალები დახარა.

— მარტოა თუ ვაყებიც ახლავს?

— ჩემი შეტყობით, ვაყებიც უნდა იხლდნენ. ჭარიც აქ სადმე ახლოს ეყოლება დაბანაკებული. რას გვიბრძანებ, ინებებ მიღებას?

— შენ რას მიჩნევ, ბერი?

— ომში გამარჯვებული მეფეები გამარჯვების აღსანიშნავად დილეგის კარს

იღებენ, მსჯავრდადებულებს იწყალევენ და გარეთ უშვებენ, შენ მით უფრო გამართებს, ერისთავს არაფერი შეამჩნევინო და ისე მიიღო, თითქოს მეტისმეტად კმაყოფილი ხარ მისი კაცობით.

— ცოლისძმა კაცია ამას მირჩევს და მთხოვს, გული კი შემომჩივის, რომ მაგ ვაჟს ტონის ასალაგმავად და ჭკუის სასწავლებლად უკეთესი დრო აღარ დამიღგება. დღეს ქვეყანამ იცის, რომ უპირულში ფიცი გასტეხა, მიღალატა, განზე გამოდგა, როცა დანა და ყელი ერთად მჭონდა, გამხეცებულ მტერს შემატოვა. რას უცდიდა იქ, საწირის გორაზე? ჩემს დამარცხებას? ასე ვიყავით მოლაპარაკებული? ეს პირობა დავდევით? ღმერთი რომ გამწყრალიყო და მართლა მაგის საშველად წამსვლოდა საქმე, დავიჯერო, ჩემს ხვედრს გაიზიარებდა?

— აგერ ისიც, მეფეთო... ღმერთმა დაგვიფაროს და, თუ... — ბერიმ აღარ დამითავა. — ერთი ნიშანი და მე მზად ვარ!

შვილებითა და რაჰველ თავად-აზნაურთა ხალხმრავალი ამალით გარსემოხრტყმულ როსტომს მოხერხებული ადგილი შეერჩია მეფესთან შესახვედრად. პანტა მსხლის ძირას, ლურჯად მოკამკამე კოდის წყაროსთან ჩამოქვეითებულიყო, სადაც ციციბო აღმართზე ამოშავალი ვიწრო ბილიცი საურმე გზას ერწყმოდა, და გაოფლილ მუხლს ჰრელი დაბრახით იმშრალებდა.

— რას ნიშნავს, რომ ჯერ ისევ ყმაწვილი ბრძანდები და ჯანი მოგდევს, თქვენო უმაღლესობავ, — თავისებურად შეეთამამა მოახლოებულ მეფეს ერისთავი. — ცხენიც მუხლმავარი გყავს, ამოღმართში ფრენით მოდიხარ!

სოლომონი მდუმარედ შეხვდა როსტომის ამ ბატონკაცურ ქათინაურს, ცხენს სადავე მოზიდა და გზაზე ნაბიჯით ამოიყვანა. როსტომი არ შეეპუა, მეფის დაღრეჯილობა არაფრად ჩაავდო, მას პირველი მიუახლოვდა, ტყავის სარკმელი, რომელსაც მხოლოდ ომში იხურავდა, მოიხიდა, თავი მდებლად დაუკრა და

ოდნავ ხრინწიანი მკეკაჩე ხმით მიმართა:

ეროვნული

— დღევრძელი და ნიშნავს... გამარჯვებული გყოს, ბატონო მეფე! მე და ჩემი შვილები, ეს ბრწყინვალე კრებული, — როსტომმა ბებერი ჭორის წხერა თავის ამოლას მოავლო — მუხლს ვიდრეკთ შენი დიდებულების წინაშე და ღმერთს, ბრავალზლის წმინდა გიორგის, მადლობას ვწირავთ, რომ სამართლიანმა საქმემ გეიმარჯვა, ურჯულთ მტერი გასრესილია და შენი ძლევათსილი დროშა თავზე დაგვანთისა...

მეფე კრიტიკურული უსმენდა ერისთავს, პირი მავრად მოეკუმა, ისე რომ ტუჩები აღარც კი უჩანდა და სმენად გადაქცეული სადღაც როსტომის უკან იყურებოდა. ის გრძნობდა, რომ ყველას მზერა და ყურადღება აქვთ იყო მოზყარობილი. ვეგლას უნდოდა, დაენახა და შეეტყო, როგორ შეხვდებოდა ერისთავს მეფე, შეუნდობდა თუ ვიფრისხდებოდა. ხალა სოლომონის ერთ, ერთადერთ სიტყვაზე, წარბის ერთ აწევავზე ეკიდა ტახტისა და რაჰის ერისთავთა ძლიერი სახლის მომავალი ურთიერთობა, ურთიერთდამოკიდებულება. ორივე მხარე მზად იყო დარტყმის მისაყენებლად და მოსაგერიებლად, მაგრამ ორივე მხარეს, მეფესაც და ერისთავსაც, კარგად ესმოდა, რომ მათ შორის შუღლის ჩამოგდება და გაღვივება ორივესათვის უადრესად საზიანო ელფერს მიიღებდა და აღრე თუ გვიან ერთსად და მეორესაც ბოლოს მოუღებდა, დადარაჯებული მესამე ფეთრის კერძად გაბდიდა.

სოლომონს წარბი გაეხსნა და მთელ მის სახეს ექვსა და ყოყმანში გამოტანჯული ღმილი მოეფინა. ეს უკვე მატყვებისა და შერიგების ნიშანი იყო. ერისთავიშვილები და რაჰველი დიდებულები რიგ-რიგობით მივიდნენ მეფესთან, ომში გამარჯვება მიულოცეს, თავიანი სცეს, ტილოს შალითაში განვეულ სეფე-დროშას ტარზე ემთხვივნენ და შემდეგ ბატონიშვილ არჩილს, საზღვე-

ლოთ და დადიანის ძე კაცის მიეზღ-
ნენ.

ვიდაცამ „მუშლი მუხასა“ წამოიწყო. ერისთვიშვილებმა და მათმა მსლებლებმა სიმღერა მსწრათლ აიტაცეს. თვით როსტომმა თავისი განთქმული ხანი გოლრით დაახვეა და მოოქრულ ვერ-
ცხლის უზანგში ჭვინტი წასდგა, ხან-
დახმულობისაგან დამძიმებული ვეება
ტანი ასწია, დარახტულ საომარ ცხენს
უნაეირზე მოექცა.

სიმღერა თანდათან ძლიერდებოდა და ხელისგულზე გადაშლილ ქვეყანას კი-
დით კიდემდე ავსებდა. სოლომონს თვა-
ლები მოენისლა და უპეებზე ცრემლის
ტბორი მოაწვა. არასოდეს არ უფიქრია,
თუ მამაპაპური „მუშლი მუხასა“ მისი
ჯიშისა და მოდგმის მარადისობის საგა-
ლობელი იყო, თუ სიმღერის ყოველ სი-
ტყვაში ჩაქსოვილი მხნეობა გულს ასა-
ლკლდევებდა და ათვზის ძლიერი მტრის
წამოსაჩოქებლად აქეზებდა.

ცუტხვათის ციხის ჭონგურზე ვვამლის
ბოლქვეები ავირდა და ზარბაზნებმა დაი-
ქუხეს. ყურს მრავალი ათასი ადამიანის,
ქალის, კაცისა და ბაღლის თავაწყვეტი-
ლი ვაშა და ღრიანცელი მოსწედა. სო-
ლომონმა ცხენი ააჩქარა, ოდნავ დაწი-
ნაურდა. ქარს მისი ძოწისფერი მოსასხა-
ში გაეშალა და ჰაერში დროშასავით აფ-
რიალებდა.

მცირედი ტაბლის მიღების შემდეგ,
ავიაშვილის ასწლოვანი ვაკლების ქვეშ
მწვანეზე რომ გაეშალათ, სოლომონმა
მასპინძელი მოისმო, დიამბეგთა სასამა-
რთლოს შეერა უბრძანა და მასვე ჰკით-
ხა, ჩვენ რომ აქ ვნადიმობთ და ცა ქუ-
დად აღარ მიგვიანია, დედამიწა ქალამ-
ნად, ტყვეებს თუ აჭამეთ რამეო.

— როგორ არა, თქვენო უმაღლესო-
ბავ, მაგათ სუფრა ადრევე გაუშალეს და
ჩააცეცხლეს. დიამბეგებიც დილას აქეთ
უკვე აქ არიან და შენს მოწყალე ბრძა-
ნებას ელიან.

— საჩაყ-ბეგი რუსტამი თუ ჩამოიყ-
ვანეს მუხურიდან?

— ყველა აქ გახლავს, მეფევ, სერას-

კირი ბაშადაც, გოლა-ფაშაც, საჩაყ-ბე-
გი რუსტამიც და სხვებიც...

— სხვებიც? ვინ სხვები, ბაბუაჩემი
ლევან აბაშიძეც ხომ არ შეუპყრიათ?

ქაიხოსრო შეკრთა, პასუხი პირზე შე-
აცივდა. ის უკვე ხედავდა და თვალნათ-
ელივ რწმუნდებოდა, რომ არგვეთის ნა-
ბატონარ ლევან აბაშიძის დალუპვის თა-
ობაზე სოლომონმა ჯერ კიდევ არაფერი
იციოდა და ღვიძლი პაპის უბედურება
სწორედ მისი, ქაიხოსრო ავიაშვილის,
პირით უნდა შეეტყო.

— რას ვაჩუმდი? — ეუშტად ჰკითხა
მეფემ. — ხომ არ გგონია, ლევანს ჩემო-
ბით მიგვერძავ და სასჯელს ავაცილებ?

— ღმერთმა გიხსნა, მეფევ, მაგ განსა-
ცდელისაგან, ბაბუის დასჯა თავად ავა-
ცილა...

— როგორ თუ ავაცილა? — სოლო-
მონი უკვე მიხვდა, რასაც ეუბნებოდნენ,
მაგრამ ეს სიტყვები მაინც წამოსცდა.

— შეუხდოს მამაზეციერმა, რაც წუ-
ხილი და ენება მოგვაყენა, — ავიაშვილ-
მა ქუდი მოიხადა. — იმ ქვეყანაში გაანა-
თლოს იმისი სული!

— მაშ... — სოლომონი სივრცეში
ერთ წერტილს მიაშტერდა და მსხვილი
ტუჩები ძლივს შესამჩნევად აუთრთო-
ლდა. — ბაბუა ლევანი აღარ არის? —
მან პირჯვარი გადაიწერა და ერთხანს
დუმდა. — უბრძანეთ ჩემი სახელით, —
თქვა შემდეგ, — კაცში გადაასვენონ
და ბინა საგვარეულო სამარხში მიუჩი-
ნონ. ბატონიშვილებს, იესეს და არ-
ჩილს, თუკი მოიწადინებენ, ნებას
ერთავ, მიცვალებულს კაცხამდე გააყე-
ნენ და ბაბუას შესაფერი პატივი სცენ.
დედაჩვენსაც შეატყობინეთ... თუმცა
არა, ნება არა გვაქვს!

— ყველაფერი ისე შესრულდება, რო-
გორც შენ გვიბრძანე, მეფევ! ახლა?
სად ინებებ სამსჯავროს გამართვას?

— აქ, უკეთეს ადგილზე სადღა უნდა
წავიდეთ!

— მაშინ, ნება მიბოძე... — ავიაშვილმა
მხარიდლოვ გადაკიდებული ხმალი და
სარტყელში გაჩრილი დამბაჩები შეის-

წორა და ხავსიან ლოდზე შედგა. — ხალხო!..

— ჩუ, ჩუმად, კაცო, ბატონი ქაიხოსროს ლაპარაკობს, — ახლო მდგომებმა ვინც მისი ხმა სხვებზე ადრე გაიგონა, ერთმანეთი გააჩუმეს.

— ხალხო, ქრისტიანებო. — ვაიმეორა აგიაშვილმა და ჩაახველა. — დღეს აქ, ამ კაცლის ქვეშ, სადაც ბევრ კაც ღზინს შევსწრებთ, თათრის ურჯულო სარდლებს გავსამართლებთ. ასეთია ღვთისა და ჩვენი კურთხეული მეფის ნება!

— შენ პირს შეჭარი, ქაიხოსრო, აგრე უნდა, აპა არა?

— თქვენ ყველამ უწყით, ვინ ბრძანდება არზრუმის სერასკირი, ხონთქრის მარჯვენა ხელი ბაშალა, გვარად ვაჩნაძე, ხერთვისის ბატონი, ვათათრებული ქართველი თავადიშვილი, ურუმის ჭარის მთავარსარდალი...

— ვაი მაგის დედას!

— იმერეთში ის, მართალია, პირველად არის მავრამ სადაც აქამდე ყოფილა, მართლმორწმუნე ქრისტიანების სისხლის ტბა იქ დაუყენებია. პირიდან სისხლის ნთხევა, ძარცვა და ტყვევნა არც ჩვენ დაგვაკლო. ბევრი დედა აატირა და ბევრ ცოლს ქვრივის ძაძები ჩააცვა. უკეთ მოგესხენებათ და ყველამ იცით, ვინ არის გოლა-ფაშა...

— ვიცით!.. ვიცით!.. ვიცნობთ, ვინც არის!.. — ერთხმად აღრიალდა მოუთმენლობისაგან ნერწყვვამშრალი ხალხი.

აგიაშვილმა შეიცადა, გაფიცებული ერის დაწყნარებას მოთმინებით დაელოდა და, რაკი ხელს არავინ უშლიდა, დინჯად განაგრძო:

— ჩვენი ტყვეა ოღთისის სანჯაყ-ბეგი რუსტამი, ესეც ტომით ქართველი თავადიშვილი, გადაგვარებული, იუდა ისკარიოტელი, კაკასხიდი და კორიში რომ ააოხრა და ქრისტეს ჭვარი შეურაცხყო, საბა მღვდლის მკვლელი, მამულის მოღალატე, მტარვალის!..

— სიკვდილი მტარვალს!... იუდა ისკარიოტელს!.. სიკვდილი სანჯაყ-ბეგ რუსტამს!..


— ბოქალთუხუცესი და ცხენოსანი ჭარის სარდალი ბერი ურჯულაძე ტყვეებს ახლა ციხიდან გამოიყვანს და აქ მოგვეგვრის. იწამეთ ღმერთი... სულმა არავის წასძლიოს და... ვინც ჩვენს ბრძანებას გადავა და მანც თავისას იზამს, იცოდეთ, როგორც დამნაშავე, სამართალში მიეცემა...

ეს უკანასკნელი შეგონება მთლად უძალო გამოდგა. ვაიმეონა თუ არა, ბერი წულუკიძე ტყვეებს, ქვეყნის აწიოკების პირველ და უმთავრეს მოთავეთ, ციხიდან გამოიყვანს და აქ მოგვეგვრისო, ზღვა ხალხმა პირი უმალ იბრუნა და ფრიალო კლდის წვერზე გადმომდგარ ციხისაგან ტორტმანით დაიძრა. გზები, მისასვლელი და მოსასვლელი ჩაიკეტა, საძრაობა აღარსაით იყო. უკვე აღარ მოიპოვებოდა ძალა, რომელიც შურის საძიებლად, ბოღმის ამოსაყრელად აზვირთებულ ხალხს დააშოშმინებდა, უკან დააბრუნებდა და წესსა და რიგს აღადგენდა. ერთ არსებად ქცეულ ათასობით ადამიანს უკვე გაეწყვიტა ყველა აღვირი და მოსართავი. აღარავის და აღარაფერს ემორჩილებოდა. ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლა ახლა უეჭველ სიკვდილს უდრიდა. ვინ უნდა ყოფილიყავი, რომ არ გადაექმელ და არ წაელეკე როგორც მთის წვერიდან დაშვებულ ზეავს, მას ვერა ძალით ვეღარ შეაჩერებდი.

ქაიხოსრო აგიაშვილს სახეზე მიწისფერი დასდებოდა. ყველაფერი ისე უეცრად და მოულოდნელად მოხდა, რომ რისამე ზეირიანად მოფიქრება ვეღარც კი მოასწრო და მეფეს მუდარით შეხედა. მისდა გასაოცრად, სოლომონმა მხრები აიწეა, ტუჩის კუთხე წამიერმა ღმირმა შეუტეხა.

— ცხენებს მოვაცვანინებ, ვავეცალოთ აქაურობას!.. — ძლივს დასძრა ხმა ელდისაგან კრიჭაშეკრულმა აგიაშვილმა.

— რატომ? — თითქოს თავშესაქცევ სანახაობას გაუტაცნია და საყვარელ ფალავნებს თვალს ვეღარ აშორებსო, უპასუხა მეფემ. — აქაურობას რად უნ-



და გავეცალოთ, ვინა აქ ურიგოდ ვართ? ხალხს, დღეის დღეს კიდევ ერთხელ ვერწმუნდები, დიდი რამ შესძლება, ჩემო ქაიხოსრო. აი, ვუყურებ და, რაღა დაგიმალო, გული იმედითა და სიხარულით მევისება. არც ისეა საქმე, ხანდახან რომ გვეგონია. სუნთქავს ჭერ ჩვენი საბატონო ქვეყანა. სუნთქავს და მეტი არა? გულიც ძალუ-მად უძვერს. ეს ხომ ამ ომშიც დაამტკიცა. ძრწოდეს ის, ვინც ერს გადაიცილებს და ამიხედრებს! ხედავ, რა ამბავია? აქა-ურობას გავეცალოთ კი არა, სწორს ვიქმთ, თუ ჩვენიც ამ ხალხს შევუერთ-დებით და მის ნებასა და სურვილს დავ-ყვებით.

ძონისფერი მოსასხამის კალთა სო-ლომონმა ამ სიტყვებით მხარზე გადაიგ-დო და უკან ერთხელაც აღარ მოუხე-დავს, ეზოდან ისე გადავიდა. დიდებუ-ლები, მათ შორის აქაურების პატრონი და განმგებელი ქაიხოსრო აგიაშვილიც, სახტად დარჩნენ. რაკი თვით გვირგვი-ნოსანმა ბატონმა ქვეითად ინება წაბრ-ძანება, ვედარავინ ვაბედა ცხენზე შემ-ჯდარიყო და უკან ისე ვაპოლოდა. ცი-ხეს რომ აღწვიეს, გალავანი ჯართა და ახლო თუ შორეული სოფლებიდან მო-ზღვავებული ხალხით იყო გაჰქდილი. ნემსი რაა, იმასაც კი ვედარსად ჩააგ-დებდი. გალავნის უკანა კედელთან, რომელიც ომის დაწყების პირველსავე დღეს ზემომხრის სარდალ ქაიხოსროს წერეთლის კაცებმა ააფეთქეს და უზარ-მაზარ ნაპრალში ახლა ტყიანი მთის თხემი და ლურჯი ცის ნაქერი მოჩანდა, ჩოხებამოკალთავებულ წვერწამოზრ-დილ ბიჭებს ათიოდე ტყვე აგარიანი გამოეყვანათ და საერთო ხორხოცსა და სიცილ-ხარხარში თოკებს ხსნიდნენ.

— ხალხო, გზა მიეცით, ბატონი მეფე მობრძანდება!.. — მოისმა ციხის კარიბ-ქესთან. ამ სივიწროვეში ვისთვისმე გზის მიცემა აღარცთუ ადვილი საქმე იყო. შუბოსანმა ქეშიკებმა მაინც შეუძ-ლებელი შესძლეს, ცნობისმოყვარე ზრბოს ყიციინთა და შეძახილებით უკან

დაახვეინეს და მეფესა და მის ამალას, რომელიც რამდენიმე ასეულთა ცხენსა და გან შესდგებოდა, ციხისაკენ უხსნეს.

კარიბჭეში მეფეს ბერი წულუკიძე მოეგება. ციხისთავისა და ქეშიკთუხუ-ცისისა არ იყოს, ბოქაულთუხუცესი და ცხენოსანი ჯარის სარდალიც შემფოთე-ბული ჩანდა, სუფთად გაპარსულ ხორკლიან სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

— რას გვიბრძანებ ახალს, რით გავგა-ხარებ, ბატონო ბერი? — სუნთქვაობ-შირებულმა და თავდაც შეზღუდვამუ-ლმა სოლომონმა აღმართში ამოატანა და წულუკიძეს ხალისიანი და ამავე დროს ლმობიერი კილოთი აგრძნობინა, მად-ლობა დმერთს, ჩინებულ გუნებაზე ვარ და არეულობის გამო, ირგვლივ რომ სუ-ფევს, მაინცდამაინც არავის ვურისხდე-ბით.

— იარაღი ვერ ვისმარე, თქვენო უმა-ღლესობაზე, ჩემიანს ხომ ვერ დავზოცავ, უიარაღოდ კი... — წულუკიძემ თავი მოისაწყლა, ის კი არ გაუმხელია, რომ გულით თავდაც ხალხის მხარეზე იყო, გადარჯულებული თანამემამულეები დიამხვეთა სასამართლოსათვის არ ეთ-მობოდა და მეტისმეტი მოწადინებით არც ცდილა, მსჯავრდასადებად განწი-რულნი დანიშნულ ადგილზე მიეყვანა.

მეფე წუთით გაირინდა, ყური მიუგ-დო გაურკვეველ ხმებს, ერთსულოვან სიცილ-ხარხარში რომ იყარებოდა და ოდნავ უფრო მკაცრად იკითხა:

— რას მხიარულობენ, თუ კაცი ხარ, რა ნახეს აქ სასაცილო?

სარდალს დიმილი მოერიდა და იქით გაიხედა, სადაც ხალხის მჭიდრო რკალში მომწყვედელი აგარიანი სარდლები ეს იყო ღვთის ანაბარა დასტოვა.

— სასაცილო ქვე რაგა არ არის, მე-ფევე ბატონო, სერასკირი ბაშიდა და გო-ლა-ფაშა...

ბერის სიცილი წასკდა, სიტყვა ვედარ გააგრძელა.

— ჰო, რა იყო! — აღარ აცალა მეფემ.

— წრეში შეაგდეს და... გინდათ თუ რა, ერთმანეთს უნდა დაეკიდოთო.

სოლომონმა ბაგე ვახსნა, წარმოიდგინა მამალი ინდუქტივით გაფსორილი გოლა-ფაშა, გელათის აკადემიის დიდ დარბაზში ნახევარი მსოფლიოს მპყრობელი ბედნიერი სულთნის ერთგულების ფიცს რომ ადებინებდა, მოაგონდა თავისი მხურვალე აღთქმაც და გულიანად გაეცინა. ამაღა და ჭარი ხარხარებდა, მხოლოდ სახელმწიფო ბეჭდის მცველი დარბაისელი გიორგი წულუკიძე არ იწონებდა ნებზე მიშვებული ხალხის ამ ლაღობას, იგი შეუფერებლად მიიჩნდა და წუხდა, რომ რისამე შეცვლა არ შეეძლო.

— ჯერ უარზე იყენენ, რასაკვირველია, — განაგრძობდა ბერი. — ბოლოს შეატყვევს, საშველი არ არის, აღარ მოგვეშვებინათ და, იცოცხლე, მშვიერი მგლებივით დაეტყვენ... თურმე ჭირის დღესავით არ ძაგთ ერთმანეთი? ან აქამდე რამ მოათმენინათ!

— რომელმა აჯობა მაინც, რომელი მოერია?

— ვერ იტყვი, მეფეც, ორივე ძალიან შეძლებული ყოფილა. ცოტა მუცლები უშლით, ხელბიძე დამოკლებიით, ერთმანეთზე მიბრუნით ვერ მიდიან... რომ არ ჩაგრეულიყავით და არ ვაგვეშველებინა, ცოდვას დავიდებდით, ან ერთი გამოლადრავდა ყელს და ან მეორე!

— ახლა რას აპირებთ?

— მე რაღას უნდა ვაპირებდე, ბატონო, შე ვინ რაღას მეკითხება! ბიჭებმა ხელახლა გააკოჭეს სუყველა და ღორის ხორცი შეაჭამეს...

— მიირთვეს კი?

— გოლა-ფაშამ გააკანა თავი, არ ვიზამო, ბაშალა უფრო დამყოლი გამოდგა, ალბათ, სხვა დროს უცემნია, მაგრამ ორივე გააკავეს და პირი ჭონით ამოულესეს.

— აბა, ერთი წინ გაგვიძეხი და ახლოს მიგვიყვანე, ჩვენც არ ვააწყენს, თვალს წყალი დავალღვივოთ!

ბერი შეყოყმანდა, ორწყალშუა მოექ-

ცა. მან კარგად იცოდა, ქვეყნულ უფუღავი ბოროტების დამოკლებილ მტარვალთ ხალხი რასაც უმადებდა და შიშობდა, უკლებლივ ყველას გულში გამოტანილი განაჩენის აღსრულებას, რაიმე მიზეზის გამო, ვაითუ მეფემ ხელი შეუშალოს და ამ წინააღმდეგობამ ვერიც ყალყზე დააყენოსო.

— იქნება გვეცლია, ბატონო, — მუდარით მიმართა მან სოლომონს. — ორი-სამი წუთი კიდევ და ყველაფერი გათავდებამ!

— დახოცვას უპირებენ?

— ფაშებს კლდეზე ჰყრიან, სანჯაყბეგ რუსტამსაც, ალბათ, იმათ ვხაკვალს გაუყენებენ!

მეფე და ბოქალთუხუცესი სწორედ ამ ლაბარაჟში იყვნენ, როდესაც ნამონგრეული კედლის მხრიდან ჯერ ყვირილი, შემდეგ კი ვაგრძელბული ცხოველური ღრიალი გაისმა. ხალხი ხმაგაკმენდილი იყო, თითქოს თავისივე გადაწყვეტილების ულმოზლობას შეეძრწუნებინა, მხოლოდ ეს ცხოველური, ძარღვებში სისხლის გამყინავი ღრიალი ისმოდა. ღრიალი თანდათან ილეოდა და ბოლოს ერთბაშად შეწყდა.

ბერი წულუკიძე გვერდზე გადადგა, შუბოსან ქეშიკებს ხელის აწევით ანიშნა, გზა დასცალეთო.

სოლომონს გულმა არ მოუთმინა, ცამდე აღმართულ შუბების ტყეში სწრაფი ნაბიჯით გაიარა, ჩაქვეულ კედელთან სულ ახლოს მივიდა და ძირს, უფსკრულში ჩაიხედა. პირველად ვერაფერი გაარჩია. მზე გადახრილი იყო და უფსკრულში ბინდს დაებულებინა.


— აგერ, აქ.

მეფემ თავი მოაბრუნა. ეს ისევ ბერი წულუკიძე იყო. ნაპარალის პირას იდგა და სადღაც ქვემოთ ხელით აჩვენებდა.

სოლომონმა ახლა კი დაინახა ვეება ლოდებს შუა ჩამქლეული ორი წითელი ლაქა, მერე მოშორებით მესამე და მეოთხესაც მოჰკრა თვალი.

— ღმერთო დიდებულო, შეგვიანდე!

— თქვა მან და პირჯვარი გადაისახა. —



გვაუმარე ეს, რაც გამოვიარეთ. პასუხი იმას მოკითხვებ და აგებინე, ვინც იმით თა-

ვზე მოგვახვია და მაშვრალი ხელი კაცის სისხლში ვაგვასვრევენია!..

თაზო XXXII

აჩიკ-ბაშთა ურჩ ქვეყანაში ბაშადას უზარმაზარი არმიის დამარცხების ამბავი სამცხეში ჭორად მოიტანეს. მოთქმამოთქმა ჯერ ციხისგარე ქალაქის უბნებს მოედო და შემდეგ რაბათშიაც შეღწეა. ყველაზე ადრე პარამხანა აწრიალდა. ბეგლარბეგის მრავალრიცხოვან ცოლებს თითქოსდა ციდან ჩამოვარდნილი ახალი ამბავი საჭურისებებისაგან შეეცყოთ, ქვეშაგები გათენებამდე მიეტოვებინათ და საცვლებისამარა საცეკვაო დარბაზში მოგროვილიყვნენ. ხეირიანად და სარწმუნოდ არავინ არაფერი იცოდა. ფაშა პაჯი-ამბედი ქალაქში არ ბრძანდებოდა, მოუხელოებელი მეკობრეების სადევნად, ქვეყანას მოსვენებას რომ არ აღუდევდნენ და დღისით შხისით მართლ-მორწმუნე მუსულმანებს, ქალსა თუ კაცს, პირუტყვის ჯოგებსა და ქონებას იტაცებდნენ, ლივანას იყო წასული და მის დაბრუნებას ყოველ წუთს ელოდნენ.

მას აქეთ, რაც იმერთა მეფე სოლომონის მსტოვარი თვით რაბათში აღმოაჩინეს, გამოააშკარავეს და გამძვინვარებული ბეგლარბეგის ბრძანებით წვერწამასულ მარგილზე წამოაგეს, სასახლეში შიში და ძრწოლა სუფევდა. ის მსტოვარი ერთი უბატრონო საჭურისი ბიჭი იყო. სახელად ნატრიას ეძახდნენ. მანამდეც და შემდეგაც ბედნიერ ფაშას ემსახურებოდა ხელზე, გონიერი და მორჩილი ფარეშის სახელი ჰქონდა დავარდნილი. ვინ იფიქრებდა, თუ ფარულად გულზე ჯვარს ატარებდა და აჩიკ-ბაშთა ვიჟურ მეფე სოლომონის რაბათში სხვადასხვა გზით მოპოვებულ ძვირად ღირებულ ცნობებს აწვდიდა! საჭურისის საოფლე შეეყარა და როდესაც ქსენონში ტანთ გახადეს და გააშიშვლეს, პირკატა

იცათ: ბიჭს წვრილი ძეწვეთ გულზე პაწაწინა თქროს ჯვარი ეკიდა. მაშინვე გაჩხრიკეს სადგომი, სადაც საჭურისი დამეს ათევედა და სწორედ იქ აღმოაჩინეს ის, რამაც მსტოვრის ნამდვილი სახე გამოააშკარავეს: აჩიკ-ბაშთა ბატონის სახელზე შედგენილი წიგნი, რომელიც თვით ბეგლარბეგთან დაახლოვებულ პირებისთვისაც კი საიდუმლო ცნობებს შეიცავდა. ფაშა ვადიარია. რაც კი რამ ხელში მოჰყვა, ყველაფერი დაფშენა და დაღეწა. უშვერი სიტყვებით გალანძღა და მიწასთან გაასწორა კარისკაცები და სასახლის მსახურნი, ყველას პირღიასა და ბოთეს უძახდა და სახელმწიფო დოკუმენტების სამართალში მიცემას პირიდებოდა.

მართლაც და ვასაოცარი იყო: ამ თითის სივრცე ბლარტმა, გაუხარულ სიციცხლეს სამოახლოში რომ ლევედა და ვინიმე ყურადღებას არასოდეს არაფრით იქცევდა, როგორ შესძლო ამდენი ხალხის, თვით ბეგლარბეგ პაჯი-ამბედის თვალის ახვევა და მის ცხვირწინ ურჯულ მტრის სასარგებლო საქმის ეთება!

შვილოსნობასა და ოჯახურ სითბოს დანატრებულ პარამხანის მკედრთ, ბეგლარბეგის ცოლებს, ებრალებოდათ ეს უთვისტომო, უბედური ბიჭი და როგორაც შეეძლოთ, კიდევაც მფარველობდნენ, მაგრამ როდესაც გულზე მალულად ნატარებმა ქრისტეს ჯვარმა და სადგომში ნაპოვნმა მამხილებელმა წიგნმა საჭურისის საიდუმლოს ფარდა აშხადა, უკლებლივ ყველა იძულებული გახდა, ტუჩი მოეკენიტა და შეშინებული, მეცლალი და საჭურისთან ფარული კავშირი არ შემწამონო, უსიტყვოდ განზე გამდვარიყო.

ასე დალია სული ნატრია საჭურისმა

ჯალათის ხელში. სიცხისაგან გავარვარებული და ბურანში მყოფი გონზეც არ მოსულა და არ შეუტყვია, რომ საქრისტიანოს მხსნელად შერაცხულ მეფე სოლომონისადმი მინაწერი მისი ბატიფეხურა წიგნი მტერმა ხელში ჩაიგდო და გარდაუვალი აღსასრულის ეამავე ასე ნაადრევად დარეკა!

ამგვრადაც ვაწბილებული, ავაზაკთა ამო დევნით გულადრენილი ფაშა ჰაჯი-ამაღდი რომ ქალაქში შემოვიდა, აქ უკვე საყოველთაო გლოვა იყო გამოცხადებული. ბანიან-აივნიანი სახლები, ბაზარი და თვით რაბათის კარიბჭე, ქალაქის თითქმის ყოველი კუთხიდან რომ მოჩანდა, თალხით შეებურათ. ყველაზე მაღალი მინარეთიდან აგრეთვე თალხებში გახვეული მიტეძინა გადმომდგარიყო და ჩახლეჩილა ხმით მართლმორწმუნე მუსულმანთ სამგლოვიარო ლოცვის აღსაელენად მოუწოდებდა.

ფაშა მოსხლტა, გული აუფრიალდა. ცხენზე ცოცხალი ლეშივით იჯდა. ბუნარევი აღიზით შელესილი და კირით შეთეთრებული ქოხმახებიდან ტირილი და გაბმული მოთქმა ისმოდა. აქა-იქ ქუჩებში ხალხი იყო თავმოყრილი და დარაბებჩაგმანული სავაჭროების წინ რაღაცის გამო ხმამაღლა დავობდა. სომეხ კათოლიკეთა ეკლესიის, მარდას, სამრეკლოზე სამგლოვიაროდ რეკდა ზარი. ორგან ფაშას წინ გადაუდგნენ თმაგაწეწილი დედაკაცები და გააფთრებული ხვეწნა-მუღარით, ჩვენი საღსალამათი შეილები დაგვიბრუნეთო! ცხენებს ფეხებში ჩაუვარდნენ.

ჰაჯი-ამაღდი ვაოგნდა. სისხარი იყო თუ ცხადი, რასაც საკუთარი თვლით ხედავდა და ყურით ისმენდა? ნუთუ მართლა ვაწყრა მაღალი ალაპი და წყალობა რისხვით შეცვალა? არა, ეს შეუძლებელია! შეუძლებელია, ლატაკსა და კეთროვანივით ყველასაგან განმარტოებულ სოლომონს, რომელსაც არც ჯარი მოეპოვებოდა და არც ზარბაზნები გააჩნდა, კბილებამდე შეიარაღებული, მძლავრი, არტილერიით აღ-


ჭურვილი ურიცხვი მტერობისათვის თუნდ საგრძობი წინააღმდეგობა გაეწია! ეგ კი არა, გულის გულში ფაშა იმასაც კი იმედოვნებდა, რომ ურჩ აჩიკ-ბაშთა ხელ-ფეხგაბორკილ ბატონს რაბათში დაახვედრებდნენ და ქვეყნის ამრევი სოლომონის მომავალი სიცოცხლე თუ წამებით სიკვდილი აწ უკვე მის ნებასა და სურვილზე ეკიდა.

ჰაჯი-ამაღდი ბოღმამ შეიპყრო, ცხენს სადაფე მოზიდა, უზანგებზე შეიმართა და ნახევარი ქალაქის ვასაგონად დაიქუქა:

— ტყუილია!.. ზურგსუკან ორმოს მითხრიან!.. ალაპის განმარისხებულ კოკრებს ავრცელებენ!.. ვინ მოჩმაბა, ვინ მოიგონა!.. ვინ მოგვათ უფლებდა, ჩემდა დაუკითხავად საფაშოში გლოვა გამოაცხადოთ!

აბა, რომელი გამოიდებდა თავს და შეჰმედავდა, ტყუილ-უბრალოდ ნუ გვირისხდებიო, ვინ ჰადრებდა, გლოვა და ცხარე ცრემლით ტირილი დიდაც გვმართებს, ვინაიდან ვიაურმა აჩიკ-ბაშებმა. შენს მიერ მეფედ დადგინებული ურჩულ სოლომონის წინამძღოლობით, ოთხმოცი ათასი კაცისაგან შემდგარი ძლევაშოსილი არმია პირქვე დაგვიმხეს. უთვალავ ომში გამარჯვებული და ბედნიერი სულთანის კეთილგანწყობით გარემოსილი სარდლები — ბაშაღა და გოლა-ფაშა კლდეზე გადაგვიჩხეს. ბევრი სხვა, ვინც იარაღის დაყრა არ ინება და ტყვედ არ დანებდა, მათივე ბედი ვაზიარებინეს, და ვაკე იმერეთისა და ოკრიბის ველები მართლმორწმუნეთა მოწამებრივი სისხლით მორწყესო.

კატას ეფვიანი მხოლოდ ვილაიეთის უზენაესმა ყაღმა, სარწმუნოების დარაჯმა და შარიათის ვამტარებელმა სელიმმა შეაბა. ბოლო დროს კუქის სნეულები-საგან კიდევ უფრო დაძაბუნებული და ძვალად და ტყავად ქცეული სელიმი საძულველ ნათესავს რაბათის აიასოფიანებური მეჩეთის კარში მოეგება და კარისკაცებისა და ჯარის თანდასწრებით ყოველივე წერილად აუწყა.



ჯავრისაგან გულშემოყრილი ფაშა ყაღდს უსმენდა, უახრო მზერა კი სოლომონ მეფის ალიყვალ, მეფის სისხლით ნათესავ თეიმურაზ ბატონიშვილზე ჰქონდა მიპყრობილი, რომელიც თითქოსდა იმ ქვეყნიდან მოვლინებულ სელიმს მხარმარჯვნივ უდგა და მოწინებით თავდახრილი ელოდა, იმასთან დაკავშირებით, რასაც ასპიტივით შხამიანი ყადი ბეგლარბეგს მოახსენებდა, მას რას უბრძანებდნენ.

ფაშა ჰაჯი-აჰმადის სამყოფელ რუსუდანისეულ სასახლეში მთელ ღამეს სინათლე არ ჩამქრალა დაუყოვნებლივ შეიკრა ქალაქში შემომაგალი ყველა გზა და ბილიკი. ვაჭართა ქარაენებიც კი უნდა შეეჩერებინათ, საგულდაგულოდ გაეჩხრკიათ და ქალაქში მხოლოდ ამის შემდეგ შემოეშვათ.

ფაშამ კარის მცველი მინბაში გლახუნა ოზოლაძე მოიხმო და უბრძანა, ციტადელის გოდოლებზე დამატებით თორმეტი მსხვილყალიბიანი ზარბაზანი აეტანათ და იქვე ფინდიხის დიდი მარაგი შეექმნათ.

უკეთეს სამცხეში გავრცელებული ხმები სინამდვილეს შეეფერებოდა, არ შეიძლებოდა, სასწაულებრივი გამარჯვებით ფრთებშესხმული და გათამამებული სოლომონი ზეკარზე არ გადმოსულიყო, გზად ოცხისა და ყველის ციხეები არ აეღო და შემდეგ პირდაპირ ახალციხისათვის არ მოემართა.

გიაურმა მეფემ, როგორც ჩანდა, თავისი მუხანათი მსტოვრების შემწეობით, ყველგან რომ დავგზავნა, გაცილებით მეტი რამ იცოდა, ვიდრე უამისოდ შეეძლო სცოდნოდა.

საიდან გაჩნდნენ რუსი დრაგუნები და გრენადერები აჩიკ-ბაშთა ველურ ლაშქარში? როგორ უნდა აეხსნა ფაშას კავკასიაში მათი გამოჩენა? იმ დროს, როდესაც პორტსა და რუსულმწიფეს შორის ჯერ ომი კიდევ არ იყო გამოცხადებული და ყველა უბანზე მშვიდობა სუფევდა, რა საშიშროებ

ა იმალებოდა ამ უაღრესად დამადიქრებელი მოვლენის უკან? სულთნის თანამდგომთა

საელეთში დღითიდღე უკან და უკან მიდიოდა. საქსონიასა და სილეზიაში დაბანდებული ფრიდრიხი, რომელიც ღრუზდენის დაკავებისთანავე კრაკოვისა და შემდეგ ვარშავის დასალაშქრავად გაემართა, ავსტრიელთა წინ გაჭრილმა მფრინავმა რაზმებმა ქვეყნის შუაგულს მოსწყვიტეს და ბერლინს დაემუქრნენ. ამას ადრე არაფერი მოელოდა. მეტისმეტ დიდ იმედს ამყარებდნენ ფრიდრიხის მხედართმთავრულ ნიჰზე და პრუსიელთა არმიის საომარ თვისებებზე. ბერლინი სანახევროდ უკვე ალყაში იყო და თავქუდმოგლეჯილი ფრიდრიხი აქეთ მთელი სისწრაფით მოისწრაფებოდა. ინგლისის ლომმა ბრწყალები დამალა. ფრიდრიხის საქმე უთუოდ ცუდად იყო. პრუსიელების ბანაკში მომხდარი უცარი არეულარეობით მარჯველ ისარგებლეს რუსებმა და ერთის მხრივ აღმოსავლეთ პრუსიაში, ხოლო მეორეს მხრივ ბალკანეთში ჯარები წინ წამოსწიეს. ვითარება უკიდურესად დაიძაბა. სისხლისმღვრელი შეტაკება გარდაუვალი გახდა. მაგრამ რის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო რუსების გამოჩენა აჩიკ-ბაშების ქვეყანაში და გიაურ სოლომონის მხარდამხარ ომში ჩაბმა? რუსულმწიფის მხედართმთავრებმა ნუთუ თავიანთი მარცხენა ფრთა კავკასიაში წამოსწიეს, კავკასიის ქედი გადმოლახეს, რისაც კონსტანტინოპოლს ყველაფერზე უფრო ეშიენოდა, და შეტევის წამოწყებას აქედანაც აპირებდნენ?

გადაწყდა, შეეპყროთ და განუსახლვრელი დროით დილეგში ჩაემწყვდიათ საფაშოს მკვიდრი ყველა გურჯი და აჩიკ-ბაში, განურჩევლად სარწმუნოებრივი აღმსარებლობისა, ხელობისა, მოსაქმეობისა და ქვეშევრდომობისა. მათგან განსხვავებით, მესხების ნდობა ჯერ კიდევ შეიძლებოდა, რადგან გასაქცევი გზა არსათ

ჰქონდათ და შემოსეულ ურჯულო მტერს აგრე იოლად ვერ მიენდობოდნენ. ახალციხეში საალყო წესები გამოცხადდა. გარიკრაცზე თვით იმერთა ტახტის მოცილე თეიმურაზ ბატონიშვილიც კი შეიპყრეს და უიარალოდ, თითქმის საცვლებისამარა რუსულადანსეულ სასახლეში მოიყვანეს. რა ხდებოდა? გათენდა თუ არა, შეურაცხყოფილმა, ბეგლარბეგის მანდატურების უხეშობიდან და თავგასულობით აღშფოთებულმა თეიმურაზმა მის აღმატებულება ფაშასთან პირისპირ შეყრა მოინდომა. თათრის რჯულზე შემდგარ ბატონიშვილისათვის მიჩენილ ახალ სადგომში, სადაც მის მეტი არავინ იყო, ფაშას მაგიერ მინბაშად დაწინაურებული მაჰმუდ ასისთავი შემოვიდა და, ვითომც აქ არაფერი იყო, ტუსადს ოსმალურად მიესალმა.

— რა ხდება, მაჰმუდ, გამაგებინე! — სავასუხო საღმის მაგიერ ქართულად მიმართა მას თეიმურაზმა. — რას შერჩის ჩვენი მფარველი ფაშა, აღარ უნდა მოედოს ბოლო ჩემს დამცირებასა და აბუჩად აგდებას? მართალია, რასაც ლაპარაკობენ?

— მართალია, — ქართულადვე მიუჯო მინბაშმა.

— მაინც რა მოხდა, რა? — თეიმურაზს მოთმინება და სიღარბისლე სულ დაეკარგა, თავისი მდგომარეობისათვის საესებით შეუფერებლად ცქმუტავდა და თვალებს სოროდან ამომპვრალი წრუწუნა თავივით აცეცებდა.

— სოლომონმა ჩვენი არმია გაანადგურა, უზომო ტყვე და ნადავლი დაირჩინა, სარდლები ტყვედ ჩაიგდო და სიკვდილით დასაჯა.

— როგორ თუ გაანადგურა, მაჰმუდ, რას ამბობ, სოლომონს სად შეეძლო სულთნის უზარმაზარ მხედრობას შეხმოდო და იგი კიდევაც გაენადგურებინა!

— მეფე მართო არ ვახლდა, სიამარი ოტია დადიანი, სენა-აფხაზი,

რუსის ორი ბატალიონი და რაქის ერისთავი როსტომი ესმარებოდნენ, თეიმურაზი აილენწკანდალთქუვარდა, ისედაც სასოწარკვეთილებისაგან შეცვლილი სახე საშინელმა ტყვიელმა დაუმახინჯა.

— ეგ არ თქვა, მაჰმუდ, ეგ არ გამაგონო!

— რა არ ეთქვა, ბატონიშვილო?

— რაქის ერისთავი სოლომონს არ დაეხმარებოდა, თავის სიძეს, ღვიძლი ასულის თანამეცხედრეს, და აჩიკ-ბაშების სამეფო ტახტის კანონიერ მემკვიდრეს ყელს არ გამოსჭირდა!

— ნუ იტყვი შენ, თუ გინდა, ჰე! მე რაც ვიცი, იმას მოგახსენებ. შემქმლო არც ეს მეთქვა და პირში წყალი ჩამეგულებინა!

— მაშ, რუსის ორი ბატალიონიყო? თუ რუსთხელმწიფეც მაგათ ესმარება, წასულა ჩვენი საქმე და ეგ არის! კიდევ რა იცი ახალი ამბავი, მითხარი, ალაპის მადლმა, ნუ დამიმაღე!

— კარზე დარაჯი დგას და უტრს გვიგდებს. მე ნება არა მაქვს ამდენი გელაპარაკო. ორივეს ფაშასთან დაგვასმენენ. აქ ამისათვის ხომ არ დამიბარე!

საგონებელში ჩავარდნილ ბატონიშვილ თეიმურაზს კინაღამ წამოსცდა, შენ ვინ დაგიბარა, მე თავად ბეგლარბეგთან პირსპირ შეყრა ვითხოვეო, მაგრამ მიხვდა, რომ ამის ხმამალა თქმა წამხდარ საქმეს სულ გააფუჭებდა და გაახნაურებულ მდაბიოს ჩურჩულით ჰკითხა, თან თვალი ღრიჭოდ მიხურულ კარზე ეჭირა:

— ბატონი ლევანისა რა იცი, აბაშიძის?

— მოკლეს ისიც!

— ღმერთო დიდებულო, — თეიმურაზმა მოზღვავებული სიხარული ველარ დამალა, მაგრამ ეს მაინც ისე შესძახა, თითქოს თავისი საშიში მეტოქისა და მტრის სიკვდილი დიდად სწყენოდეს. — ალაპ! იმ ურჯულომ სისხლი და ხორციც აღარ დაინდო. ბა-



ბუამისის გავრდილი მაინც არ იყოს! ფუ! გიჟურს!..

— მე უნდა გეახლო, ბატონიშვილო, ბრძანე, თუ სათქმელი გაქვს რამე, თუ არა და...

— მოიცა, მაჰმუდ, ერთ წუთს დამაცალე, მიწუამდგომლე ფაშასთან, გამოაშვებინე ჩემი თავი, მენდეთ, გამრიეთ საქმეში, პატივისცემას არ დაგიჟარგავ, როგორც კი ტახტზე ავიდეთ, ახნაურობას გიბოძებ, ყმა-მამულს საშვილიშვილოდ დაგიმტკიცებ, ჩემს ყველაზე უფრო დაახლოებულ კაცად და დარბაზის წევრად გაგხდის!

— მადლობა მომიხსენებია, ბატონიშვილო, სოლომონს ახლა აქეთ უქნია პირი და იქ მივბრუნდეთ კი არა, თუ ძალი მოიცა, მე და შენ, მგონია, სამსახეშიაც აღარ დაგვადგენს!

მიმხვედრი უნდა მიმხვედარიყო და ეჭვიანი თეიმურაზიც მიხვდა, რომ ბეგლარბეგის კარზე ესოდენ დაწინაურებული მაჰმუდი, კარისმცველ იანიჩართა შეუცვლელი უფროსი, ვინც ფაშასაგან სხვაზე მეტი ნდობით სარ-

გებლობდა, მას საქმეში არ გამოადგებოდა.

მაგრამ ნამდვილად ვინ იყო ეს ბატონი? ვის სასარგებლოდ მოქმედებდა? ხომ არ ჰქონდა გაბმული რაიმე საიდუმლო ქსელი მეფე სოლომონის მსტოვრებთან და, ამგვარად, თვით სოლომონთან?

ეს და სხვა საჰირბოროტო კითხვები ლინთიშვრეთის სამეფო ტახტის ხელმოკარულ მაძიებელს მრავალჯერ გასჩენოდა და, თავისდა სამწუხაროდ, დამაკმაყოფილებელი პასუხი ერთხელაც ვერ მიეღო. ნატრია საჰურისის შეპყრობამ და სოროსებურ სადგომში სოლომონისადმი მიწერილი წიგნის პოვნამ, რაც დღეს სასახლეში ყველამ იცოდა და არც არავინ მალავდა, ეს ეჭვი კიდევ უფრო გაუძლიერა და გადაწყვეტილიც ჰქონდა, როგორც კი პირველივე შესაძლებლობა მიეცემოდა, კეთილისმყოფელი ფაშა გაეფრთხილებინა, მაჰმუდი კი მხედველობის არიდან არ გაეშვა, მისი ყოველი ნაბიჯი აღენუსხა.

თავი XXXIII

ბეგლარბეგის შიში, აჩიკ-ბაშთა გიჟური მეფე სოლომონი ხრესილის თმში გამარჯვებას არ იკმარებს და რუსის ბატალიონებთან ერთად აქ, საფაშოში შემოგვესევავო, ტყუილი გამოდგა. არამცთუ უკვე ჩამოთოვილი და ჯარისა და ალაღის გადმოსასვლელად საცხებიტებით გამოუსადეგარი ზეკარის უღელტეხილისათვის არ მოუშურებია, სოლომონს ოსმალთა უმთავრესი დასაყრდენის — ქუთაისის ციხის აღებაც არ უცდია, თუმცა, როგორც იქიდან იტყობინებოდნენ, ციხე ისევ ალყაში ჰქონდა მოქცეული და მეციხოვნეთ გაუსაძლის დღეში აგდებდა. მიუხედავად აურაცხელი სამხედრო ალაფისა, სოლომონმა ხრესილის ველზე რომ იმოვნა, მეფე ახლაც ისევე ღარიბი იყო არტილ-

რით, როგორც ომის დაწყების პირველ დღეს და იმერთა საბოლოო და გადაწყვეტ შეტევას აქ ხელი სწორედ ამან შეუშალა. ბეგლარბეგის ქეჩამ, არზრუმის სერასკირმა ბაშადამ ომში, მართალია, დანაშაულებრივი სიბეცე გამოიჩინა და გოლა-ფაშას კრიქაში დგომით დაბრმავებულმა შეცდომა შეცდომაზე დაუშვა, მაგრამ, თავისი მოსაზრებით თუ მამულ-ალი კიციანის გონივრული რჩევით, ოკრიბაში ვალაშქრების წინ თითქმის მთელი არტილერია ქუთაისის ციხეს შეაფარა, ოკრიბაში კი, უკანდახეული მტრის გამოსადეგნებლად, მხოლოდ თხუთმეტითიდე საველე ზარბაზანი გაიყოლა. საველე ზარბაზნების უმრავლესობა ბრძოლაში დაზიანდა და გამოუსადე-

გარი გახდა, ხოლო დანარჩენები, რომლებიც ჯერ კიდევ ისროდნენ, თვით თოფრებში ააფეთქეს, რათა გამარჯვებულ მტერს ხელში არ ჩავარდნოდა და მათსავე წინააღმდეგ არ გამოეყენებინა.

რუსები აღარ ჩანდნენ. მათი ასე მოულოდნელი გამოჩენა და ასევე მოულოდნელი გაქრობა ბეგლარბეგის კარს საგონებელში აგდებდა. თუ იქ რუსები ნამდვილად იყვნენ, ზარბაზნებიც ხომ ექნებოდათ? მაშ, რად არ იყვნებოდა ამ ზარბაზნებს ვიაური სოლომონი და ქუთაისის ციტადელის წინააღმდეგ იერიშს რად არ ახორციელებდა?

ზამთარი ერთობ ცივი, თოვლიანი და ქარბუქიანი დაიჭირა. გზები შეიკრა, სოფლიდან სოფელში გადასვლა და ქალაქის საყვებოთა და შესით მომარაგება სამწელითა გახდა. კვირა კვირას მისდევდა. დარბებზაგმანული დუქნები და სხვა საეკონომიკური არაღის გაუღია. ქვეყანას სული გაენაბა. კონსტანტინოპოლიდან ბაიბური არ ისმოდა. ჰაჯი-აჰმადს ძილი გაუფრთხა, მოსვენება დაეკარგა, უცნაური შიში აეკვიატა. ტაბლას ისე არ მიიღებდა, საჭურისებისათვის რომ არ გაეხსენებინა, მოწამლული ხომ არ არისო. თითქმის მთელ დროს წიგნსაცავში ატარებდა, თავის საყვარელ წიგნებს ჩაპკირკიტებდა, პარამხანაში, დარდის გადამყრელ ცოლებთან სიარული და იქ ლამის თვევაც კი ალიკვეთა.

ზამთრის უამინდობამ მეკობრეთაც ხელ-ფეხი შეუკრა. სულ უფრო კანტიკუნტად ისმოდა რომელიმე განაპირა სოფელზე მათი თავდასხმისა და ხალხის, საყოლებლის და ქონების გატაცების ამბავი. ჰაჯი-აჰმადი ყურს არიდებდა შფოთიან ცნობებს და თუ სხვა გზა არ იყო, მდევარში წასვლას რომელიმე სანჯაყ-ბეგს ან ალაიბეგს შეასახლებდა, თავად კი გამოუსვლელად შინ, რუსუდანისეულ სასახლეში იჯდა და ყოველ ცისმარე დღეს ფარული შიშითა და ძრწოლით ათენებდა.

ერთხელ, ნაშუადღევს, ბეგლარბეგის ცხოველურმა ყვეფილქმულმელოც აქამდე არაღის გველწიფი დავარც ვერაღის წარმოიდგენდა, თუ ჰაჯი-აჰმადს ასეთი შემზარავი ხმა ჰქონდა, მთელი რაბათი დიდინ-პატარიანად ფეხზე დააყენა. ძილის ბურანიდან ჯერ კიდევ გამოურკვეველმა მეციხოვნეებმა იარაღს დასტაცეს ხელი და ჰვალ-რბილის გამოთშავ ქარბუქში ყინვით შეჭირბლული გალავნის გოდოლები დაიკავეს. დაფეთებული საჭურისები აქეთ-იქით დარბოდნენ, დერეფნებში მამხალეებს უკიდებდნენ და ყოველ შემხვედრს ეკითხებოდნენ, რა მოხდაო.

ჰაჯი-აჰმადს მოლანდებოდა, თუ ანაზად წათვლემილს სიხმარში ენახა, რომ ქვეშაგებში ასპიტი ჩაუძვრა და საშინლად დაკბინა. გონწართმეული ფაშა მართლა დაკბენილს ჰგავდა. ბექისთავი წამოსივებოდა და შუაგულში ჰაწაწინა წერტილიც აჩნდა. შეშინდნენ საჭურისებიც, ლოგინი ფრთხილად აშალეს. გერმით გატენილი მსუბუქი ფარჩის საბანი და უზარმაზარი სურნელოვანი ბალიშები სათითაოდ დაბერტყეს, სადმე ნაოქში არ აღარებდეს თავს ის წყეულიო, გახხრიკეს საძინებელი ოთახის ყველა კუთხე, მთელი სასახლე გადმოაბრუნეს და უზსენებლის კვალსაც ვერსად წააწყდნენ. აბა, სად ახალციხის ცივი ზამთარი და სად ასპიტი რასაკვირველია, მწყალობელი ფაშა გულში ჩაყოლილმა უზი აქმა სიხმარმა შეაშინა, მაგრამ ეს წამოსივებული ბექისთავი და სისხლის წერტილი? სასწრაფოდ უზსეს კარის დასტაქანს, შემლოცველი დედბერიც ამოიყვანეს და გაღმა უბანში ხალხი აფრინეს, კათოლიკე ბერების გასაღვიტებლად, რომელთა დახმარება და უეზბარი წამალი ფაშას არა ერთჯერ დასჭირებოდა და, მიუხედავად ვილაიეთის უზენაესი ყადის ამყარლებისა, იგი კიდევაც მიეღო.

დასტაქარმა წამოსივებული ადგილი ჩქიფით გასჭრა, სისხლი გამოუშ-

ვა, საჭურისებს მოაწოვინა, კრილობა არყით მოხანა და მალამოში დასველებული თხელი საფენი დაადო. დედაბერი გველის ნაკბენის ლოკებს ბუტბუტებდა. თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ფაშას გულ-გვამში ავი სული ჩასრომოდა, ან სულ სხვა. მათთვის გაუგებარი რაღაც სნეულება სჭირდა და სხვაგვარ წამლობას საჭიროებდა. პატრები თვალს ადევნებდნენ მთელ ამ ამბავს და მოყვასის ბედით გულწრფელად შეწუხებულნი, თუმცა „მოყვასი“ ქრისტეს მოძღვრების დაუძინებელი მტერი, მაჰმადიანი ფაშა იყო, სასოებით პირჯვარს იწერდნენ და ყოვლის შემძლე ღმერთს მის გამომჯობინებას ევედრებოდნენ.

ჰაჯი-აჰმადმა თვალი მილულა და კარგა ხანს, თითქმის შშის ამოსვლამდე, ისე ღრმად და მოსვენებულად ეძინა, ფეხი აღარ გაუნძრევია. დილის თერთმეტ საათზე ქალაქის კარს არზრუმის ვალის მალემსროლები მოადგნენ და მაშინვე ფაშასთან წარადგინა ითხოვეს. მიუხედავად საშინელი ქარბუქისა, გზაში რომ წამოსწოდათ, მალემსროლებს მთელი ღამე მუხლჩაუხრელად ევლოთ და ცხენებზე ძლივს და მავრდებოდნენ. ყარაულების უსტაბაშმა მოსულები გამოკითხა, უბრაბანა, ჩამოკვეითებულებიყვნენ, თავისიანებს სიტყვა დაუგდო, ცეცხლს წივა შეუმატეთ და გაათბეთეგ გაჭირებულებიო, თავად კი ცხენს მოახტა, პირი ჩაბალახით აიხვია და ასისთავთან წავიდა კუკის საკითხავად.

გათოშილმა მალემსროლებმა, რომლებიც არზრუმის ფაშას საიდუმლოდ გამოგზავნა და ამით ჰაჯი-აჰმადისადმი თავის ვეთილმოსურნეობას ამჟღავნებდა, შემამფოთებელი ცნობა მოიტანეს.

არზრუმში კაფიჯი-ბაში, სერალის მეკარეთა უფროსი, მოსულიყო კონსტანტინოპოლიდან და სულთნის საგანგებო დავალების აღსასრულებლად ჩილდირის ანუ ახალციხის საფაშოში, გურჯისტანის ვილაიეთში მოემგზავ-

რებოდა. არზრუმის ვალის აზრით, ჰაჯი-აჰმადს მართებდა, სულთნის მალემსროლებს მოხელეს, რომლისგანაც ბეჭური უსიამოვნება იყო მოსალოდნელი, საფაშოს საზღვარზე შეხვედროდა და მისი გული ამთავითვე მოეგო.

აგი საქმის მახარობელი არზრუმელი მალემსროლები ჯერ ისევ ქალაქის კარში ყურყუტებდნენ და წივის გაღვივებულ ცეცხლს ეფიციებოდნენ, როდესაც აბანოსავით გამთბარ საყარაულო ჯიხურს შებოსან მხედართა კიდევ ერთი მოზრდილი რაზმი მოადგა. ჩაცმულობასა, ცხენების აღკაზმულობასა და იარაღზე მხედრებს ემჩნეოდათ, რომ უბრალო ხალხი არ უნდა ყოფილიყვნენ და, როგორც კი თავიანთი ვინაობა გაამჟღავნეს, კარის მკველმა იანიჩრებმა ვერც კი გაბედეს მათი შეყოვნება. შებოსანებმა შეუჩერებლივ განვლეს ქალაქის კარი, სულ ერთიანად ყინულით დაფარულ ფოცხოვისწყალზე გადებული ქვის ხილი ცხენების თქარათქურით გადაიარეს და რაბათის მოყინულ აღმართსაც კენებ-ჰენებით აუყვნენ.

— ვინ არის? რა უნდა? — ქართულად ვითხა შიშნაჰამმა ფაშა ჰაჯი-აჰმადმა, რომელიც კვლავ ლოგინში იწვა და უსიამოვნოდ სახეშეკმუხენილი წუხანდელი ღამის ამბებს იგონებდა.

— კაფიჯები გეახლნენ, თქვენო აღმატებულებავ. — ჩურჩულით მოახსენა მინბაშმა მაჰმუდმა და კარს გახტა.

— კაფიჯები? ვინ კაფიჯები? — ჰაჯი-აჰმადი ისე ღრმად იყო ჩაფლული წუხანდელი ღამის მოგონებებში, უცებ ვერ გამოერკვა. მერე კი ერთბაშად ჩასწვდა თავისივე სიტყვების აზრს, მთელ ტანზე ეკლები დააყარა და სიმწრის ოფლი დაასხა. — ჩემთან კაფიჯებს რა უნდა? მაღალი ალაშის წინაშე დანაშაული მიმიძღვის რამეთუ? ოო, შაითანო სელიმ!.. სხვისი ცოდვა მე უნდა ეზიდო?

მინბაში მაჰმუდი, იგივე გლახუნა ობოლაძე, ხედავდა, რომ სიბერეში

ფეხშედეგულ ფაშას, როგორც წუხელ, სიკვდილის შიში შემოეხეთო და ხმას ოდნავ დაუწია:

— ჩვენ, კაფიჯები, არზრუმიდანვე დავეწინაურდითო, კაფიჯი-ბაში თავისი ამალით უკან მობრძანდება და თუ ნამკერებმა გზა არსად გადაუღობეს, დღესავე აქ იქნებაო.

— მერე ჩვენ რა ექნათ? — უახროდ აღმოხდა ოფლში გაღვრილ ჰაჯი-აჰმადს, ყბაზე ათახთახებული ხელი მოისვა, ლოგინზე წამოჯდა, შიშველი ფეხები ძირს ვადმოყარა და ერთხანს ასე დარჩა. შესაბრალისი სანახავი იყო. სხევებზე უკეთ ჰაჯი-აჰმადმა თვით იცოდა, ეს რასაც ნიშნავდა: სერალის მეკარეთა უფროსს, მძეინვარე საკურისთა თავმდგომს და თავდაც საკურისს, სასახლიდან მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერი სულთნის უზენაესი ნების აღსასრულებლად აგზავნიდნენ. ვაი იმ ბეგლარბეგს, სულთნის ქეჰას ან სერასკირს, ვისაც კაფიჯი-ბაში მიადგებოდა და ბედნიერი სულთნის ნაბოძები კვერთხით, რაიც მისი შეუზღუდველი უფლებამოსილების ნიშანი იყო, კარზე დაუკაკუნებდა!

— რას მიბრძანებ, თქვენო აღმატებულიება? — მორიდებით ჰკითხა მინბაშმა და მწარე ფიქრებიდან გამოარკვია.

— ჰა? — ფაშა უჩვეულოდ გაფაციცებული იყო, მიუწვდომელი ზვიადობისა და შეუვალი ძლევამოსილებისა, რასაც მისი დიდებული გამომეტყველება და სახის ყოველი ნაკვთი გამოხატავდა, ნიშანწყალიც აღარ ემჩნეოდა. — ჰო...

— ხომ არაფერს გვიბრძანებ-მეთქი, — შეახსენა თავი მაჰმუდმა.

ფაშამ საწყალობლად შემოხედა და ნერწყვი გადაყლაბა.

— მაშ, კაფიჯი-ბაში მოდის?

— მოდის, მწყალობელო... არზრუმის ფაშას, ჰასანს, კაცები უახლებია, გატყობინებს, მის აღმატებულებას საფაშოს საზღვარზე მოეგებო.

— რადისლა, მაჰმუდ, ერყობი, მა-

ლაღმა ალაჰმა გამწირა, იდილოს მისი სახელი უკენითი უკმარისადაც კაფიჯები უკვე აქ არიან?

— კართან იცდიან!

— აჰ... ჰო... — ჰაჯი-აჰმადმა ხელები გაასავსავა და მისი ჯმუხი თვალტანადობისათვის საეხებით შეუფერებელი დედაკაცური ხმით დაიხავლა: — იჩოლლანები შემოვიდნენ, ტანზე ჩამაცვანს...

— თუ გაქცევას ინებებ... — მინბაშმა საძინებელ ოთახს ჭურღული მზერა მოატარა, ფეხისწვერებზე შედგა და თითქმის ყურში უჩურჩულა. — ჯერ გვიან არ უნდა იყოს, რამეს მოვხერხებდით...

— გაქცევას? შენ ფიქრობ, გაქცევა აჯობებს? მერე სად გავიქცე, შე ურჯულოს ნაშიერო, ალაჰი ყველგან არის!..

კაფიჯი-ბაში და მისი მრავალრიცხოვანი ამაღა ქალაქს გაცილებით ადრე მოადგა, ვიდრე ვარაუდობდნენ. ჰაჯი-აჰმადმა მხნერბა ერთხელ კიდევ მოიკრიბა, საზეიმოდ გამოეწყო და დააპირა, საფაშოს დიდკაცობის თანხლებით, რომელოც რაბათსა და თვით რუსუდანისეულ სასახლეში უკვე გროვდებოდა, ბედნიერი სულთნის დიდ მოხელეს, რაჟი საფაშოს საზღვარზე ვერ მიეგება, ქალაქის კარში მიინც შეხვედროდა და შესაფერი პატივი ეცა. ადრიანად მოსულმა კაფიჯებმა უსიტყვოდ აგრძნობინეს, ამკერად თავის შეწუხება საკირო არ არისო. ფაშას ისევ მოეყვება მუხლი, ხელები ჩამოუცვივდა. მას აზრადაც არ მოსვლია, რაიმე ღონისათვის მიემართა და უკვე სასწორზე შეგდებული სიციოცხლის ვადასარჩენად ახლა მიინც ეზრუნა. ეს თვით ყოველის გამრიგე მაღალი ალაჰის წინააღმდეგ ამხედრება იქნებოდა და, თუმცა ბოროტი ენები ბეგლარბეგის არასაკმაო ღვთისმომშიშობაზე ბევრს ყბედობდნენ და ამაზე ხელის მოთბობას ლამობდნენ, ფაშა ჰაჯი-აჰმადი, რომელსაც თავი ქეშმარიტ მართლმორწმუნე მუსულმანად მიან-

და, თუნდაც საფრთხეში ჩავარდნილი სიკოცხლის შენარჩუნების მიზნით, მკრეხელობის გზას ვერ დაადგებოდა და სულს სამუდამოდ ვერ წაიწყებდა.

კაფიჯებს ნებაც არ უკითხავთ: საფაშოს დივანი მოიწვიეს. დივანი მეორე დღეს შეიკრიბა და მას გაცილებით მეტი ხალხი დაესწრო, ვიდრე სხვა დროს დასწრებოდა.

სატახტო ქალაქ კონსტანტინოპოლიდან სულთნის უზენაესი ნების აღსასრულებლად მობრძანებული კაფიჯი-ბაშის სახელი ერსა და ბერს პირზე ვეერა. მითქმა-მოთქმა უფრო იმან გააცხოველა, რომ სერალის მეკარეთა თავმდგომს არზრუმიდან იქაური ვალი ჰასან-ფაშა მოჰყვა თავისი ასკერებისა და იანიჩრების მცველი რაზმითურთ. ჰასან-ფაშა, ისევე როგორც ჰაჯი-აჰმადი და ყველა მისი წინამორბედი ჩილდირის ვალის ტახტზე, გათათრებული მესხი დიდებული იყო, გვარტომობით ძველი ათაბაგი ჯაყელების ერთ-ერთ შტოს ეკუთვნოდა და ეს უკანასკნელი გარემოება ხალხს საბაბს აძლევდა, ვარაუდს ვარაუდზე აეწყოს და შერისხული ჰაჯი-აჰმადის ნაცვლად ახალციხეში მისი გამომწვესება ეწინასწარიტყველებინა. სულთნის კარი წინდახედულად იქცეოდა. შიშით, ძლივს შემომტკიცებული ერი არ ავიჯანყოთ და ქვეყანა ხელშეორედ დასაპყრობი არ გაგვიბდესო, უცხო ტომის ან უგაორო ბეგლარბეგს კონსტანტინოპოლი გურჯისტანის ვილაიეთში არ სვამდა, მაგრამ ისინი, ვიხედაც არჩევანი შეჩერდებოდა, მამა-პაპის რჯულს დიდი ხნის წინათ განდგომოდნენ და ჭვალ-რბილში ისლამისა და სულთნის უყოყმანო ერთგულება ჰქონდათ გამჯდარი.

ციხე-სიმაგრის ნახევრადნულ ტალანში, რომელსაც დღისითაც და ღამითაც მაშხალებით ანათებდნენ, ჩაუშვების გაძლიერებული ბაფრაგო იდგა. ჩაუშვები კაფიჯი-ბაშს მოჰყოლოდნენ კონსტანტინოპოლიდან და ახლა აქ,

რაბათში, თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, ^{სასახლის მცველ იანიჩრთა რაზ-} ^{მა ფაშა ჰაჯი-აჰმადის თელეგი გაატარა და დარბაზში შევიდა. ბუხართან, მისთვის განკუთვნილ განიერ სავარძელში იჯდა ნირშეცვლილი და რატომღაც უზომოდ დამძარებული ვილაიეთის უზენაესი ყადი სელიმი. დაღეული ბებრული სხეულით სელიმი სავარძელს ვერ ავსებდა და მუცელ-ატკივებულ კირიან კატასავით ერთ კუთხეში იყო მიკუნული. იქვე ახლოს ნახევარკალად მოწყობილიყვნენ მოლა-ყადიები და ნიბები, ცათა სწორი სულთნის სამსახურში სელიმს რომ ექვემდებარებოდნენ და ვილაიეთის სხვადასხვა სანჯაყში, აგრეთვე პატარ-პატარა დაბა-ქალაქებში, კანუნ-ნამეზე დაფუძნებულ სასამართლო საქმეებს განაგებდნენ. საპირისპირო მხარეს ისხდნენ შინდისფერ, მწვანე და შავ ქელაჯებში გამოწყობილი, მამა-პაპის სარწმუნოებისაგან განმდგარი მესხი დიდებულები, რომლებსაც გრძელი და საშიში გზა გამოეულოთ, ვიდრე აქ მოვიდოდნენ და ახლა ფარული მოუთმენლობითა და სულწასულობით ელოდნენ ამბებს, აგერ, ამ დარბაზში, მათს თვალწინ რომ უნდა მომხდარიყო.}

ვილაიეთის უზენაესი ყადის საშინელი სიგამბრე და უდიდამო გამოხედვა შეუმჩნეველი დიდი სულეირი მერყეობის შემდეგ თავის ბედს შერიგებულ ფაშა ჰაჯი-აჰმადსაც არ დარჩენია. ნუთუ ნაღვლობდა, რაც ხდებოდა? მაშ, რაღასთვის იღვწოდა და წელეზე ფეხს რისთვისა იდგამდა თავისი დღე და მოსწრება? იქნებ სხვა საფიქრალი და თავში საცემი ვასწენოდა? საფიქრალი და თავში საცემი დილაღ ბეერი იყო. თუ ფაშას შერისხავდნენ, ვადაყენებდნენ ან დასჯიდნენ, რაც დღეს გარდაუვალი ჩანდა, სულთნის კარი არც ვილაიეთის უზენაეს ყადს მოეფერებოდა. მისაც უთუოდ დაეკითხებოდნენ და პასუხს მო-

სთხოვდნენ, შენ სადღა იყავიო და თუმცა სელიმს შეეძლო თავი ემართლებინა, ფაშა წერილობითაც და სიტყვიერადაც ბევრჯერ ვამხილე, მაგრამ ყური არავინ მათხოვია, პირში ბურთს ჩასჩრიდნენ და ხმასაც აღარ ამოაღებინებდნენ.

„ახლა მთავარია, არ წავხდე და სულთნის კაცს გატეხილი და გასაცოდავებული არ ვეჩვენო, — ფიქრობდა ჰაჯი-აჰმადი, როდესაც სიძველისა და მამხალეების კეპლისაგან გამავეებული ურთხელის მაღალი კარი გაიღო და ზღურბლზე კაფიჯი-ბაში, არზრუმის ვალი ჰასან-ფაშა და მათი თანხლები პირები გამოჩნდნენ. — წამხდარი და გასაცოდავებული კაცი იმისაა, რომ ყოველმა გლახამ ფეხი დაადგას და გადაქელოს! გაქირვება მარტო მე არ მწვევია. უარეს დღეშიაც ბევრი ჩავარდნილა და, ღვთის მაღლით, საშველი გასჩენია. სხვის სიმხდალესა და დანაშაულს, ბევრიც რომ ეცადონ და წელეზე ფეხი დაიდგან, მე ვერ ავიკიდებ. საყდრის გიყი მნახეს? ქვეყანა ჩალით არ არის დახურული, ალაპი დიდია და ყველაფერს ხედავს. ენა მაქვს, სიტყვა მიჭრის, სათქმელს მეც ვიტყვი. როდესაც საქმის გადაწყვეტად აქ მობრძანებული კაფიჯი-ბაში, ეს ჩემი ცოდვით სავსე, ყოველსავე დალაგებულად მოისმენს, არ დაფიქრდება, ყოყმანი არ შეიპყრობს, უდანაშაულო, სარწმუნოებისა და ბედნიერი სულთნის ტახტისათვის თავდადებულ, ცამდე მართალ კაცს რას ვემართლებითო? ეგ კი არა, ვკონებ მესამე თუ დიდ მიზანთან და მეშურნეების გულის გასახეთქად ვეზირობაც დავიმტკიცო!“

ჰაჯი-აჰმადმა გულხელი დაიჭო და სმენად განეშადა, რათა შემდეგ, ბრალდებას რომ წამოუყენებდნენ, ალაპი ესხენებინა და მის მუხლობრივ გაბათილებას შესდგომოდა. დარწმუნებული იყო, სიტყვა წარუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენდა და თითქმის წისაგებად განწირულ საქმეს მის ხსარკვებლოდ შემოაბრუნებდა.

კაფიჯი-ბაშს თავიუხლოებდა, თითქოსდა სხვისი გამოწვევით გაბუნებული ხალათი ეცვა, როგორც კარდაკარ მოხეტიალე უბრალო დერვიშს, ოღონდ თავზე იისფერი ხავერდის ახალახალი ფესკა ეხურა. წელზე ყვეთელი აბრეშუმის გრებილი სარტყელი შემოერტყა. შეწვევრასა და შევთვალწარბას მსხვილი, წითელი, თითქოს ალუბლის წვენით შეღებილი ტუჩები ჰქონდა და ნაადრევად მობერებულ, დანაოკებულ სახეზე საჭურისის გაუხარელი სიცოცხლის ჩრდილი მისდგომოდა.

„სისასტიკე და უღმობელობა ამით მოგონილია, — ფიქრობდა ჰაჯი-აჰმადი და ესოდენ ნაცნობი ცხოველური შიში, მთელი ნებისყოფის დამაბვიით როგორღაც რომ დათრგუნა და თავიც დაიმორჩილა, ხელს ისევ ჰკიდებდა. — ვერასვხვით ვერ გაპატიებენ, რომ განგების კარნახით შენ სრულფასოვანი მამაკაცი ხარ და შეგიძლია, საყვარელი ქალის ალერსით დატყე!“

კაფიჯი-ბაშმა მოკლე სიტყვა წარმოთქვა მიინცდამაინც საგულისხმო და ყურადსაღები სიტყვაში ბევრი არაფერი იყო. სიტყვა, ძირითადად, ოტომანთა მსოფლიო იმპერიის და ბედნიერი სულთნის ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის კიდევ ერთ მკვერმეტყველურ დასაბუთებას წარმოადგენდა. საჭურისი არ შეჰხებია ქვეყნებისა და ხელმწიფეების დღევანდელ კავშირ-ურთიერთობებს, არც იმას, თუ რა ხდებოდა ომის ხანძრით ავიზგიზებულ შორეულ ევროპაში და რა გზას ადგა მტრული ქვეყნებით გარს შემორტყმული ბრწყინვალე პორტა. მან მხოლოდ ერთხელ აღიმაღლა ხმა, მუშტი შემართა, ჩრდილოეთის მოუღირა და დამსწრეთ აღუთქვა, რომ ცისქვეშეთის ერთადერთი კანონიერი ბატონი და მფლობელი ოსმანები, მაღალი ალაპისა და მისი მოციქულის, მუჰამედის, ბრძანებითა და ნება-სურვილით ქვას ქვაზე აღარ დასტოვებდნენ ვიაური რუსებისაგან, მართლმო-

რწმუნეთა შინაურ საქმეში ჩარევას რუსულდამწიფეს სიცოცხლის ფასად დაუსვამდნენ, სულ ვაი დედას აძახებდნენ, ხოლო ყველა იმას, ვინც რუსის გავლენის კავკასიაში გავრცელებას შეეცდებოდა, ფაშა იქნებოდა ის, მეფეთუ მთავარი, გურჯი, ოდიშარი თუ აჩი-ბაში, ისე ამოძირკვებდნენ, მის ნაღვამ ადგილზე ბალახიც აღარ გაიხარებდა.

დივანი მრისხანელ ხმაგაქმნდილი უსმენდა. ერთ ორჯერ გაისმა მოწონების შეძახილი, მაგრამ ამას არავინ გამოხმაურებია და უმალვე მიწყდა. კაფიჯი-ბაშმა ხელი გაიწოდა, ერთ-ერთ მხლებელ კაფიჯს ხავერდის ბალიშზე დასვენებული ლუქდასმული გრაგნილი ჩამოართვა, თავზე დაიდო, ზედ ემთხვია და ნარმასავით გაფითრებულ ჰაჯი-აჰმადს მიაწოდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ჰაერიც აღარ იძვროდა. ფაშამ კარისკაცისათვის ჩვეული კრძალვით მიიღო გრაგნილი, ლუქს მსუქანი ტუჩებით შეეხო, თავზე დაიდო, კაფიჯი-ბაშს გახედა, თითქოს ეკითხებოდა, აქვე გავსნა თუ არაო და როდესაც კაფიჯი-ბაშმა ნიშნად თანხმობისა, თვალები დახარა, აბრეშუმის ზონარს ხელი გაჰკრა და გრაგნილს ლუქი ააგლიჯა.

სულთანი ბევლარბეგის თავს ითხოვდა. არ იყო არც ახსნა, არც განმარტება, არც რისამე დასაბუთება. უზუნაესი განაჩენი დაუყოვნებლივ, აქვე, ვილაიეთის დივანის სსდომაზე უნდა აღესრულებინათ. ჰაჯი-აჰმადს თვალთ დაუბნელდა მას უკვე გარს შემორტყმოდნენ საღარაჯო ცულებით შეიარაღებული ჩავეუშები. როდესაც კაფიჯი-ბაში ლაპარაკობდა, ისინი აქ არ იყვნენ. ვინ მოიხმო და ასე ერთბაშად როდის დაიკავეს დარბაზი? დივანს ხმა გაეკმინდა და საკვირველი მორჩილებით, უდრტიწველად ელოდა, რას იტყოდა ჰაჯი-აჰმადი, ვისთვის კედელი და ვისთვის შეჩვეული ჰირი, ჯერ კიდევ გუშინ გურჯისტანის ვილაიეთში და მის ფარგლებს გარეთ შეუ-

ლდველი ძალაუფლებით რომ საბგებლობდა, დღეს კი დამდევლებული დამცირებული და მართლაც სულთანის ფერხთა მტერად ქცეული.

ფაშამ გაქირებებით მოუყარა თავი ტუჩებს და ძლივს გასაგონად, ჩახლუჩილი ხმით წარმოთქვა:

— ნება მიბოძეთ, ვილოცო!

დივანი ახლა კი შეიძრა, ამფოთდა, აჩურჩულდა, მხოლოდ ვილაიეთის უზუნაესი ყადი სელიმი არ გატოვებულა, ზოგს უნებლიე ოხვრაც აღმოხდა, რაც განცვიფრების გამოშხატველი უფრო იყო, ვიდრე შეცხადებისა და მწუხარებისა, მაგრამ ესეც უმალ მოისხიბა. უკლებლივ ყველა ხედებოდა, რა ეწერა გრაგნილში და ის, რაც ეწერა, მარტო გარემოებათა მსხვერპლს, ჰაჯი-აჰმადს, როდი შეეხებოდა, იგი შეეხებოდა ყველას, დიდსა თუ მცირეს. ვაი იმას, ვისაც ამ წუთიდან ფაშა ჰაჯი-აჰმადის თანამზრახველობა და ერთგულება დაბრალდებოდა, ვაი იმას, ვინც ჰაჯი-აჰმადის მტრებთან ფარული კავშირის დამამტკიცებელ პირდაპირ ან არაპირდაპირ საბუთს ვერ წარმოადგენდა და ვილაიეთის ახალ ხელისუფალს, პასან-ფაშა იქნებოდა თუ ვინმე სხვა, მოუშხადებელი დახედებოდა!

— ილოცე! — დართო კაფიჯი-ბაშმა ნება ისე, რომ ჰაჯი-აჰმადისაკენ არ მოუხედია, გრაგნილი კი ჩამოართვა, დაახვია და ერთხელ კიდევ ზედ ემთხვია. — მორჩი? მზადა ხარ? — ჰკითხა რამდენიმე წუთის შემდეგ და ზიზღით აღესილი თვალები საღდაც მის უჯან მიაპყრო, თითქოს ეს ძე კაცი-სა უკვე აღარ არსებულყოფს.

იმე წუთს, პასუხისათვის როდილა დაუცდიათ, შერისხულ ფაშას მარჯვნივ და მარცხნივ ორი შეძლებული, ფაშაზე მთელი თავით მაღალი ახალგაზრდა კაფიჯი ამოუდგა. ჰაჯი-აჰმადი მეხდაცემულივით იდგა და რაღაც იღუმალი შინაგანი ძალით ხელეგაბოროკილი და ენაჩავარდნილი წინ უაზროდ იყურებოდა. საჭურისები ოდნა-

ვღაც არ უხეშობდნენ. პირიქით, დაკისრებულ მოვალეობას რბილად, მოკრძალებულად, ფაქიზად ასრულებდნენ, თითქოს განზრახავ ცდილობდნენ, ის რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო. ჰაჯი-აჰმადს ფრთხილად ახსნეს ფაშობის ნიშნები, მოხადეს ბისონით გაწყობილი თქვის ძროკუნძულო ქუდი, უბიდან ამოუღეს თვით ვიზირ-აზამის ნაბოძები ძეწკვიანი საათი, თულებთან ერთად ყოველივე ეს ფრიალა სინზე დააწყეს, რომელიც პირველი ორის დამხმარე მესამე კაფიჯს ეჭირა, შემდეგ ოქროს სირმებით ნაქსოვი სარტყელიც შეხსნეს, ყულფად გასკვნეს, ყულფი კისერზე ჩამოაცვეს, ხელები უკან გაუკავეს და სარტყლის ერთი ბოლო ერთმა დაიჭირა, მეორე ბოლო მეორემ. ჰაჯი-აჰმადს მუქისისმსხო თვალები დაეებრა და წინ გამოეზნა. საჭურისები გათამამდნენ, ოქროს სირმით ნაქსოვი სარტყელი უფრო ღონივრად გაქან-გამოქანეს. ჰაჯი-აჰმადი მუხლმოკვეთილი ხარივით ჩაიკეცა. საჭურისები მაინც არ ჩამოეხსნენ, დაიჩოქეს და სარტყელს მანამ ქაჩავდნენ, ვიდრე კაფიჯი-ბაში თვით არ მოვიდა, დასკილის პირაღმა დაგდებულ უსიცოცხლო ხელს არ დასწვდა, მაჯა არ გაუსინჯა და არ თქვა:

— ეყოფა. ვათავდა!

ახალმა ბეგლარბეგმა, ჰასან-ფაშამ, რომელიც დივანს მაშინვე წარუდგინეს, ახალ ქვეშევრდომებს მოკლე, გამამხნევებელი სიტყვით მიმართა, უწმინდურ ძალებზე გამარჯვება მიულოცა, რაშიც უთუოდ ჰაჯი-აჰმადსა და მის განმგებლობას გულისხმობდა, რამდენჯერმე მოიხსენია და სულთნის უწიკვლო სამსახურის ნიშნულად დასახა არზრუმის საფაშო, თავისი მოღვაწეობის ძველი ადგილი, და იმედი გამოთქვა, რომ გურჯისტანის ვილაიეთის მართლმორწმუნე მუსულმანები მომავალშიაც ისეთსავე უყოყმანო ერთგულებას გამოიჩენდნენ მალალი აღაპის მდნებისა და ბედნიერი სულ-

თნის ტახტის მიმართ, როგორც აქამდე გამოეჩინათ.

ყველას მაგიერ წაქსნულნი სიტყვა ახალქალაქის სანჯაყ-ბეგმა მუთი-ბეგ ფალავანდიშვილმა წარმოთქვა. ვათათრებული მესხი დიდებული ფალავანდიშვილი, სამოცს მიტანებული, მრავლის მზახველი და შემსწრე თმაქალაჩა კაცი, თავის ღროზე ჰაჯი-აჰმადის კეთილისმყოფელი და მარჯვენა ხელი იყო. ურიგო ურთიერთობა ბეგს არც მის წინამორბედ ფაშებთან ჰქონდა და ახლა საქიროდ თვლიდა ახალი ბეგლარბეგის შემომატიცებისათვის საიმედო საფუძველი ჩაეყარა.

შემდეგ ისევ ჰასან-ფაშამ ილაპარაკა უპირატესად ფალავანდიშვილს მიმართავდა, რადგან პირი მის მხარეს ჰქონდა მიქცეული, და ერთხელ კიდევ იმედს გამოთქვამდა რომ ვილაიეთის ყველა მუსულმანი, ხელისხელნიკებული და ერთგული თავისი მოწოდებისა, ყველაფერს გააკეთებდა პირსისხლიანი გაიური აჩიყ-ბაშების ჰკუის სასწავლებლად და იქ, ფაშამ ხელი ღაღოს მთებისაკენ გაიშვირა, სადაც საქულველი ურჯულოები ეგულებოდა, ერთხელ და სამუდამოდ სათანადო წესრიგს დაამყარებდა.

ჰაჯი-აჰმადის განმარცხული გვამი, რომელიც აწ უკვე ხორცის უბრალო გროვა იყო და მოწას ითხოვდა, სასახლის საჭურისებმა ჩაეუშების დახმარებით წინკარში უპატიურად გაათრიეს, სადაც ბედნიერი სულთნის ნება-სურვილისამებრ, თავი სისხლის დაუთხველად უნდა მოეკვეთათ და კონსტანტინოპოლში გაგზავნის წინ თევით გაეტენათ, ხოლო სხეული აქვე ჩაეფლათ სავარეულო სამარხში.

კაფიჯი-ბაში პირადად დაესწრო ჰაჯი-აჰმადის უძრავ-მოდრავი ქონების აღნუსხვას. ჯერ კიდევ მემკედ ფათიპის მიერ იმპერიისში შემოღებული კონონმდებლობის თანახმად, ყველა ნივთი და რეგალია, ტახტის ერთგული სამსახურის აღსანიშნავად ფაშას სულთნის მოწყალე კარისაგან სხვადასხვა

დროს რომ მიეღო კვლავ ხაზინას უნდა დაბრუნებოდა. ფაშას, დიდ ვეზირს თუ თვით სულთანს, ქალათის ხელით მოკვდინებულს თუ ამ ქვეყნიდან თავისი დღით წასულს, არავითარი მემკვიდრეობა არ რჩებოდა. ყოველი მისი მონაგები სახელმწიფო ხაზინის კუთვნილება იყო. და ხაზინასვე უნდა მიეღო.

მოუსყიდველმა და ერთთავად გაუცინარმა კაფიჯი-ბაშმა, ახალი ფაშა თვალეში რომ შესციცინებდა და ცდილობდა, მისი ყოველი სურვილი თუ განზრახვა წინასწარ გამოეცნო და რითმე ესაიმოვნებინა, კეთილსინდისიერად აღწერა განსვენებული ბეგლარბეგის ქონება, ოქრო-ვერცხლი, პატიოსანი თვლები და ძვირფასი ჩასაცმელ-დასახურავი, აგრეთვე მესხეთისა და აჩიკ-ბაშის ეკლესია-მონასტრებში მოგროვებული ჰედური ხატები, ვერცხვი, ბარძიმები, ოქრო-ვერცხლით მოკვილი სამღვდელმთავრო კვართები და შესამოსელი დალუქა, რეესტრებს ხელი მოაწერა და ბრძანა, ეს ყოველივე საგანგებოდ მოყვანილ ურმებსა და საზიდრებზე დაეტვირთათ იმპერიის სატახტო ქალაქ კონსტანტინოპოლში გასასტუმრებლად.

იმევე ქარაენით ამგზავრებდნენ ბეგლარბეგის დაქვრივებულ ცოლებსაც, რათა ზოგიერთი მათგანი ტყვეთა ბაზრებზე დაეყიდათ და ფულად ექციათ, სხვები კი ერთმანეთს შორის დაენაწილებინათ სერალის გარეშემო მორიალე ოსმალო დიდკაცებს. პარამხანა მოთქმა-გოდებამ მოიცვა. თმაგაწეწილი უბედური ქალები თავში იცემდნენ და ზენაარს შეწევნას თხოვდნენ, მაგრამ საშველი არსათ იყო.

კაფიჯი-ბაშის შეცბუნება და თითქმის დაბნეულობაც პაჯი-აჰმადის ვანთ-

ქმულმა წიგნსაცაგმა, ვინ იცის, საიდან სად მოტანილმა ასობით და ასობით ნაბეჭდმა და ხელნაწერმა წიგნმა გამოიწვია. საკურისი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. ერთად თავმოყრილი ამდენი წიგნი თავის სიცოცხლეში არ ენახა. სერალში წიგნებს არ წყალობდნენ. პატარა წიგნსაცავი ჰქონდა პარამხანას თოფკაფაში, მაგრამ იქ უცხოთს არავის უშვებდნენ და წიგნებისათვის ხელის შეველება მხოლოდ სულთნის ცოლებს შეეძლოთ. კაფიჯი-ბაშს თვალეში აუციმიკმდა. ზოგი წიგნი მაინც მეტისმეტად დიდებული ნახელავი ჩანდა. თუ ვილაიეთის უზენაესი ყადის, სელიმის, წერილობით თუ ზეპირ მტკიცებას დაუჭერებდი, ლეთის მგმობელ პაჯი-აჰმადის აქ ალაპის განმარისხებელი ბევრი წიგნი ჰქონდა, რომელსაც შეეძლო ჰემშარიტი მორწმუნის სული გაერყენა და გუშინდელი მართლმორწმუნე მუსულმანი დღეს დანაშაულის გზაზე დაეყენებინა. ამიტომაც ყადი გადაუღებელ საჭიროებად თვლიდა, წიგნსაცავი ყოველგვარი განსჯა-გარჩევის გარეშე დაცარიელებინათ. წიგნები რაბათის მოედანზე გამოეტანათ და საჯაროდ დაეწვათ ასე თქვა სელიმმა და კიდევაც გაიტანა თავისი. წიგნებს სამ დღეს ეზიდებოდნენ და რიყის ქვით მოგებულ მოედანზე, მეჩეთის წინ, საიდანაც დაცარიელებული პარამხანის ფარდებჩამოფარებული კამაროვანი საკმლეები მოჩანდა, ხორებად აწყობდნენ.

მთელ კვირას და კიდევ მეტ ხანს რაბათის თავზე კვამლის სქელი ღრუბლები აღვა. ეს პაჯი-აჰმადის წიგნები იწვოდა, მაგრამ იწვოდა ნელა და ზანტად, თითქოს სიცოცხლე ვერ დაუთმიათ და წუთისოდელს უკანასკნელი ღონით ეპოტინებინათ.

რამაზ კობიძე

გვიმრის ფოთლაბი

რომანი

წიგნი მეორე

ნაწილი მეორე

თავი პირველი

გერასიმე ცნობილადის გასვენების თაღ-რიგში თვითონ ლონგინოს ფეიქრიშვილი ჩაერთა. ჯერ შუაღლე არც კი ჩამომდგარიყო, რომ რაიკომის მდივანმა სარდიონ რა-კველიშვილს დაურკვა:

- იმ ბერიკაცის ამბავი მართალია?
- მართალია, ბატონო ლონგინო!
- კმ!
- ყველაფერი ძალიან უცბად მოხდა.
- მეც მაგას ვამბობ! ახლა რას აპირ-ებთ?
- რაც გაგვეწყობა, პატივი უნდა ვცეთ.
- სარდიონ, გესმის? კულტურის სახ-ლიდან რომ გავასვენოთ?
- ძალიან კარგი იქნება.
- დავანახვით ხალხს, მემსახტეებს, მათ ოჯახებს, ჩვენს ახალგაზრდობას, თუ ღვაწლმოსილ ადამიანებს როგორ პატივ-სა ვცემთ. ა? მე მჯონი, ურიგო არ იქნება.
- ნამდვილად. კაცი საპატიო მემსახტე უყო.
- ჰოდა, ვგრე გავაკეთოთ. სარდიონ,

ჩემო, მოდი, ერთი, დღეს რა დროსაც იქ-ნება, შემომიარე. აქ უფრო დაწერილებით მოვილაპარაკებთ. მე საღამომდე ჩემს კა-ბინეტში ვიქნები.

— ბატონი ბრძანდები.

სარდიონმა რაიკომში წასვლა აღარ გა-დასდო, შოფერს უბმო და სამიოდე წუთის შემდეგ ლონგინოზის კაბინეტის კარი შეა-ღო. ლონგინოზი შეეგება, კარები ჩაქკეტა და გერასიმე ცნობილადის გასვენების საქ-მეებზე თითქმის ნახევარი საათი ილაპარა-კეს. რაიკომის მდივანი ბერიკაცის სიკვდი-ლით ნამდვილად შეწუხებული იყო.

— ოჯახის წევრებს აღარაფერი ვკითხ-ოთ?

— რასაც გადავწყვეტო, შევატყობინებ. ან კი რა შეთანხმება უნდა, რასაც ვაგაე-თებთ, ყველაფერი მიცვალებულის პატივ-საცემად იქნება.

— მაინც ულაპარაკე. ამ საქმეში პირვე-ლი სიტყვა ჭირისუფლებს ეკუთვნის.

— დავლაპარაკებო. უსათუოდ.

გადაწყდა, გერასიმე ცნობილადის ცხე-

დარი ქალაქის კულტურის სახლიდან გაე-
ხვეწებინათ. გვიგისები აუცილებლად
ყველა შახტს უნდა მიეცან. კულტურის
სახლში პანაშვილზე ხალხური სიმღერების
გუნდი იმღერებდა. ლონგინოსს მაგნიტო-
ფონის გაგონებაც კი არ უნდოდა. სიმღერ-
ებს წინდაწინვე შეარჩევდნენ — ამისი
სპეციალისტები არ აკლდათ. სამკლოვიარო
მიტინგი კი ორად უნდა გაყოფილიყო:
ორატორების ნაწილი კულტურის სახლში-
ვე, გამოსვენების წინ ილაპარაკებდა, დანა-
რჩენები კი — სასაფლაოზე.

— ქელები? — ლონგინოსმა სარდი-
ონს მხურა აარიდა და ფანჯარაში გაიხე-
და.

— უნდა გადავუხადოთ!

— ა?

— ისე არ გამოვა. სოფლელი კაცი იყო,
უამრავი ხალხი ჩამოვა. მარტო შვილი და
შვილიშვილი თორმეტამდე ჰყავს. არადა,
ქელებს ჩვენ კი არა, ჭირისუფლები გადაუ-
ხდაიან, ოღონდ ჩვენი დაუსწრებლობა არ
იფარგებს.

— აგრე გგონია?

— ნამდვილად.

— კარგი, მივიდეთ. ოღონდ ჩვენებური
ქელები არ გამოგონოთ, რომ გამოთვრებიან
და მიცვალებული სასაფლაოს მაგიერ კი-
ნოში მიაკეთ.

— ხე-ხე!

— კახელების ქელებს შესწრებისარ?
ყველაფერი რომ მოთავდება, დასხდებიან.
წყნარად, უხმაუროდ და — ხუთი ან შვი-
დი ჭიქა. თან დარბაისლური ლაპარაკი, კა-
რგი სადღეგრძელოები. გერასიმე ცნობილ-
ძეს ასე უფრო შეეფერება. მართალს არ ვა-
მბობ?

— მართალია.

— ჰოდა, ასე. ხომ არაფერი გვაუწყებ-
ბა?

— მგონი, არაფერი.

— ფული?

— გვეშოვება.

— ხედა თუ არა, ზვე ოჯახში პანაშვილ-
ზე უსათუოდ მოვალ, უსათუოდ. ასე. ეს —
რაც შეეხება მიცვალებულს. ასლა — ცოც-
ხლად დარჩენილებზე რას შეტყვი?

— ბატონო?

— იმ შენს ახალგაზრდა ინჟინერს
გერასიმე ცნობილად ჩემზე და შენზე უფ-
რო დააკლდება. ა? ხანამ ბერკატო უბან
ზე იყო, კიდევ მშვიდად ვიყავი. ასლა?

— მაგაზეც ასლა ვილაპარაკოთ?

— კარგი, ბატონო, გადავდეთ. იქნება,
ღმერთმა ქქნას და ამაზე ლაპარაკი სულ-
აც არ მოგვიწიოს.

— ვნახოთ.

— ესე იგი, ფული სულ არ დაგჭირდ-
ბათ?

— მე მგონია, არა.

— კეთილი, ძმაო, კეთილი. აბა, ჩემო
სარდიონ, ხვალამდე, ან ზევამდე.

— მე ხვალაც და ზევაც იქ ვიქნები.

— ჰოდა, იქვე გნახავ. აბა, ჯერჯერობით!

— ნახვამდის!

სარდიონი წამოვიდა.

სალამოს სარდიონს აკაკი ნიშნინიძემაც
დაურჯა.

— რა მალე გათავებულა ის საცოდავი.

— ასე მოხდა.

— ტკივილები ექნებოდა. ფილტვების
კიბომ დიდი ტკივილები იცის.

— მორფს უშხაპუნებდნენ.

— მერე? შევლოდა?

— ისე...

— ეპ! რამე გჭირდებათ?

— ჯერ არაფერი. გასვენების დღეს მან-
ქანები მოგვაშველეთ. ჰო, იქნება ვინმემ
სიტყვაც შეგაწიოს.

— მიტინგზე? კი, მოინახება. ხეალ და-
გირეკავ. ე-ხე-ხე-ხე!.. — და ნიშნინიძემ
წურმილი დასლო.

პირველსავე პანაშვილზე უამრავი ხალხი
მოვიდა. გერასიმემ ამ ქალაქში ნახევარი
საკუნე იცხოვრა, საქმე უამრავ ხალხთან
ქქონია და მისგან იოტისოდენა საწყვნიც
კი არავის შეტყვდრია. ასლა ნათესავები და
ნაცნობ-მეგობრები სამაგიეროს უხდიდნენ.
ტყელებური ხის სახლის კიბეზე სალამოს
შვიდი საათიდან თერთმეტამდე არ შეწყ-
ვეტილა მომსულელ-წამსკლელთა ფეხების
მაკანბეკი და საფეხურების ჭრიალი. ეწოც,
ივანნიკა და შიგნითა ოთახებიც ხალხით
იყო სავსე. თეიმურაზმა რამდენჯერმე ის-
იც კი გაიფიქრა, ვაითუ ამ ტყელმა სახლ-
მა ასეთ სიმძიმეს ვერ გაუძლოს და ჩაინგ-

რესო. დიდ ოთახში კი, გაბრდღვილებული ქალის ქვეშ, განიერ, ყვავილებითა და ნოხებით მორთულ ტახტზე მშვიდად ესვენა გერასიმეს ცხედარი. ბერეკაცი სიკვდილის შემდეგ სულ დაღუულიყო, ნიკაპი დამოკლებოდა და ჩაუარდნოდა; ცვილისფერ, ოდნავ შესამჩნევად წვერმოდებულ სახეზე კი ტანჯული გამომეტყველება შერჩენოდა. ალბათ, სიცოცხლის ბოლო დღეებში მორფინი მას მართლაც ვეღარ შეგლოდა და უღმერთო ტკივილებს სულაც ვერ უმსუბუქებდა.

მიცვალებულის გარშემო ჩამწკრივებულ სკამებზე წუმბად, დაღვრებით ისხდნენ შაოსანი ჭირისუფლები. ხმამაღლა რატომღაც არავინ ტირიდა. არ ისმოდა იმერული პანაშვილებისათვის ჩვეული გნისი და წივილი-კივილი. ბერეკაცი მართლაც ისე სწრაფად დაილია, რომ მისი სიკვდილი თითქოს ჯერ არც კი სჯეროდათ. მხოლოდ გერასიმეს ცოლი თუ ამოიხიზრებდა ხანდახან და კიდევ: უმეროსი რძალი, გერასიმეს საყვრელი ნუციკო უფერად მთელი სხეულით იცაცაცადებოდა სოლმე და მწარედ, გამბ: ქვეითნებდა. მაშინ მის გვერდით მჯდარი, ასალგაზრდა, გერასიმესავით ტანმორჩილი, თვალეზაწითლებული საინიზმრებზე ზელს მოხვევდა სოლმე და ამშვიდებდა.

ხალხი კი მოდიოდა და მოდიოდა. კიბესა და ოთახებში ფეხების ბაკაბუკი ერთი წამითაც კი არ შეწყვეტილა.

ტახტის ბოლოსთან პატარა წითელ ბალიშებზე გერასიმეს ორდენები და მედლები ეწყო. თეიმურაზი პირდაპირ თვალებს არ უჯერებდა, ამ ტანმორჩილ, მშვიდ და შეუმჩნეველ ბერეკაცს თავის სიცოცხლეში ორი ლენინის, სამი შრომის წითელი დროშის, ერთი „საპატიო ნიშნის“ ორდენი და კიდევ შვიდიოდე მედალიც მიეღო. გულზე კი სიცოცხლეში არასოდეს არაფერი დაუბნევია. ქუჩაში რომ შექვდებოდათ, ვერასცხით ვერ იფიქრებდით, რომ ეს ცალთვალა, ტანმორჩილი ბერეკაცი ამდენი ნაშრომი და ნამაგარი იყო. მაგრამ ასე კი ყოფილა... თუმცა, თეიმურაზმა ახლა ეს ხალხზე უკეთ იცოდა.

სალამოს რვა საათი იქნებოდა, როცა ოთ-

ახში შემონტაჟები ეშქრეფდნენ წინ ლურჯ კოსტუმსა და შავ კალსტუბში გამოწყობილი გრიმა ოდიბაშევი მოუძლოდათ. ჭირისუფალთა მწკრივებს ჩამოუარეს, ზოგს აკოცეს, ზოგს ხელის ჩამორთმევა აკმარეს. მეგრეთი-მეორის მიცოლებითვე ოთახიდან ეალაგდნენ. ოღონდ ეს იყო, როგორც კი უკანა კართან მდგარ თეიმურაზს თვალთა კვიდა, გრიმა ოდიბაშევა მაშინვე კიდევ უფრო მშუბარე, კიდევ უფრო სერიოზული სახე მიიღო და თავისი უბნის უფროსს თავი ძალიან მძიმედ დაუკრა, თეიმურაზმა ისიც მშვენივრად დაინახა, რომ ოდიბაშევა ამ დროს ოდნავ შესამჩნევად, დამცინავად, მრავალმნიშვნელოვნად ჩაილიმა. მეგრე გატრიალდა და მოპირდაპირე კარებში ღირსეული კაცის ნაბიჯებით გავიდა.

თეიმურაზს სახეზე სიწითლემ გაჰკრა. დიდი ჭკუა არ უნდოდა იმის მიხედვრას, თუ რასაც მოასწავებდა შემონტაჟეთა პრიგადირის დამცინავი ლიმილი.

მაგრამ ოდიბაშევი იქით იყო. თეიმურაზმა კიდევ რამდენჯერმე შეამჩნია, რომ პანაშვილზე მოსულთაგან ბევრნი — ნაცნობებიცა და სხვა შახტებიდან მოსულებიც, მას რაღაც განსაკუთრებით აკვირდებოდნენ. ზოგი თავსაც კი უქნევდა. ალბათ, ამისი თქმა უნდოდათ, ვაყიბთ, ძმობ, რომ უბანზე მოთავარი დასაყრდენი გამოვეცალა, ენახოთ, ახლა რა ბიჭობას გამოიჩინო. თეიმურაზმა რამდენიმე ასეთი მრავლისმეტყველი, — ზოგჯერ თანაგრძნობით სავსე, ზოგჯერ დამცინავი, ზოგჯერ კი საკმაოდ ბოროტი ლიმილი აიტანა. მეგრე კარს მოშორდა და კუთხეში კედელს მიეყრდნო.

ხალხი კი მოდიოდა და მოდიოდა. გაუთავებლად ჭრიალებდა ხის საფეხურები. თეიმურაზი კუთხეში იდგა და ფიქრობდა, ნეტავი, ისევ კარებთან რომ ვიდგე, იმ მრავალმეტყველ მშერას კიდევ რამდენი ვინმე შემავლებდაო.

მეორე დღეს პანაშვილზე სარდიონ რატველიშვილი, მისი თეოლინე, ლონგინოზ ფეიქრიშვილი და აკაკი ნიშნინიძე ერთად მოვიდნენ. სკამებზე ჩამწკრივებულ ჭირისუფალ ქალებს და კუთხეში ჯგუფად მდგომ კაცებს ამათაც სხვებივით ჩამოუარეს. ფეი-

ქრისტიანული და ნიშნისადაც არავისთვის უკონიათ, — ხელის ჩამორთმევასა და ზოგჯერ, თუ ქირისუფალი კაცი იყო, მზარზე ხელის მოთათუნებას კმარობდნენ, სარდიონმა და თეოლინემ კი გამოუტყლებელი ყველას ლოყაზე აკოცეს. მერე ოთხივენი იმ ოთახში გამოვიდნენ, სადაც თეიმურაზი იდგა, და შორიასლო, ფანჯარასთან გაჩერდნენ. თეოლინეს ნელსაცხებლის მძაფრი ხუნი გამოჰყვა. ხმას არც ერთი არ იღებდა. ფეიქრიშვილმა მიიხედ-მოიხედა, თეიმურაზს დააკვირდა და იცნო. სარდიონს მიუბრუნდა და დაბალა ხმით რაღაც უთხრა. ოთხივენი თეიმურაზს მიაჩერდნენ. სარდიონმა ანიშნა, აქ მოდიო. ახალგაზრდა ინტენური მოვიდა; ოთხივემ ხელი ჩამოართვა. თეოლინემ აღერსიანად გაუღიმა კიდეც.

— როგორ გიკითხათ, თეიმურაზ ბატონო?

— ცოტა შეფიქრიანებულია, — თეიმურაზის მაგიერ უპასუხა ფეიქრიშვილს სარდიონმა.

ნიშნისადაც თავი რამდენჯერმე უხმოდ ჩაიქნია.

— შეფიქრიანებული კი არა, შეწუხებულია, — გაუსწორა ქმარს თეოლინემ და თეიმურაზს ერთხელაც გაუღიმა.

— მიძიმე დანაკლისია. მარტო თქვენთვის კი არა, ჩვენთვისაც, ყველასათვის. — ფეიქრიშვილმა თეიმურაზს მზარზე ხელი მოუთათუნა, თავი ჩადუნა და გასასვლელი-საკენ გაემართა. მას სამივენი უკან მიჰყვნენ. თეოლინემ თეიმურაზს თავი ერთხელაც დაუქნია.



დასაფლავების დღეს მზიანი დარი იდგა. კულტურის სახლი ვერ იტყვედა დასამშვიდობებლად მოსულ ხალხს. გამოსვენებისაკებო ხელიდან ხელში გადადიოდა. ოცი კაცისაგან შემდგარი გუნდი გუგუნებდა ძველ ქართულ საგალობლებს. ქირისუფლები, თითქოს ახლად დაიკურეს გერასიმეს სიკვდილით, ყველანი გულამოსკენილი ტიროდნენ. ნუციკოს გული შეუღონდა და ძლიერ მოასკლიერეს. კუბო ხალხმა კარვა ხანს ხელით ატარა და მანქანაზე მამინდა

დადგეს, როცა ქალაქის განაპირას მოუსვალტებულ ვიწროებში გამოვლდნენ

ნიშნისადაც



ქალაქის საუკეთესო რესტორანში გამოვლი ქირის სუფრას ხუთასზე მეტი კაცი უჯდა. მოვიდნენ ლონგინოზ ფეიქრიშვილიც, აკაკი ნიშნისადაც, რატომღაც ქალაქის პროკურორიც, სწორედ ის, ბიუროს მამინდელ სხდომაზე ფეიქრიშვილს თავზე რომ ევლებოდა. თამადად თვითონ სარდიონი დადგა. თეიმურაზს ეს ჯერ გაუკვირდა, რადგან გააფონილი ჰქონდა, მასტის უფროსი ასეთ რამეებს ერიდებოდა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ეს ლონგინოზსა და სარდიონს ერთად უნდა მოეფიქრებინათ. არც შემცდარან. სარდიონმა მთელი სუფრა საუცხოოდ ჩაატარა. სულ ზუთი თუ შვიდი სადღეგრძელო დალია, ისე, „როგორც ეს ჩვენს წინაპრებს დაუბარებიათ“. გონივრულად და მშვიდად, ყველასათვის გასაგები ენით ლაპარაკობდა. ყველაზე კარგად თვითონ მიცვალებულის მოსახსენებელი გამოუვიდა:

— ის, ვინც ჩვენ დღეს მიწას მივაბარეთ, — თქვა სარდიონმა, — ჩვენი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი იყო. ცას ვერავინ გამოუკვერებით და დღეს თუ ხვალ ყველანი გერასიმეს გზას გავეყვებით. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ გერასიმე ცოტა ჩვენზე უფრო ადრე გაუდგა მოუსავლეთის გზას. და კიდევ ერთი განსხვავება ის არის, რომ ჩვენ, ჯერაც ცოცხლებსა და მიწაზე მოსიარულეებს, ხანდახან კიდევ გაგივლის ფიქრი და ეჭვი, ხომ არაფერს ვუშავებ ჩემს ძმებსა და ამხანაგებს, ჩემს ნათესაებსა და მოკეთებს, ხომ სწორად მიმყავს ჩემი ცხოვრება, ხომ არაფერი ცოდვა და დანაშაული მიმიძღვის ჩემი ხალხის, ჩემი ქვეყნის წინაშე. გერასიმე ცნობილადე კი ამგვარ ფიქრებისა და ეჭვებისაგან დღეს სამუდამოდ თავისუფალია. დღეს ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ გერასიმე ცნობილადემ უკოდველად, უზადოდ, მართლაც კაცურად განვლო თავისი ცხოვრება. რომ იტყვიან, კია არ გაუსრესია, ბუზი არავისთვის აუფრენია, თავის ხალხსა და ქვეყანას კი იმოდენა ამაგი დახდო, რომ არც კი განიზომება. იმ მადლისა და ამავის

წონა და ძალი ჩვენს ჭადარა კავკასიონს გაუტოლდება, ისევე, როგორც გერასიმე ცნობილადის მარჯვენით მონგრეული ქვანახშირი. ყოველთვის მეტივე კი არ ყოფილა, კარგად იცით, კარგა ხანს მნგრეველადც მუშაობდა... გერასიმე ნამდვილი მემახტე იყო, მეგობრებო, მიწისქვეშეთში გაატარა თავისი წუთისოფელი, იქ, სადაც ზოგ ჩვენთაგანს ნახევარი საათით გაძლებაც კი უჭირს... მან არ იცოდა, რა არის დაღლა, შიში, ხელისნაქნევა, ამხანაგის დღლატზე თუ საერთო საქმისათვის თავის არიდებაზე ხომ აღარაფერს ვამბობ. ეს სიტყვები გერასიმეს სახელის გვერდით არც კი უნდა იხსენიებოდეს. არასოდეს არავინ შეუწუხებია, არასოდეს არავისათვის არაფერი უთხოვია, თვითონ კი ყოველი ფეხას ნაბიჯზე ყველას სჭირდებოდა — შინაურსა თუ გარეულს, მოკეთება თუ შემთხვევით ნაცნობს, შვილიშვილსა თუ შახტის უფ-

როსს... აი, როგორი კაცი იყო ჩვენი გერასიმე. ასეთი კაცი მიიბარებოდა ყველგან — მა მიწამ. ფეხზე ავდგეც, მუცხაჩრქობს სხენება ყოფილიყოს ზისი სულისა ჩვენს შორის! როგორც იტყვიან, მსუბუქი ყოფილიყოს გერასიმესათვის მშობლიური მიწა!

— სხენება იყოს! — წამოიხრიალა ხუთახმა კაცმა და ყველა ფეხზე წამოდგა. გაუნძრევლად მისინერებოდნენ, სანამ სარდიონი პატარა ყანწს გამოსცლიდა. მერე ყველამ დალია.

თერთმეტი საათი არც კი იქნებოდა, როცა ხალხი სუფრიდან აიშალა. თეიმურაზს ერთი სიმთვრალისაგან გონდაკარგული და ფეხარეული არ შეუნიშნავს. რესტორნიდან თავჩადუნულნი, უხმაუროდ გამოდიოდნენ. ახალგაზრდა ინჟინერი თავის თავს გამოუტყვია, ასეთ დარბაისლურ ქელეხს ჩემს ცხოვრებაში პირველად შევესწარიო.

თავი მორა

იმ ღამეს გოგოლა პირველად მივიდა თეიმურაზთან.

თორმეტი საათი იქნებოდა, როცა თავის ოთახში მოწყვნიტ მჯდომ თეიმურაზს კარზე ფრთხილი დაკაკუნება შემოესმა. გული შეუკრთა — მისედა, ეს უსათუოდ გოგოლა იქნებაო. და თან გაიფიქრა კიდევ, — ხაიდან იცის, რომ ქმარი ფეხდაფეხ არ მოსდევს და ასევე, ჩემს თვალწინ, შავ დღეს არ დააყენებსო. გერონტი ჩაფიჩაძე ხომ არც თეიმურაზს მოერიდებოდა და არც სხვა ბინადრებს. შეეძლო, ამ მიძინებულ საერთო საცხოვრებელში ერთი ალიაქოთი აეტეხა და გოგოლას წიხლებითაც კი შეაკოშოდა.

ჩემი კაკუნი გამოურდა. თეიმურაზი კართან მივიდა და გამოალო. კარბში ლურჯ, თეთრწინწკლებიან კაბაში ჩაცმული გოგოლა იდგა. ქალმა თავისი ლურჯი, ლმობიერი თვალებით თეიმურაზს შეახედა და ოთახში შემოვიდა. და ეს ისე მშვიდად, თითქოს გულგრილადაც კი გააკეთა, თითქოს ახალგაზრდა ინჟინერთან აჭამდე ბარე

ასჯერ მაინც მოსულიყოს. მაგიდასთან მდგარ სკამზე დაკადა და თეიმურაზს ისევ მშვიდი — რაღაც ნამეტნავად გამოშვებულად მშვიდი მხერა გაუსწორა.

თეიმურაზი დაბნეული და შემინებულიც კი იყო. გული გამაღებით უცემდა. კარის მისურვა ძლივს მოიფიქრა, მაგრამ ყველაფერზე ძლიერი, რაც ახლა მის გულს დაეკუვლა, მაინც იმ ქალის სიღამაზისა და მომზიბლაობის შვერთება იყო.

გოგოლას სპილენძისფერი, ოდნავ მოწითალო თმები უწესრიგოდ ეყარა მხრებზე. ლურჯი, ლმობიერი თვალების მხერა მშვიდად გადააქონდა საგნიდან საგანზე, თეიმურაზზე, მერე ისევ რაიმე საგანზე ოდნავი, სულ ოდნავ აღეღება იმაზე თუ შეეტყობოდა, რომ შუბლი შეკმეხვნილი ქონდა, სახეზე კი ფერმიხდილი იყო. კაბაში მოხდენილად გამოჩნავთული, ოდნავ შედმეტად სრული სხეულის ყოველი ნაკვთი კი ისევ იმავე უნაპირო, ძლევამოსილი სიმშვიდით სუნთქავდა.

ოთახში სიჩუმე იდგა.

— ქმარმა... იცის? — ერთი თუ ორი წუთიც კი გავიდა, ხანამ თეიმურაზი ამის კითხვას მოახერხებდა.

გოგოლამ ოდნავ შესამჩნევად მხრები აიყარა. მერე, ღრმად ამოისუნთქა. ხმა არ ამოუღია.

— რომ მოვიდეს?!

თეიმურაზი იმას კი ვერ გრძნობდა, რომ ამ კითხვებით თავს იმცირებდა.

— გეშინია? — გოგოლას მოულოდნელად, გულიანად გაეღიმა.

— ა? მე?... მე რისი უნდა მეშინოდეს!

— რომ გაგლახოს... — გოგოლას ისევ აღერისიანად ეღიმიებოდა. მან ისევ ღრმად ამოისუნთქა.

— ეკ!.. — თეიმურაზმა ხელი ჩაიჭინა.

რატომღაც ოთახში შიიხედ-შიიხედა. მერე მივიდა და თავის ლოგინზე ჩამოჯდა. გოგოლას შებღბღევიდან სურათულად გამოჰქვდა, — მე სხვა რამის მეშინია.

— ეგ ახლა რა სალაპარაკოა!.. — გოგოლამ წარბები შესტეხა.

თეიმურაზმა თავი დაუქნია. თითები ჩახლართა.

სიჩუმე ჩამოვარდა. თეიმურაზი დაბნეულობისა და შემკრთობისაგან ჯვრაც ვერ გამოკვევლიყო. ვერც კარის ჩაკეტვას ბედავდა, იქნება, ახლავე უკან გაბრუნებას აპირებს და არ ეწყინოსო. ვერც პაპიროსისათვის მოგვიდებინა...

სიჩუმე კარგა ხანს გაგრძელდა. მერე გოგოლამ კარს შეხედა. მშერა თეიმურაზზე გადაიტანა.

— ჩაკეტო? — თეიმურაზი ზეწამოიჭრა.

გოგოლამ მშერა აარიდა. თავი ჩაღუნა. როცა თავი ასწია, მის თვალებში წედანდელი სიმშვიდე და ლმოზიერება აღარ იყო. იმ დიდრონ ლურჯ თვალებს ახლა თითქოს ცეცხლი მოჰკიდებოდათ. თეიმურაზს ისინი ახლა საყვედურით, თათქოს ოდნავ ათვალისწუნებთაც კი მისჩერებოდნენ.

თეიმურაზი ზეწამოიჭრა, კარები ჩაკეტა და სინათლე გამორთო.

ნახევარი საათის შემდეგ გოგოლამ რბი-

ლად მოიშორა თეიმურაზის ხელეჭი. წამოჯდა და ფეხები იატაკზე ჩამოუკეცებდა. გაისწორა. ერთხანს უწრად იჯდა. მერე რაზს მისი სუნთქვაც კი არ ესმოდა. მერე ქალი თეიმურაზისკენ დაიხარა და ხელი თავზე გადაუსვა. თეიმურაზმა იმ ხელს ხელი მოჰკიდა და თვითონაც წამოჯდა.

— წასვლა გინდა?

— ხად?

— სახლში.

— ამ ნამუღამევს?

—?!

...

— უკვე მოგებურდი? — ქალის ხმაში მოულოდნელი სვედიანი ღიმილი მოისმა.

— შენი ქმარი...

— ოჰ!...

თეიმურაზმა ენაზე იკბინა. გოგოლას წელზე მოეხვია და კისერზე აკოცა.

— ქმარი და ქმარი!.. — გოგოლამ თეიმურაზის ხელები მოიშორა და წამოდგა, თმები გაისწორა. მერე თავი გადააქან-გადმოაქანა და თმები ერთხელაც შეისწორა.

— ადექი.

თეიმურაზი ადგა.

— ხინათლე არ აანთო.

ოთახში არც ისე ბნელოდა. თეიმურაზი მაგიდასთან მივიდა და სკამზე ჩამოჯდა.

გოგოლამ ლოგინი აშალა. ზედსაფარი დაჰკეცა და სკამის ზურგს გადაჰკიდა. ზეწარი გაასწორა. ბალიმიც კი შებერტყა. ყველაფერს მშვიდად, აუჩქარებლად აკეთებდა („თითქოს სიყვარულის გაკვეთილს მამღვდედესო“, — გაიფიქრა თეიმურაზმა). კაბა გაიხადა, ლოგინში ჩაწვა და საბანი რატომღაც ნიკაპამდე აიწია. შიშველი ხელები კი თავქვემ ამოიწყო.

— მოდი.

— თეიმურაზმა სწრაფად შემოიძარცვა ტანსაცმელი, რომელიღაც დილი კიდევ მოიწვევია, — და გოგოლას ცხელ ტურნებზე დააკვდა.

ძილი აღარც ერთს აღარ გახსენებია. ტბილ ბურანში ისე შემოათენდათ, რომ არც ერთს არ გაუვია.

— ბერიკაცი ძალიან დაგენანა?

— ეკ!

— ხალხი ლაპარაკობდა, ჭირისუფლები

სომ დამწუხრებულნი არიან, მაგრამ არჯუ-
ვანიძეც არანაკლებთ.

— მართალი უთქვამთ.

— ნუ გეშინია.

— შიში რა შუამია!

— რატომ! შიში სირცხვილი კი არაა.
რაც საშიშია, ადამიანს იმისი კიდევ უნდა
ემინოდეს.

— საშიში ბევრი რამაა.

— ხელი მომეცი. — გოგოლამ თეიმურა-
ზის ხელი ცხელ თითებში მოიმწყვდია.

— საშიში ბევრი რამაა. — გაიმეორა
თეიმურაზმა.

— არც იმდენი. — გოგოლამ თეიმურა-
ზის ხელს კოცნა დაუწყო.

— ეჰ!

— ნუ ოხრავ!

— თეიმურაზმა გოგოლას თვალებში აკ-
ოცა. დაღლილსა და გატანჯულს ძილი ერ-
ვოდა.

— თეიმურაზ!

— ა?

— შე ლამაზი ვარ?

— ძალიან.

— არა, მართლა მითხარი.

— მართალს გეუბნები.

— ლამაზი ვარ?

— ძალიან. ისედაც კარგი ხარ.

— ხასიათით?

— ხასიათიც და ისედაც.

— რა — ისედაც?

— არ ვიცი... ძნელი სათქმელია.

— კმ!.. შენც თუ ვერ ამბობ, სხვა ვინ-
ღა მოახერხებს.

— შენი ქმარი...

— ოჰ!..

— კარგი, კარგი...

— ქმარი... სომ იცი, რატომაც გავყვეი.

— ვიცი.

— პოდა...

— კარგი, კარგი. მე ახლა ისევ ბერიკა-
ცზე ვფიქრობ.

— ნუ გეშინია. ერთხელ სომ გითხარი,
ნუ გეშინია-მეთქი.

— კი.

— პოდა, ნუ გეშინია.

ოდნავ ირიჟრაფა თუ არა, გოგოლა ადგა

და წასასვლელად განემზადა. ახლაც ჩვეუ-
ლი სიმშვიდით იქცეოდა. კმა ჩაიჭყუ, თმე-
ბი გაისწორა, ფეხსაცმელებიც მორიგო და
თეიმურაზს ლოგინზე ჩამოუჯდა.

— შენ ჯერ ნუ ადგები.

თეიმურაზს ჩაფიჩაძის გვარი ისევ ენაზე
მოადგა, უნდა ეკითხა, სად არის, ან მას-
თან შეხვედრას როგორ აპირებო, მაგრამ
თავი შეიკავა. გოგოლა დაიხარა, თეიმურა-
ზს შუბლზე აკოცა და წამოდგა.

— არ მეძებო. მე თვითონ მოვალ ხოლმე.
ერთხელ აკოცა, გავიდა და კარი უხმაუ-
როდ გაიხურა.

* * *

წამოდგომა და შახტზე წასვლა ჯერ ძა-
ლიან ნაადრევნი იყო. თეიმურაზმა პაპირ-
ოსი გააბოლა და ფიქრებს მიეცა.

გოგოლა სომასურიძემ — ამ ლამაზმა,
კეთილმა და გულისხმიერმა ქალმა, თეიმ-
ურაზთან მთელი ღამე რომ გაატარა და
მთელი თავისი არსებით მიენდო, ახალგაზ-
რდა ინჭინერს ერთი სადარდებელიც მიუმა-
ტა. თეიმურაზს ქალებთან ურთიერთობის
დიდი გამოცდილება არ ჰქონდა. მაგრამ
იმას მაინც თვალნათლივ გრძნობდა, რომ
მისი და გოგოლას ურთიერთობა საიდუმ-
ლოდ დიდხანს არ დარჩებოდა. ასეთი
რამ არ იმალება. მით უმეტეს, თუ ქმარი
სკვე ყველაფერს მიხედვრილია. ეს საჭმე
მალე გამჟღავნდებოდა და მაშინ თეიმურ-
აზს რა უნდა ექნა? რა პანუსი გაეცა ან
გამხეცებელი ჩაფიჩაძისა, ან თვითონ გო-
გოლასათვის? ამ ქალისათვის ხელის კვრა
თეიმურაზს სკვე აღარ შეეძლო. ამიტომაც
იყო, რომ ფიქრიც კი აღარ შეეძლო იმ ახ-
ლო მომავალზე, როცა ყველაფერი გამომ-
ვლავნდებოდა...

კიდევ უფრო აწუხებდა უბნის საქმეები.

თეიმურაზი კარგად ხედავდა, თუ როგო-
რი დანაკლისი იყო მისთვის გერასიმე ცნო-
ბილაძის სიკვდილი. ბერიკაცს უბნის მუშა-
ხტეებზე გავლენა ავადმყოფობის დროსაც
კი არ დაუკარგავს. ხან ერთი ცვლის უფრო
სი მიაკითხავდა, ხან მეორე, ხან მესამე...
რამდენჯერმე რჩევა თვითონ თეიმურაზმაც
იოხოვა, მიუხედავად იმისა, რომ ბერიკაცი
ლოგინზე იყო მიჯაჭვული და სუნთქვაც კი

უჭირდა. მანამდე კი, ხანამ გერასიმე ფეხზე იყო, თეიმურაზი უბანზე ერთ სათუო ნაბიჯსაც კი არ გადადგამდა, რომ გერასიმეს არ მოთათბირებოდა. გერასიმეს დამსახურება იყო ისიც, რომ ახალგაზრდა ინჟინერს უბნის შემახტეები პატივსაც სცემდნენ, უკურბდნენ და ენდობოდნენ. ყველამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ძველი შემასტე, რომელმაც უამრავ სხვა რამესთან ერთად, თავისი შრომის, ენერჯის და, თუ გნებავთ, თავისი სიცოცხლის ფასიც კარგად იცოდა განსჯისთვისად და პაიპარად არავის მიენდობოდა. ყველანი ხედავდნენ, რომ გერასიმე თავის მხრივ დიდ ანგარიშს უწევდა არაჯვანიძეს. იმასაც ხედავდნენ, თუ ამისი მიზეზი რაც იყო, — ახალგაზრდა ინჟინრის უბრალოება; თავმდაბლობა, პატიოსნება, სიკეთე. შემახტეები თეიმურაზთან ურთიერთობაში თავდაპირველად გერასიმეს ენდნენ და ეს ნდობა მერე თეიმურაზზეც გაერცვლა.

ახლა გერასიმე აღარ იყო. უბანზე აღარავინ ჩანდა ისეთი, ვინც ბერძეკის მაგიერობას შესძლებდა. ანთიმოზ ჩახუნაშვილი ხომ სათვალავში ჩასაგდები არც იყო. არქიფო ცალკულღიშვილი პატიოსანი და გამოცდელი შემახტე იყო, მაგრამ ძალიან მორიდებული, სათრიანი ხასიათი ჰქონდა და სხვა ადამიანებზე რაიმე გავლენის მოხდენა არასოდეს ფიქრადც არ მოსვლია. კიდევ რომ მოენდომებინა, მაინც ვერ მოახერხებდა. იგი დავალების პატიოსანი და ერთგული შემსრულებელი იყო, მეტი არაფერი. გრიმა ოდიბაშვილი სულ გათავსებდა. თავის ბოროტ სიხარულს ხომ გერასიმეს პანაშვილებზეც კი არ მალავდა. ახლა კი, ალბათ, თეიმურაზს უკვე აშკარად შემოუტყვდა და ბევრს მიიმხრობდა კიდევ და არა მარტო თავის მემონტაჟებს: თეიმურაზმა ისიც კარგად იცოდა, რომ მისი ხელმძღვანელობით უბანი ცუდად არ მუშაობდა, მაგრამ ქვანახშირს მაინც ჯიბრაილის დროს უფრო მეტს იღებდნენ და შემახტეებსაც შემოსავალი მეტი ჰქონდათ. ფულს კი თავისი ძალა აქვს და ეს ძალა ბევრს სულით-ხორციანად იმორჩილებს.

სარდიონი, რა თქმა უნდა, თეიმურაზს დაეხმარება, მაგრამ შახტის უფროსი უკვე

სანდაშული კაცია და დღეღამის განმავლობაში უბანზე რამდენჯერმე წასვლა ძალიან გაუჭირდება. უბრალოდ ვერ შეძლებს. ესეც არ იყო, კანონით შახტის უფროსს არც აქვს უფლება ტექნოლოგიურ პროცესში ჩარევისა, ეს უფრო მთავარი ინჟინრის, კახაბერ გურასაშვილის საქმეა, კახაბერი კი მთლად სანდო არ არის, ზოგი რამ ძალიან ხშირად ეშლება ხოლმე... და შესამეც: ინდომებს კი სარდიონი მას შემდეგ, რაც რაიკომის ბიუროზე საყვედური ჩაუწერეს, უბნის საქმეებში ისევე ყოველნაბიჯზე ჩარევას, როგორც მანამდე უნდა? რა ძალა ადგას? თეიმურაზს არეუვანიძე სრულუფლებიანი ინჟინერია და უბნის უფროსია, კეთილ ინებოს და უბანს ისე გაუძღვეს, როგორც საჭიროა. არ შეუძლია? მაშინ...

თეიმურაზს ტირის ოფლი ასხამდა იმის წარმოდგენაზე, თუ მაშინ რა იქნებოდა. მაშინ თანამდებობასა და მდგომარეობასთან დამშვიდობება, მტრებისა და არაკეთილმოსურნეების — ოდიბაშვილისა და მისთანების ბოროტი სიზხითი და... ყველაფრის თავიდან დაწყება. ეს ჯანდაბას! თეიმურაზი თუნდაც ნიჩაბს აიღებს და უბრალო ამწმენდად იმუშავებს. მაგრამ არ იტყვიან, თუ მეტი არ შეეძლო, უბნის უფროსობას რაღას ეპოტინებოდა? სირცხვილსა და დაცინვას სად წაუვიდეს? არ ჯობდა, თავიდანვე უბრალო საქმისათვის მოეციდა ხელი და უფროსობისთვის მერე მიეღწია?

რაც უფრო მეტს ფიქრობდა, თეიმურაზს სულ უფრო და უფრო იპყრობდა ბრახი სარდიონ რაჰველიშვილის მიმართ. თუ თეთონ თეიმურაზი გამოუცდელი იყო და ჭკუა სულ არ ჰქონდა, სარდიონი რაღას ფიქრობდა? რას ფიქრობდა, როცა მატარებლიდან ის-ის იყო ფეხჩამოდებული ბიჭი ამოდენა უბნის უფროსად დანიშნა და ასეთ დღეში ჩააგდო? ახლა?

ამ კითხვის პასუხი არსად იყო. დამძიმებული გულით წავიდა იმ დილას სამუშაოზე თეიმურაზს არეუვანიძე. ეს კი იყო, რომ ღმერთმა შეიწყალა და იმ დღეს უბანზე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მესამე ცვლას გვემა შეუსრულებელი ჰქონდა და ზედმეტად თითქმის ორმოციო-

დე ტონა ქვანახშირიც კი ამოეღო. პირველი ცვლის შემახტებმა დაველება მიიღეს და წავიდნენ. თეიმურაზი შახტში ჩაეშვა და ქვედა სანგრევი დაათვალიერა — იქ მალე ის ჯოჯოხეთური საქმე — ჩამოქცევა უნდა დაწყებულიყო. მაგრამ განსაკუთრებული იქაც არაფერი მომხდარა. ჩამოქცეველნი უკვე ადგილზე იყვნენ და თავიანთი საქმის გასაკეთებლად გულდამშეიდებით

ემზადებოდნენ. თეიმურაზი, ზევეთ ამოვიდა და საშხაპეს მიაშურა. ამ დღეებში ვრცელნი იყვნენ ოდიბაშევი და არც ანთიმოზ ჩახუნაშვილი არსად შეხვედრიან და ამან, ცოტა არ იყოს, შვება მოჰგვარა.

მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ უახლოეს დღეებში კიდევ უფრო მძიმე ამბები ელ-ოდა.

თახი მისამ

იმ ღამეს გერონტი ჩაფიჩაძე შახტზე მორიგე იყო. ნაჭირავებ ოთახში მასა და გოგოლას ტელეფონი არ ჰქონდათ და გოგოლა იმ ღამეს სახლში იყო თუ არა, შახტიდან ტელეფონით ამის შემოწმება არ შეიძლებოდა. გოგოლა სახლში დილის ხუთი საათისათვის დაბრუნდა. თავი მოიწესრიგა და ლოგინში ჩაწვა — სამუშაოდ იმ დღეს მეორე ცვლაში უნდა გასულიყო. დადლილმა მალე ჩათვლიმა კიდევ, თუშცა გული მთლად საგულეს არა ჰქონდა.

გერონტი შახტიდან დილის შვიდ საათზე მოვარდა. კაცის ფერი არ ედო. საიდან და როგორ, ღმერთმა იცის, მაგრამ უკვე ყველაფერი იცოდა.

გამხეცებულმა ქმარმა ცოლი ლოგინიდან დაითრია, პერანგი შემოახია და წიხლებით შედგა. წიხლით თუ მუშტებითაც იმდენი ურტყა, სანამ აცახცახებული, დაოსებული, ათას ადგილას დალურჯებული, ხმაწასული გოგოლა ხეწწას არ დაუწყებდა, იწამე ღმერთი, ნუ მომკლავ, შენვე გაუბედურდები. მერე კარი გაიჯახუნა და გაქპრა.

გოგოლამ ისღა მოახერხა, რომ სახლის პატრონის ქალიშვილი, პატარა სასურსათო ფარდულის გამეც, მოხერხებულობითა და უტიფრობით ცნობილი ფაცია იხმო, ხელში ოცდახუთმანეთიანი ჩაუდო და შეეხვეწა, შენ შემოგველე, პოლიკლინიკაში გაფრინდი და ბიულეტენი მომიხერხე, იღონდ ექიმი აქ ნუ მოვა, ასეთი სახით ვერა-

ვის ვენახვები და ვერც გარეთ გავალო.

— რას სულულობ, ვოცო! — გულისხარეთ შემოუტია ფაცია და თან ოცდახუთმანეთიანს სინათლეზე გაქხდა, — მაგ შერეკილს თუ ეს აპატიე, ხვალ და ზევ უარესს გიხამს. ან რომელ ფარჩა-აბრეშუმებში შენ მაგას დაუდიხარ, ან რომელ მხარ-თეძოზე შენ მაგას უგორავხარ. რაცა გაქვს, სულ შენი ნაოფლარია. ახლავე ექიმს გამოვიძახებ, აქტს შევადგენინებ და — გაშორდი. ქეთი!.. და თუ ჩახვამენ, ჩახვან. ვინის აბანოში მაგაზე უკეთესი მიუბრძანებიათ და ვბ ვინ-ლა ბრძანდება. შენი და მაგის ერთად ცხოვრება მაინც აღარ შეიძლება.

— არა, ფაცია, შენი ჭირიმე! არავის ჩახმა შე არ მინდა. ცოლი რომ ქმარს უღალატებს, ის გაილახება, აბა, რა იქნება! რახაც გთხოვ, ის გამიკეთე.

— მართლა უღალატე? — ფაციას თვლები აუციმიმიდა.

— უღალატე.

— მერე რა? კანონი მაინც კანონია. — ფაცია მწარბები შეიკრა, აბა, ყველამ რომ ერთმანეთს ურტყას, რა გამოვა?

— კარგი ახლა, ფაცია! შენ შემოგველე, წადი.

— იპ! — ფაცია გატრიალდა და კარი მაგრად გაიბრახუნა, მაგრამ გოგოლას ნათხოვარი მაინც შეუსრულა და ერთ საათში ბიულეტენი შინ მოუტანა.

რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის მესვეურებმა, როგორც იქნა, შეისმინეს აკაკი ნიშნიანიძის ვედრება და ბერიკაცს პენსიაზე გასვლის ნებართვა მისცეს. ოღონდ იმ პირობით, რომ პარტიის ქალაქკომთან ეს საქმე თვითონ შეეთანხმებინა, ეს პირველი, და მეორეც — თავისი შემცველელი, კაცი, რომლის კანდიდატურას ტრესტის მმართველის თანამდებობაზე ქალაქკომიც იყაბულებდა და ქვანახშირის კომბინატის თბილისელი ხელმძღვანელებიც მოიწონებდნენ, თვითონვე უნდა მოედებნა. აკაკი ნიშნიანიძემაც ამ ამბის გაგებისთანავე ლონგინოზ ფეიჭინიშვილს დაურგა:

— ლონგინოზის ჭირიმე, მომილოცე!

ლონგინოზმა დიდი ხანია, იცოდა, რომ ნიშნიანიძე პენსიაზე გადასვლას ვპირებოდა, მაგრამ ისიც უწყობდა, რომ უარს ვუბნებოდნენ. ამიტომ თავდაპირველად ვითომ ვერაფერს მიხვდა.

— რა მოგილოცო?!

— პენსიაზე მიშვებენ, კაცო!

— მერე, ეგ მოსალოცია?! ჩამოგვრჩები, საერთო ფერხულს გამოეთიშები...

— ეეჰ, ლონგინოზ ჩემო! ლონგინოზ ჩემო! ამ ჩემს პადაგრას, ჩემს რადიკულიტს, ჩემს, შენა ხარ ჩემი ბატონი, მარილებს, პოლიართრიტს, ჩემს, რასაკვირველია, ასთმას, — კიდევ ფერხული უნდა? არა, ძმაო, ბასტა! მეყოფა! აწი უჩემოდ იფერხულეთ, მე კი მოვისვენებ და თქვენი, რასაკვირველია, სიჩაუქით შორიდან დაეტკბები.

— მართლა, ამდენი სნეულება ერთადა გჭირს?

— ვითომ შენ არ იცი! და მაგას ახლა სიბერეც მიუმატე. ან რას მერჩით, ძმაო? გასულ წელიწადში — ქვანახშირის საერთო გეგმა — ასორი პროცენტი, თვითღირებულება — ასშვიდი პროცენტი, შრომის, შენ ხარ ჩემი ბატონი, ნაყოფიერება — ასოთხი პროცენტი... ისე ქვანახშირის ხარისხი, ისე ბინათმშენებლობა, ისე ოთხი ახალი

პორიზონტი, ექვსი, შენ ხარ ჩემი ბატონი, ის, რა ქვია... ქრისტეს აღარ იწამებთ და აღარ მომასვენებთ?

— მოგასვენებთ, ბატონო აკაკი, მოგასვენებთ. ვინ მამაძალი!.. მაგრამ...

— ვიცი, რაც გაწუხებს.

— მეც ვიცი, შენ რასაც მეტყვი.

— აბა?

— შენ სარდიონის კანდიდატურას შემომთავაზებ.

— შენ ვითომ უკეთესი გყავს?

— არავინ. სარდიონზე უკეთესი ვინ უნდა მყავდეს? მაგრამ მეორე შახტს რა ვშველება?

— გურასაშვილი ცუდი ბიჭია?

— ქმ!..

— დინჯი, აუნქარებელი...

— აა?..

— წინდახედული...

— შახტში მუდამ სიღინჯე არ ვარგა. ხანდახან ფრთებიც უნდა გამოისხა.

— რასაკვირველია! მით უმეტეს, თუ ჭერი თავზე გუნგრავა. ა?

— ხა-ხა-ხა-ხა!..

— გულიანად გამაცინე. მაგრამ ამისთანა საქმეები ტელეფონით გადაწვევით?

— ამ საქმეებზე მეც და შენც დიდი ხნის ნაფიჭრალი ვართ.

— ეგ მართალია, მაგრამ... მოდი, წესი მაინც შევასრულოთ და ამ ჩემს კაბინეტში მოვილაპარაკოთ.

— ბატონი ბრძანდები.

ათ წუთსაც არ გაუვლია, რომ ნიშნიანიძე ფეიჭინიშვილის კაბინეტში განდა. ლონგინოზმა მას ხელი მოხვია, მიულოცა, ტახტზე დასვა და თვითონაც გვერდით მიუჯდა. და ასევე გადაწვევით: აკაკი ნიშნიანიძის ადგილზე ტრესტის მმართველად სარდიონ რაჭველიშვილი დაინიშნებოდა, სარდიონის მაგიერ მეორე შახტის უფროსად კი — კახაბერ გურასაშვილი.

— გურასაშვილს თბილისი იყაბულებს?

— მე მგონია, კი.

— აბა, საფიჭრალიც აღარაფერი გეჭონია.

გურასაშვილის კანდიდატურაზე თბილისში მართლაც კარგა ხანს იყოყმანეს. მაგრამ სხვა კანდიდატურა არსად იყო. თბილისში მომუშავე ინჟინრებს რაიონში წასვლას ვერ უხსენებდით. ნიშნინიძისთვის კი კომბინატის ხელმძღვანელებს უკვე პირობა ჰქონდათ მიცემული, პენსიაზე გიშვებთო და სხვა რაღა ჩარა იყო, ბოლოს და ბოლოს, გურასაშვილის კანდიდატურაზე დათანხმდნენ.

მეორე დღეს ფეიქრიშვილმა სარდიონი გამოიჩახა.

- როგორ გიკითხოთ?
- არა მიშავს.
- იცო, რისთვის დაგიძახე?
- მთელმა ჭალაქმა იცის.
- ყაბული ხარ?
- არა.
- რატომ?
- მაგის მოყოლა შორს წაგვიყვანს.
- მაინც?
- პენსიაზე მე თვითონაც მალე გადავალ. ტრესტის მმართველი ისევ საძებარ გეყოლებათ.
- ჩვენზე ზრუნავ?
- ადამიანი ადამიანის ძმა და მეგობარია.
- გმადლობთ!
- არაფრის.
- ვინ გითხრა, პენსიაზე მალე გადავალო?
- მე ასე ვფიქრობ.
- მამ! ეს მითხარი: პადაგრა გვირის?
- არა.
- ასთმა?
- არა.
- რადიკულიტი?
- კი.
- რევმატიზმი?
- კი.
- პოლიართრიტი?
- არა.

— შენ, ძმაო, კაჟივით ცაცე ყოფილხარ. ზირდაპირ მშურს, მე შენ გელაპარაკები. რევმატიზმი და რადიკულიტი რა სახსენებელია! მოდი, ჩემო სარდიონ, ასე გადავწყვიტოთ: ტრესტი შენ ჩაიბარე, შახტი გურასაშვილს გადააბარე და ერთი ხუთი თუ

მედი წელიწადი მეც მომსვენე და თქვენც მოისვენეთ. გაიგე?

- ჩემი დაწინაურება არ შეიძლება.
- რატომ?
- ამასწინათ საყვედური არ მომარტყინო?
- ეგ არაფერი, თან დაგაწინაურებთ და თანაც გაგაფრთხილებთ, კადრების შერჩევის საქმეში წარსულის შეცდომები გაითვალისწინეთ. თანახმა ხარ?
- მე აღარაფერს შევითხებით?
- აღარაფერს.
- თუ ვერა, თანახმა ვარ.
- დიდი მადლობა!
- არაფრის.
- ხა-ხა-ხა-ხა!..
- ეჰ, ჩემო სარდიონ, შენ კი ივარგებ აკაკის ადგილზე, ვიცი, მაგრამ გურასაშვილისა რა მოვასხნო. იქნებ, ცოტა წაიონნოს კიდევ. მაგრამ რა ვქნათ, ის ბერიკაცი აღარ მოვასხნოთ! კაცს ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე სული ეხუთება, ქრისტე აღარა გწამო?
- გვწამს, ბატონო ლონგინოზ, გვწამს.
- ჰოდა, ასე.



გოგოლა შახტზე ათი დღე აღარ გამოჩენილა. საიდანღაც ყველამ გაიგო, თუ ამისი მიზეზი რა იყო, და ახლა თეიმურაზს მზერას ის ადამიანებიც კი არიდებდნენ, ვინც ჯერ კიდევ გუშინ ძმად და მეგობრად მიანდა. დილით, სამორიგეოში თეიმურაზის შესვლას შემახტებები ისეთი ყინულისებურ დუმილით შეზღვდნენ, ხოლო ზოგიერთმა ერთმანეთს ისეთი მრავალმეტყველი მზერა ესროლა, რომ ახალგაზრდა ინჟინერს საქციელი წაუხდა და ცვლის შემახტებებს დავალელებში ისე გაუნაწილა, რომ კურნალიდან თავი ერთხელაც არ აუწვევია. არადა, გოგოლას წინაშე სულის ხილრმეში არავითარ დანაშაულს არ გრძობდა და ისიც კი ვერ მოეფიქრებინა, თუ ამ თემაზე შემახტებთან ლაპარაკი როგორ და როდის დაეწყო: „ისე გაავებული მომჩერებიან, რომ ერთ სიტყვასაც კი არ დამიჯერებენ, და, მართალნიც იქნებიან: ჩემი გულისთვისაა, რომ ის ქალი ლოგინიდან ვეღარ დგებოთ“, —

ფიქრობდა ახალგაზრდა ინჟინერი და ეუ-
რნალის გრაფებს გულისგარეთ ავსებდა.
ანთიმოზ ჩახუნაშვილმა დრო იხელთა და
მთელი ეს ამბავი სარდიონ რაჭველიშვილს
ჩაუკაკლა. მას შახტის უფროსთან ურთიე-
რთობის გამოკეთება უნდოდა და აღარაფ-
ერს ფრიდებოდა, მით უმეტეს, რომ სარდი-
ონს დაწინაურების ამბავიც გაგებული ჰქო-
ნდა და ფიქრობდა, ვინ იცის, სად წაეაწყ-
დებიო.

სარდიონს ფერი ეცვალა.

— ნამდვილია?

— სამწუხაროდ, წყალი არ გაუვა ბატო-
ნო სარდიონს.

— კაცო, აკი გოგოლა გათხოვდა და და-
წყნარდაო?

— გათხოვდა და დაწყნარდა, ბატონო.
უკეთესი მეოჯახე ქალი ამ ახლო-შახლო
არსად იყო. მაგრამ ქალაქელი ბიჭი თუ
სოფელელ გოგოს შეურნდა...

— კმ!

— დიას.

— ქმარი სადლა იყო?

— ქმარი იმ ღამეს შორიგეობდა.

— მეჩე?

— მეჩე — ყველაფერი ისე, როგორც
მოგახსენეთ.

— და ჩაფიჩაძეს უცემია?

— სასტიკად. ქალი ფეხზე ველარ დგე-
ბა.

— კმ!

— თავმოყვარეობა, ბატონო... რა ვუ-
ყოთ, რომ ის იმაზე ნახწავლია.

— კარგი, წადი.

— გეახლებით. თუ კიდევ რაიმე გავი-
ბე, მაშინვე...

— აბა, შენ იცი!

ჩახუნაშვილი კაბინეტიდან ისე გაიძურ-
წა, რომ უკან ერთხელაც არ მოუხდენია.
მან არც კი იცოდა მისმა მოტანილმა ამბავ-
მა სარდიონს როგორი თავზარი დახცა.

* * *

სარდიონის ცოლს, თეოლინეს, ქმრის და-
წინაურება არცა სწყინდა და არც უზარო-
და. უკვე კარგა ხნის წინათ მიეჩვია იმ
აზრს, რომ, ადრე თუ გვიან, ეს ასეც უნდა
მომხდარიყო. ამით თვითონ თეოლინეს

ცხოვრებაში ბევრი არაფერი შეიცვლებოდა.
შვილი, ღვთის წყალობით, მოწყობილი და
დაბინავებული ჰყავდათ, ბინაც კარგად
და, ახლანდელი დროის კვალობაზე —
მშვენივრად მოწყობილი, შოფრიანი შავი
„ვოლგა“ თეოლინეს ახლაც ემსახურებოდა
და მაშინაც მოემსახურებოდა. ასე რომ —
ცვლილებები დიდი არაფერი. ოღონდ ეს
არის, ტრესტის მმართველს მაინც შახტის
უფროსზე უფრო მოსვენებული ცხოვრება
აქვს და უფრო პატივცემულიცაა. იმას ვე-
რავინ გაუბედავს ნაშუალამვეს გაღვიძებას
— სანგრევის ჭერი ჭრილობებს და ხომ არა-
ფერს გვიჩვენო. შახტზე მართლაც გაუგ-
ონარი რამე უნდა მოხდეს, რომ ტრესტის
მმართველს გაღვიძება გაუბედონ. პოდა,
ამიტომ სარდიონსაც უფრო მოსვენებული
ცხოვრება ექნება. მისთვისაც და თეოლინე-
სთვისაც დილა დილას დაემთავსება, ნა-
შუადღევი და სადილობა — ნაშუადღევსა
და სადილობას, საღამო და მოსვენება კი
— საღამოსა და მოსვენებას. თბილისშიც
უფრო ხშირად ივლიან და იმ ბიჭსაც,
რძალსაც და შვილიშვილსაც უკეთესად
მიმხედავენ ეს არას და ეს. მაგრამ, კაცმა
რომ თქვას, ცოტა არც ესაა. ადამიანი უმა-
ღური და დაუნახავი კი არ უნდა იყოს. ეს
ამბავი ცოტა უფრო ადრე რომ მომხდარი-
ყო, რაღა თქმა უნდა, ბევრად უფრო უკე-
თესი იქნებოდა. თეოლინემ ბევრი მაგალი-
თი იცის, როცა რომელიმე ტრესტის მმარ-
თველად ორმოცი თუ ორმოცდახუთი წლის
კაცი დაუყენებიათ. მაგრამ ეს დაწინაურე-
ბა დიდად დაგვიანებული არც სარდიონის-
თვისაა და სიმართლე უნდა ითქვას, ნამდ-
ვილად მადლობისა და პატივისცემის ღირ-
სია ის ხალხი, ვინც სარდიონს ამდენი ხნის
მძიმე და თავდადებული შრომა დაუფასა.
თორემ ტრესტის მმართველობა სხვასაც
ბევრს ენდომებოდა. ტრესტის მმართველი
— მაინც ტრესტის მმართველია. უემისოდ
რაიკომის ბიუროს არცერთი სხდომა არ
დაიწყება. ღმერთია მოწამე, თეოლინეს ამ
ცხოვრებისაგან ბევრი აღარაფერი უნდა,
ღმერთმა შვილი. და შვილიშვილი კარგად
უმყოფოს... მაგრამ რაღა გავწყობა, თეო-
ლინე ტრესტის მმართველის ცოლობასაც
შეინსოებს და სარდიონს გვერდში ისე ამ-

ოუდგება, როგორც საჭიროა. მორჩა და გათავდა.

თეოლინე ამ ფიქრებში იყო გართული, როცა წინკარიდან გასაღების ჩხაკუნით მოქსმა. სარდიონი მოსულიყო. თეოლინეს სადღილი უკვე მზად ჰქონდა. ეგ კი არა, დღეს სარდიონს სადღილად ათი კაცი რომ მოჰყოლოდა, — ასეთ დროს ამხანაგებმა ატორღილება იციან, — თეოლინე არც მაშინ შერცხვებოდა. სამწარეულო საჭმელ-სასმელით ჰქონდა გამოტენილი.

მაგრამ სარდიონს არავინ მოჰყოლია. სახეზე ადამიანის ფერი არ ედო. წინკარში შემოვიდა, სველი ლაბადა საკიდზე მიადო, — გარეთ კარგა მაგრად წვიმდა, — და, თეოლინესათვის არც კი შეუხედავს, ხელ-პირის დასაბანად აბაზანაში შევიდა.

„რალაც უსიამოვნო შეემთხვა. — იაზრა თეოლინემ, — ისეთი რა უნდა იყოს? ავარია რომ მომხდარყო, უკვე მთელ ქალაქს ეცოდინებოდა. აქაც დარეკავდნენ...“

თეოლინე მიჩვეული იყო, რომ სარდიონისათვის არასოდეს არაფერი უნდა ეკითხა. დრო მოვიდოდა და ქმარი ყველაფერს თვითონ მოუყვებოდა. სუფრა გააწყო. ნიხირთმით სავსე თფეში დაუდგა და სამარკო „ოჯალეშიც“ თავისი ხელით გაუხსნა. შავი პური დაუჭრა — სარდიონს წვნიანზე შავი პური ერჩია. სარდალნი შავიდას ისე მიუჯდა და ჭამა ისე დაიწყო, რომ ხმა არც კი ამოუღია. მოშიებული კი უნდა ყოფილიყო. ჩიხირთმა მალე მოათავა და მიიხედ-მოიხედა.

— კიდევ?

— სხვა რა გაქვს?

— ყველაფერი.

— ისევ ეს დამისხი.

თეოლინემ თფეში ისევ გაუვსო. სარდიონმა რამდენიმე კოვზი მოსვრიბა. კოვზი დასდო, საპურე გვერდზე მისწია და მიიხედ-მოიხედა.

— ამდენი რა ამბავია? — იკითხა უკმაყოფილო კილოთი.

— აბა, აბა, აბა! — თეოლინემ ხელები მკაცრად გაასავსავა, — შენ თუ უკუნებოდ ბრძანდები, გადი, ჰაერზე გაიარ-გამოიარე და გაგივლის. წვიმამ სწორედ დაწყენარება იცის.

— რას მიჯავრდები, ქალო?

— არაფერს. ვეღარ გავიგე რა გინდა. ჩიხირთმა? აგერაა. სხვა რამე? ა, მატრონ! თუ გგონია, ტრესტის მმართველად გადაყავსარ და ამიტომ მე მოსამხახურედ დაგიდგები? მანამდე არაფერი გეტყვია!

— ნეტავი მე თავს დამანებებდნენ და მაგ ტრესტის მმართველად თუნდაც ემშაქი გადაუყვანიათ.

— ბაწარი ჩაგაბეს და ისე მიგათრევენ?

— ნუ მიყვირისარ, თუ ხათრი გაქვს.

— არაფერსაც არ გიყვირივარ. თუ ჩიხირთმა აღარ გინდა, ეგერ კატლეტებია. და ეს ღვინოც — საყურებლად კი არ მომიტანია. დაისხი და დალიე. სხვა ცოლები ქმრებს ღვინოს უმალავენ და მე იქით გვევეწები. მეტი რალა გინდა?

— ეს ღვინო აღარც კი გამისენებია.

— ვხედავ.

სარდიონმა მალაღფენიანი ბროლის ჭიქა პირთამდე გაავსო ვარდისფერი, გამჭვირვალე ღვინით, რალაც თავისთვის ჩაიბუტბუტა და ჭიქა სულმოუთქმელად გამოსცა-ლა.

— ნეტავი რა წაიბუტბუტე?

— დავილოცე.

— დალოცვა მე ხმამალა გამივია.

— შემარგე ახლა...

— შეარგე! — თეოლინე წამოდგა და სამწარეულოში გავიდა.

აი, ეს არის შახტის უფროსის ცოლობა! არასოდეს არ იცი, ქმარი სამუშაოდან როგორ ხასიათზე მობრუნდება. ხან რა გამოუტყვერება და ხან რა. თუ აწინაურებენ, ბარემ დააწინაურონ, თორემ სიცოცხლე მართლაც გამწარდა და ეს არის.

სამწარეულოში გაბჭურაზე თეოლინეს შემწვარი წიწილეთი ჰქონდა თბილად შენახული. სარდიონს ამხანაგები რომ მოჰყოლოდნენ, ამითი გაუმასპინძლდებოდა. ახლა იფიქრა, ისევ სარდიონს მივეტანო. მაგრამ სამწარეულოში შესულს მოულოდნელად ისევ ბრაზი წაეკიდა, — რომ იბღვირება, რას იბღვირება, არაფერ წიწილასაც არ მივეტან, თუ უნდა, ისევ კატლეტები ინებოს და მოისვენოსო.

მაგრამ ოთახში დაბრუნებულმა თეოლინემ დაინახა, რომ სარდიონი ისევ წარმშეკრუ-

ლი იჯდა მაგიდასთან. თეოლინეს ქმარი გუნებაზე „ოჯალეშმაც“ ვერ მოიყვანა. ასეთ მძიმე ხასიათზე ეს კაცი სახლში იშვიათად თუ მოსულა. მთელი სიცოცხლე შახტში გაატარა, ავარიუბსაც მიჩვეული იყო და იმასზე უარესებსაც, ახლა რაღა უნდა მომხდარიყო? თითქოს დღეს თუ ხვალ ტრესტი უნდა ჩაებარებინა?

— შემწვარი წიწილა ხომ არ გინდა?

— არა, არაფერი აღარ მინდა. — სარდიონმა ტიქა გასწია, მძიმედ წამოდგა და საწოლ ოთახში გავიდა.

თეოლინეს მაგიდა არ აულაგებია, ისე შვალამაზა — იქნებ, მაინც ვინმემ შემოიხედოსო. ხელსაქმე აიღო და საწოლ ოთახში შევიდა. სარდიონს ფესსაცმელები გაეხადა და საწოლზე გულადმა გამოტილიყო. ეს მუდამ ასე ხდებოდა ხოლმე. მაგრამ სარდიონს ნასადილეგს გაზეთების კითხვა უყვარდა, ახლა კი გაზეთები ხელუხლებლად ეწყო თეოლინეს საწოლზე, სარდიონს კი ხელები თავქვეშ ამოეწყო და ჭერს მისჩერებოდა.

— აღარ იტყვი, რა დაგემართა?

— არაფერი.

— მაინც?

— გეუბნები, არაფერი-მეთქი.

— ტრესტში აღარ გადადინხარ?

— აბა, რას ვშერები?

— შახტზე რა მოხდა?

— მოხდა. — სარდიონი უცბად წამოდგა და გაიარ-გამოიარა. — ადგა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ეს შენი მოწონებული თეიმურაზ არჯევანიძე, ეგ მართლა ღლაპი! და საყვარელი არ გაიჩინა? და ახლა ვინ? გოგოლა ხომასურდიძე.

— მაგისი საყვარელი შენ რაში გვეითხება?

— იფ!

— არა, კი, გვეითხება, რაღაი შახტის უფროსი ხარ, პასუხს ყველაფერზე შენ აგებ, მაგრამ... რა ვიცი, შენგან გამიგონია, უსაყვარლო მაგენში ერთი არააო და ამ არჯევანიძესთან რაღა გინდათ?

— აღბათ, გვინდა. სხვებს ჰყავდეთ, ბატონო, თუ უმაგისობა არ შეუძლიათ, მაგას კი არ უნდა ჰყავდეს, გაიგე?

— ე გოგოლა ხომასურდიძე ვინდა?

— გოგოლა აღარ გახსოვს... გახსოვდა, ოჯახი შექმნა... ახლა კი ისევ არსადარია ყველაფერი. ის გოგო ქმარმა გარდა... გალახა კი არა, სიკვდილის პირამდე მიიყვანა. მემახტეები ისე გამწარებული არიან ამ შენ არჯევანიძეზე, რომ მაგისი დანახვაც აღარ უნდათ. ეს მე თვითონ შევამოწმესხვას რომ ეთქვა არ დავიჯერებდი.

— ეს არჯევანიძე ჩემი როდის გადასულ ორჯერ თუ მყავს ნახული.

— არა, ბატონო, ჩემია. ყველაფერი ჩემია, ბრალიც ჩემია და... თავს აღარ დამანებებთ?

— იქნება ჭორია?

— შენც არ მომიკვდე!

— კმ!

— გადავყვი, ბატონო. არავის უნდოდა. ძლივს მემახტეებმა შეითვისეს. თითქოს, ყველაფერი მოწესრიგდა და — ე! — ადგა და თავი პირდაპირ ტალახში სტყუა.

სარდიონმა პაპიროსს მოუკიდა და მაგრად მოჭაჩა.

თეოლინემ ხელსაქმე გვერდზე გადასდო.

— სარდიონ?

— ა!

— რას გეტყვი, იცი? ყველაფერი თვითონ იმ გოგოს ბრალი იქნება.

— კარგი ერთი...

— მე შენ გელაპარაკები. მე თვითონ ქალი ვარ და მაგისთანობა არ შემეშლება. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ მაგ არჯევანიძემ ქალს რაიმე შეუბედოს. აპ! ა, ბატონო, ეგ ბიჭი სულ ორჯერ თუ მყავს ნახული, ხომ? ა, ბატონო, ეს კისერი მომიჭერი, თუ ეგ მაგ საქმეში დამნაშავე იყოს.

— ღამე კი კარგად გაუთია და! ახლა ეძიე შენ, ამან იმას შეუბედა, თუ იმან ამას.

— არა, ეგ ვერ მოსვლია კარგად. მერე?

— რაღა მერე? ვერ ხედავ, აკაკი ნიშნიანიძე მანამდე არ გადავიდა პენსიაზე, სანამ მთელი ტრესტის საქმეები არ მიასწორ-მოსაწორა? მე კი რა მჩიება უკან? თუ ისევ მაგ უბანზე ვათიო და ვაღამო? გეუბნები, მემახტეებს მაგ ბიჭის დანახვა აღარ უნდათ. მორჩა!

— კმ!

— აბა!

— შევარცხვინე მაგისი ვაჟკაცობა!
 — ვისი?
 — ვისი და მაგ არჯევანიძის!
 — ახლა არ თქვი, უდანაშაულოაო?
 — არა, მთლად ბოლომდე მაგას არც ახლა ვამტყუნებ. მაკრამ თუ ის ქალი თვითონ მიადგა, კარი მაინც არ უნდა გაედო. აი, ვაჟკაცი მაშინ იქნებოდა!
 — ჰოდა, აგაშენა ღმერთმა! მეც მაგას არ ვამბობ?
 — ახლა ტრესტში ველარ გადახვალ?
 — ოჰ, თუოლინე, პირდაპირ მაკვირვებ, მე ნუ მოგაკვდებო! ახლა ვინღა მკითხავს, გადავალ, თუ არ გადავალ. ეგ საკითხი უკვე გადაწყვეტილია.
 — შენ ეგ თქვი! ოჰ, ღმერთო დიდებულო! არა, მოსვენება აღარ უნდა გვედირსოს? მთელი სიცოცხლე ასე უნდა ვიწვავალოთ?!

— ყველაფერს ბედი უნდა.

ეროვნული
 * * * პოლიტიკა

აი, სწორედ ეს იყო ის მძიმე ამბები, რომელიც თეიმურაზ არჯევანიძეს ბედმა არგუნა. მეორე თუ შესამე დღეს სარდიონი ტრესტში გადასვლის თადარიგს შეუდგა და თეიმურაზისთვის ველარც კი იცლიდა. როცა შემთხვევით გადაეყრებოდა, ცივად, გულისგარეთ მიესალმებოდა ხოლმე და ხმის გაუცემლად გაეცლებოდა. გურასაშვილი საერთოდ არ იყო ხასიათზე, აღარც კი შეკითხვებიან, ეს ოსერი შახტის უფროსობა მინდა თუ არაო, და თეიმურაზისთვის ნამდვილად არ სცნვოდა. გურასიზე ცნობილადე საფლავში იწვა. თეიმურაზ არჯევანიძის გვერდით ერთი კაციც კი აღარ იყო, ვისაც იგი გაჭირვების დროს დაენდობოდა.


თავი მესამე

სარდიონს შახტზე გასაკეთებელი ერთი საქმელა რჩებოდა: გურასაშვილის ადგილზე შახტის მთავარი ინჟინრის კანდიდატურა უნდა შეერჩია. ადგილი საქმე არც ეს იყო. სარდიონი ჯერ ფიქრობდა, როცა ტრესტს ჩავიბარებ, იქ რომელიმე განყოფილებაში ვინმე ახალგაზრდა ინჟინერს შევარჩევ და გურასაშვილის ადგილზე გამოვგზავნიო. მაგრამ ტრესტებსა და სამმართველოებში მომუშავე ინჟინრებს სარდიონი მუდამ უნდობლად ეკიდებოდა, — ცოცხალ საქმეს მოწყვეტილი არიან, მიწისქვეშეთში საათნახევარსაც ღლივს ხძლებენ და უბრალო შემახტეს როგორ დაელაპარაკონ, ისიც კი არ იციანო. ამიტომ ტრესტის ინჟინრებზე ახლავე ხელი ჩაიჭნია და შესაფერის კანდიდატურას ძებნა თავისივე შახტის ინჟინრებში დაუწყო. არჩევანი ახალგაზრდა ქუთაისელ ინჟინერზე გედეონ ხაზარაძეზე შეაჩერა.

რვა თუ ცხრა წელი იქნებოდა, რაც გედეონი ქუთაისიდან ჩამოვიდა. სიტყვაძვირი, თავმდაბალი და წიგნის მოყვარული

ახალგაზრდა იყო. ჩამოსვლის მეორე დღესვე ქალაქის ბიბლიოთეკაში ჩაეწერა და სამი თუ ოთხი წიგნი ერთად გამოიტანა. საერთო საცხოვრებლის ოთახში ამხანაგები რომ არ შეეწუებინა, შებინდებისას დერეფანში გამოდოდა, ნათურის ქვეშ სავარძელში ჩაჯდებოდა და შუალამედე, თუ სადმე საქმეზე არ გამოიძახებდნენ, თავად ეღებოდა კითხულობდა.

შუშაობა უბრალო თანამდებობაზე დაიწყო. ეჭვსი თუ რვა თვე ცვლის უფროსად იმუშავა, მერე პატარა, მოსამზადებელი უბნის უფროსის თანამუშევრად გადაიყვანეს. ისე მოხდა, რომ საექსპლუატაციო უბანზე არასოდეს უმუშავებია, მაგრამ შახტზე მცოდნე, წინდახედული და საკმაოდ ინიციატივიანი სპეციალისტის სახელი მოიხვეჭა. მოსამზადებელი უბნიდან მთავარი მექანიკოსის თანამუშევრად გადაიყვანეს, იქიდან შახტის ვენტილაციის უფროსად. ამ თანამდებობაზე სამი წელიწადი იმუშავა და ერთი სერიოზული შეცდომაც კი არ მოსვლია. მერე სარდიონმა საწარმოო განყოფილების უფრო



ოსის მოადგილედ გადაიყვანა, იმ ვარაუდით, რომ დრო მოვა და მაგ განყოფილებას ჩაიბარებსო. მთელი შახტი და თვით გედეონიც უკვე მიწვეული იყო იმ აზრს, რომ მოხუცობაში შესული დიმიტრი იობაშვილი მას უნდა შეეცვალა, მაგრამ ახლა მთავარი ინჟინრის კანდიდატად გედეონზე უფრო შესაფერი არავინ ჩანდა და სარდიონმაც არჩევანი მასზე შეაჩერა.

სარდიონს გედეონის ერთი თვისება მუდამ განსაკუთრებით მოსწონდა: არასოდეს იმის ძიებას არ დაიწყებდა, თუ ერთი თანამდებობიდან მეორეზე რატომ გადაჰყვებათ. მიაჩნდა, რომ რაჟი ასე აკეთებდნენ, ალბათ, საჭიროც იყო. ყოველგვარ სამუშაოს ერთნაირი გულისყურით ეკიდებოდა. ამ გადაყვანა-გადმოყვანაში ერთხელ თუ ორჯერ ისევ მოხდა, რომ გედეონი შედარებით ნაკლებ ხელფასიან თანამდებობაზე მიხვდა — ფენტილაციის უფროსად გადაყვანისას თვიურად ოცდახუთი თუ ოცდაათი მანეთი დააკლდა. მაგრამ ხმაც კი არ ამოუღია ამ ნაკლებხელფასიან თანამდებობაზეც ისევე მონდობებით მუშაობდა, როგორც მანამდე. „ეგ იმიტომო, — ამბობდნენ ბოროტი ენები, — რომ მარტოხელა კაცია, შვილი არ აწუხებს და ძირი, ის საში თუ ოთხი თუმანი გინდა ჰქონია და გინდა არა, რაცა აქვს, ისიც თავზე გადასდისო... მოვიცადოთ, დაცოლშვილდება და საშინ ვნახოთ, როგორ აგაკუნდებაო.“ მაგრამ გედეონი ჯერჯერობით დაოჯახებას არ აბრუნებდა და ყოველ საქმეს, რომელსაც კი მანდობდნენ, პატიოსნად უძღვებოდა.

„უკეთესი კანდიდატურა მე არ მომიყვება. — გადაწყვიტა სარდიონმა, — ოღონდ არ უნდა შეშინდეს. ეს სახუმარო საქმე არ არის. თუ ოდნავ იჭვი და გაუბედაობა შევამჩნიე, ძალას აღარ დავატან.“

სარდიონმა თადარიგი დაიჭირა, რომ შახტზე ჯერჯერობით არავის არაფერი გავგო და გვიან ხალამოს ხაზარაძე თავის კაბინეტში გამოიძახა.

გედეონი მალალი, ძალიან გამხდარი, ვიწრომხრებიანი, წელში ოდნავ მოხრილი, გრძელხელბიანი ახალგაზრდა იყო. მალალი, ასაკისათვის შეუფერებლად ფეხიანად შუბლი ჰქონდა და შუბლქვეშიდან დაკვირ-

ვებული, ოდნავ შიშივე გამოხედვა სწევდა. კაბინეტის კარი უხმაუროდ შექოლდებოდა იქვე გაჩერდა და სარდიონს თავისი მხარე თავი დაუკრა.

— შობრძანდით, გედეონ! — ხაზარაძეს სარდიონი მუდამ ძალიან თავაზიანად, ხოლო ზოგჯერ „თქვენობითაც“ კი ელაპარაკებოდა — როგორ გიკითხოთ?

- გმადლობთ!
- სარდიონმა გედეონი ტახტთან მიიყვანა, დასვა და თვითონაც გვერდით მოუჯდა.
- ახალი ამბები გეცოდინებათ.
- დიას!
- მაინც?
- თქვენს შესახებ. ტრესტის მმართველის შესახებ.
- კიდევ?
- მეტი არაფერი.
- ჩემს ადგილზე გურასაშვილი იქნება.
- დიას!
- ეს არ იცოდით?
- არა.

— კახაბერი იქნება. ცოტათი კი აიშირია, მაგრამ... ეს ყოველთვის ასეა. ადამიანს ყოველთვის ამინებს, რაც არ გამოუცდია, თორემ შახტის უფროსობა უფრო ადვილია, ვიდრე მთავარი ინჟინრობა. ამას გამოცდილება მაღაპარაკებს — მე შახტის უფროსადაც მიმუშავებია და მთავარ ინჟინრადაც.

- დიას!
- მთავარი ინჟინრობა კი, ბატონო გედეონ, ახლა თქვენ უნდა გთხოვოთ.
- მე?!

ხაზარაძე ანაზღად სახეზე წამოწითლდა. ოღონდ ძნელი ვახაგები იყო, ის წამოწითლება სიხარულს მოასწავებდა, თუ შეკრთომას.

- თქვენ! და მხოლოდ თქვენ. რა, ვერ შეძლებთ?
- რა მოგახსენოთ...

არა, ის წამოწითლება სიხარულის არ უნდა ყოფილიყო. გედეონი არ იყო იმისთანა კაცი, რომ დაწინაურება გახარებოდა. დააწინაურებდნენ — კარგი, არადა — კიდევ უკეთესი. აზრსა და შინაგან კმაყოფილებას იგი ყოველგვარ საქმიანობაში პოულობდა. ის წამოწითლება უფრო შეკრთომისა უნდა ყოფილიყო.

— ეს ძალიან კარგია, ბატონო გედეონ, რომ საქმისადმი ასეთ პასუხისმგებლობას გრძნობთ. ბევრი მინახავს, რომ სულს ღვედნენ, რაიმე თანამდებობაზე როდის დამნიშნავენო, მერე კი... თუმცა ეს ლაპარაკი ახლა არად გვირდა...

სარდიონი წამოდგა და გაიარ-გამოიარა.

— მაინცდამაინც მძიმე მემკვიდრეობას არ უნდა გიტოვებდეთ. რა ვიცი... შენ თვითონ, ჩემო გედეონ, რვა თუ ცხრა წელიწადია, ამ შახტზე ტრიალებ და ყველაფერი მშვენივრად იცი. ხალხი კარგი გყავს. მიჩვენებლები — შენც მოგესხენება, ხაწარმით განყოფილებაში მუშაობ. ერთადერთი — მესამე უბნის საქმეები მაწუხებს. ჩემი ნება რომ იყოს, შახტზე კიდევ რამდენიმე თვეს დადარჩებოდი და მაგ საქმესაც გამოვასწორებდი, მაგრამ... აღარ შეიძლება. არადა, მე და აკაკი ნიშნაინიძე ცას ხომ ვერ გამოვგვევრებით, აღარ უნდა შეგვეცვალოთ? არ შეტყვიან, ოც წელიწადში შახტზე ორი კაცი ვერ გამოიზარდეთ? კახაბერს მაინცდამაინც დიდ ხალისს ვერ ვატყობ. ახლა კიდევ...

სარდიონმა ხელი ჩაიქნია, პაპიროსი გააბოლა და გედეონის წინ სკამზე დაეშვა. კარგა ხანს ხმა არ ამოუღია. მერე სკამზე გასწორდა და ისევ ალაპარაკდა.

— ერთადერთი, რაც ახლა ნამდვილად მაწუხებს, ისევ და ისევ მესამე უბანია. ახლა ბევრი ამბობს, სარდიონი აჩქარდაო, არ უნდა აჩქარებულიყო, რომ არ აჩქარებულიყო, უკეთესი იქნებოდაო... ხალხს სალაპარაკოს რა გამოუღვევს... მაგრამ ვე ბიჭი რომ იმ გოგოს არ გადააკიდებოდა, მე შენ გარწმუნებ, ყველაფერს მოეველებოდა. ყველაფერს! ახლა კი არ ვიცი, რა და როგორ იქნება. ნამდვილად არაფერი ვიცი. ამიტომაცაა, ძამიკო, რომ ტრესტში გადავდევარ, ფეხები კი უკან მრჩება.

— ვე ამბავი შეც ვიცი.

— გვეცოდინება. ან ვინ აღარ იცის. მა-

გაზე უარესს ვე ბიჭი ვერაფერს იზამდა. მოადგილე მაგას არ უცარტა, ყველაფერებით და ადგილიდან ვერ დაუძარიო. ამასწინათ უბანზე კაცი დაიღუპა. ახლა გერასიმევე ხელიდან გამოგვეცალა. ოდიბაშვიე რაღაცას ეძებს და ვერ უპოვნია. როდის და რას იპოვნის, ის ალაპმა იცის. ჰოდა, ასეთ დროს... ეპ!..

სარდიონმა ხელი ჩაიქნია, ისევ წამოდგა და გაიარ-გამოიარა.

— ერთი სიტყვით, ვერჯერობით თითქმის ყველაფერი რიგზეა. მაგრამ მე არ გამოვივრდებო, ხვალ თუ ზევ მაგ უბანზე ყველაფერი რომ აირ-დაირიოს, კახაბერმა ეს უკვე იცის და, ალბათ, ამრეზილი ამიტომაცაა. ახლა შენც გეუბნები. ახლა, ჩემო გედეონ, როგორც გინდა. ძალახ, რა თქმა უნდა, ვერ დაგატან. მაგრამ მე მთელი სულითა და გულით მინდა, რომ შენ კახაბერს გვერდში ამოუდგე. აი, ამის თქმა მინდოდა მე შენთვის. ისე, რა თქმა უნდა, მე თვითონაც მუდამ აქ ვიტრიალებ. ჩემი არეული საქმე ისევ მე უნდა გამოვასწორო. ა? რას იტყვი?

— ბატონო?

— თანახმა ხარ?

— რა მოგახსენოთ...

— ბევრი ფიქრის დროც აღარ არის. ხვალ თუ ზევ ჩემზე და აკაკი ბრძანებები დაიწერება. შახტს უმთავარი ინჟინროდ ხომ არ დავტოვებ.

— მესმის.

— ჰოდა, გადაწყვიტე. თუმცა, მოდი, არ აგაჩქარებ. ასე აჯობებს. ამაღამ იფიქრე და ხვალ დილით პასუხი მითხარი. თანახმა ხარ?

— დიახ!

მეორე დილით ხაზარაძე სარდიონს დილის ათ საათზე ეახლა და მოახსენა, თუ თქვენ თვითონ არ გადაგიფიქრებიათ მე თანახმა ვარ, მთავარი ინჟინრის თანამდებობა დავიკავო.

იმ უკუღმართი კრების შემდეგ ჯიბრაილის თვალებს ძილი არ მიჰკარებია. ნამუ- აღამეგს იფიქრა, გავალ და სუფთა ჰაერს მაინც გადავყლაპავ, იქნება, ცოტა დაეწყ- ნარდო. ჩაიკვა და გავიდა. თვითონაც აღ- არ ახსოვდა, უგზოუკვლოდ რამდენი ისე- ტიალა. ხუთი წლის წინათ გაუქმებული მე- რეე შახტის ჩაბნელებულ, გაუდაბურებულ ქვოს რომ მიადგა, მაშინდა მოისახრა შორს წამოესულვარო. გამოტრიალდა და სახლის გზას დაადგა. დილის სამი საათი სრულდებოდა. ჯიბრაილს თავი ტყვიასავ- ით ჰქონდა დამძიმებული, ძილი კი მაინც არ ეკარებოდა. ძილი კი არა, ერთ ადგილ- ზეც ვერ ისვენებდა და ხატანგში გამომწყ- ედებული ნადირივით წრიალებდა თამბაქოს ბოლით გამოტენილ ოთახში.

ჯიბრაილი ასე მარტო არახოდეს ყოფი- ლა. საღამოს, ირინეს რომ შეუყვარა, ცო- ლმა გაკვირებისაგან გაფართოებული თვა- ლებით შეჰხედა, გოგუტუნა ოთახიდან გა- არბენინა და მას აქვთ ჯიბრაილისკენ აღ- არც კი გამოუხედავს. ჭარცივადის ქალს წვეინის ადვილად პატიება არ სჩვეოდა. ირ- ინეს არც ის აინტერესებდა, თუ ახალ შა- ხტზე ჯიბრაილს როგორ შეხედუნენ. თავის ქმარზე მას მაინც ძალიან დიდი წარმოდ- გენა ჰქონდა, — რა ვუყოთ, რომ უსწავლე- ლია, სამაგიეროდ ვაკეაკობაში ვერაფერს შეედრებო, — და ვერც კი წარმოიდგენდა, თუ შეიძლება, ჯიბრაილისათვის ვინმეს რაიმე ეკადრებინა. ჯიბრაილს ირინესათვის იმ უკუღმართი კრების ამბავი დაწერი- ლებითაც რომ ეამბნა, ირინეს, შეიძლება, მხიარულად გადაეცისკისა. გულთან ხომ არაფრით იმ ამბავს არ მიიტანდა. ტყუოდა, ვე არაფერი, სამუშაოზე ვეგეთი გაუგებრობა ვის არ შეხვედრია, შენ შენებურად იმუშა- ვე და ყველაფერი მოწესრიგდებაო. და ყველაფერი ამით გათავდებოდა. ესეც არ იყოს, ირინეს ახლა მხოლოდ ერთი რამ აინ- ტერესებდა — ჯიბრაილს ატესტატი უნ- და აედო. ამის მეტი ირინესთვის ქვეყნად არაფერი არსებობდა.

დილის რვა საათზე ირინემ გოგუტუნა

გაადგინა, ჩაიკვა, ასაუნმა და საბავშვო ბაღში წაიყვანა. კარებში გახვლისას ჯიბ- რაილის ოთახში შემოიხედა და ქმარს ხე- ლი დაუქნია, ალბათ იმის ნიშნად, წუხან- დელი უსუშობა მიპატიებიაო, და კარი გა- იხურა. გოგუტუნამ კიბე ერთი ბრახა-ბრუ- ხით ჩაიბრანა. ჯიბრაილი ტახტზე იჯდა, თავი ხელემში ჩაერგო და ისიც კი ვერ გა- დაეწყვიტა, ამ დილით სამუშაოზე წასუ- ლიყო, თუ არა.

იმ ღამის განმავლობაში ჯიბრაილმა რამდენჯერმე გაიფიქრა, იქნებ, ჯობდეს, შევეუთვალო სამუშაოდან გამათავისუფლ- ეთო, და სხვა შახტზე გადავიდეთ. მაგრამ სვედებოდა, რომ ეს გაქცევა იქნებოდა. ვინ იცის, მაშინ რამდენი იფიქრებდა, ალბათ მართლაც მტყუანი იყო, რომ თავის მართ- ლებას არც კი შეეცადა და შახტიდან უკან- მოუხედავად გაიქცაო. ან ახალ შახტზე თა- ვი რითი ემართლებინა კაიმაშიშვილს რა- ტომ გამოვექვიცი? არა, ეს გზა ნამდვილ- დი არ ივარგებდა. მაგრამ ჯიბრაილს ამ დილით სამუშაოზე წასულასაც სოკვდილი ერჩია. რა პირით უნდა დანახებოდა იმ ხალხს, ვის თვალწინაც გუშინ ასე მიწას- თან გაასწორეს და მან თავის გასამართლე- ბლად ერთი სიტყვის თქმაც კი ვერ მოახე- რსა?

არა, სხვა გზა აღარ იყო. ჯიბრაილს უნ- და ებრძოლა, ეომა, მკერდით კლდე გაენე- რია და თავისი სიმართლე დაეპტკიცებინა. მაგრამ რა გზით? კაიმაშიშვილთან და მის ავან-ჩავანებთან მარტო ჯიბრაილი ვერაფ- ერს განდებოდა, ტარიელ გოგისვანიძე და მისი ამხანაგები კი როგორ დაეხმარებოდ- ნენ? ადვილად ხელწამოსაკრავი ვინმე არც კაიმაშიშვილი ბრძანდებდა. ადგება, ამას იქ- ით ყალთაბანდობას სულაც თავს დაანებე- ვებს, უბანს პატიოსნად უხელმძღვანელებს და გამონამუშევარსაც არავის დააკლებს. მორჩა და გათავდა. მაშინ ტარიელ გოგის- ვანიძეს კაიმაშიშვილზე საყვარელი და ხა- დმერთებელი არავინ ეყოლებდა. შენი ჯიბრ- აილი კი ქაერში გამოკიდებული დარჩება.

ყველანი ზურგს შეაქცევინ და საქმე მართლაც უბნიდან გასაქცევად შეეჭნება.

რა გზას დასდგომოდა?

დრო კი მიდიოდა. ცხრა საათს აღარაფერი უკლდა. თუ შახტზე წასვლა იყო, უნდა წასულიყო. ისღა აკლდა, სამუშაოზე დაგვიანება და საქმის გაფუჭება დაებრალღებინათ. არადა, სანგრევში ჯიბრაილს საქმე მოსამთავრებელი დარჩა — იმის გამკეთებელი სხვა არავინ იყო. ჯიბრაილი მძიმედ წამოდგა და კიბეზე დაეშვა. გულში კი იმასაც ფიქრობდა, იქნებ გზადაგზა ვინმეს გადავეყარო და რაიმე ჭკვიანური მირჩიოსო.

ჭიშკართან ტარიელ გოგისვანიძე და მისი ამხანაგები ელოდებოდნენ. დაინახეს თუ არა, სირბილით გამოეშურნენ და გარს შემოეხვივნენ.

— დილა მშვიდობისა, ჯიბრაილ! — გულამოვარდნილმა გოგისვანიძემ ქუდიც კი მოუხადა. — ახალი ამბავი იცი?

— გაემიარათო! კიდევ ახალი ამბავია?

— არჩაიძე გეპირებს.

— რა მინდაო?

— არ ვიცი. მოვიდესო. — გოგისვანიძემ ქუდი ახლავდა და ისურა. ქუდქვეშ მითუბი შეიყო და თმები გაისწორა.

— ისეთი რა უნდა იყოს! — ერთხმად აყაყანდნენ დანარჩენებიც.

— შე კაცო, რამე მოიპარე, კაცი მოკალი, თუ რა?

— მაგი ყველაფერს კაიმაშიშვილს უჯერებს.

— შახტზე მოსვლას ხომ ვერ აგეკრძალავენ!

— შენ, ჯიბრაილ, არ აღუღდე გესმის! ყველაფერი დალაგებით მოასხენე. მთავარია, არაფერი გამოგრჩეს.

— მაგათ რაც უფრო მეტად გაუნუმდები, მით უფრო უარესს გიზამენ.

— გუმინაც უნდა გეპასუხა. რა ბრინჯივით დაიბენი!

— არ ელოდა.

— როდის მოვიდებიო?

— როგორც კი გამოჩნდება, ჩემთან გამოცხადდესო.

— მიდი. გეშინია, თუ რა!

— ჩვენც ამოგყვებით.

— კი. თუ საჭირო გასდეს, დაგვიძახე. არჩაიძეს ჩვენც კარგებს მსჯობსუნობა. ჯიბრაილი კიბეს აწყვე.

ვეებერთელა კაბინეტში ურთხელის ძეირფას, ჩუქურთმებიან საწერ მაგიდას წყალივით უფერული, ქუთუთოებშემუბებული, მთელს ქვეყნიერებაზე ამრეხილი არჩაიძე უჯდა. არც წამომდგარა, არც ხელი გამოუწვდია.

— მობრძანდით?

— დიას. — ჯიბრაილი კარებთანვე გაიწერდა.

— მე უნდა ვითხრათ, რომ... თქვენნი მაგ უბანზე დარჩენა აღარ შეიძლება.

— რატომ? — ჯიბრაილმა ფეხი შეინაცვლა.

— განა თქვენ თვითონ ვერ ხედავთ? არა, უკაცრავად! ისა... ჰო! დავეუვათ, რომ კაიმაშიშვილი ზოგ რამეში ცდება კიდევ, ცოტას, ასე ვთქვათ, აჭარბებს... დავეუვათ... მაგრამ ეს ხომ არაფერს ცვლის. თქვენი ერთად მუშაობა... ჰო... გადამბრძანდით, მამასადაამე, სხვა უბანზე, და, თუ კარგად იმუშავეთ, ჩვენში დამსახურება არ იკარგება. კარგი მუშაკი ჩვენში მუდამ ფასდება და მომაგალშიც დაფასდება. ასე არ აჯობებს?

— გაანჩია ვისთვის, ბატონო.

— ყველახათვის.

— არა.

— როგორ?! — არჩაიძემ თვალები გაკვირვებით აახამხამა.

— სხვა უბანზე ჩემი ნებით მე არ გადავალ.

— რატომ?

— ისე.

— კმ!

— დიას!

— ამხანაგო... გაიგეთ, რომ თქვენი და კაიმაშიშვილის ერთად მუშაობა... ნუ-თუ არ გეჰმით?

ჯიბრაილი დუმდა.

არჩაიძემ უჯრა გამოსწია, რაღაც თეთრი აბი ამოიღო, გადაყლაპა და წყალი დააყოლა. რატომღაც გააერეოლა და უჯრა ნელა, გაჭირვებით შესწია.

— თქვენ უნდა იცოდეთ, რომ კაიმაშიშვილი კარგი მუშაკია. კარგ მუშაკებს,

ჩვენ ვუფრთხილდებით. ჩვენ მოვალენი ვართ, კარგ მუშაკებს გავუფრთხილდეთ.

— ვგ თქვენი ნებაა. მე კი ჩემით სხვა უბანზე არ გადავალ.

— ჰმ!

— დიახ! — კეთილი. — არჩაძემ თავი რამდენჯერმე დაიქნია და ისევ წყლიან ჭიქას მისწვდა.

ჯიბრაილი გამოვიდა.

როცა ჯიბრაილმა სამორიგოს კარი შეღო, მაგიდასთან მჯდომ და მხიარულად მომღიმარე კაიმაშიშვილს სიტყვა პირზე შეაკვივდა — კედელთან ჩამწკრივებულ მემახტეებს, — ამათ შორის კი მისი ავანჩავანებიც ერთიანად, — ოდნავ დაბნეული მხერა შეავლო. მერე ჯიბრაილს გამოაჩვენა.

— თქვენ... არჩაძესთან იყავით?

— გახლდით.

— მერე?

— არაფერი.

— არჩაძე გელაპარაკათ?

— დიახ!

— მერე?

— მე ვითხარი არაფერი-მეთქი! —

ჯიბრაილმა ხმას აუწია.

— დიახ...

მემახტეებმა ერთმანეთს გადახედეს. ხმა არავის ამოუღია.

— სანგრევში გუშინდელს აქეთ ხომ არაფერი შეცვლილა? — ჯიბრაილმა კარის სახელურს ხელი შეავლო.

— არაფერი. — კაიმაშიშვილმა მხრები ოდნავ შესამჩნევად აიჩემა.

— აბა, ნახვამდის!

დერეფანში ჯიბრაილს სინარულისაგან ბავშვებით აკუნტრუშებული გოგისვანიძე და მისიანები დახვდნენ და გარდერობამდე მიაცილეს.

— ახლა ნახვევ თვალის სეირს!

— იცოცხლე, მაგენმა ახლა უკან დაიხიონ!

— მაგათ ქვეყანა ჩალით დაბურული ეგონათ.

— აბა, ჯიბრაილ, შენ იცი! შენ მოგ-

ჩერებივართ, ეს იცოდე.

იმ დღემ ჩვეულებრივად ჩაიარა ჯიბრაილმა სანგრევი გაამაგრა და ოთხ საათზე თავისუფალი იყო. ისევე მორე დღესაც. შესამე დღეს კი, როცა ჯიბრაილი უკვე საშხაბოდან გამოდიოდა, ვიღაც თქუქსმეტოდე წლის, ძალიან გამხდარი, უბრალოდ ჩაქმული გოგონა მიეხალა და უთხრა, თქვენ კადრების განყოფილების უფროსი გიბარებთო.

— მერედა, შენ საიდან იცი, მე ვინა ვარ? — გამხდარი გოგონა ჯიბრაილმა ღიმილით შეათვალა.

— ვიცი. თქვენ ჯიბრაილ ხელთუფლი-შვილი ბრძანდებით. — გოგონამ ჯიბრაილის მხერას ვერ გაუძლო, დაიბორცვა და კისრისტუქით გაიჭკა.

კადრების განყოფილება მესამე სართულზე იყო. როცა ჯიბრაილი დიდ, ყვითელი და ყავისფერი კარადებით გამოტენილ ოთახში შევიდა, მაგიდასთან მჯდომი ორმოცდაათი წლის სახედაღარული, ჭაღარა, ჭროდათვალეებიანი კაცი წამოდგა, იქვე კედელთან მიყუდებულ ყავარჯენს მისწვდა, დაიბიჯა და ჯიბრაილის შესახებდად შუა ოთახში გამოვიდა. კადრების განყოფილების გამვე კოჭლი ყოფილა.

— გთხოვთ, მიცნობდეთ: იასონ ვაშაყ-შაძე, კადრების განყოფილების უფროსი. — ჯიბრაილს ხელი ჩამოართვა, მარცხენა ხელით სკამი მიუწია, თვითონ კი ისევ ყავარჯენი შეისწორა, მაგიდის უკანვე შეხანხალდა, დაჯდა და ყავარჯენი ისევ კედელს მიაცუდა. მაგიდიდან სიგარეტების კოლოფი აიღო და ჯიბრაილს გამოუწოდა.

— ხომ არ ინებებთ?

— გმადლობთ. ახლა მოვიწე.

— როგორც გენებოთ. — ვაშაყმაძემ კოლოფი ისევ მაგიდაზე დააგდო. — ისე, ზოგმა მემახტემ ასე იცის: შანტიდან რომ ამოვა, ზედისუდ სამი-ოთხი პაპიროსი უნდა მოსწიოს. რასაც მთელი დღე შანტიში ითმენდა, ამგვარად ინახლავდა. ეს ჯანმრთელობისათვის მავნებელია, რა თქმა უნდა.

ვაშაყმაძემ მაგიდიდან რაღაც ქაღალ-

დი აილო, შეათვალეოერა და გვერდზე გადასდო. ჯიბრაილს ყურადღებით გამოჰხედა.

— მე თქვენთან სერიოზული საქმე მაქვს, ბატონო ჯიბრაილ.

— დიას! — ჯიბრაილი სკამზე გასწორდა და ამით აგრძობინა, მოსასმენად მსად გახლავარო. ვაშაყმაძემ თავი მოკლედ დაუქნია, — გავიგე, რისი თქმაც გინდოდათო, — სახესზე ხელი ჩამოისვა და ჩაფიქრდა.

ჯიბრაილი არაფერს იმჩნევდა, თორემ გულში ცოტა შეფიქრინებული იყო, — აქ ტყუილად არ გამოჰმიახებდნენ და ნეტავი რას მიპირებნენო. არადა, ამ შახტზე ხულ რამდენიმე კვირა იმუშავა, ღმერთთანაც მართალი იყო და კაცთანაც, მისთვის რა უნდა გაებედნათ? ქვეყანა მართლაც ჩაღლით ხომ არ არის დახურული...

— სერიოზული, ბატონო ჯიბრაილ, მეტად სერიოზული საქმე...

გაიმეორა ვაშაყმაძემ და ფანჯარაში გაიხედა. — დიას! მაგრამ მე მიჩვენე, იმ საქმეზე, ასე ვთქვათ, შინაურული კილოთი მოვისაუბროთ. დავივიწყეთ, ბატონო, რომ მე კადრების განყოფილების უფროსი ვარ, რომ თქვენ ავერ, გამოცდილი და სახელოვანი მემსატყე ბრძანდებით... მე მგონი, ერთმანეთს ასე უფრო გავუგებთ. ასე არ არის? ნამდვილად ასეა. დიას! — ვაშაყმაძემ რაღაც ყვითელი საქალაღდე აიღო და გადაშალა. — მე, ავერ, თქვენი პირადი საქმე შევისწავლე, რომ იტყვიან, ნამდვილად გამარჯვ და ალაღმართალი მშრომელი ადამიანის ბიოგრაფია გქონიათ. ჯარში სამსახური გნებავთ, მანამდე მუშაობა თუ მის შერე, კაცმა გამადიდებელი შუშით რომ ეტებოს, თქვენს ბიოგრაფიაში ერთ ბეწვი-სოდენა ხინჯს ვერ იპოვნის. თქვენისთანა მშრომელები ბევრი რომ გვეყავდეს, ჩვენი საქმე გაცილებით უფრო უკეთესად იქნებოდა. დიას! ამას პირობითობად ნუ ჩამომართმევთ. მე, ჩემო ბატონო, ოცე წელიწადი, ამ „საქალაღდეზს“ ვუწვივარ. ზოგი იტყვის ბიუროკრატი და წინთენიკიაო, ქვეყანას ქალაღდეზიდან უკარებოსო, მაგრამ არა, შეცდება, ვინც ამას იტყვის. ამ ქალაღდეზში მე ადამიანის ბუნებას, მის ხასიათს,

მთელ მის პიროვნებას ისე ვხედავ და ისე ვკითხულობ, თითქოს ვმკაღმინეს ვჯერდით ათი წელიწადი მაინც მეცხოვროს. კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ. ზოგისთვის ეს „საქალაღდე“ მარტო ქალაღდეზის გროვია, ჩემთვის კი — ცოცხალი ადამიანია. ამ საქალაღდიდან მე ადამიანის სუნთქვა მესმის. იმ ადამიანს ხან შია, ხან წყურია, ხან ცოლ-შვილის დარდი აწუხებს, ხან რამე სწეულება შეეფრება... თქვენ, რა თქმა უნდა, ჯვარი გწერიათ... დიას! ასე მოჩანხართ ამ ყვითელი „საქალაღდიდან“ თქვენც, ჩემო პატიცემული ბატონო ჯიბრაილ! და მე ხელი დახვრეტასე რომ მომავერიწონ, მაინც ვიტყვი: ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი არის მართალი, პატიოსანი, ალალი მშრომელი და მეტი არაფერი. ამას პირობითობაში ნუ ჩამომართმევთ. ამას ახლაც ასე ვამბობ და ყოველთვის ასე გავიმეორებ. დიას! მაგრამ გლახა და წყალში გადასაღდეზი რომ არც ის უკულმართი მიტუშა კაინამიშვილია? არა, ჩემო ჯიბრაილ! ეს შენ არ იფიქრო — ვაშაყმაძე რატომღაც „შენობით“ ალაპარაკდა. — შენ ეს იცოდე ჩემგან, ჯიბრაილ: მაგ ბიჭს რაც უფრო დაუახლოვდეზი და გაიცნობ, მით უფრო შევიყვარდეზა და დააფასებ. მე გეუბნები შენ: მაგ მამაძალი, მაგ ღვთის პირისაგან შეწვენებული ავერ, ა, თვალში რომ ჩამივარდეს, ხელს არ ამოვისვამ. თავისთვის არაფერი არ უნდა, სხვებისთვის კი, რიგითი მშრომელებისათვის — ყველაფერი! უკანსკენელ პერანგს გაისდის და რიგით მემსატყეს ჩააცმევს. აი, როგორი ადამიანია მაგი! მენდფე შენ მე ამაში, მერწმუნე. იასონ ვაშაყმაძეს ჯერ არავინ მოუტყუებინა და არც შენისთანა ალაღ-მართალ მშრომელს მოატყუებს. ეს არ მოხდება! დიას... მაგრამ ახლა რა ხდება? ის, რომ კარგმა ჯიბრაილმა და უკეთესმა მიტუშამ... ან, თუ გინდა, შევაბრუნოთ: კარგმა მიტუშამ და უკეთესმა ჯიბრაილმა ერთმანეთს ვერ გაუგეს. ასე მოხდა, ერთს რაღაცა მოეჩვენა, მეორე განაწყენდა, იმან ვერ მოზომა, ამან გულში ჩაიღო, შეჰყენენ, შემოჰყენენ, ერთი, მეორე და — მტკიცე მეგობრობის მაგივრად ჩვენ მივიღეთ ერთმანეთს დაპირისპირებული ორი პიროვნება.

რა ექნათ? ეს ორი ლომი ავეშვათ და ერთ-მანეთი დავაგლეჯინოთ? არა, ჩვენ ერთიც გვეჭირდება და მეორეც. აბა, რა ექნათ? გამოსავალი მოვნახოთ. მაინც — როგორი? უბრალო: დავაგლეჯავთ და ორივეს თავთავისი ასპარეზი მოვუწინოთ. მაინც — როგორი ასპარეზი? ამასაც მოგახსენებთ. მიტუშას, შენც კარგად იცი, თავისი ასპარეზი უკვე ატყვს და კარგადაც უძღვება. მიტუშათი ყველა კმაყოფილია, — შახტიც, ტრესტიც, კომბინატიც და ყველაც. დაგვრჩა ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი. ახლა ამას რა ვუყოთ? აი, ამაზე, ჩემო ჯიბრაილ, მე ორი დღე-ღამე ვიფიქრე. გქონდეს შენ დიპლომი, მე ვიცი, რა თანამდებობასაც მოგცემდი, მაგრამ დიპლომი შენ არა გაქვს. ამიტომ — რა? ამიტომ, აი, რა: მეთოსე მოსამზადებელ უბანზე ვაყალიბებთ მეზიგეების ჯგუფს. ახლა იტყვიან კომპლექსური მუშაობააო, მაგრამ ეს ტყუილია. ყველამ თავისი საქმე იყოფეს, უკეთესია. პო! ესე იგი, მეზიგეების ჯგუფი. ხელმძღვანელია — ხელთუფლიშვილი. ხელფასი — გამომუშავების მიხედვით, პლუს ბრიგადირობის ოცი პროცენტი. თვის ბოლოს იმდენ ტკიცინა თუმნიანებს გადმოგიწყობენ, რომ ვეღარც კი დაითვლი. და, რაც მთავარია: შენ — შენთვის, კაიამიშვილი — თავისთვის. მოსამზადებელ უბანთან კაიამიშვილს არაფერი ესაქმება. ცუდად მომიფიქრებია?

ვაშაყმაძე სკამის ზურგს მიაწვა და ჯიბრაილს გამარჯვებული კაცის ღიმილით გადმოხსენდა.

ჯიბრაილი სმამოუღებლად იჯდა.

— რას იტყვი?

— ეს ბრძანებაა, თუ...

— არა, კაცო, რჩევა! ბრძანება რა შეუშია!..

— მე რომ უარი ვთქვა?

— უარი?!

ვაშაყმაძეს სახე მოედრინა. ჭროლა თვალებში ბოროტმა ცეცხლმა გაუელვა. გულხელი მძიმედ დაიკრიფა და ჯიბრაილი თავით ფეხებამდე აგდებით შეათვალა.

— უარი რატომ უნდა თქვა? გაწინაურებენ, ხელფასს გიმატებენ და — უარს ამბობ? შენ ქკუაზე ხარ?

— მე ვერც ლაპარაკს... მიუჩვენებელი ვარ. — ჯიბრაილი წამოდგა.

— ჰოდა, მე მიგაჩვენე! ერთი ამას უყურე! აბა, ამ საათივით აწყობილ შახტს სწორედ შენ აგარევენებთ ახლა... გვეყურება? წადი და დილაამდე იფიქრე. დილას აქ მოდი...

— აქ მე არაფერი მესაქმება.

— რაო?!

— ასე. სადაც ახლა ვმუშაობ, იქვე ვიმუშავებ. დაწინაურებით კი სხვა ვინმე დააწინაურე. მე როგორც ვატყობ, მაგისი მსურველი აქ ბევრი გეყოლებათ.

ჯიბრაილი გამოვიდა და კარი ისე გაშეტებით გამოიჯახუნა, რომ დურფანში საღაროს ვისოსებიან სარკმელთან შევროვილი ადამიანები შევრთნენ და ჯერ ჩხარი ნაბიჯით მიმავალ ჯიბრაილს მიაჩერდნენ, მერე კი ერთმანეთს.

კიდევ ორიოდე დღე ისე გავიდა, რომ საყურადღებო არაფერი მომხდარა. ჯიბრაილი სამუშაოზე დადიოდა, თავის საქმეს აკეთებდა და სახლში ბრუნდებოდა. იმისი არსებობა თითქმის აღარც არჩაიძეს ანსოვდა, აღარც ვაშაყმაძესა და აღარც კაიამიშვილს. შესამე თუ მეოთხე დღეს კი, ის იყო, ჯიბრაილი საქმეს მორჩა, თავის ოცი-ოდე წლის თანაშემწეს, ბიჭია კუბლაშვილს სანგრევის მოხუფთავება და ხელსაწყოების მოგროვება უბრძანა, თვითონ კი შესასყენებლად ბიგის გადანაჭურზე ჩამოჯდა, რომ შორს, სანგრევის სიღრმეში, ქვევიდან ზევით — სწორედ ჯიბრაილისკენ მოძრავი სინათლის წერტილი დაინახა. ნამდვილად ვილაც მოდიოდა. მართლაც, ორიოდე წუთსაც არ გაუვლია, რომ სანგრევის უბესთან კაიამიშვილის უპირველესმა ძმაცაც-თავანამა და „ცნობილმა რეკორდსმენმა“ ასლან ქარუმიძემ შემოაღწია. ეტყობოდა, ეს გრძელი, კარგა მაგრად დაჭანებული სანგრევი სულ შეუსვენებლივ ამოვედო — მძიმედ სუნთქავდა და სახე ოფლისაგან პკონდა შევეარული. შეჩერდა, სული მოითქვა და მერე, გადიმბულმა ჯერ ჯიბრაილს შეხედა, მერე ბიჭიას, მერე ისევ ჯიბრაილს.

— გამარჯობათ! შენ, ძმაო ჯიბრაილ, კაცი ვერ დაგიმარტოხელვებს. გარშემო მუ-

დამ ან შტრები განხევიან, ან მოყვარებნი. ეს კოხტა ყმაწვილი კი ნამდვილად მოყვარე და მეგობარი უნდა იყოს. შესახედავად ასეა და ისე — რა ვიცი.

— ისედაც ასეა... გავიმარჯოს!

ჭარუმიძეს ბიჭიაც მიესალმა — ღმილით თავი დაუქნია და ისევ სელსაწყობების მოგროვება განაგრძო.

— საქმე მოვითავებოათ. — ჭარუმიძემ ნათურის მრგვალი შუქი ასლად შეყენებულ, თაფლის სანთელივით ყვითელ ბიჭებზე მიატარ-მოატარა.

— კი, საქმე მოთავებული გვაქვს.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი. ჩემი საქმე მეც მოვითავე — ქვედა სანერგეში პატარა რაღაც იყო... ახლა, თუ არ დამზარდები და ყურს დამიგდებ, შენთვის, ჩემო ჯიბრაილ, ორიოდ სიტყვა მაქვს სათქმელი.

— მიბრძანე.

— ეს ახალგაზრდა აქვე იტრიალებს?

— ეე ახალგაზრდა მე არაფერს მიშლის.

— სამაგიეროდ მე მიშლის. ა-ხა-ხა-ხა-ხა!.. არა, ხუმრობა იქით იყოს, ნამდვილად უკეთესი იქნება, თუ ეს კოხტა ბიჭი საქმეს მოათავეებს და თავის გზას დაადგება. ჯერ-ჯერობით უფროსების საქმეებში მაგას ნუ გავრევთ. მერცე მოესწრება. კიდევ მობეზრდებია...

— შენი ნებაა. ბიჭია, რა ჰქენი? მოათავე?

— მოვითავე, ყველაფერი აგერ აწყვიდა.

— აბა, ჩემი ყველაფერი აქ დატოვე, შენი იარაღი კი წაიღე და წადი. სვალამდე თავისუფალი ხარ. პო, ძალაყინი არ დაგავიწყდეს. მარგველაშვილმა ეე შენ დაგაწყერა.

— ვიცი. ბარემ თქვენს იარაღებსაც წავიღებ, ბიჭია ჯიბრაილ.

— არა, არ გინდა. მე თვითონ ამოვიტან.

ბიჭიას წასვლის შემდეგ ჭარუმაძე კარგახანს სდუმდა. მერე ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და პირში ჩაიდო. ჯიბრაილს გაჩედა და გაუღიმა.

— ნუ გეშინია, არ მოვუკიდებ. ჯერ ისე არ გავგიჟებულვარ, ეს სანგრევი ნამსხვრევებად ვაქციო. ისე, ასეთი ჩვეულება მაქვს. მოწვევა რომ ძალიან მომიინდება, პა-

პიროსს დავსრესავ, პირში ჩავიდებ, ერთი-ორჯერ მოუკიდებლად მოწყობე და შენ წარმოიდგინე, მშველის. პაპირსის სურვილი ისე ვადამივლის, ვითომ ზედისუდ ნახევარი კოლოფი მანც მომეწიოს. აბა! მაგრამ აქ, ჩემო ჯიბრაილ, რა თქმა უნდა, ამაზე სალაპარაკოდ კი არ მოვსულვარ. ამას, ალბათ. შენ თვითონაც ხედეგი. ა?

— ასე უთქვიათ.

— ჰოდა, კარგი დაგემართოს! გულახდილობასა და ურთიერთობას არაფერი ხეობია. არა? ამაზე რას იტყვი?

— ეევე სრული სიმართლეა.

— ო, შენ იცოცხლე, აბა, ახლა ერთ რამეს გეტყვი და, თუ ხათრი გაქვს, ნუ გაიკვირვებ. ასლა, აი, სწორედ ამ წუთში, „მარგალიტის წყაროში“ ჩემი ბიჭები ხხედან. სუფრა უკვე გაშლილია. იქაობას, რომ იტყვიან, ჩიტის რძე არ აკლია. მაგრამ მანამდე მე და შენ იქ ასე დაწყვილებული არ მივალთ, იმ სუფრაზე ლუკმის გამტეხი და ჭიქა ღვინის ამწევი ძეხირციელი არავინაა. რაღა თქმა უნდა, ჩვენი უბნის ხელმძღვანელი, ჩვენი მიტუმა კაიმაშიშვილიც იქ არის. ეს შენ ახლავე იცოდე. ჰოდა, მოდი ახლა, ავდგეთ, მოვწესრიგდეთ და იმ ბიჭებს სუფრას ნუ ჩავუშვარებთ.

— შენ იმით დაპირდი, ჯიბრაილს მოვიყვანო?

— დაუპირდი, როგორც კაცო.

— ნამდვილად აჩქარებულხარ. — ჯიბრაილი წამოდგა, მტკვარი შემოიფერთხა და თავისი ხელსაწყოები შეთვალაიერა.

— ჯიბრაილ!

— ოცდათხუთმეტი წელიწადია, ჯიბრაილი ვარ.

— მე და შენ ერთმანეთთან ასე რატომ უნდა ვლაპარაკობდეთ?

— ეე კაიმაშიშვილსა და ზოგიერთებს კითხე.

— ჯიბრაილ, ამ ქვეყანაზე ვინ არ შემცდარა!

— „მარგალიტის წყაროში“ წამომხვლელი მე არა ვარ.

— სხვაგან იყოს! შე კაი კაცო! „ორმის ნახტომში“ კიდევ უკეთეს სუფრას გავგიშლიან.

— საქმე სუფრაში არ არის.

- აბა?
- არაფერი.
- არ წამოხვალ?
- არა.
- შენი ნებაა, მაგრამ... ხალხს სამუდამოდ ნუ გადაიკიდებ.
- ვინ ხალხიაო?
- შენ იცი, მე ვისზეც ვლაპარაკობ.
- იმ ხალხისთვის მე კავიკის საღირალი არაფერი დამიშავებია.
- ჰოდა, სწორედ ვე გამოვარკვიოთ.
- ჩემთვის უკვე გამოვარკვეულია.
- ის ხალხი ასე ფიქრობს: ჯერ თუ არ დაუშავებია, შეიძლება ხვალ და ზედ დაგვიშავოს.
- პატიოსან კაცს ჯიბრილ ხელთუფლიშვილისა არ შეეშინდება. ამ ქალაქში გუშინ არ ჩამოვსულვარ.
- არ გინდა ვერე ლაპარაკი, ჯიბრილ!
- სხვანაირი ლაპარაკი, ასლან ჩემო, მე არ ვიცი. საქვეყნიოდ გამილანძღეთ, რა არ დამაბრალეთ, რა არ მომიგონეთ და — ასლა რაღაც პურ-მარილზე შეპატივებით?
- აბა, ბოდიში! მე ჯერ ის ჭუჭყი უნდა მოვიბანო. მანამდე კი თქვენი ნაშრომი თქვენ გამოვთ, ჩემს ნაოფლარს მე თვითონ გავუძღვებ.
- მე შენ არ გამილანძღისარ.
- შენმა ამხანაგებმა გამილანძღეს.
- გვემუქრები?
- ღმერთმა დამიფაროს!
- ყაჩაღები და დამცემები არც ჩვენა ვართ, ჯიბრილ!
- მე თქვენთვის არც ყაჩაღები მიწოდებია და არც დამცემები.
- არც ყალბაბანდები ვართ. რასაც ვმოულობთ, რაც კი ჩემს ოჯახში შემაქვს, ხულ ამ მარჯვენის წყალობითაა.
- ჰოდა, ღმერთმა შევარგოს!
- არ გვარგებს ვერე ლაპარაკი, ჯიბრილ! თორემ...
- თორემ?
- თორემ რა, ძამიკო და — მოიხედე! მოიხედე, მოიხედე: მთლად სუფთად საქმე არც შენ გეკნებოდა იმ შენს უბანზე. აბაა! ეს, გენაგვალე, შახტია. შენ თვითონაც კარგად იცი. აქ ქალაღდებითა, მოწერილობებითა და ამისთანებით მუშაობა არ შეიძლ-

- ება. აქ ცოტა თუ არ მიდევ-მოდევ, ცოტა არ მიიხედ-მოიხედე, ისე არაფერი გეკნებოდა.
- აბა! ნამდვილად! ვთქვათ, აგერ, პეტრე ივანიძე უბანსა და საერთო საქმეს უფრო მეტად არგია, ვიდრე, ვთქვათ, ივანე პეტრიაშვილი. სიტყვაზე მოვახსენებ. ჰოდა, რაკი ასეა, რაკი პეტრე ივანიძეს და მის ნაშრომს მეტი ფასი აძევს, იმას პატივისცემაც მეტი გვუთენის. აი, აქ არის ძალის თავი დამარხული. მორჩა!
- ჩემი უბანი რატომ მიხსენე?
- ისე, სიტყვას მოჰყვა. ყველა უბანზე ასეა და ასეც იქნება.
- სიტყვას, ჩემო ძმაო, ბევრი რამ მოჰყვება. ეს ერთი და მეორეც, იმ უბანზე მე არც პეტრე ივანიძეები მყლობა და არც ივანე პეტრიაშვილები. ყველა პატიოსნად შრომობდა და ყველა თავის კუთვნილს იღებდა. ეს კარგად დამიხსენებ!
- აბა, რატომ მოგხსენეს?
- ეგ თქვენი საქმე არ არის.
- ასე!
- ასეა.
- გარგი, ბატონო, მაგაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. მაგრამ ქართველი ადამიანი ამხანაგებს პურმარილზე წისლს უკრავ?
- რატომ წისლს?! ისე, არ მცალაია.
- დიდად მოცლილები არც ჩვენა ვართ. აგერ, მიტუშაი საცაა, მეორე ცვლას უნდა მიხედოს.
- ჰოდა, აბა, უკვე წამოსულებიც იქნებიან. სანამ „მარგალიტის წყაროდან“ აქამდე მოხვალ...
- მიტუშა ფეხით არ დადის.
- უბნს ვიცი.
- სამუდამოდ მტრად ნუ მოგვიკიდებ, ჯიბრილ!
- ვემუქრებით?
- ღმერთმა დაგვიფაროს!
- ამინ!
- ჯიბრილი დაიხარა და თავისი ხელნაწყოები აიღო.
- წამოღდა ქარუმიძეც. ჩაფხუტი გაისწორა, ბრუნენტის შარვალი შეიბერტყა.
- ესე იგი, არ მოდიხარ?
- არა.
- შენი ნებაა. ნახვამდის!
- ნახვამდის!

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ნათია ავადმყოფობის ავადმყოფობის ამბავი ყველაზე ადრე თითქოს ბაბო ფავლენიშვილმა შეიტყო. ვიღაცამ, — აღარც კი ახსოვდა, ვინ, — სხვათაშორის უთხრა, ავადმყოფი უკვე მეორე კვირაა, რაც სამასსურს აცდენს, მგონი, შეუძლოდ უნდა იყოსო ავადმყოფობის მიზეზი იმ ვიღაცამ, ალბათ, თვითონაც არ იცოდა. ბაბომ კი იფიქრა, რაკი მეორე კვირას აცდენს, მამასადამე, სერიოზულად ავად ყოფილაო. იმ დღესვე რამდენიმე წითელი მიხაკი იყიდა და დინამინჯიების ბინას მიადგა. კარი მას ხანდაზმულმა, ცოტა არ იყოს, პროვინციული შეხედულების კაცმა — თვითონ პლატონ დინამინჯიამ გაუღო.

— მე ნათიას სანახავად გვახელით.

— ახლავ... მობრძანდით, პლატონო!.. — პლატონმა კარები ფართოდ გააღო და ნათიას ოთახამდე ეს დიდებულად ჩაცმული, ქალბატონიანი მანდილოსანი თვითონვე მიაცილა. — ცოტას ავადმყოფობს ჩვენი ნათია, მაგრამ, ღვთით, მალე გამოიჯობინდება. აგერ, ქალბატონო, აქეთ მობრძანდით! ძალიან მალე გამოიჯობინდება.

„ამ გულკეთილ კაცს თავისი რძალი ნამდვილად უნდა უყვარდეს“, — გაიფიქრა ბაბომ; იმავე წამში პლატონმა ოთახის კარი გამოაღო. ბაბომ ბალიშზე მისვენებული ნათია დაინახა და ელდისაგან კინაღამ სუნთქვა შეეკრა.

რა თქმა უნდა, ერთი და ორი კვირა საკმაოდ დიდი დროა, და ამ ხნის განმავლობაში ავადმყოფობამ შეიძლება ადამიანი გამოუთქმელად შეცვალოს. ბაბო ასეთ ამბებსაც ბევრჯერ შესწრებია. მაგრამ იმან, რაც ახლა დაინახა, ბაბოს პირდაპირ თავზარი დახვია.

ნათია ავადმყოფი ძლივს და იცნობდით. თოვლივით თეთარ ბალოშივე კიდევ უფრო თეთრი, თითქმის მთლად უფერული, სიცხის ყოველგვარ ნიშანს მოკლებული საზე ვხვდნა. ახვე თეთრი, უხისხლო, თითქოს გამჭვირვალე ხელები უძრავად ეწყაარდისფერ ამრეშუმის საბანზე. ნათიას

დიდრონი შავი თვალები რომ არა, იფიქრებდით, ლოგინში მიცვალებული ჩაუწყვნიათო. მაგრამ იმ თვალებშიც ისეთი უნაპირო გაეშანი ჩანახლებულიყო და ისეთი არაამქვეყნიური გულგრილობით გადადიოდნენ ერთი საგნიდან. მეორეზე, ერთი ადამიანიდან მეორეზე, რომ მყისვე შემაძრწუნებელი აზრი დაგებადებოდათ: ამ ქალიშვილს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწყვირა, იგი უკვე ამ ქვეყანას ემშვიდობებოთ.

საწოლის მეორე მხარეს, ნათიას თავთან, მხარბეჭიანი, წარბშეკრული, გულხელდაკრეფილი ახალგაზრდა იჯდა. ნათიას ქმარს ბაბო პირველად ხედავდა. თვითონ რომელიც ბაბოს ნათიას ნამამობით იცნობდა. წამოდგა და თავი დაუკრა.

— გამარჯობათ! — უპასუხა მას ბაბომ. მისაკები მრგვალ მაგიდაზე დააწყო და ნათიასკენ დაიხარა, — ნათი, გამარჯობა! ნეტავი გახსოვარ, თუ არა?

— როგორ არა... — გულგრილად, თითქოს ცივადაც კი უპასუხა ნათიამ. — გამარჯობათ, ქალბატონო ბაბო!

პლატონმა ბაბოს სკამი მიართვა.

— დაბრძანდით, ქალბატონო, თქვენი ქირიმი!

— გმადლობთ! — ბაბო დაჯდა, კაბა გაისწორა და ერთხელაც გაიფიქრა, არა, ამ გულკეთილ კაცს ნათია მართლაც ძალიან უყვარსო. — შენი ამბავი, ჩემო ნათი, სულ შემთხვევით გავიგე. ასე რომ, ნუ მიწყენ, ნახვა რომ დავიგვიანე. ეს ისევ შენიანების ბრალია. ხალხთ, — ბაბომ ჯერ ნომალის შეპყვდა, მერე პლატონს, — რატომ ერთხელ მაინც არ დამირეკეთ? დავიჯერო, ამდენი ხნის განმავლობაში ნათიას ერთხელ მაინც არ გავახსენდი?

— გვაპატიეთ, სულგრძელად გვაპატიეთ, — პლატონი ერთ ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა, — მაგრამ ისე დავიბენით, ისე თავგზა დაეკარგეთ, რომ... ნამდვილად დამნაშავენი ვართ... უნდა გვაპატიოთ, ქალბატონო! ისეთ დღეში ვართ, რომ ყველაფერი გვაპატიება.

ნომალემ მისაკები ბროლის ლარნაკში

ჩაწყო და ოთახიდან აუჩქარებლად გავი-
და. კარებში მოტრიალდა და მამამისს
თვალთ ანიშნა, შენც გამოდიო. ალბათ,
ფიქრობდა, იქნებ ნათიას ამ ქალთან მარ-
ტო დარჩენა ესაიამოვნოს.

პლატონმა ბაბოს ღმირით რამდენჯერ-
მე თავი დაუკრა და გავიდა.

ბაბო დანიხარა და ნათიას საბანი გაუს-
წორა.

— გატყობ, ლაპარაკის ხახიათზე მაინც-
დამაინც არ უნდა იყო. ა, ნათი? მოისვენე-
ნე, გეთავყვა, ნუ შეწუხდები. ოღონდ თუ
ინსტიტუტში რაიმე ვინდა, მითხარი და
ბატონ კონსტანტინეს მე დღესვე მოველა-
პარაკები. მაღლობა ღმერთს, ეგ კაცო შენ-
ცა და შენს ოჯახსაც იმოდენა პატივისა
გცემთ, რომ შემძლია, თუნდაც ნაშუალამ-
ფეს დაეურგო. ეჭიმიები, ალბათ, იყვნენ,
ხომ?

თანხმობის ნიშნად ნათიამ თვალები ნე-
ლა დახუჭა. ხმა არ ამოუღია.

— მოისვენე, ჩემო კარგო, მოისვენე. ად-
ამიანს, რაც არ უნდა სჭირდეს, მისი პირ-
ველი წამალი ძილი და მოსვენებაა. სული-
ერი და ფიზიკური სიმშვიდე, ორივე ერთ-
ად... ხომ? და, რაღა თქმა უნდა, კვებაცა.
უთუოდ. შენ არაფერი გენატრება? შენი
მამაშობილი პირველად ვნახე, მაგრამ ისე
უყვარხარ, რომ ჩიტის რძესაც არ მოგაკლ-
ფხს. ქმარზე ხომ აღარცა ვლაპარაკობ. ორი-
გო ძალიან მომეწონა, ერთიცა და მეორე-
ცა. სულ სხვადასხვანაირები უნდა იყვნენ,
მამა და შვილი. თუმცა, ამას რა მნიშვნე-
ლობა აქვს. დავიჯერო, საქმელებიდან სულ
არაფერი ვესაიამოვნება?

უარის ნიშნად ნათიამ თავი ოდნავ შე-
სამჩნევად გადააქნია.

— ეგ ცუდია, ნათი, ჩემო... დასუსტდე-
ბი, გეთავყვა... იქნებ, ისეთი არც არაფერი
გჭირს. არა, იქნებ კი არა, დარწმუნებული
ვარ, რომ შენ სერიოზული არაფერი გჭირს.
უჭმელობა კი დაგასუსტებს და საქმეც გა-
რთულდება. თავს ძალა დაატანე, ჩემო კა-
რგო, და ყველაფერი ჭამე, რაც კი ხელში
მოგხვდება, დამიჯერე!

ნათიამ თვალები ისევ ნელა დახუჭა.
მაგრამ ეს ახლა თანხმობის ნიშანი კი არ

იყო, არამედ უფრო იმისა — ეს ყველაფე-
რი უკვე ბევრჯერ მსმენიაო.

ბაბო შეწუხდა. თავი უხერხულად ცი-
ფრდნო. იფიქრა, ჩემი უაზრო ყბედობით
დავღალეო. აღარც კი იცოდა, რა უქნა: ახ-
ლავ წამომდგარიყო და ფეხაკრეფით გა-
მოსულიყო, თუ დაეცადა, სანამ ნათია
თვალეებს გაახელდა და დამშვიდდებოდა
მაინც. ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ბა-
ბო ფაულენიშვილს თავი არასოდეს უგრძე-
ნია.

ნათიამ თვალები ნელა, მძიმედ გაახილა:

— თქვენ... როგორ ბრძანდებით, დედა
ბაბო?

„მეკითხება, თან კი ისევე ვაინტერესებ,
როგორც შარშანდელი თოვლი“, — გაიფი-
ქრა ბაბომ, — ნეტავი, ისეთი რა უნდა სჭი-
რდეს? გვერნება, ამ ქვეყნისა აღარ არიო“.

— გმადლობთ, ჩემო კარგო. მე რა მი-
შავს. ვცხოვრობ ძველებურად. აი, შენ რომ
გამომჯობინდები და სამსახურში გამოხ-
ვალ, მაშინ ყველანი უკეთესად ვიქნებით.
მამა შენ ხომ ჩვენი ნათია ხარ. — ბაბო
დანიხარა, ნათიას ნუბლზე ეამბორა და ხე-
ლზეც ნახად ხელი მოუჭირა, — მოდი, მე
ახლა წავალ, ჩემო კარგო! შენ მოსვენება
გესაჭიროება. ყველაფერს აჯობებს, თუ და-
იძინებ. ჩემი ნუ ვერიდება. მე მალე ისევ
გნახავ. აბა, შენ იცი! ხვალ უკეთესად უნ-
და იყო, მალე კი სულაც უნდა გამოიჯო-
ბინდე. აბა, კარგად და ყოწად იყავი!

ნათიას ისევ თვალები დაეხუჭა. ბაბომ
თავი მძიმედ გადააქნია და ოთახიდან ფე-
ხაკრეფით გამოვიდა.

პლატონი და ნომალი ტახტზე ხმაამოუ-
ღებლად, დაუბრებულეზივით ისხდნენ. ბა-
ბოს დანახავზე ორივე სწრაფად წამოღება.

— უკვე მიზრძანდებით, ქალბატონო?
იქნებ ჩვენთან გესადილნათ? სუფრის გაშ-
ლას აღარაფერი უკლია. — მართლაც, მე-
ორე ოთახიდან ჭურჭლის ჩხარა-ჩხური ის-
ნოდა. — ღმერთმანა, ძალიან გაგვეხარდე-
ბა. ისე ჩავთვლით, როგორც... რა ვიცი...
თქვენ ხომ პირდაპირ სამსახურიდან მობრ-
ძანდებით.

— დარწმუნ, ქალბატონო! — ეტყობოდა,
ნომალის არაფითარი იმედი არ ჰქონდა, რიმ

ბაბო სადილად დარჩებოდა, მაგრამ ეს სიტყვები მაინც უთხრა.

— ოჲ, არა, რასა ბრძანებთ! ათას ადგილას ვარ მისასვლელი.

— ძალიან ვთხოვთ. ნამდვილად გავგეზნარდებთ...

— ოჲ, არა, არა, გმადლობთ! სხვა დროისათვის გადავდით. მე ნათიას კიდევ უნახავ. მაგრამ ახლა მაინც მითხარით: ეჭიმები რას ამბობენ? ისეთი ხომ არაფერია?

— არა, ქალბატონო, უბრალო წერიული ამბავია და ძალიან მალე გაუვლისო. ისეთი ნამდვილად არაფერი.

— ჰოდა, რაკი ასე ამბობენ, ალბათ, ასეცაა. ღმერთმა კჳნას. ანა, ნახვამდის. მალე უთუოდ ისევ შემოვივლი.

დინამიზაციების სახლიდან ბაბო ისე წამოვიდა, რომ ვერც კი გაიგო, ნათიას სახელდობრ მაინც რა სწეულება სჭირდა. თვითონ ნათიასთან ამაზე დალაპარაკება არ შეიძლებოდა, ჭმარსა და მამამთილს კი ამ თემაზე ლაპარაკი ნამდვილად არ ეხალინებოდათ. ბაბომ ეს კარგად დანიხა და, ცოტა არ იყოს, საწყენადაც კი დაურჩა. მერე იფიქრა, არ უნდათ და ნუ მეტყვიან, ადრე თუ გვიან, ალბათ, თვითონ ნათია მეტყვის, თუ არადა — ღმერთმა კარგად ამყოფოს, ღმერთი მოწამეა, მისთვის სიკეთის მეტი არაფერი მინდაო.

შესაშე დღეს კი გამოირკვა, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგ თანამშრომლებს ნათიას ავადმყოფობის მიზეზებზე გაცილებით უფრო ზუსტი ცნობები ჰქონდათ და მათგან სათანადო დასკვნების გაშუქანასაც აპირებდნენ.

ბაბოსთან კანცელარიაში ინსტიტუტის ჯდრების განყოფილების გამგე აგული მეფთარიანი შევიდა, — სწორედ ის, თავის დროზე ნათიას ლაბორანტად დანიშნაზე სასტიკად რომ ეწინააღმდეგებოდა. და ბაბოს უთხრა, თქვენთან მეტად სერიოზული საქმე მაქვსო.

— ბრძანეთ.

მეფთარიანმა ოთახში მიმოიხედა და ამით ბაბოს აგრძნობინა, საქმე საიდუმლოაო.

— მე შემოძლია, თქვენთან ამოვიდგ.

— ძალიან დაგიმადლებთ.

მეორე სართულზე ავიდნენ. მეფთარიანმა თავისი კაბინეტის კარი ჩაკეტა, მაცივრიდან „ბორჯომი“ გამოიღო, გახსნა, ბაბოს წინ მავიდაზე დაუდგა და ტიქაც მიუწია.

— სხვათა შორის, ქალბატონო ბაბო, რექტორს რამდენჯერმე ვუთხარი, მაცივარი აუცილებლად კანცელარიაში უნდა იდგეს-მეთქი, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს მოვალწიე. საერთოდ, გულაზდილად უნდა გითხრათ, რომ ამოდენა, ასეთი მრავალპროფილიანი ინსტიტუტის გაძლოდა ერთ კაცს, ვინც არ უნდა იყოს, ძალიან გაუჭირდება. ჩვენი პროტექტორები კი უნიციტაციო ხალხია. ეს უკვე ნათელია. დაცხახათ?


— გმადლობთ! მაცივარი კი ჩვენ, მეონი, დიდად არ გვესაჭიროება. ყოველ შემთხვევაში, უმაცივროდაც ბედს არ ვემდურით.

— სანამ დამიდგამდნენ, მეც ვერე ვფიქრობდი. ახლა კი უამისობა პირდაპირ აღარ შემიძლია. ერთ რამედ მარტო ეს ჩაცნებული „ბორჯომი“ ღირს.

— ალბათ, მართლაც ვერეა.

— მაგრამ, ეს ფელაფერი, რა თქმა უნდა, სხვათა შორის — მეფთარიანი წამოდვა, კარი გულდასმით შეამოწმა, ჩაკეტილია თუ არაო, ისევ თავის მავიდას მიუჯდა, ბაბოს მრავალმნიშვნელოვანი მზერა მიაპყრო და დაბალი, კონფიდენციალური კრლთი ალაპარაკდა.

— თქვენ ალბათ, გახსოვთ, ქალბატონო ბაბო, რომ ჩვენს ლაბორატორიაში ნათია ავალიშვილის დანიშნა მე... დიდად არ გამხარებია. ან, რაღა არ გამხარებია, მე მაგ საქმის სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი. ახლა რაღა სალაპარაკოა, მაგრამ მაგ ქალიშვილს სტუდენტობის დროს თავი დიდად არაფრით გამოუჩენია. სასტიკად ერთდულეები კი, მოგახსენებთ, საერთოდ ძალიან გვიჭირს. ავერ კიდევ, — დასამალავი არც ეს არის, — კურსს ძალიან მალე, სულ რამდენიმე თვეში ამთავრებს ერთი შესანიშნავი გოგონა. შეიძლება, იცნობთ კიდევ. მზისერი კვერნაძე, მოგახსენებთ, რაც ინსტიტუტში შემოვიდა, „ოთხიანი“ რა არის არ იცის. და ასე ბავშვობიდანვე, იშვიათი მონაცემების პატრონი ბავშვია. ისე — სხვა



მონაცემებიც: საზოგადოებრივი მუშაობა, სპორტი, თავმდაბლობა, ამხანაგების სიყვარული, უფროსებთან თავაზიანობა... ერთი სიტყვით, ნამდვილად თანამედროვე ახალგაზრდის იდეალია. და ნამდვილად უფრო სწორი იქნებოდა, ის საშტატო ერთეული მაშინ მზისერისათვის რომ შემოგვენახა. მაგრამ მე პირადად თქვენ პატივი დაგვდეთ, გაგრუნდი და... აი, დღეს ამას უკვე წყარედ ვნანობ. ჩემს სიცოცხლეში ასე არაფერი მინანია. სამსახურებრივ ვითარებაში, რა თქმა უნდა, პირად გრძობებზე ლაპარაკი უადგილოა, მაგრამ, ვფიქრობ, გულახდილობა ყველაფერს სჯობია.

— რა თქმა უნდა! მიზრძანეთ, ის თქვენი... უფრომეწაულური კვერნაძე უსამსახუროდ გრჩება?

— ო, ქალბატონო ბაბო, თქვენი ირონია ნამდვილად ზედმეტია. თქვენ კვერნაძეს სრულებით არ იცნობთ. ასე რომ...

— ცნობით ევთ სტუდენტებს მართლაც არ ვიცნობ, მაგრამ... რაკი გულახდილობა, გულახდილობა იყოს. მე ვიცნობ ბევრ სხვა სტუდენტს, რომლებმაც, — აი, სწორედ თქვენი კვერნაძისა არ იყოს, — დაბადებიდანვე არ იციან „ოთხიანი“ რა არის, შეუღარებელნი არიან სპორტშიცა, საზოგადოებრივ საქმიანობაშიცა, წყალწლებულთა გადარჩენაშიც, ცეცხლმოდებული სახლიდან მეზობლის მცირეწლოვანი ბავშვების გამოყვანაშიც, უკიდურესად გულისხმიერნი და თავაზიანნი არიან უფროსების, ინვლიდებისა და ბავშვებიანი ქალების მიმართ. დიას! და პირდაპირ უნდა ვითხრაო, რომ არავითარ სიმპათიას ასეთი ფენომენებისადმი მე არ განვიცდი. იცით, ძალიან ცუდია ყოველგვარი ადამიანური ღირსების ერთი ვინმეს მიერ დასაკუთრება. ცოტა რამ სხვებსაც უნდა დაუტოვო.

— ქალბატონო ბაბო!.. მე გთხოვთ, დაშვიდდეთ.

— მე ძალიან მშვიდადა ვარ. რატომ გგონიათ? იმ თქვენმა კვერნაძემ კურსი უკვე დაასრულა?

— კვერნაძე აქ არაფერ შუაშია.

— კვერნაძე არაფერ შუაშია?!

— სრულიად. საქმე ეხება ნათია ავალიშვილს და მხოლოდ ნათია ავალიშვილს.

— ავალიშვილი ავადაა.
— ვიცი.
— თქვენ გინდათ მითხრაო, რომ იცით ისეთი რამე, რაც მე არ ვიცი. ხომ?
— დიას. სწორედ ვერა.
— გისმენთ. — აღლულებულმა ბაბომ სიგარეტი ამოიღო:

მეიფარიაწმა მყისვე ასანთი გააქკრა და მიაწოდა.

— გისმენთ. — გაიმეორა ბაბომ და ბოლი გამოუშვა. — ბოლოს და ბოლოს, ნათია ავალიშვილი არც შეიღია ჩემი და არც თუნდ უბრალო ნათესავი. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ... თუმცა არა ეს არაფერ შუაშია. გისმენთ, გუთავყვა, გისმენთ.

ბაბომ სიგარეტი ერთხელაც მძღაერად მოქანა და მეიფარიაწს თვალეებში მიაჩერდა.

— თქვენ მე ლაპარაკის ხალისს მიკარგავთ, ქალბატონო ბაბო. თქვენ ჩემდამი უნდობლობას ამჟღავნებთ.

— მაპატიეთ! თუ ვერა, მაპატიეთ, გისმენთ.

— ერთი სიტყვით, თქვენ უნდა იცოდეთ: ქალაქში მოხდა საზარელი მკვლელობა. მოკლეს სრულიად ახალგაზრდა, უდანაშაულო და უწყინარი ბიჭი. მიმდინარეობს გამოძიება. და ამ საქმეზე ნათია ავალიშვილი უკვე რამდენჯერმე დაკითხეს. აი, რატომაა ავად ჩვენი ლაბორატორიის თანამშრომელი.

— მოკლეს?! — ბაბოს თვალეები გაუფართოვდა, — ვინ მოკლეს?! რას მელაპარაკებით, აგული?!

— გეუბნებით, რაც ვიცი. ნათია ავალიშვილი გარეულია მკვლელობის საქმეში. ამაში დარწმუნებული რომ არ ვიყო, არც გეტყვდიო. რექტორმა ეს ამბავი ჯერ არ იცის. მე თქვენ იმდენ პატივსა გცემთ, რომ რექტორი ამას ჩემგან ვერც გაიგებს, მით უმეტეს, რომ თვინციალური შეტყობინება ჯერ არ მომხვლია. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ჩვენი თანამშრომელი გარეულია მკვლელობის საქმეში და ღმერთმა ჰქნას, რომ იგი ამ საქმიდან სუფთად გამოვიდეს. მე ეს თქვენზე ნაკლებ არ მინდა. მაგრამ, თუ სერაიოშულად და პრინციპულად ყომაჯელებთ, მარტო ის, რომ ავალიშვილზე

რალაც ვევი აქვთ, მართლ ეს სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ეს ქალიშვილი ჩვენი ინსტიტუტის კვლევებში ერთი წუთითაც აღარ ვაბოგინოთ. ინსტიტუტის სახელი ჩვენთვის წმიდათაწმიდა უნდა იყოს. ჩვენ ყველანი ამისთვის ვიბრძოდით და, მათ შორის, მე მგონია, თქვენც.

— ღმერთო ჩემო... — თავზარდაცემულ ბაბოს ადამიანის ფერი აღარ ედო.

მეიფარიანმა ჭიკაში „ბორჯომი“ დაუსხა და მიუწია. ბაბომ სიგარეტი საფურფლებზე დასდო და „ბორჯომი“ აკანკალებული ხელით მოსვა.

— მაბატო, ქალბატონო ბაბო, ეს ყველაფერი შე ცოტა უხეშად მომივიდა, მაგრამ... შე თვითონაც... ერთი სიტყვით, არ ვიცი... რექტორი ამას ჩვენგან ვერ გაიგებს, ეს უკვე გითხარით, მაგრამ... სანამდე? ერთი სიტყვით, არ ვიცი... არ ვიცი...

მეიფარიანმა ხელები მარულის კბივებში ჩაიწყო და კაბინეტში ღრმად ჩაფიქრებულმა გაიარ-გამოიარა.

რამდენიმე წუთი გავიდა, სანამ ბაბო გონს მოიკრეფდა. მან უკვე დაიჯერა, რომ მეიფარიანი სიმათლეს ეუბნებოდა. ამაში ნათიას ქმრისა და მამამთილის საქციელის გახსენებაც არწმუნებდა. მაგრამ ნუთუ ნათია — ნათია ავალიშვილი მართლაც მკვლევლობის საქმეში ურევია? მაშ რატომ არ დაიჭირეს? ან ნუთუ ეს მეიფარიანი, ეს სამინიელი უსიამოვნო პიროვნება, მუდამ რალაცას რომ ჩხირკვდელაობს, მუდამ ვილაცას თუ რალაცას რომ ებრძვის, მუდამ ვილაცას სამსახურიდან რომ ხსნის და მეორე ვილაცას კი იმავე თანამდებობაზე აწყობს, — ნუთუ ეს კაცი ახლა ასე მართალი და უანგაროა? ან ნუთუ მას სჯერა, რომ ნათია ავალიშვილი... არა, ამაში ბაბოს დარწმუნებას ტყუილად ნურავინ შეეცდება. ბაბოს პირველმა ზაფრამ გაუარა და ახლა ისევე მხნედაა.

— „ბორჯომს“ აღარ იწებებთ?

— არა, გმადლობთ! — ბაბომ საფურფლის კიდიდან თავისი სიგარეტი აიღო. — ინფორმაციისათვის მადლობელი ვარ. ადამიანმა ყველაფერი თავის ღრმზე უნდა გვიგოს. ისა... როგორა ფიქრობთ, ავალიშ-

ვილი სამსახურიდან ახლავე ტენდა-მთიანას?

სიგარეტი

— რას ბრძანებთ! — მეიფარიანმა გაოცებით ტამიც კი შემოჰკრა. — ქალბატონო ბაბო, როგორ გვეადრებათ! ჯერ ერთი, გამოძიება არ დამთავრებულა და არავინ იცის, საბოლოოდ ვის რა დაბრალდება, ვის რა ბრალი დაეკისრება. და მეორეც: ავალიშვილი ახლა აედაა. საბჭოთა კანონის ნიქედვით კი ავადმყოფის სამსახურიდან მოხსნის უფლება მამა ღმერთსაც კი არ გააჩნია. რა ბრძანებაა! შე ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ შეგატყობინეთ, რომ გცოდნოდით და ყველაფრისათვის მზად ყოფილიყავით. კაცნი ვართ... შე თქვენი გულის ამბავი ხომ ვიცი... დიას! მოხსნა კი... რას ბრძანებთ, ქალბატონო ბაბო! ეს საკითხი ჯერ არცა დგას და ნეტაყი არც დადგებოდეს. ღმერთსა ვთხოვ! მზისური კვერნაძეს კი ჩვენ უმუშევრად მაინც არ დავტოვებთ, მაგისი ნუ გემინიათ.

— გარწმუნებთ, აგული, რომ მაგისი შესრულებითაც არ მემინია. ყველაფრისათვის დიდი მადლობა! — ბაბომ სიგარეტი საფურფლეში ჩააჭრო და წამოდგა, — შემოძლია, წავიდე? კიდევ ხომ არაფერს...

— ქალბატონო ბაბო! ქალბატონო ბაბო!... თქვენ...

— არა და არა! არაფერი. გმადლობთ და ერთხელაც გმადლობთ!

ბაბომ მეიფარიანს თავი დაუქნია და კაბინეტიდან გამოვიდა. დერეფანი გადასჭრა და კბივზე ჩასვლა დაიწყო.

ბაბოს არ დაუნახავს, რომ, როგორც კი მან კიბის პირველი მარში ჩაათავა, დერეფანში მოპირდაპირე მოსახვევიდან კოჭუბამდე „დუბლიონკაში“ ჩაცემულმა, ქერანა-წნავებიანმა, ალღევებისაგან ლოყებაწითლებულმა სტუდენტმა გოგონამ გამოიხედა. ეს სწორედ ის მზისური კვერნაძე იყო. მან დააცალა სანამ ბაბო კბივს ჩაათავებდა, მერე მოსხლტა და მეიფარიანის კაბინეტში შევარდა.

ბაბო კი კანცელარიამში შევიდა და თავის მაგიდას მიუჯდა. თითქოს თავიც კი ატკივებოდა. არა, მის გულს არ ეკარებოდა ეს ამბავი, თითქოს ნათია ავალიშვილს ვინმეს მკვლევლობასთან რაიმე ესაქმებოდა,

აქ რაღაც გუგუბრობა იყო და მალე ყველაფერი გაიკვევოდა. მაგრამ ბაბო მანც გულმოკლული ფიქრობდა, ასეთი რა უკულმართი დრო დაგვიდგა, რომ თავისუფლად შეიძლება, ნათიასთან სათნო გოგონას რაღაც მკვლელობასთან კავშირი შესწავლო.

ბაბო დიდხანს გაუნძრევლად იჯდა თავის მაგიდასთან. კანცელარიის თანამშრომელი გოგონები ვერაფერს მიმხვდარიყვნენ და თავიანთ საქმეს გასუსულნი აკეთებდნენ. ბაბომ ერთხელ გაიფიქრა, იქნებ სჯობდეს, ახლავე კათედრის გამგეს, პროფესორ კონსტანტინე მიჭაბერიძეს დავურე-

კო და გავაფრთხილო. მიჭაბერიძე თქვამდაც ნათიას მამას იცნობდა, ნათიასვე კარგად ეპყრობოდა და თავის დროზე ნათიას ლაბორატორიაში დანიშნავდა საბოლოოდ მიჭაბერიძის სიტყვამ გადაწყვიტა. მაგრამ მერე ბაბომ იფიქრა, ისევ მოცდა სჯობს, მალე ყველაფერი გამოირკვევა და იქნებ პროფესორის შეწვევა არც კი დამჭირდესო. ნათიას სანახავად სიარულისაგან კი ჯერჯერობით თავი უნდა შეეკავებინა, — ეტყობოდა, ქმარსა და მამამთილს ნათიას ავადმყოფობის მიზეზზე ლაპარაკი არ ეხალისებოდათ და ბაბოს ხშირი სტუმრობა უხერხულ მდგომარეობაში წააყენებდათ.

თაზი მერვე

დისამინჯიები თავიდანვე ყოყმანობდნენ, შეეცდებოდნენინათ თუ არა ნათიას დედისათვის ქალიშვილის ავადმყოფობის ამბავი. ჯერ იყო და ფიქრობდნენ, ნათია, ალბათ, მალე გამოიჯობინდება და იმ ხანდაშული ქალის აფორიაქება არცა დირსო. მერე კვსარიამ აჩემა, თუ ჩემი რძალის ყოველი ფრჩხილის წამოტკეპნაზე დედამისი ვიხშეთ, მე რაღა მოსვლევ გუოფილვარ. რაღა დედამთილი მქვია, ან რატომ გგონიანთ თითქოს ნათიას მე დედამისზე ნაკლებად მოუვლიო. და დღეები ასე გადიოდა.

ნათიას კი უკეთესობა არ ეტკობოდა. პირიქით, საჭმელს პირს არ აკარებდა და შესამჩნევად დასუსტდა. პლატონმა და ნომალიმ ერთმანეთს სიტყვა რამდენჯერმე ჩამოუგდეს, ნათიასთან დედამისი ზომ არ მოგვეყვანაო, მაგრამ გადაწყვეტილი ვერაფერი გადაწყვიტეს. არც კვსარიას წყენინება უნდოდათ და არც ის იცოდნენ, დედის მოსვლა ნათიას მართლაც რამეში წაადგებოდა თუ არა. ორივეს გაგონილი ჰქონდა, სიძულვილით დედა-შვილს ერთმანეთი არა სძულდათ და, იქნებ, უყვარდათ კიდევ, მაგრამ დიდად სანაქებო დედაშვილობა არასოდეს ჰქონიათო.

ახლა კი, როცა ნათია ბაბო ფავლენიშვილმა ინახულა, პლატონმა და ნომალიმ

უხერხულობაც კი იგრძნეს, — ავადმყოფის სანახავად უკვე გარეშე პირები მოდიან და მშობელმა დედამ კი ჯერ არაფერი იცისო. საფიქრალი აღარაფერი იყო — ნინოსთვის ყველაფერი უნდა შეეცდებოდნენინათ. მაგრამ არც მამასა და არც შვილს ავალიშვილების ოჯახში საამისოდ მიხვლა არაფრად ესახლებოდათ. ნომალის იმიტომ, რომ გუშანით იცოდა, სიდუდრს თავიდანვე დიდად არ მოეწონებოდა და დღესაც არ იცის, მისი ქალიშვილი ცოლად რატომ გამოიყვანაო. პლატონს კი იმიტომ, რომ კარგად იცოდა, თვითონ პროვინციელი, უბრალო კაცი იყო და ნინოსთანა განათლებულ ქალებთან მის ქცევასა და ლაპარაკს დიდი გასახვალი არასოდეს ჰქონია. „მაგას ჩემი „მომრძანდი-დამრძანდი“ და „რატომ არაფერს მიიროთვე“ რას გუოფა! — ფიქრობდა პლატონი, — მაგ ქალს სულ სხვანაირი მოტყევა და ლაპარაკი უნდა; დღესაც ვერ გამოვიბა, ჩემისთანა უბირს თავისი ქალიშვილი რძლად როგორ გამოატანაო“. გარდა ამისა, პლატონი ბუნებით კეთილი კაცი იყო და სხვებისათვის ცუდი ამბის მითხანა სიკვდილივით ეწარებოდა. ასეთ დროს ზოგჯერ იმაზე უფრო ადრე აცრემლ-

დებოდა ხოლმე, ვისთვისაც ის ცუდი ამბავი უნდა მიეტანა.

მაგრამ ამ ოჯახში მუდამ ასე იყო: ყოველ მძიმე, უხერხულ და საჩოთირო საქმეს პლატონი, ბოლოს და ბოლოს, მუდამ თვით კისრულობდა ხოლმე; ნომალის სხვა სასურუნავიც ბევრი აქვსო. ახლაც ასე მოიქცა. ნომალის უთხრა, შენ ნათიას მიხვედე, მე კი დედამისთან მივალ და ამ საქმეს როგორმე თავს მოვაბამო.

— ნათიას არ ვუთხრა? — ნომალიმ ნათიას ოთახისაკენ გაიხედა.

— ა?

— არ მოვაშაადო?

— შე კაცო, რა მომზადება უნდა, დედა მომყავს, გქმინი ხომ არა!

— მაინც...

— როგორც გინდოდეს... რა ვიცი... თუ გინდა, უთხარი. დედაშენი კი გააფრთხილე. პატარა სუფრა მოახაზიროს. აბა, მე წავედი.

ნინოს და ანდროს, ის იყო, ესადილნათ. სასტუმრო ოთახში ისხდნენ და ხმადაბლა მასლათობდნენ. პლატონის დანახვაზე ერთმანეთს, ცოტა არ იყოს, გაკვირვებით გადაჰხედეს. ნინომ წარბებიც კი შეიკრა. ანდრო სწრაფად წამოდგა.

— მობრძანდით, პლატონ! — ანდრომ მხერა ისევ ნინოს შეავლო და პლატონს სკამი მიუწია. — როგორ გაგახსენდით?

— ხომ არაფერი მომსდარა? — ნინოს ხმაში უკვე აშკარა შემოფოთება ისმოდა. ქალი გულხელდაკრეფილი იჯდა და პლატონს გაუნძრევლად, ქვემოდან ზევით ამოსცქეროდა.

„აი, დედის ბული! — გაიფიქრა პლატონმა, — ხალხი კი კორაობს, დედა-შვილს ერთმანეთი არ უყვარდათ.“

— რა უნდა მომხდარიყო, ქალბატონო ნინო! არა, რა თქმა უნდა, ისეთი არაფერი. უბრალოდ, ნათია ცოტა შეუძლოდა. თქვენი ნახვა, ჩვენი ვარაუდით, ნამდვილად გაუხარდება და თუ ბარემ დღეს ყველანი ერთად ვივახშვებით, ამას რაღა აჯობებს.

ნინომ და ანდრომ ისევ ერთმანეთს გადაჰხედეს.

— გთხოვთ, ორივეს ძალიან ვთხოვთ. —

პლატონმა ორივე ხელი მკვერდზე მიიკრა.

— მე დღეს... — ანდრომ შეიმშრნა და მაჯის საათზე დაიხედა. — მე დღეს არ მცალია... სამინისტროში...

— არა, იმ საქმეს შენ ხვალისთვის გადახდებ. ახლა კი წავიდეთ. — ნინო წამოდგა და სწრაფი ნაბიჯებით თავის ოთახში გავიდა.

ნათიას დანახვაზე ნინოს მუხლები მოკვეთა. ანდრო რომ არ მიშველებოდა, იქნებ, წაქცეულიყო კიდეც. ნათიას კი, პირიქით, დედის დანახვამ, თითქოს ძალ-ღონე დაუბრუნაო, — ლოგინიდან წამოიჭრა და როგორც იყო — პერანგის ამარა — დედას მივარდა. ნათია თვითონაც ცახცახებდა, მაგრამ დედას მაინც წელზე ხელი მოჰხვია და ტურებით ფლზე დაკვინა. ნათიამ და ანდრომ თითქმის გულწასული ნინო ტახტზე დასვეს. ნომალიმ მოისაზრა, ნათიას სამინაო ხალათი გამოარბენინა და ცოლს მხრებზე მოახურა. შუა ოთახში უაზროდ გახვევებული პლატონი ნელი ნაბიჯით კედელთან მიდგა და ყველაფერს იქიდან მისჩერებოდა. ნინომ ქალიშვილის თავი მკვერდზე მიიკრა. ნათიას თავს ისევ მოიშორებდა ხოლმე, თვალბეში ჩაამტერებოდა და მერე ისევ მკვერდზე მიიკრავდა. ეს რამდენჯერმე გაიმეორა. უცერად მერე შემლილივით მიმოიხედა და მთელი ხმით შეჰკივლა, — დაგეტოვებ, მარტო დაგეტოვებო! ნათიას თავი ისევ მკვერდზე მიიკრა და, ძალგამოლეული, თვითონაც კედელს მიეყრდნო.

პლატონმა მამინევე თავი ჩაღუნა და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა. ნომალი გაწითლდა, ტურები ჩაიკვნიტა და ფეხი რამდენჯერმე შეინაცვლა. მერე ამანაც მოისაზრა, ახლა სხვა გამოსავალი მაინც აღარ არისო, და ოთახიდან ესეც ფეხარეული გავიდა.

— ნათია, შეილო!

— დედიკო!

დედა-შვილი ისევ ერთმანეთს ჩაეკონა. ანდრო ფრთხილად მიდგა კედელთან. პლატონის ადგილი დაიკავა. ცხვირსახოცი ამოიღო და შეწითლებული თვალები ამოიწმინდა.

აღარავის ახსოვდა, ნინო და ნათია რა-

მღენ ხანს იყვნენ უხმოდ ჩაკონებულნი. ბოლოს ისევ ანდრო გამოერკვა, დედა-შვილთან მივიდა და ნინოს დაბალი, დამამშვიდებელი ხმით უთხრა, უკეთესი იქნება. თუ ნათიას ისევ ლოგინში ჩავაწვევით.

— ახლავე... ახლავე... ნინომ ღრმად ამოისუნთქა. ნათიას თავი მკერდზე ერთხელაც მიიკრა, — თვალებს კი ისევ შეშლილივით აბრიალებდა, — და ფრთხილად წამოიღვა. მან და ანდრომ შათია ლოგინთან მიიყვანეს და ჩააწვინეს. ნინო ლოგინზე ჩამოჯდა და ნათიას თავი ისევ მკერდზე მიიკრა. ანდრომ შვილობილს საბანი გაუსწორა და ოთახიდან გამოვიდა.

ღისამინჯები ხმამაყოფებლად ისხდნენ სასადილო ოთახში. ნომალი იატაკზე ერთ წერტილს დასჩერებოდა და ხანგამოშვებით ხელს შუბლზე ისვამდა. პლატონი კი ოხრავდა და პაპიროსს პაპიროსზე აბოლებდა.

ვინ იცის, მამა-შვილი რამდენ ხანს იქნებოდნენ ასე; სამზარეულოდან ხელვადგაპიწებული, სახვტაოფლიანებული, პურის ფჭვილით წინხაფარდასვრილი კვასარია რომ არ შემოსულიყო.

— თითქოს რაღაც ხმაური შემოიშვამა.

— არაფერი. — ხელი აუწია პლატონმა. — რა ხმაური უნდა ყოფილიყო!

— აბა, ეს მამა-შვილი რატომ შიხართ ასე დაუბრებულებივით? ჩემს ოჯახში მე ვერ მიცვალბულს ვერ ვხედავ და ღმერთმა ნურც დამანახოს! ასე ჭირისუფლებივით ჯდომა გაგონილა?

— მოგვეშვი, კვასარია!

— მოგვეშვი რა ქართულია! საჭაპურების ცხობას გადავეცი და თუ არ გინდოდათ, საწვალბებული მე სხვაც ბევრი მაქვს კიდევ.

— ვინ გითხრა, არ გეინდაო?

— ვინ მითხრა და თქვენმა სახემ. ადექი და სარკემი ჩაიხედე ერთი. ანდა ისეთი რა მოხდა? ავად ვინ არ გამხდარა, თქვენი ჭირიზე! დავიჯერო, მგე ქალმა თავისი ქალიშვილი ისე გაზარდა, რომ ერთხელ ფრჩხილიც კი არ წამოსტკენია? რაღა ჩვენი გაუკვირდა? და ან მაგისი ქალიშვილი, თუ სიმართლეს ეტყვი, ახლა ჩვენი მი-

ზევით არის ავად? არა! მაგას აღამიანი-შვილის ენა არ იტყვის!

პლატონმა და ნომალიმ ერთმანეთს გადასხედეს. კვასარია მართალს ამბობდა, მაგრამ...

— ქალო, ახლა რა დროს მაგაზე ლაპარაკია!

— ისეთს მე რას ვლაპარაკობ?

— არა, არაფერს, ოღონდ... იცი, რას გეტყვი? ეგენი დაწყნარდებიან. დედას შვილის ავადმყოფობა ეწყინება, ბა, რა იქნება. შენ კი ამასობაში სუფრა გაამზადე დაწყნარდებიან, დაშოშმინდებიან და მაშინ თითო ლუკმა საჭმელი არავის არ გეაწყენს. ისეთი რა მოხდა!

— მაგას არ ვლაპარაკობ მეც! ისეთი მართლაც რა მოხდა? ვახშამი კი მე თითქმის მხალა მაქვს. აგერ გაეშლი და როგორც კი მოინებებთ, მაშინვე...

— აბა, შენ იცი!

რამდენიმე წუთის შემდეგ ოთახში ანდრომ შემოიხედა და ნომალის უთხრა, ნათია გთხოვთ.

ნათია ლოგინში წამომჯდარიყო. ნინოს ხელები ეჭირა. და სუსტად იღიმებოდა ეტყობოდა, რომ წვლანდელმა აფორიაქებამ ძალიან დაქანცა. ნომალის ყურადღებით, აღერსიანად შეხედა და გასურებაც კი სცადა:

— ნომალი, გაიყანი დედაჩემი.

ნომალის სახეზე ისევ სიწითლემ გადაკრა. ადგილიდან არ დაძრულა.

— მოდი, შეილო. — ნინოს მარჯვენა ხელი ნათიას მხარზე ედო და ნომალის მარცხენა გამოუწოდა. — წვლან ცოტათი ავლელდი, მაგრამ შეპატიება. თუ ნათია ასე ავად იყო, ჩემთვის არ უნდა შეგეტყობინებიათ?

— ისეთი არაფერი მიჭირს დედა.

— არა, მაინც... არა, ვოჭვათ, ამათ მოერიდათ, შენ თეთონ რატომ არ უთხარი, დედას დამიძახეთ-ოთქი? დაჯექით, ნომალი. თუ დიდი საიდუმლო არაფერია, ეჭიმები რას ამბობენ? ნათია არაფერს მეუბნება. — ნინო ცდილობდა, მშვიდი კილოთი ელაპარაკა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ძალიან აფორიაქებული

იყო. ნათიას წამდაუწუმ შუბლზე ხელს უხვამდა.

— ჩვეულებრივი, ნურვიული მოვლენებიაო. სიმშვიდე გასჭირდება და მალე ყველაფერი გაუვლის.

— ღმერთო! კქნას! რაღა დაგიმალათ და... თუმცა არა, სისუღუღეა... მადლობა ღმერთს, რაკი ისეთი არაფერია. მე კი წელან რა არ ვიფიქრე.

„თქვენ წელან მოგერვნათ, ნათია ამ დღეში კქმარმა ჩაგდგოო. — გაიფიქრა ნომალიმ. — თვალებს ისე ამრიალებდათ, რომ კიდევ შემიშინდა, არ გაგიფდეს-მეთქი“.

— წამლები არაფერი დაუნიშნეს?

— დიას! მაგრამ მთავარი წამალი მაინც სიმშვიდეაო.

— მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს! შენც მადლობა, შვილო ნომალი, რომ ასე მამშვიდებ, დიდი მადლობა!

„მადლობას კი მისდი, მაგრამ თან ერთი სული გაქვს, აქედან როდის გავალ. — ისევ გაიფიქრა ნომალიმ, — კარგი, ბატონო, მაგ სურვილსაც შეგისრულებ. ოღონდ დარწმუნდი, რომ ნათიას ავადმყოფობაში მე იოტისოფუნა ბრალიც კი არ მიმძღობს“.

— ერთი წუთით უნდა დაგტოვოთ.

— როგორც გვნებთ, ნომალი.

ნომალი გამოვიდა.

„ერთი კია. — გაიფიქრა მან. როცა სახადილოში შევიდა და მამამისს ისევ გვერდით მიუჯდა — ჩვენ ნათიას ყოველ წუთს ვხედავთ და ცვლილებებს ვეღარ ვამჩნევთ. ჩემი სიდედრი კი წელან მართლაც კინაღამ გადაირია, ნათია ასეთ დღეში რომ დაინახა. შეეცდით, ყველაფერი პირველსავე დღეს უნდა შეგვეტყობინებინა“.

— რაო? — ჩურჩულით ჰკითხა პლატონმა შვილს.

— არაფერი.

— რაიმე არ უთქვამს? — პლატონმა ხმას კიდევ უფრო დაბლა დაუწია.

— არაფერი.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი საწყალი ქალი სულ გადაიჩრეოდა. ეგენი, შვილო, სათუთად ნაზარდი ახზავად ნაცხოვრები

ხალხია. ამისთანა ამბებს სულ ვერ იტანენ. ხომ ხედავ, სადღაც რატომღაც ვიღაცამ ვიღაცა მოჰკლა და ნათია საცაა, ხელში შემოგვადნეს. შენ რატომ გამოიბრუნდი?

— ისე, არ ვიცი.

— დაწნარდი, შვილო. და იცი, რას გეტყვი? მოდი, მე გავალ და იმ ადამიანს დაველაპარაკები. სულ მარტო მივატოვებთ იმხელა ოთახში, გაგონილა?

პლატონი დიდ ოთახში გავიდა, ანდროს ტახტზე ჩამოჯდომა შესთავაზა, პაპიროსი მიაწოდა და მასლაათი გაუბა.

— ნათია ძალიან შეცვლილი გერწმუნებოდათ.

— დიას, ძალიან.

— ასეა. ჩვენ ყოველდღე მივჩერებოდართ და თვალი მივაჩვიეთ, თქვენ კი... მაგრამ არაფერია, ღვთით, ყველაფერი გაივლის.

— ვერ შეტყვით, როგორ ან რატომ დაეწყო?

— რატომაც არა... — პლატონი ამ კითხვას მოელოდა და თითქოს პასუხის მისაცემადაც მზად იყო. მაგრამ ახლა ცოტათი მაინც დაიბნა. მიგარეტიანი მუნდშტუკი ერთი ხელიდან მფორემი გადაიტანა, კეფა მოიფხანა, მზერა ნათიას ოთახისკენ გააპარა. ოთახის კარი მოხურული იყო. — რაღა დაგიმალათ, ბატონო ანდრო, თქვენ ვაკაცვი ბრძანდებით... დიას... ქალბატონ ნინოს ნუ ვეტყვით, რასაკვირველია, და ყველაფერი იმ დღეს დაიწყო, ნათია... პროკურატურაში რომ გამოიძახეს.

— ბატონო?!

— დიას... არა, თქვენ ნუ აღელდებით. ისეთი აქ სრულებით არაფერია. ხანამდე ამ ოჯახში ფეხს შემოდგამდა, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, და გაგაბედნიერებდა, ნათია, როგორც ყველა მისი ტოლი ქალიშვილი, — ამაში საძრახისი არაფერია, — ვიღაც ახალგაზრდებთან, თავის ტოლებთან ამზანაგობდა. იქნება, იცით კიდევ... ჰოდა, უკვე ნათიას გათხოვების შემდეგ, თუ მანამდე, კარგად არც კი ვიცი, იმ წრეში მკვლელობა მოხდა. დიას, მიწეში კი არაფერ იცის. აიღეს და

მოკლეს. ჩვენი გამოძიებულების ამბავი მოგესვენებათ. უმოქმედობა არ დაგეწამინო და — ყველა და ყველაფერი ფეხზე უნდა დააყენონ. ზოგჯერ ისეთ ვინმეს არ ღაინახავენ, ვინც მართლა ყველაფერი იცის, და სამაგიეროდ... ჰოდა, ვიღაც ჰკუის კოლოფმა ჩვენი ნათია პროკურატურაში არ გამოიძახა! არა, ღმერთმა დაგვიფაროს, ნათიას კი არაფერში აღებენ ხელს. ისე, საერთო სურათის გასაშუქებლად. ჰოდა, მოგესვენებათ, სათუთად ნაზარდი, ამავი, თავმოყვარე ბავშვია, იუკადრისა, ეს როგორ გამოიხედვით და... მერე იცოცხლეთ, იმ გამოძიებულმა ბოდიშები ისადა, მაგრამ, რაღა დროს! ნათია... ე, თქვენც ხედავთ... მაგრამ თქვენც კი არაფერი იფიქრეთ, ბატონო ანდრო! აჰ, აი, როგორც ძმასა და მეგობარს, ისე გვეუბნებით: ამის მეტი არც არაფერი აქამდე ყოფილა და არც ამას იქით იქნება. ეს ჩემი სიტყვა დაიმასხორეთ. ახლა, რა ვიცი, ღირს, რომ ეს ამბავი ახლავე ქალბატონ ნინოს შევატყობინოთ? როგორც თქვენ მიზრძანებთ, მეც ისე მოვიქცევი.

— იქნება, ნათიამ თითონვე უთხრას. აქ ისეთი არაფერია. ასეთი რამ ყველას შეიძლება შეემთხვეს.

— გენაცვალე, ყოველ მეორე ლაწირაკს ჯიბეში დანა და ბეჭეტი უდევს, გაიგე ახლა შენ, ვინ კაცის მკვლელია და ვინ ახპირანტი!

— ნამდვილად.
— ასე რომ, ანდრო ბატონო, ნუ გაგვიწაყვინდებით, არც კი გვეგონა, ნათიას ავადმყოფობა თუ ამდენ ხანს გახტანდა.

— რა ხალაპარაკო... იმ ბიჭებს კი თითქოს მეც ვაყნობდი. არც კი ვიცი, ნეტავი, რომელი მოპკლეს?

— სწორედ ყველაზე ბუნწულა და უწყინარი მოუკლავთ.

— თ-ჰო-ჰო-ჰო!
— ეს ყოველთვის ასე ხდება.
— ჰო-ჰო-ჰო-ჰო!

— ყოველთვის, ბატონო, ყოველთვის. მუდამ ყველაზე უწყინარი და უდანაშაულო იღუპება. ჰო... ისე... ბატონო ანდრო, ქალები ერთმანეთს თვითონ მიჰხედავენ: ნათიას ქალბატონ ნინოზე ახლო-

ბელი ვინა ჰყავს? რისი თქმაც უნდა, კიდევაც ეტყვი. ჩვენ კი... ხელუბნებულნი არ წაიბანდით? აგურ, კესარიამ ცოტა ჩადაცა მოგვიშადა. ამ მიზეზითაა, თუ იმ მიზეზით, დღეს ჩემს ჰერტველ კი შევიყარეთ და ერთმანეთს თითო ჭიჭა რომ არ დაგულიოთ ისე არ იფარგებს. ჩვენი ნათია აღარ ვადღევრბელოთ?

— ე... სიამოვნებით... რა თქმა უნდა, სიამოვნებით.

— ნათიასთან ნომალის შევეზავნი, ქალბატონ ნინოს კი ერთი ჭიჭა ტკბელი ღვინო დავაღვინოთ. იქნება, ცოტათი გამზიარულდეს კიდევ. როგორ გვეკადრებათ, ბატონო ანდრო: ნათიას ისეთი რამე რომ სჭირდეს, მთელი თბილისის პროფესიონაბა დღეს აქ იქნებოდა. აბა, აქეთ, ჩემო ბატონო!

როდის მოასწრო, ეს მართო ღმერთმა იცის. მაგრამ კესარიას სახადილო ოთახში უკვე მართლაც სანაქებო სუფრა გაეწყო. იჭაურობას არ აკლდა არც შემწვარი წიწილები, არც ცხელი ხაჭაპურები, არც თუმური და იმერული ყველი, არც სულგუნი, არც რაჭული შაშხი... ღვინის ბოთლები კი იმდენი და იმდენაირი იდგა, რომ თვალი აგიჭრელდებოდათ — „ქინძმარაული“ თუ „ხვანჭყარა“, „ახაშენი“ თუ „წინანდალი“, „გურჯაანი“ თუ „ტვიში“... კესარიას კაბის გამოცვლაც მოესწრო. ლურჯი ჭიშირის, კარგა ღრმად გულამოჭრილი კაბა ჩაეცვა და მსრებზე წითელი შალიც მოეგდო. ანდროს იგი ღიმილით და ხელგამლით მიეგება.

— მოზრძანდით, ბატონო ანდრო, გვიკადრეთ.

— მოზრძანდით, ბატონო ანდრო, გვიფიქრა ანდრომ, — ალბათ, ნათიას ისეთი მართლაც არაფერი სჭირს“.

მთავრულიშვილმა კესარიას ხელზე აკოცა და თავისუფალი სკამისკენ გაემართა. ყველანი მაგიდას მიუსხდნენ.

— ქალბატონი ნინო? — პლატონმა „ქინძმარაულია“ ბოთლი აიღო და მიმოიხედა. — უიმისოდ დაგიწყით?

— ის ნათიას არ მოშორდება. — ჩაილიმა ანდრომ.

— ნათიას ნომალი მიხედავს.
 — არა! არა! — კესარია წამოდგა და თითი აოშვირა. — აბა, მე ასე ვიტყვოდი: ეს სუფრა, როგორც არის, ახლავე ნათიას ოთახში შევაგროოთ და იქ ყველა ერთად ვიჭებოთ, აბა, ნომალი რატომ უნდა გამოგაკლდეს?

— ო, ო!

— დიდებულისა!

ორიოდე წუთის შემდეგ ყველანი ნათიას ოთახში შეტანილ სუფრას უხსდნენ. ამ მოულოდნელობისა და სიხარულისაგან წამოწითლებული ნათია კი დედას ხელზე ხელს უჭერდა და ნომალის აღერსიანად უღიმოდა.

სუფრაზე მსხდომთაგან ყველაზე მხიარულად და უხრწველად თავს მაინც პლატონი გრძნობდა. ამ გულკეთილ კაცს იოტისოდნენა ეჭვიც კი არ ეპარებოდა იმაში, რომ ნათია სულ მალე გამოიჯანმრთელდებოდა. პროკურატურაში კი მას აღარც გამოიძახებდნენ: იქ, ალბათ, უკვე საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ იმ მკვლელობასთან ნათიას არაფერი ესაქმებოდა. სხვა კი რაღა იყო სადარდებელი? რაკი ამ განათლებულმა, დიდი ოჯახის შვილებმა ანდრომ და ნინომ მისი ოჯახი იკადრეს და მის სუფრასაც კი მიუხსდნენ, ახლა მთავარია, თვითონ სუფრა ვარგოდეს. სუფრა კი კესარიამ ყოველთვის კარგი იცოდა და პირი არც ახლა შეურცხვნიდა. მეტი რაღაა საჭირო? დანარჩენი თვითონ პლატონზე იყო. ამ დიდებულ ხალხს ისეთ დროს გაატარებინებს, ისეთ ამოქარგულ სადღეგრძელოებს იტყვის, ისეთ სასაცილო ამბებს მოუყვება და, ბოლოს, თუ საქმე იქამდე მივიდა, გიტარაზეც ისე დაამღერებს, რომ თქვენი მოწონებული. პლატონმა „წინანდლით“ მოზრდილი ჭიკა შეიგოს და თამადაობისათვის შეეშადა.

სხვებს კი, სუფრაზე მსხდომთ, ყველას თავისი სადარდებელი და საფიქრალი ჰქონდა.

ანდრო მთავარულიშვილი ფიქრობდა, ნათიას ჩემთან ერთად სუფრასთან ჯდომა თავის სახლში არ უყვარდა და ამ დროს მუდამ უკუნებოდ იყო ხოლმე. ახლა კ, ა, ყველაფერი რთვორ შეიცვა-

ლა: ისე აღერსიანად მიღიმის, თითქოს მთელს ჭვეყანას ვურჩევინდე. მაგრამ ეს არაფერი. მთავარი ის იყო, რამ, როგორც ეტყობოდა, ნინომ ნათიას ავადმყოფობის მიზეზისა ვერ არაფერი იცოდა. თვითონ ნათიამ თქმა ან ვერ ვერ მოასწრო, ან არ მიინდომა. აქედან რომ წავიდოდნენ. ანდროს ნინოსათვის ყველაფერი თვითონ უნდა ეამბნა და ძნელი გამოსაცნობი არ იყო, თუ ნინოს მაშინ რაღა დაემართებოდა. ან იმ მკვლელობის საქმის გამოძიება როდის და როგორ უნდა დამთავრებულყო? სომ შეიძლებოდა, ვინმე გარეწარს რაღაც ნიჩქი ნათიასთვისაც მოეცხო. ახლა პროკურატურაში უმიზეზოდ აღარავის იბარებენ.

ნინო ისევ აფორიაქებული იყო ნათიას მღგომარეობით. ყველაფერს იფიქრებდა, მაგრამ თუ ნათიას ასეთ დღეში ნახავდა, ამას კი ვერა. ამის მიზეზი კი რა უნდა ყოფილიყო? ქმარი, თითქოს, კარგად უნდა მქცოდეს. ყოველ შემთხვევაში, ამ ერთი საათისა თუ საათნახევრის მანძილზე ნინოს ნათიასა და ნომალის ურთიერთობაში აღერსისა და ყურადღებას მეტი არაფერი შეუშინებია. ნინო კი არც ისე გამოუცდელია ცხოვრებაში, რომ მის თვალს რაიმე გამოეპაროს. მაშ, რაშაა საქმე? არ იქნა და ავადმყოფობის მიზეზზე ნინომ ნათიას სიტყვა ვერ დააცდენინა.

ნათიას, თავის მხრივ, ახლა სწორედ ის აწუხებდა, რომ ვერაგზით ვერ გაბედა და დედას სიმართლე ვერ უთხრა. ვინ იცის, ნინოს მაშინ რა დაემართებოდა. ჯამბაკურ ავალიშვილის ოჯახი და — რაღაც მკვლელობა, რაღაც გამოძიებები? მაგრამ ნათიას მთავარი სატანჯველი მაინც ის იყო, გამუდმებით თვალწინ ედგა იმ უბედური ბიჭის, ანზორ კუპატაძის სახე. მას გონებას აკარგვინებდა იმის უბრალო გაფიქრებაც კი, რომ იმ ბიჭის მოკვლის მიზეზი რაღაცნაირად, რაღაც უკუღმართ გზებით შეიძლებოდა თვითონ იგი, ნათია ავალიშვილი ყოფილიყო. მაშ, პროკურატურაში რატომ გამოიძახეს? ან კიდევ რომ გამოიძახონ და რამე ბრალდებაც კი წამოუყენონ? დემართო დიდებულო, ანა სჯონდა, თვითონ ნათია მიგვლათ? აი,

ცხოვრებამ ნათია როგორ ჩიხში მოაქცია, გამოსავალი კი არსადა ჩანს.

სუფრას ნომალიც კრიტიკული უჯ-ჯა ჯერ ერთი, აგი გუშინით გრძნობდა, ნათიას პროკურატურაში კიდევ არაერთ-ხელ გამოიქაშებდნენ და, საერთოდ, არა-ვინ იცის, ეს საქმე როგორ დამთავრდებოდა. ნომალიმ იცოდა, რომ ვალერიან მჭკაბიშვილი სერიოზული გამოიმჩიებელი იყო და ტყუილ-უბრალოდ არავის შე-აწუხებდა. ნომალის ძალიან აფიქრებდა ნათიას ჯანმრთელობის ამბავიც, უკვე რამდენი ხანი იყო, რაც მის ცოლს უეუფესობა არ ეშინებოდა. ექიმები კი ვერაფერს პო-ულობდნენ და ისიც კი ვერ გადაწყვიტეს, თუ რა წამლები დაენიშნათ.

ნომალის კიდევ ერთი, შედარებით უფრო წერილმანი რამეც აწუხებდა. მან იცო-და, რაც უფრო ახლოს გაიცინებდა ნათიას დედა მის შობლებს, მით უფრო ნაკლებ მოეწონებოდა ისინი, განსაკუთრებით კი კესარია. ნომალის დედას უცნაური ზნე სჭირდა: ხანდახან, უცხო ხალხის საზოგა-დოებაში პირდაპირ აიწყვეტდა ხოლმე და საკუთარი „განსწავულობის“, „ადამიან-ობის“, „გემოვნების“, „ხალხში გამო-სულობის“. „ცნობილ ადამიანებთან ნა-ცნობობის“, „ცხოვრების ცოდნის“ გამომ-ვლანებას შეეცდებოდა. ამ დროს კესარია ისეთი აუტანელი, პროვინციული, საკუთ-არ თავში დარწმუნებული, შეზღუდული და, უბრალოდ, უტვიზო ჩანდა რომ ნო-მალის საკუთარი დედა თითონვე შეეჩი-ვებოდა ხოლმე. სხვებს რაღა დაემართე-ბოდათ? მით უმეტეს ახლა, ამ საღამოს: რა დროს „განსწავულობისა“ და „გე-მოვნების“ გამოჩენა იყო, როცა ლოვინში მძიმე ავადმყოფი ეწვიათ? ან, კაცმა რომ თქვას, მთელი ეს პურმარული რა საჭი-რო იყო? ჩაი შემოეტანათ და ყველაფერი ამით გათავდებოდა.

კესარიამ კი სწორედ ამ საღამოს აი-წყვიტა.

პირველი სადღერძელო პლატონმა სწორედ მას — „ოჯახის უფროს დიასახ-ლისს“ მიუძღვნა. შეუქო ადამიანობა, მე-ოჯახუობა, ავ-კარგიანობა, მოყვრების სი-ყვარული „არაფერია ჩვენს კესარიას ისე 6. „შინათობი“, № 8.

არ ეხალისება, — დააბოლოვა პლატონმა, — როგორც საკუთარი ოჯახის წინსვლა-გამარჯვება, კეთილდღეობა. ეს ჩაბამიან-საკუთარი ოჯახით ხარობს და სულდგმუ-ლობს. ოჯახის სიხარული მისი სიხარუ-ლია და სატკივარი — მისი სატკივარი იცოცხლე, ჩემო კესარია და გაგიმარჯოს!“

პლატონის შემდეგ კესარია ორიოდე თავაზიანი ფრანით ანდრომ ადღერძელო, მერე ორიოდე ხიტყვა ნინომაც უთხრა და „ქინძმარული“ მოხვა. ასევე ნათიამაც — ამას ყველამ ერთხმად უთხრა, დალიე რამდენიც შეგიძლია, ეგ ღვინო არ გაწ-ყნხო. სულ ბოლოს ტიქა ნომალიმ ასწია და დედას ბედნიერება უსურვა. თან გუ-ლი უძგერდა, ახლა თავისებური „ორა-ტორობა“ არ წამოიწყოსო. მართლაც, ნო-მალიმ ტიქის დადებაც კი ვერ მოასწრო, რომ კესარიამ თავისი ტიქა „წინანდლით“ გააფხო და... წამოდგა:

— ჩემო ოჯახი, — დარბაისლური კი-ლოთი დაიწყო მან, ხავსე ტიქა მარცხენა ხელის გულზე დაიდგა, მარჯვენათი კი მაგიდის ძვიდეს დაეყრდნო. — ამ ჩვენს პატოსან და ღარიბულ ჭერქვემ დღეს-დღეობით ავადმყოფი გვიწევს. ჩვენი, მე ვიტყოდი, ნათია, დღესდღეობით შეუძ-ლოდაა. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, წარ-მავალია. ნათია მალე გამოიჯობინდება. მაგრამ მუდმივია და წარმავალი სულაც არ არის ჩვენი ურთიერთგაგება, ჩვენი ურთიერთსიყვარული და, მე ვიტყოდი... დიახ, ისევ და ისევ სიყვარული, რასაკ-ვირველია. და მე ვისურვებდი, რომ ამ ოჯახს, ამ ჭერს, კქონდეს, რასაკვირველია, ნათელი მომავალი. დიდი მადლობა მო-მისხენება ჩემი ასე კარგი გულით დღე-გრძელობისათვის — ტიქა მოიყუდა, დახ-ცალა და პლატონს მიუბრუნდა: — ოღონდ უნდა გითხრა მე შენ, პლატონ: ჩემი სად-ღერძელო ცოტა ცალმხრავად დალიე შენ. მე მარტო ოჯახის და სხვა ასეთი ქალი არა ვარ. მე სხვა ამბებიც მაინტერესებ-დენ იქნება. მაგრამ ამაზე მერე ვილაპა-რაყოთ.

— იცოცხლე, ჩემო კესარია, იცოცხლე! — აბა, სტუმრებო, ვთხოვთ. ხაჭაპურს ნუ გამოიცევენთ.

კესარია დაჯდა. ნომალში კი თვალი შეასწრო: როცა კესარიამ თავისი სამადლობელი სიტყვა ჩაათავა, ანდრომ და ნინომ ერთმანეთს მოკლე მსურა ესროლეს.

შემდეგი სადღეგრძელო ნათიასი იყო. პლატონმა საიდანდაც ყანწი თვითონ გამოიტანა და პირთამდე გაავსო.

— ჩემო შვილო, — უთხრა მან ნათიას და თვალები ახლავე, სადღეგრძელოს დაწყებისთანავე აუწყლიანდა, — ჩემო საყვარელო და საამაყო რძალო! შენ რომ ამ ოთახებში გაივლი, ჩემი გული სიხარულითა და სიამაყით იფუხება. ახლა რაღაც ავადმყოფობა გეწვია, ხომ? კარგი! აბა, მობრძანდეს! აგერ მე და აგერ ის შენი ავადმყოფობა. ეს პლატონი, ეს პლატონ დისამინჯია მოკვდეს, თუ შენ... როგორ გითხრა, იცოდე, ეგ ავადმყოფობა შენ ბუსაც ვერ აგაფრენს. ასე მითქვამს მე. დედა გიციცხლოს, ბატონი ანდრო გიციცხლოს, ნომალი გიციცხლოს. გამრავლოთ, გაბედდითო! მე და კესარია კა თქვენი ტირის სანაცვლო ვყოფილიყავით.

პლატონის განწყობილება ყველას გადაედო და ნათიას სადღეგრძელო მთელი სულითა და გულით დაილია. ნინო ქალიშვილს წამდაუწმი ხელებზე ვალერსებოდა. ანდრომ და ნომალში ტიქები ერთმანეთს მიუჭახუნეს და ბოლომდე დასცალეს. თქმით არც ერთს არაფერი უთქვამს. პლატონმა ცრემლისაგან აწითლებული თვალების დამალვა გადაწყვიტა, სუფრაზე დაისარა და ტყემალი ამოვლებულ შემწვარ წიწილას მიეძალა. ბოლოს ისევ კესარია წამოდგა („ფეხზე მაინც არ დგებოდეს!“ — მწარედ გაიფიქრა ნომალში), „წინანდლით“ სახეე ტიქა ისევ მარცხენა ხელის გულზე დაიდგა („ეს მაინც ვინღა ოხერმა ასწავლა!“), მარჯვენათი ისევ მაგიდის ძვიდეს დაეყრდნო და დაიწყო:

— ჩვენო რძალო და ჩვენო საყვარელო, მე ვიტყოდი, ნათია- დღესდღეობით შენ, შეიძლება ითქვას, ლოგინზე ხარ მიჯაჭვული. ამას ყველანი ვხედავთ. მაგრამ განა შენს ცხოვრებაში მოავარი ეს არის? რა თქმა უნდა, არა და არა! ცხოვრებაში შენ დიდი გზა გაქვს გასავლელი. შენ უნდა გახდე ქართველი დედა, შენ უნდა იყო

თანამედროვე ადამიანი, ქალი, შენით უნდა ვამაყობდეთ ჩვენ ყველანი, როგორც ვამაყობთ მთელი რიგი ქართველი. ქალუბის სახელებით, ვისა-სახელებიც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ქართველი ერის ისტორიაში. ამასვე გისურვებთ ჩვენ ყველანი შენც, ჩვენო რძალო, ჩვენო ნათია, ვინაიდან ნიქი და მონდომება, იმედია, არც შენ გაკლია. ძირს, მე ვიტყოდი, ყოველგვარი სწეულება! გაუმარჯოს ნათელ მომავალს!

კესარიამ ეს ჭიჭიე ბოლომდე გამოსცალა. ნომალის იმისი სათვალავიც კი აერია, თუ ნინომ და ანდრომ რამდენჯერ შეაგულეს ნამალევი მსურა ერთმანეთს, სანამ კესარია ლაპარაკობდა. ნომალის ნერვები უკვე უკიდურესობამდე ჰქონდა დაჭიმული და ნატრობდა, ნეტავი, მამაჩემი მოიფიქრებდეს და ამ სუფრას მალე გაათავებდეს, თორემ, დედაჩემის წყალობით, ნინო ნათიას ახლავე ხელში აიტაცებს, ასევე სანაში გახვეულს, სახლისაკენ გააქანებს და შეიძლება, უკან ერთხელაც აღარ მოახედოს.

მაგრამ პლატონი სუფრის დამთავრებას ჯერჯერობით ნამდვილად არ ამირებდა. მან იფიქრა, სწორედ ის დროა, რომ რაიმე სასაცილო ამბავი მოყვევო, ჩაახველა, ტუქები ცხვირსახოციით მოიწმინდა და დაიწყო:

— ნიკოლოზის დროა, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, და სადღაც, არ ვიცი კივის, არ ვიცი ოდესის ცირკში ჭიდაობაა გამართული. ყველა მსურველს შეუძლია, გადავიდეს და იჭიდაოს. ტრიბუნებზე რასაკვირველია, ქართველი სტუდენტებიც არიან, იფიქრეს, ყველა ჭიდაობს, ყველამ თავი გამოიჩინა და ჩვენ რატომღა უნდა ჩამოვჩივითო. შეუწინდნენ, ერთს, რომელიც სწებზე უფრო ჩახსმული და ღონიერა იყო, სიტყვაზე, ვთქვათ, ვანოს, და შეაგულიანეს, გადადი და იჭიდავეო. ვანო ჯერ უარზე იყო, ჭიდაობის არაფერი გამეგებო, მაგრამ მერე ამხანაგებს სათრი ვედარ გაუტენა და გადავიდა. გამოეყვანა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ვიდაც ხარივით ღონიერი უკრაინელი. ისინი ხომ საერთოდ დიდად ღონიერი ხალხია. იმ უკრა-

ინელმა არც აცია, არც აცხელა და თვალის დახამხამებში ეს შენი ვანო შოთივით გააკრა მიწაზე. მთელი ცირკი, რა თქმა უნდა, გამარჯვებულს ერთი ამბით ტანს უკრავს მაგრამ ეს ქართველი სტუდენტები ატყდნენ, უკრაინელმა წესი დაარღვია, ნებრაველინა, ნებრაველინაო. ნებრაველინაო?! აბა, კიდევ ვაჭიდავოთო. აჭიდავეს. იმ უკრაინელმა ეს შენი ვანო ისევ შოთივით გააკრა მიწაზე. ცირკი ისევ ტანით ინგრევა, ქართველები კი ისევ გააყვირიან, ნებრაველინა, ნებრაველინაო... ნებრაველინაო?! აბა, კიდევ ვაჭიდავოთო. კიდევ აჭიდავეს და ისევ, შენ ხარ ჩემი ბატონი. იგივე განმეორდა. ასე სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერ... ბოლოს იმ ვანოს არაჭათი გამოელია და უკრაინელმა მეექვსეჯერ რომ გააკრა მიწაზე, წამოხტა, გამწარებული და თავის ქართველებს მიაძახა: პრაველინა, თქვე შეგვეფულებო, პრაველინა, აღარ მომეშვებით!

ამბავმა ხაერთო მხიარულება გამოიწვია, თუმცა ანდროსა და ნომალის ეს ძველთაძველი ანგლოტი ბარე ასჯერ მაინც ჰქონდათ მოსმენილი. ანდრომ რამდენჯერმე თავი ჩაიქნია და სიცილით გაიმეორა, პრაველინა, პრაველინაო. ნომალიც იღიმებოდა. ნათამაც გულიანად გაიციხა — ამ სიცილს ნომალი უკვე დიდი ხნის მონატრებული იყო. იცინოდა ნინოც. ალბათ, ამჯერად ყველაფერი კარგად ჩათავდებოდა, მაგრამ კვხარიამ ისევ თავის გამოჩენა მოინდომა.

— ეგ ამბავი სად მოხდა, არ ვიცი, მაგრამ, ამ გახსენებაზე, ოდესის უნივერსიტეტში მაშინ ჩემი მკვიდრი ბიძაშვილი, სეფე მუხამავრია სწავლობდა. ნიკოლოზის დროს, რასაკვირველია. სეფეს სურათი სოფელში ახლაცა აქეთ ჩვენთანებს გადიდებული. უდროო დროს დაიღუპა საწყალი, იქვე ოდესამი, იზოზიკმა გაიტანა, თორემ ნამდვილად დიდი მომავალი გქნებოდა. ჰოლა... მე ეს გადმოცემით ვიცი, თორემ თვითონვე, რასაკვირველია, არ შევსწრებოვარ... ერთხელ ეს ჩვენი სეფე რომელიღაც პროფესორს რაღაცა საგანს აბარებს. ნამეტანი მკაცრი პროფესორია ვიღაც. ჰკითხა ერთი რაღაცა — უპასუხა,

მეორე ჰკითხა — უპასუხა. მესამე ჰკითხა — უპასუხა. აიღო ამისი საბუთები და ნამდვილად მომზადებული დაქანაქებულ ახალგაზრდა ხარო. დაუწერა „სუთიანი“ და გამოუშვა. გარეთ რომ გამოვიდა, სეფეს, თურმე, მთელი სტუდენტობა მიესია, რა დაგიწერა და რა დაგიწერათ. იმისთანა ახალგაზრდა ვიღაცა იზოზიკის წერა უნდა გამზადიყო! ახლა იზოზიკების სხენებაც აღარსადაა, ვისაც საკუთარი მანქანა არა ჰყავს, ის ტაქსით დადის, იმისთანა ძვირფასი ახალგაზრდა კი ასე უდროოდ დაიღუპა. ადამიანს რაც შეუძლავ გაწერია, იმას ვერ გაეცქვი.

— ნამდვილად. — მყისვე დაეთანხმა პლატონი ცოლს.

— ნამდვილად, ქალბატონო, ნამდვილად. — დაუღასტურა ანდროსაც.

ნომალის კი მოთმინება გამოელია. მან დაინახა, რომ ამჯერად ერთმანეთს მოკლე და მრავალმეტყველი მხერა ნინომ და ნათამ ესროლეს. ნომალიმ ჰიქა აიღო და მამას თავაზიანად, თითქმის სვეწნის კილოთი სთხოვა, ერთი სადღეგრძელოს ნება მომეცით.

— ბრძანე, შეილო!

ნომალი წამოდგა. პირველად თითქოს შერჩვიდა, არ იცოდა, სათქმელი რითი დაეწყო. მაგრამ მთელი ნებისყოფა მოიკრიფა და ნინოს თვალბეჭეში შეხედა:

— ნება მომეცით... მე მიინდა, ორიოდე სიტყვა ვუთხრა ქალბატონ ნინოსა და ბატონ ანდროს. დღეს ჩვენ მათ ცოტა მოულოდნელი ამბავი დაგახვედრეთ და უთუოდ დიდი სულგრძელობაა მათის მხრივ, რომ ამ ჩვენს სუფრასთან დაჯდომა არც იუცხოვეს, არც იუკადრისხეს და ყოველნაირად ცდილობენ, არ შეიმჩნიონ ის დარდი თუ შემოფოტება, ის წუბილი, რომელიც მათ ლოგინში მწოლიარე ნათიას დანახვისას გაუჩნდათ. ჩვენ, ქალბატონო ნინო და ბატონო ანდრო, მეც, მამაჩემიც, დედაჩემიც, დიდად ვაფასებთ იმ სულგრძელობას და მოთმინებას, რომლითაც თქვენ ამ ჩვენს ტრადიციულ სუფრას უხიხართ და ცდილობთ, სტუმარ-მასპინძლობის ჩვენებურ ადათებს მხარი აუბათ. და თუ გნებავთ, ეს გახლავთ ერთი მიზეზთაგანი იმ-

ისა, რომ მე ახლა მინდა თქვენი სადღეგრძელო გეახლოთ. მშვიდად ბრძანდებოდეთ: ნათია ძალიან მალე გამოიჯობინდება, მას ისეთი არაფერი სჭირს და მაშინ ჩვენს საერთო მხარულებას, ალბათ, მართლაც საზღვარი არ ექნება. მაშინ თქვენ დღევანდელივით სულგრძელობისა და მოთმინების გამოჩენა კი არ დაგჭირდებათ, არამედ სულ სხვა ჩვეულებისა და თვისებებისა, რომლებიც, მე დარწმუნებული ვარ, ასევე უხვადა გაქვთ მომადლებული. კარგად, ჯანმრთელად და ბედნიერად ბრძანდებოდეთ!

ნომალის სიტყვით ნინოცა და ანდროც განცვიცრებული დარჩნენ. უფრო, რა თქმა უნდა, ნინო. ანდროს ეს ჩუმი, თავმდაბალი, მშვიდი და ძლიერი ახალგაზრდა უკვე დიდი ხანი იყო, მოსწონდა. ნინო კი ყველაფერი იფიქრებდა, მაგრამ თუ მის სპორტსმენ სიძეს („მგონი, წყალში უნდა ცურაობდეს, არა?“) ასეთი ჭკვიანური, დალაგებული ლაპარაკი შეეძლო, ამას ვერასგნით ვერ წირმოიდგენდა („გიცით, გეთაყვა, ეგენი ასპირანტურებს როგორც ამთავრებენ, გაგვიგონია: აქაოდა, სპორტსმენიაო და ნიშნებს ტყუილად უწერენ“). მოულოდნელობისაგან შემცბარი ნინო მზერას ხან ნათიას შეაუღებდა და ხან ადროს, რომელიც მადლობის ნიშნად ნომალის უღიმოდა და გაუთავებლად თავს უკრავდა.

ამ სადღეგრძელოთი უკმაყოფილო მსოლოდ პლატონი დარჩა. არა, უკმაყოფილო კი არ დარჩენილა, დაიბნა. სადღეგრძელო იმდენად ნაჩქარევი, ნადრევი ვჩვენა, რომ სახეზე წამოწითლდა კიდევ ვერასგნით ვერ მოისაზრა, ნომალის გულში რა პქონდა, რისი თქმა უნდოდა. ან რას აკეთებდა. რა თქმა უნდა, მაინც წამოდგა, ნინო და ანდრო ადღეგრძელა და დაჯდა. თან ანდროსა და ნინოს ნამადღევად თვალს ადევნებდა, ნომალის საქციელზე რა აზრისანი არიანო. კესარიას კი ამ სადღეგრძელოს წარმოთქმა ისევ ნომალიმ აღარ აცალა. წამოდგა, ღედას მხარზე ხელი დაადო (ნინოს მოეჩვენა, თითქოს ძირს დასწია კიდევცო) და ჭიკა შეიგისო:

— ამ სუფრაზე უდღეგრძელებელი მარტო მე და მამაჩემი დარჩენითაა ვფიქრობ, ჩვენი კარგად ყოფნა ყველა თქვენგანს გაუხარდება. მამა, კარგად და ყოჩაღად იყავი!

— იცოცხლე, შეილო!

პლატონმა სუფრასთან მსხდომთ ისევ ნამადღევი მზერა შეავლო და თავისდა გასაოცრად დაინახა, რომ ნომალის საქციელით ყველანი, კესარიას გარდა, ძალიან კმაყოფილი იყვნენ. ანდრო კმაყოფილი ღიმილით რალაცას დაბალი ხმით ეუბნებოდა ნინოს, ნინო თავს უქნედა და ნომალის ლმობიერ მზერას არ ამორებდა. ხალისიანად იღიმებოდა და ქმარს თვალს არ ამორებდა სახეწამოწითლებული ნათიაც. მაშინ პლატონმა იფიქრა, ალბათ, ყველაფერი ისე მიდის, როგორც საჭიროაო, და „საყოვლადწმინდო“ ჭიკა შეივსო.

— შეიძლება, ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ?

— ბრძანეთ, ბრძანეთ.

— რაღა დაგიმალეთ, ძვირფასო სტუმრებო. და თქვენთვის კიდევ ბევრი სასაცილო და სასიამოვნო ამბავი მქონდა მოსაყოლი, ბევრი სადღეგრძელოც დაუღეველი გვრჩება. მაგრამ მე არც ისე მიუხედავად კაცი ვარ, რომ სოვი რამ მართლაც ვერ დავინახო და ვერც გავიგო. მე კარგად მესმის ჩემი შეულის, ჩემი ნომალის საქციელი. ნათიას მართლაც ისე არაფერი ესაჭიროება ახლა, როგორც სიმშვიდე და მოხვენება. ჩვენ თუ ღვინოსა და დროსტარებას შევყვით, შეიძლება, ნათიას კიდევ გაეუნელოთ და გადაგაიწყოთ ის სიხარული, რომელიც მას ქალბატონი ნინოს და, რასაკვირველია, ბატონი ანდროს მობრძანებამ მოჰგვარა. ჩვენთვის კი, ყველასათვის, დღესდღეობით უმთავრებია სწორედ ნათიას ჯანმრთელობა, მისი კეთილდღეობა. მე მგონია, უნდა გაეუგოთ ერთმანეთს, შეილო ნათია, იმდენი ხნის დღეგრძელობა და კარგად ყოფნა შენ, რამდენი წვეთი ღვინოც ამ ჭიკაში იყოს! და კიდევ უფრო მეტი. ყველანი კარგად ბრძანდებოდეთ. ერთმანეთს უფრო დავახლოვებოდეთ, ერთმანეთის სატ-

კივარი გეტკენოდეს და სიხარული გავგზარებოდეს! ასე მტერი დაგეცალოთ!

— იცოცხლეთ, ბატონო პლატონ!

— გავეიშარვოს!

კესარიამ „საყოფლანწმინდოს“ დაღვევა აღარ ისურვა. სტუმრების წამოდგომას აღარც კი დაუცადა, სუფრის ალაგება დაიწყო. ისეთი გაალმასებული იყურებოდა, რომ მზერას ვერ გაუსწორებდით. იგი რძალს აქამდე იჭკითა და ფარული ათვალისწუნებით ექცეოდა, ამ დღიდან კი ნათიას კესარიას სახით დაუძინებელი მტერი გაუჩნდა.

• • •

იმ ღამეს ნინოსა და ანდროს თითქმის გათენებამდე აღარ დაუძინიათ.

— ნომალი გაცილებით უფრო უკეთესი ყოფილა, ვიდრე მე მეგონა. — წამოიწყო ნინომ. უკვე ღამის ორი საათი იყო. დისამინჯიებისაგან ცოლ-ქმარი სულ ერთი საათის წინ მობრუნდა ნავახშმვეს ნინომ და ნათიამ კიდევ კარგა ხანს იმას-ლაათეს. სახლში წაიცი აღარ დაუღვეიათ, დაწვენენ და სინათლე ჩააქრეს. ანდრო პაპიროსს პაპიროსზე აბოლებდა და ვლოდა ნინო ლაპარაკს როდის წამოიწყებდნო. იცოდა, რომ ქალს ბევრი რამ აწუხებდა და აი, ნინომაც წამოიწყო.

— ნამდვილად...

— მამასაც არა უშავს, გულკეთილი კაცია, მაგრამ ის ქალი... ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! — ნინომ მწარედ ამოიხსრა. — ეს პირდაპირ საძინებელია. მაგრამ რა გქნა, ნათიას ბედი ევა ყოფილა.

— ის დრო მოკვდა, ნინო, სიძის წინაპრებს მეშვიდე მუხლამდე რომ გამოიძინებდნენ ზოლმე. ახლა ახალგაზრდები ყველაფერს თვითონვე წყვეტენ.

— ვე მე ვიცი. ახლა მითხარი. მთელ ამ ამბავზე შენ რასა ფიქრობ?

— რომელ ამბავზე?

— ნათიას ავადმყოფობაზე. ეს რა ავადმყოფობაა, რომ არც მიზეზი აქვს, არც დასაწყისი და არც დასასრული.

— რა უნდა ვიფიქრო? ან ვინ გითხრა, დასაწყისი და დასასრული არა აქვსო? მანდ ისეთი ნამდვილად არაფერია ვერ დაინახე, ერთმა შენმა ნახვამ როგორ შესამჩნევად მოაკეთა? კიდევ ერთხელ ნახვაც და ყველაფერი გაუვლის.

— ანდრო, შენ ხუმრობის ხასიათზე ხარ?

— ოჰ, ღმერთო! სულაც არ გეხუმრები.

— დედა ენაცვალოს, ჩემი ნახვა მართლაც ძალიან გაუხარდა. — ნინომ ცრემლები შეიკავა. — ჩემი ერთადერთი... მაგრამ რატომ ავადმყოფობის მიზეზებზე არაფერს მეუბნებიან?

— თვითონ არ იციან და შენ რაღა გითხრან?

— ვერც დავიჯერებ! უმიზეზოდ არაფერი ხდება. მოიხედე ანდრო: იმ ქალმა ხომ არ აწყენინა?

— რას ლაპარაკობ! უბრალო და პატივმოყვარე ქალია. რა თქმა უნდა, მაგრამ ქმრისა და შვილის დიდი რიდი აქვს. იმათი შიშით რას გაუბედავს. რა სათქმელია.

— ნათიასაც ერთი სიტყვა ვერ დავაცდენინე.

— იქნებ, რაიმე არც ნათიამ იცის. იქნებ კი არა, ნამდვილად არ ეცოდინება.

— ეგეთი ავადმყოფობა მე ჯერ არ გამიგონია.

— ყველაფერი ხდება, ჩემო ძვირფასო!

— ღმერთო ჩემო!.. ღმერთო ჩემო!

• • •

მეორე დღეს, ნინოსაგან ნამალავად, ანდრომ ნომალის დაურევკა. შეთანხმდნენ და გამომძიებელ ვალერიან მექვაბიშვილთან ერთად წავიდნენ. მექვაბიშვილი დაპირდა, ყოველნაირად შევეცდები, რომ ნათია დასაკითხავად აღარ გამოვიძიახხოო, მით უმეტეს, რომ, ჩემი ღრმა რწმენით, ვე ბავშვი სრულიად არაფერ შუაშიაო. და მართლაც ამის შემდეგ ნათია დიდ ხანს აღარავის გამოუძახნია.

თავი მხარე



რაც უფრო მეტს ფიქრობდა, რაც უფრო გულდასმით და მრავალმხრით უკვირდებოდა საქმის გარემოებებს, ამ საქმეზე ფიქრში კი მას უკვე არაერთხელ დაათენდა, ვალერიან მექვაბინშვილი ხულ უფრო და უფრო ღრმად რწმუნდებოდა: კუპატაძე იმნაიშვილს შემოაკვდა, შემოაკვდა სრულიად შემთხვევით, ყოველგვარი ანგარების, წინასწარ განზრახვის, შურისძიების გრძნობისა, თუ სხვა ამგვარი მიზეზების გარეშე. გამოძიების ვადებიც აწურებოდა და საჭირო იყო, მექვაბინშვილს ეს თავისი მოსაზრება განყოფილების უფროსის, პოლკოვნიკ შარაშენიძისათვის წარედგინა და ბუღეიშვილის დაპატიმრების სანქცია ეთხოვა. შარაშენიძის ხელმოწერის გარეშე რაიონის პროკურორი, თავისი უკულობითა და ფორმალისტობით ცნობილი ალექსანდრე ბაჯელიძე ვალერიანს არამც თუ არავითარ სანქციას არ მისცემდა, არამედ ამ თემაზე მასთან ლაპარაკსაც კი არ ისურვებდა. ყველაფერი შარაშენიძის ხიტყვას უნდა გადაეწყვიტა.

მაგრამ ვალერიანს ერთი რამ აჩუბებდა და იმედს უკარგავდა. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ პოლკოვნიკ შარაშენიძეს ამ საქმისადმი საკუთარი დამოკიდებულება ჰქონდა. მას უნდოდა, მგვლელობას ყველგვარი საქმის სახე მიხეცმოდა, ამ გზით ექვემდებარებოდა ფულიანი მშობლები დაემინებინა და ფული გამოეძალა. ამიტომ მექვაბინშვილს ბუღეიშვილის წინააღმდეგ ფაქტებს, დამამტკიცებელ საბუთებს, ამკარა სამხილებს მოსთხოვდა. ვალერიანს კი ჯერჯერობთ იმ „შინაგანი რწმუნის“ მეტი არაფერი გააჩნდა. ადვილი მოსალოდნელი იყო, რომ შარაშენიძე ამ „შინაგან რწმუნას“ სასაცილოდ აივადებდა, მექვაბინშვილს ამ საქმეს ხულაც ჩამოართმევდა და სხვა, უფრო დამყოლ გამომძიებელს გადასცემდა. მექვაბინშვილს კი „შინაგანი რწმუნის რაინადრ“ მონათლავდნენ და მთელ სამმართველოს კარგა ხანს გულიანად ახარსარებდნენ. უკვე იყო ერთი ასეთი მაგალითი: იმ „შინაგა-

ნი რწმუნის“ საფუძველზე ერთი ვიღაც დაპატიმრეს, დამნაშავე კი იმ ვიღაცის გარეთა ბიძაშვილი აღმოჩნდა. ეს მაგალითი ვალერიანს კარგად ახსოვდა და ხულაც არ უნდოდა, დაცინვისა და გაბიაბრუების საგნად გამხდარიყო.

მაშინ მექვაბინშვილმა ასეთი რამ გადაწყვიტა: ამ თემაზე შარაშენიძეს არაოფიციალურ ვითარებაში დაველაპარაკები, ვნახავ რას მეტყვის. და მერე ამის მიხედვით ვიმოქმედებო. რისკი აქაც დიდი იყო. შარაშენიძეს შეეძლო ეს „არაოფიციალური საუბარი“ სრულიად ოფიციალური განხილვის საგნად ექცია. მაგრამ სხვა გზა აღარ იყო.

სამისო შემთხვევა ვალერიანს მალე მიეცა. შარაშენიძეს იგი დღემო ათჯერ მაინც ხედებოდა, ხან ღერეფანში, ხან პოლკოვნიკისავე კაბინეტში, ხან სად და ხან სად. ერთი ასეთი შემთხვევითი შეხვედრის დროს — დილით, სწორედ სამახურის დაწყებისას, კიბეზე, — შარაშენიძემ ვალერიანს ხული ჩამოართვა და მოიკითხა, როგორა ხარ, ახალს რას ძეკეყვით.

— ახალი ამბავი, მგონი, მართლა შემოძლია ვითხრათ.

— მართლა, მაგას რალა სჯობია! — შარაშენიძემ ეს გამამხნეველი სიტყვებიც უთხრა და თავიც რამდენჯერმე დაუქნია, მაგრამ კილო კი ასეთი ჰქონდა: შენი ახალი ამბავი რა უნდა იყოს, მოსმენადაც კი არ ვლირებათ.

— თათბირზე მოგვაბხენებ? — შარაშენიძემ თავის პრილა ჩექმებზე დაიხედა.

— თათბირზე... იქნებ, ნაადრევი იყოს. — ვალერიანი მოწაფესავით გაწითლდა. გულში იგი უკვე ნანობდა, რომ ეს ლაპარაკი წამოიწყოს.

— ოჰო! — შარაშენიძე შეგერდა და ვალერიანს ემსაკურად თვალი ჩაუკრა. კიბე უკვე ამოთავებს. პოლკოვნიკი მძიმედ სუნთქავდა — აბა, ბიჭო, ერთი ვცადო, რას იტყვისო? კარგი, ბატონო,

გამომცადე მე, ძმავო, მარტო ბორტკო-
ქმედების დეგნა კი არა, თქვენისთანების
გამოსრდაც შევალემა. აბა, შენაღი!

და მექვაბინშვილს თავია კაბინეტში
შეუძღვა.

— გისმენ! — შარაშენიძე ტყავადა-
კრულ სავარძელში ჩაჯდა, კიბიდან სი-
გარტების კოლოფი და ასანთი ამოიღო,
მაგიდაზე დააწყო და სავარძლის ზურგს
მიანჯა. — ესე იგი, ახალგაზრდა გამომ-
ძიებელი თავის ეჭვებს უზიარებს გამო-
ცდილ განყოფილების უფროსს. არც ოქმი
იწერება და არც სხვა რაიმე. მოწვეუბიც
არ გეინდა. უბრალო, ამხანაგური ხაუბა-
რია, ხომ?

— დიახ!

— აბა! — შარაშენიძემ კოლოფიდან
სიგარეტი ამოიღო, ასანთიც მოიმარჯვა,
მაგრამ არ მოუკიდებია. მექვაბინშვილს
შავ თვალეში შეხედა. — დანიწყე! იქნებ,
მართალიცა ხარ. ყველაფერი ხდება. მაგ-
რამ მოიცა: თათბირის დაწყებამდე თსუ-
თმეტი წუთია. ამ დროში უნდა ჩავეტი-
ოთ. აბა!

ასანთი ახლალა გაკვრა და სიგარეტი
გაბოლოა.

— კუპატაძე... — მექვაბინშვილმა ღრმად
ამოისუნთქა, — ბუღეიშვილის მოკლულია.

— აბა! — შარაშენიძემ ასანთის ნაშწ-
ვაგი საფერფლეში ჩააგდო და ისევ სავარ-
ძლის ზურგს მიანჯა; ძალიან სერიოზული
გამომეტყველება ჰქონდა. — გასაგებია.
რატომაც არა! კუპატაძე — ბუღეიშვილის
მოკლულია. კი, კი, შეიძლება, რატომაც
არა! კუპატაძე რომ მართლა მოკლულია,
ეს ხალაპარაკო აღარც არის. ის ბიჭი ნა-
მდვილად მკვდარია. არსებობს ექსპერტი-
ზის დასკვნა, არის საფლავის ნომერი...
გასვენება ხომ იყო და იყო. ერთი სიტყ-
ვით, თქვენი მსჯელობის ამ ნაწილს წყა-
ლი არ გაუვა. პირდაპირ ფოლადისაგანაა
ჩამოსხმული. ახლა მსჯელობის მეორე ნა-
წილი ავიღოთ: მკვლეელი ბუღეიშვილია.
კეთილი და პატიოსანი. სიმართლეს ესევ
ძალიანა კვავს. ბუღეიშვილს, სხვა მკვლე-
ლებივით, ორი ხელი აქვს, ორი ფეხი,
ერთი თავი... მათგან თითქმის არაფრით
არ გამოირჩევა, აბა, რატომ არ შეიძლება,

მკვლეელი მართლაც რომ ეგ იყო: ნამდ-
ვილად, შეიძლება, მით უმეტეს, რომ ში-
დი ჰქუის კოლოფი, რაიმე შეცნინიერი
პრობლემებით გატაცებული პიროვნება
ეგ არა ბრძანდება. მაგრამ — საბუთი?
რაიმე საბუთი, ჩემო ვალერიან, გაქვს?

— საბუთი... ისეთი არაფერი მაქვს,
— მექვაბინშვილს ერჩია, მიწა გასკდომო-
და და თან ჩაეტანა.

— საბუთი, ჩემო კარგო, ისეთი და ასე-
თი არ არსებობს. საბუთი საბუთია. საბუ-
თია ის ყველაფერი, რაც პროკურორს და-
აჯერებს, მკვლეელი მართლაც ეს უნდა იყო-
სო და დაპატიმრების სანქციას მოგვეცემს.
ახლა ეს მითხარი, პროკურორს მარტო ეს
შენი „შინაგანი რწმენა“ წარვედგინო?

ისევ ის წვეული „შინაგანი რწმენა“!
აღვილი შესაძლებელია, ვალერიანი ხვალ
მთელი სამმართველოს სასაცილო შეიქნეს.

— აი, რა, ჩემო ვალერიან! — შარაშე-
ნიძემ სათზე დაისედა. — შენც იცი, რომ
ეგ ყველაფერი სისულელეა — მე კი, ჩემთ
კარგო, უნდა გაგახსენო, რომ გამოძიებას
თავისი ვადები აქვს, ამ ვადებს კი შენ
მაინცდამაინც დიდ ანგარიშს არ უწევ-
ამის უფლება კი ჩვენ არა გვაქვს. კაცი
ახალგაზრდა კაცი მოჰკლეს, ოჯახი
გააუბედურეს... ხუმრობა საქმეა? მაგ საქმე-
ზე პასუხს მარტო შენ კი არ აგებ. — ვალე-
რიანს მოკლედ თავი დაუქნია და გამოისტუ-
მრა.

თავი მათი

თათო ბუღეიშვილი ბოლო ხანებში თა-
ვისი ამხანაგებისა და მათი მშობლების გაძ-
ლიერებულ ყურადღებასა და გულისხმიე-
რებას გრძნობდა პირდაპირ ხელისგულზე
ატარებდნენ. ჯერ იყო და — ბესარიონის
მამამ, როგორც თბილისში ამბობდნენ,
„ფულეში ჩამხრჩვალმა“ კალისტრატე
მაგრაქველიძემ სამიოდე კვირაში ორი დი-
დი ქეიფი გამართა, — ერთი ბავშვობაში-
ვე გარდაცვლილი ქალიშვილის დაბადების
დღის აღსანიშნავად, მეორე კი, ალაჰმა
უწყის, რის აღსანიშნავად და რამიუხით,
ეს კი იყო, რომ სუფრას ორივეჯერ უბირა-
ტესად ახალგაზრდები უსხდნენ, ბესარიო-
ნის ამხანაგ-მეგობრები, კალისტრატეს მე-

გობრებისა და თანამოსაქმეთა შვილები და შვილიშვილების ამხანაგები... ორივეჯერ ოცდაათი თუ ორმოცი სული მოგროვდა. და თამამად კალისტრატემ ორივეჯერ „სანაქებო ახალგაზრდა მამულიშვილი, ყველა ჩვენთაგანისათვის კარგად ცნობილი, ნიჭიერი, მომზადებული, ვაჟაკურა და მომავლიანი ახალგაზრდა“ თაზო ბუღეიშვილი დაასახელა.

სუფრის წვერები წინდანინვე იყვნენ დანამუსებულნი, თუ რა იყო, ეს თაზოს ვერ გავიგო, ოღონდ მის კანდიდატურას ორივეჯერ მოწონების შეძახილებით შეხვდნენ. პირველად იმიტომ, რომ იფიქრეს, რაკი ბატონმა კალისტრატემ ასე იჩუბა, ალბათ, ასეა საჭირო, — ის ახალგაზრდები საკუთარ მამებზე ნაკლებ გამოქვილები და ანგარიშვანები როდი ბრძანდებოდნენ. მეორეჯერ კი უკვე იმიტომ, რომ პირველი სუფრა თაზომ საკმაოდ წორმალურად ჩაატარა. არავისთვის დაუყვიროა. პირიქით, მაგიდის ზედმეტ ახმარებულ წვერებს სულგრძელად უთმენდა, არც თვითონ უჭინჭყლია, არც სიმთვრალე დასტყობია, — ალბათ, ყველა ხასმისს ბოლომდე არ სცლიდა. — და უდღვერძელებელიც არაფერს გაუშვია. ენამშუბობა ნამდვილად აკლდა და არც ძალიან ინდომებდა, მაგრამ სამაგვიროდ ყველა სადღვერძელს დროულად ამბობდა და ზედმეტი ლაპარაკით თავი არავისთვის მოუხსრებია. პოდა, მეორე სუფრაზე მის კანდიდატურას უკვე მაღალი შეძახილებით და ტამისცემით შეხვდნენ, რამდენიმე ახალგაზრდა კი მყისვე შეწამოიჭრა და თაზოს სთხოვა. დღესაც ისევე „დარბაისულად და შთაგონებით გვითამადაუო, როგორც ამას წინათო“.

კალისტრატე მაგრამკველიძე ამ გულუხვ სუფრებს რაღაც მოსაზრებით რომ შლიდა, ამას თაზო პირველსავე დღეს მიხვდა. მაგრამ ამ ბანჯავლიან, თვალბეგადმოკარკულულ, უძლომელ და დაუნდობელ ბებერს მაინც რა უნდოდა, ეს უერასგზით ვერ მოესაზრა.

მერე ის იყო, რომ ერთ საღამოს, როცა ჩვეულებისამებრ ლადიძის წყლებთან შეიყარნენ და ბჭობდნენ, საჭიფოდ სად წაივდიეთო, — ამ ბოლო ხანებში ყველა დანა-

ზარჯს მუდამ ბესარიონი ისტუმრებდა, — თენგიზ ჯაველიძემ თაზო გვერდზე გაიხმო, ახალთ-ახალი, ტკრცხა ხუთმანეთიანების დასტა გაუწოდა და ჩაულაპარაკა, ეს მამაჩემმა გამოგიგზავნათ.

— ეს რა არის? — თაზომ ფულს ხელი არ ახლო.

— მამაჩემმა გამოგიგზავნა.

— ვითომ რათათ?

— არაფერი ისე.

— მყიდულობთ?

— მაგას რატომ კადრულობ?

— აბა, რატომ აქამდე არაფერს მიგზავნიდა. რა, აქამდე მანთამოვი ვიყავი და ახლა გავლარობდი? კომუნისტებმა ბაქოს ნაეთი ჩამომართვეს?

— აქამდე არა ჰქონდა.

— ვის, მამაშენს?!

— მამაჩემი რა დიდი მილიონერი გგონია?

— კარგი. აქ მოიტა! ოღონდ ეს იცოდეთ: ჩემი ყიდვა არ შეიძლება. ცხოვრებაში მე მუდამ ისე ვიქცევი, როგორც მეპრიანება.

— ვე ლაპარაკი რად გინდა?

— არაფრად ისე, იცოდეთ.

ტუნწზე ტუნწმა, მირზა ჭირაქაძემ, ხელიდან კაბიკს რომ ვერ ვაბავლებინებდი, როგორღაც მთაწმინდის პლატოზე სვირნობისას თაზოს თავისი ნახმარი, სპილოს ძლის ბოლოიანი მუნდშტუკი გაუწოდა.


— თაზო, გენაცვალე, ბევრი არაფერი შემიძლია, და ეს, ძმურად გთხოვ, ჩემს სახსოვრად გქონდეს. თუ ხათრი გაქვს, უარი არ მითხრა, არ მაწყენინო.

თაზომ თავი გადააქნია და ამოახუნემა. მუნდშტუკი გამოართვა, გულის კბიემი ჩაინარა, მირზას ხელი წაველო, ცარიელ სკამთან მიიყვანა, დასვა და თვითონაც გვერდით მოუჯდა.

— ლოთიანად გამაგებინე, რა გასათხოვარ გოგოსავით მელოლიავეებით?

— ვინ? მე? თაზო, არა გრცხვინია? უბრალოდ, შინდა შენდამი ყურადღება გამოვიჩინო. ადამიანები ვართ. ის ლაწირაკი..

— იმ ლაწირაკს ნულარ ახსენებთ. მორჩა! მაგრამ თქვენ ყველანი რად მეფერებით? ყიდვას მიპირებთ?



— რას ლაპარაკობ თაზო?
 — აბა? იმან — ქეიფით, იმან — ხუ-
 თისი მანეთით, შენ — მუნდშტუკით. რა,
 საყიზმიროდ მამზადებთ?

— ნუ გადამრეყ, თაზო! იმათი მე არა-
 ფერი ვიცი. თავის საქმე იმათ თვითონ
 იყიან. მე კი უბრალოდ, ძმურად ეს მუნდ-
 შტუკი გაჩუქე. თუ გეწყინა, მაგი... შო-
 ტა, ახლავე იმ ბუნქებში მოვიხვრა.

— დაიცა!.. მოისერის... აქეთ მოიხედუ!
 — თაზომ ქურდულად მიმოიხედა და შა-
 რულის კიბიდან შავად მზინავ პისტო-
 ლეტს თავი ამოაყოფინა, — ამას ჰხედავ?
 შენც გეყოფა, ბესარიონსაც, თენგიზსაც და
 მამათქვენებსაც!

— მამარქმთან რალა გინდა?!

— მოიცა! ისიც კარგი გყავს!.. რაც მი-
 ნდა, ის შერე იანგარიშეთ, საიქიონში რომ
 შეიყრებით. ახლა ყური მიგდევ: ყველაფ-
 რისათვის ძალიან დიდი მადლობა. იმათაც
 ასე უთხარი. ძალიან უფულოდ ვიყავი,
 შოვნის ხალისი კი აღარა მაქვს. ჰო.. ოღ-
 ინდ, ღმერთი არ გაგიწყურეთ და ჩემი გა-
 ფიდეა არავინ იფიქროს! მე საქმე ძალიან
 სერიოზულ ხალხთან მაქვს. ჩემი აწუჯა და
 თქვენი გაქრობა ერთი იქნება. ამას შერ
 გუუბნები შენ კი იმ ორს უთხარი. გაიყე?
 ხუს! აღარ შემეკამათო. აღარც არაფერი
 მკითხო!

— მე...

— ხუს-მეთქი!

— კარგი, თაზო. როგორც მეუბნები.
 ისე გაეაკეთებ. ოღონდ იცოდე შენი გაყი-
 დეა ფიქრადაც კი არავის მოსვლია. თაზო,
 აი, ძმურად გუუბნები, მაგაზე ფიქრიც კი
 არ გუკადრება.

— ჰოდა, მით უკეთესი!

ბუღეიშვილს რა ისეთ სერიოზულ ხალ-
 ხთან ჰქონდა საქმე, ეს არავინ იცოდა. მე-
 ორე დღეს კი, როცა ისევ ლალიძის წყლე-
 ბთან შეიყარნენ, ბუღეიშვილმა ბესარიონს
 უთხრა, სადმე ისეთ ადგილას წავიდეთ,
 რომ თითო ჭიქა ღვინის დალევვა შეიძლე-
 ბოდეს და ყურსაც არავინ გვიგდებდესო.

— თბილისელ ოფიციატებს მე ვერ ვე-
 ნდობი. — აგდებული კილოთი დაუმატა
 ბუღეიშვილმა.

— ოფიციატი ყველგან ოფიციატიცა,
 ჩემო თაზო.

— ახლა ვიკამათოთ? — ბუღეიშვილმა
 თვალები ავისებურად დააბრიალა.

— თუ გინდა, აბდულას დავუძაბოთ.
 ახალი „ვოლგა“ გამოუყვანია. ცოტა რამე
 ვიყიდოთ და ქალაქკარუთ გავიდეთ.

— აბდულას დედაც და მამაც! არა,
 მორჩა! ღვინო აღარ მინდა. ალექსანდრო-
 ვის ბაღში ჩავიდეთ და იქ ვილაპარაკოთ.
 ალექსანდროვის ბაღში შევიდნენ. გან-
 მარტოებული სკამი მოძებნეს. დასხდნენ.
 ბუღეიშვილი არ დამჯდარა, სკამზე მარ-
 კვენა ფეხი შედგა და ხელები შარვლის
 კიბეებში ჩაიწყო.

— ერთი ეს მითხარით, ლოთიანად, ამ
 ბოლო სანებში რას მეფერებით?

— რა სათქმელია, თაზო!

— ან ისეთს რას გეფერებით? ოჯახში
 პურ-მარილი გექონდა, პატევი გვეით და
 თამადად დაგაყენეთ.რა, ღირსი არა ხარ,
 თამალობა შეგეშლება, თუ რა?

— უბრალოდ, არ გვინდა, თავი უხასია-
 თოდ იგრძნო.

— მარტო არ გტოვებთ, თაზო! მორჩა
 და გთავდა.

— ქმ!.. მარტო არ მტოვებენ... გაც-
 ნობთ, რა ჩიტებიცა ხართ. ახლა ასე: მე
 დღეს თბილისიდან გადივარ. ხვალ ველა-
 რა მნახავთ, მორჩა! თქვენგან მეტი აღა-
 რაფერი მინდა. ოღონდ შენ, ბესარიონ, აქ-
 ეთ მოიხედუ: თუ შენთან შეგ, საღამოს
 ცხრა საათზე, ერთი ქალი მოვიდეს, იმ
 ქალს შენ ძალიან კარგად იცნობ, — და
 ჩემი სახელი გიხსენოს, — ერთი სამასი
 მანეთი მიყევი. ოღონდ თუ მოვიდეს.

— მე...

— არა! კამათი არ მინდა! ამ ერთხელ
 მისცემ. შერე იმ ქალის დედაც და იმასთან
 კიდევ ზოგიერთებისაც! სუ! მორჩა! ახლა —
 კარგად იყავით! გულით მინდოდა, დღეს
 თქვენთან გამოსათხოვრად ერთი ჭიქა
 ღვინოც დამეღია, მაგრამ არ გამოდის.
 მოხდეს, რაც არი, არი.

ქუდი მოიხადა, დაუქნია, წამოვიდა და
 სკამზე გაოგნებული ბიჭები დასტოვა. კა-
 რვა ხანმა გაიარა, ხანამ ესენი გონს მოვი-
 დოდნენ და ხმას ამოიღებდნენ.

— კარგია, ხომ იცი... თუითონ გაზის, იმალება, ჩვენ კი მაგის გულისთვის მილიციაში უნდა გვათრიონ. — ჯაველიაქემ გულიანად შევიგინა.

— ის ქალი ვინლა უშმაკია? ან ჩემთან რატომ უნდა მოვიდეს?! — ბესარიონი ყველაზე უფრო დაბნეული ჩანდა.

— დედამისი იქნება. — მირზა ჭირაქაძემ ხელი ჩაიჭნია და ზიზღით ჩაიღიმა. — აი, ნახავ. შეილი დედაზე ზრუნავს. აბა, ისე ხომ არ მიატოვებს.

— იგი! მაგის დედას უსაქციელობის მეტი არაფერი შეეძლოს და — მე შევიანხო? ნეტავი შენ, კალისტრატე მაგრაქველიძე!

— ეგ კაცი თავიდანვე არ უნდა მიგველო ჩვენს ამხანაგობაში. მე ხომ გეუბნებოდი...

— ახლა იძახე შენ, არ უნდა მიგველო.

— ვითომ. მართლა წაა?

— წაა. ქვეყანა დიდია.

— ქვეყანა კი დიდია. მაგრამ... ის დედაკაცი ჩემთან თუ მართლა მოეთრია ერთი ოცი მანეთი შეიძლება მართლა გავიმეტო. მერე კისერი უტეხია და კინჩხო. იმი!

— ან იმ ბიჭს რას ვრწოდა? რად მოაკლა?

— გიფი, უადამიანო და დამთხვეულია და — იმიტომ. იმ გუგულივით ანზორა კუპატაქეს კაცი მოაკლავდა?!

— აბა!

— ან რას გვაშინებს? რას გვერჩის? არა, რას გვერჩის?!

— ყურებზე ხახვი არ დაგვაჭრას! მტრედივით ბიჭი მოაკლა ჩვენ ხელს ვაფარებთ, არ ვამხელთ, კოდექსის სტატიები

ავერ, კისერზე გვკვდილა და — კიოვ აქეთ გვემუქრება? აი, მართლა გიფი და გადარეული!

— და რა უნდა გვიქნას?

— დიდი ვინმეც ვე არი.

— რევოლვერი მაგას თუ აქვს, მეც ვიშოფი. სამახი მანეთი და მაგის ჯანი.

— მაგისი შეშინებული...

მწელი სათქმელია, ის ბიჭები მართლა შეშინებულნი იყვნენ, თუ არა. გაქცეული კაცის იშვიათად თუ ვინმეს შეეშინდება. ეს კი იყო, რომ იმ საღამოს ქეიფი ერთ მათგანს აღარ გასსენებია, გუნება-წამსდარნი დაიშალნენ და ყოველი მათგანი ამას ფიქრობდა, ამ ბუღეიშვილმა ან საით გასწია, ან თბილისში დაბრუნებას როდის და როგორ აპირებდნენ.


ბუღეიშვილს კი თბილისიდან წასვლა არც კი უფიქრია. ის ღამე სახლში გაათუნა. დილით ადრე წამოდგა დედას უთხრა შეიძლება, მე დიდხანს ვეღარა გნახო და გულს ნუ გაიტეხ. ხეალ საღამოს ცხრა საათზე ბესარიონ მაგრაქველიძესთან მიდი და სამას მანეთს მოგცემს, ოღონდ მარტო ამ ერთხელ მიხვალ, მერე, შიშნითაც რომ კვდებოდე, იქ მისვლა აღარ გაბედო, თავი როგორც გინდა, ისე შეინახე. ის შენი ბერიკაცი კი აქ აღარ მოვიდეს, თორემ არ ვიცი, რას გინამს. თუითონ პირი გაიპარსა, როგორც შეეძლო, გამოიწყო, გამოვიდა, მილიციის სამმართველოს მიადგა და მორიგეს უთხრა, გამომიძიებელ მეჭაბიშვილს დაურეკე და უთხარი. საშუაზა მოუშვას, თაშო ბუღეიშვილი ვარ და სერიოზული ჩვენება უნდა მივცეო.

თაში მთმარება

ტელეფონში მორიგის ხმის გაგონებაზე, თქვენთან ამოხვლა და ჩვენების მოცემა მოქალაქე ბუღეიშვილს უნდაო, ვალერიან მეჭაბიშვილს გული აუზავუნდა. ამას იგი ნამდვილად არ მოელოდა. არა, მან ჯერჯერობით არც ის იცოდა, ბუღეიშვილი მასთან რატომ მოვიდა და რა ჩვენება უნდა

მოეცა, მაგრამ რაღაც სერიოზული რომ უნდა მომხდარიყო, ამას უკვე კარგად გრძნობდა. ნუთუ შარაშენიძე ასე უბრალოდ გამტყუნდება? ვალერიანი კი ხანგრძლივი და სერიოზული ბრძოლისთვის ემზადებოდა.

კაბინეტში ბუღეიშვილი ჩვეულებისა-



მებრ თავჩადუნული და დაბლყერილი, შუბლქვეშიდან მომზირალი შემოვიდა. მეტყაბიშვილს თავი ძლივს შესამჩნევად დაუქანია და კუთხეში მდგარ სკამზე დაუკოხსავად ჩამოჯდა.

მეტყაბიშვილმა ღიმილი ძლივს შეიკავა.

— რას შეუწუხებიხარ?

— ჩვენებას ვიძლევი — ბუღეიშვილმა ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო — მოწვევა შეიძლება?

— ინებე.

— მოკლედ, კუპატაძე მე მოკვალა. მოკვალი კი არა, შემომაკვდა. რა მოსაკვალავი ის იყო..

— ეგ მე ვიცი..

— იცი?!

— ვიცი, კარგა ხანია. მაგრამ შენ ჩაგეთვლება, თვითონ რომ მოხვედი და განაცხადე. ამას სასამართლო გაითვალისწინებს და, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, სასჯელს შეგიმსუბუქებს.

— მე მაგიტომ არ მოვსულვარ. სულერთია, ჩემო ძმაკაცები დღეს თუ ხვალ მაინც თხასავით გამყიდდნენ. ისევ სჯობია, თვითონ განეაცხადო.

— ბევრმა იცოდა?

— ყველამ. ახლა თავიანთ მამიკოეზაც უთხრეს. ყოველდღე თითო პურ-მარისს მიმართავდნენ.

— ეგ ვითომ რატომია?

— მე რა ვიცი. მეფერებოდნენ. ვეცოდებოდი...

— კმ!

ბუღეიშვილმა სიგარეტს ახლავდა მოუკიდა. მაგრამ რატომღაც მაშინვე შეერთა, მეტყაბიშვილს დაბნეული მზერა შეავლო და მხრები აიჩინა:

— თქვენ არ მითხარით მოსწიეთ?

— მოსწიე, მოსწიე... მაგიტომ არ შემომიხედავს. კუპატაძე რატომ მოკვალა?

— შემთხვევით. რაღაცაზე აღრენილი ვიყავი, პანლური ამოუკარი და ... იქვე გათავდა.

— უნივერსიტეტის ბაღში, ხომ?

— უნივერსიტეტის ბაღში.

იმნაიშვილმა სიგარეტი სამიოდე მოჭაღლით გაავსო.

ჩვით ჩაათავა და ოთახი მოლურჯო კვამლით გაავსო.

— აღრენილი რატომღა იყავი?

— ისე.

— მაინც?

— ბრეჟიებს ვერ ვიტან. ბეხარიონა მაგრაქველიძე მთელი თბილისის ბიჭებში პირველი დედალია. მაგას ყველაფრისა ემინია. არადა, მუღამ პირველობას კი ოკმებს. რა არი, ბევრი ფული მაქვსო. ჯანზე არა უშავს, მაგრამ კაცი კი არა, კურდღელია.

— შელაპარაკდით?

— არა.

— მავ?

— ისე.

— რამე მისი საქციელი არ მოგეწონა?

— კო, რა...

— კუპატაძე რაიმე შუაში იყო?

— არაფერში. სულ არაფერში. კუპატაძე აბსოლუტურად არაფერ შუაში ყო.

— ბიჭი ტყუილად მოკვალა.

— ეგრე გამოდის.

— აღრენილი ხშირად ხარ სოლმე?

— ზოგჯერ ვარ.

— მამა არ გახსოვს?

— არა.

— დედა როგორი ქალია?

— ბოზი როგორი ქალი უნდა იყოს?

— დედაზე — ევეთი სიტყვები...

— მახლას!

— ხომ ერთად ცხოვრობთ?

— აქამდე ერთად ვცხოვრობდით, ამას იქით კი მე სადაც ვიცხოვრებ, ეგ თქვენც კარგად იცით.

— ნუ გეშინია... იქაც ხალხია... თუ ჭკუით იქნები, წლები მალე გაირბენს და...

— მაინც — რამდენს მომცემენ?

— ეგ მე არ ვიცი. ეგ სასამართლოს საქმეა. ზოგ რამეს მართლაც გაითვალისწინებენ. მეც გიშუამდგომლებ... მაგრამ რომ ვითხრა, სვალვე სახლში გაგიშვებენ-მეთქი, ეგ...

— ეგ მეც ვიცი. მაინც? თსუთმეტს მომცემენ?

— არ ვიცი. არა მგონია. ხომ ვითხარი, არ ვიცი-მეთქი. ესე იგი, შენ ამბობ, რომ

ანზორ კუპატაძე შემოგაკვდა სრულიად შემთხვევით, უმიზეზოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ აღრენილი იყავი... ხომ?

— ჰო, რა!..

— ახლა ეხვევ მითხარი: აი, ახლა აქ მოსვლა რალამ გაიძულა? იქნებ, ვინმემ გირჩია, ან ვინმემ ძალა დაგატანა, ან... რა ვიცი... კარგად დაფიქრდი და ისე მიპასუხე. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, შენთვისაც და ჩემთვისაც.

— თქვენთვის ამას რა მნიშვნელობა უნდა ქქონდეს?

— რომ გეუბნები, აქვს, აბა, კარგად დაფიქრდი და ისე მიპასუხე.

— რა დაფიქრება უნდა? არც ძალა ვინმეს დაუტანებია, არც ვინმეს რაიმე ურჩევია. მე არავისი არ მეშინია და არც სხვის ჭკუაზე დავდივარ. უბრალოდ, აქ რომ უკანასკნელად ვიყავი, მივხედი, რომ თქვენ უკვე ყველაფერი იცოდით. კუკუმი-ლულობას და ქალაქიდან ქალაქში ხეტიალს ისევ კოლონიაში ჯდომა სჯობია.

— კოლონიაში როდისმე ყოფილხარ?

— არა.

— შემწვარ წიწილებს იქ არავინ დაგახვედრებს.

— ვიცი. შემწვარი წიწილები ისეც ყელში ამოვივია.

— კოლონიაში უნდა იმუშაო, იმრომოს, რევიმი უნდა დაიცვა, თავი წესიერად უნდა გეჭიროს.

— ეგენი მე ვიცი.

— ცოდნა ერთია და საკუთარ ტყავზე გამოცდა — მეორე. მამ, შენ აქ მოხვედი შენი ნებით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ხომ?

— ჰო, რა... აკი გითხარით!

— კეთილი, ძალიან კარგი. ახლა ოქმი შევადგინოთ. ოღონდ წინდაწინვე იცოდე, რომ შენი აქედან გაშვების უფლება მე აღარა მაქვს. ოქმს რომ ხელს მოაწერ; წინასწარი პატიმრობის საკანში გაგაგზავნი. იქ ხისუფთავება, საჭმელსაც მოგეყმენ... — ვიცი, მახლას!

— ოქმი მალე შეადგინეს. ჩასწერეს, რომ ამა და ამ თვის ამა და ამ რიცხვში განმცხადებულს, თაზო ვარდენის ძე ბულევი-

ვილს უნივერსიტეტის ბაღში შემთხვევით შემოაკვდა მოჭალაქე ანზორ დიმიტრის ძე კუპატაძე. ანზორ კუპატაძესთან ბულევი-ვილს მანამდე არავითარი მტრობა არა ჰქონდა. ეს ყველაფერი შეუძლიათ დადასტურონ ბესარიონ კალისტრატეს ძე მაგრა-ჭველიძეს (მცხ. აჭა და აქ), მირზა კონსტანტინეს ძე ჭირაქაძეს (მცხ. აჭა და აქ) და თენგიზ ერმალოვის ძე ჯაველიძეს (მცხ. აჭა და აქ).

მექვანიშვილმა მილიციელი გამოიძახა, ბულევიშვილი წინასწარი პატიმრობის საკანში გაატანა, თვითონ კიტელი გაისწორა, ოქმი ერთხელაც ჩათვალღერა და პოლკოვნიკ შარაშენიძის კაბინეტს მიაშურა.

— ბატონ ვალერიანს ვახლავართ! — შარაშენიძე არ წამომდგარა, ვალერიანს ხელი ისე გამოუწოდა, თითქოს კარგ ხახიათზე ჩანდა, — რას გეიბრძანებ? რაით გავასარებ?

ვალერიანმა ხმამაღულვლად ოქმი გაუწოდა. შარაშენიძემ ოქმი ჩაიკითხა და ვალერიანს ქვემოდან შემოთ ამოხვდა. სახის გამომეტყველება შეცვლოდა.

— ეს რა არის?

— ოქმია. ბულევიშვილი თვითონ გამოცხადდა.

— იფ!

— დიას....

— ახლა ბულევიშვილი ხად არის?

— წინასწარი პატიმრობის საკანშია.

— იფ, იფ! გამოძიება კი არა, ნამდვილი სპექტაკლია. შენ, მექვანიშვილო ნიჭიერი რევისორი იქნებოდი. თეატრში ხომ არ გადასულიყავი, ა? — აქ შარაშენიძემ მაგიდას მუშტი დაახალა და ისე დაიყვირა, რომ ყელის ძარღვები დაებერა და გაულურჯდა. — ახლავე ის ლაწირაკი სახლში გაუშვი.

— ბატ...

— გეუბნებიან, ახლავე სახლში-მეთქი! ეს ოქმი კი...

შარაშენიძემ ოქმი მაგიდის უკრამი ჩააგდო, ვალერიანს კი აგდებით ხელი აუქნია, აქედან მომწყვდიო.

ვალერიანი წელმოწყვეტილი გამოტრიალდა.

* * *

როცა წინასწარი პატიმრობის გამერის კარი გაიღო და წითურამ, ბუღასავით სქელკისურა, მძიმეჩეკმებიანმა მილიციელმა თაზოს ჯერ გვარი ჰკითხა, მერე კი გამოსულა უბრძანა, თაზო ვერაფერს მისჯდა და დაბნეულად მიმოიხედა.

— რად უნდა გამოვიდე?!

— ისე გამოდი და სახლში წადი თუ მინდ ყოფნა გირჩევნია?

— სახლში ვინ გამიშვებს?

— ვინც დაგიჭირა, ისევე ის გაგიშვებს. გამოდი!

— შენ ალბათ, გეშლება.

— ფიქვე! ე ბალღინჯოებიანი კამერა ცერე რამ შეეყვარა, ბიჭო! რომ გეუბნებიან, გამოდიო, უნაჩიტ გამოდი. თუ მინდ ჯდომა ძალიან მოგწონს, წადი რამე დააშავე და ასევე მინდ მოგიყვანენ. ე კამერა კი არსად გაგეჭყევა. აბა, ჩქარა!

თაზო მილიციელს ენაჩავარდნილი მისჩერებოდა და ხმას არ იღებდა. მაშინ მილიციელმა ხელში რკინის ხელი ჩაავლო და კამერიდან ძალით გამოათრია:

— ფიქვე! ბიჭვრთ — ძალა უნდა ვისმართო, გინებთ — ძალა უნდა ვისმართო. ამდენი ღონე შექვს კია? აი, შენი საშვები. მოუსვი და აქ აღარ დაგინახო, თორემა... ბიჭოს!...

მილიციის სამმართველოს შენობიდან თაზო ბუღეიშვილი ნაცემი ძალღვივით გამოიძურწა. აღარც კი იცოდა, სად წასულიყო. შუა ქუჩაში უაზროდ იდგა და სამჭართველოს უზარმაზარ ფანჯრებს მისჩერებოდა, იქნებ, შექვაბიშვილი სადმე მაინც დაეინახათო. მან არ იცოდა, რომ შექვაბიშვილის კაბინეტი მორე მზარუს იყო. როდისროდის მოიფიქრა, დედაჩემისათვის ხომ არც მითქვამს, სადაც მივდიოდი, ისევე სახლში დაებრუნდებო. და აღმართიან, რიყის ქვით მოკირწყლულ ქუჩას ლასლასით აჰყვა.

* * *

მეორე დღით ოპერატიულ თათბირს ოცამდე მილიციის ოფიცერი ესწრებოდა. თავსატეხი და საკამათოც ძალიან ბევრი

ქჷონდათ. შარაშენიძე მექვაბიშვილს მშგერას არიდებდა და, როგორც ჩანდა, მისსაქმეს ბოლოსთვის ინახავდა. ასე უბნდა. როცა სხვას ყველაფერს მორჩინენ და ერთმა ხანდაშუღმმა, ლაბაბიანმა მაიორმა წამოდგომაც კი დააპირა, შარაშენიძემ მაგიდაზე დააკაკუნა და სიჩუქე მოითხოვა.

— ისე დავიღალე, რომ თავი მისკდება.

— თქვა მან თავისი ჩახლენილი, მართლაც დაღლილი ხმით, — მაგრამ დაგვრჩა კიდევ ერთი საკითხი. აი, ის — უნივერსიტეტის ეზოში კუპატაძის მეგლელობის ამბავი. ან საქმის გამოძიება ავალია ამხანაგ მექვაბიშვილს, რომელსაც ჩვენ მუდამ იმედისმომცემ, ბერსბექტიულ მუშაკად ვთვლიდით. მაგრამ ახლა... ერთი სიტყვით, მე გთხოვთ გულდასმით მომისმინოთ. რამდენიმე დღის საქმის გამოძიება ავალია ამხანაგ მექვაბიშვილი და, ასე ვთქვათ, არაოფიციალურად გამოიზარა თავისი ეჭვი, კუპატაძე ბუღეიშვილის მოკლული უნდა იყოსო, და ისიც შემთხვევითო, წინასწარი განზრახვის გარეშეო, და სხვა ამგვარები. ერთი სიტყვით, მექვაბიშვილი მენდო მე, როგორც ადამიანი ადამიანს, ამაში ცუდი, რა თქმა უნდა, არაფერია. მთელი ეს მაგრაქველიძეები, ჯაყელიძეები და სხვები კი ბატკნეივით უცოდველნი არიანო. დიახ! ამ საქმეს თქვენ ყველანი იცნობთ, იცით, ვინ იყო კუპატაძე, ვინ არის ბუღეიშვილი, რას წარმოადგენენ დანარჩენები. ყველა მონაცემები იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ აქ ადგილი უნდა ჰქონდეს ჯგუფურ დანაშაულს (ეს „მონაცემები“ შარაშენიძემ რატომღაც არ დაასახელა). მე განუმარტე ამხანაგ მექვაბიშვილს, რომ იგი საქმეს, ცოტა არ იყოს ზერელედ უდგებოდა, და მივეცი დრო მეტი მუშაობისა და დაკვირვებისათვის. დიახ! და რა გგონიათ? გუშინ ჩვენს სამმართველოში გამოუძახებლად, საკუთარი ინიციატივით, საკუთარი ფეხით ცხადდება ხსენებული ბუღეიშვილი და თავის ჩვენებაში, რომელსაც, რასაკვირველია, იგი ასე ნებაყოფლობით, საკუთარი ინიციატივით იძლევა, სიტყვა-სიტყვით იმეორებს... ამხანაგი მექვაბიშვილის ვერსიას მექვაბიშვილი მას დაუყოვნებლივ აპატიმრებს.

გთხოვთ, ამხანაგებო, გამოეთქვათ აზრი ამ ვითარების გარშემო.

მეკვებიშვილს ყოველი მხრიდან გაოცებული ოფიცრები მოაჩერდნენ, მერე ყველა ერთხმად ალაპარაკდა:

— ეგ როგორ?!

— თუ სხვა მონაცემები არაფერი გაქვს, პირადი ჩვენება რა შუაშია?!

— ეგ ხომ სპეციალურად არის განმარტებული. შე კაი კაცო, რუდენკოსიც აღარა გკერა?

— სტენოგრაფები მაინც წაგვეითხა. ყველა გვერდზე მაგაზე ლაპარაკობენ.

— აჩქარებულხარ, ამხანაგო მეკვებიშვილო!

— ისე კი, ამხანაგურად უნდა ვთხრა, ამდენ ხანში სამხილებიც უნდა გეპოვნა. რა ხანია, ეგ საქმე შემოვიდა.

— დიდი ხანია.

— ეე. მე მუდამ ვამბობდი, ფილოლოგები და ისტორიკოსები ჩვენ არ გამოგვადგებიან—მეთქი. ვინ დავჯავრებ! ახლა კი — აჰა! ამანაც რა ჰქმნას? ამას ეგ გულუბრყვილობით მოუვიდა. ესენი მიაშიტი ხალხია. ყველას უჯერებენ. ჩვენ კი საქმე გარეწრებთან გვაქვს, ძმომ! ეე...

— მაგათი დაჯერება როგორ შეიძლება.

— შენ ბულიშვილი ჩაამწყვდიე, ნამდვილი მკვლელი კი, ვინძლო, გარეთ დასეირნობს.

— კარგი, სიწყნარე! — შარაშენიძემ ისევ მაგიდაზე დააკაუნა. — აბა, შენ თვითონ დაუკვირდი, მეკვებიშვილო თუ რამდენი არგუმენტის მოყვანა შეიძლება შენს წინააღმდეგ. შეიძლება თუ არა, მაგრაქველიძეებს დ. სხვებს ბულიშვილი მოეჭრათათ, საქმე შენს თავზე აიღო, შეიძლებაოდა? ჩვენ ხომ ვიცით ეგენი რა ხალხია ან მაგათი მშობლები რას წარმოადგენენ. შეიძლებაოდა თუ არა, უბრალოდ დაეშინებინათ, ავიღებთ და მოგკლავთ? შეიძლებაოდა. ან კიდევ უკეთესი, ეს ახლანდელი მკვლელები შენ რაღაც რომანტიკულ ხალხად რატომ წარმოგიდგენია? ეს დიდი შეცდომაა. ბულიშვილი არც არსენა ოძელაშვილია და არც კაკო წაჩალი. ახლა კაცმა კაცი მოა-

კლა? მორჩა! სანამ ყველა უცანდასხვე გზას არ მოუჭრი, ვერაფერს ვერ აკისრებინებ. აბა! შენ ეს ვაითვალისწინებ? არა, შენ ეს არ ვაგითვალისწინებია. ნახა, რაღა, ამანაც — ბულიშვილი — არსენა ოძელაშვილი არსენას კაცი არ მოუკლავს, და მერე, როცა შემოაკვდა, ჯარდით კინალამ თან გადააყვია. ასე არ არის, ამხანაგებო?

— ნამდვილია!

— მე ჩემი აზრი წელანვე მოგახსენეთ. აჩქარებულა. მეკვებიშვილო, თქვენ აჩქარებულხართ.

— სამხილი, ამხანაგო, სამხილი! პირადი აღიარება არაფერსაც არ ნიშნავს.

— ვადები კი იწურება. — თითქოს ამ აზრის დასამტკიცებლად შარაშენიძე დაიხარა, მაგიდის კალენდრის ფურცლები გადაშალა და ამოხეწმით ისევ წელში გასწორდა. ნამდვილად იწურება. რა გჯაბთ?

აქ ხმა აღარავის ამოუღია. იყოფნენ, ვისაც რა არ უნდა ეთქვა, შარაშენიძე საკითხს მაინც თავისებურად გადაწყვეტდა. თანამშრომლისათვის რატომღა ეწყენინებინათ?

— სხვა ჩემს ადგილზე მეკვებიშვილს ამ საქმეს ჩამოართმევდა. მაგრამ მე სხვანაირად ვსჯი. იქნებ, ვინმე უფრო გამოცდილი ამხანაგი დავასმაროთ? ა? რას იტყვით?

„მიგისხედი, — გაიფიქრა სიმწრის ოფელში გაღვრილმა მეკვებიშვილმა. — რაკი ქხედავ, რომ შენს წინააღმდეგ ვარ, გინდა შენი ბნელი საქმეებიც მოაკვარასტინო და ჩემი ხელმოწერაც ხელთა გჭონდეს. ვერ მოგართვი! ფილოლოგები და ისტორიკოსები არც ისე გულუბრყვილობები ვართ, ზოგიერთებს რომ ჰგონია, რამე რომ მოხდეს, მერე ყველაფერს მე დამაბრალებ“.

— რას იტყვით, ამხანაგებო? აი, შენ, შერმაშანაშვილო, მაიორი კაცი ხარ ახალგაზრდა გამომძიხვებს არ დაესმარები?

— ოჰ! ჩემს საქმეებს რაღა ვუყო?!

— როგორმე აუკლი. ხანდახან ცოტა გავიჭირვით.

— არა, ბატონო, მე თავი დამანებთ. ორი კაცი მანდ ერთმანეთს ხელს შეუ-

ლის. ვე საქმე ან სულ მე მომეცით და სხვა ჩამომართვით, ან თავი დამანებეთ. მე თუ მეკითხებით, ჩემი აზრი ეს არის.

— შენ, კავთიაშვილი?

— მეც ვგრე, ამხანაგო უფროსო!

— კმ!

ხიზუმე ჩამოვარდა. შარაშენიძესაც და ნექვაბიშვილსაც — ორივეს ყველანი მზერას არიდებდა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო! — ნექვაბიშვილი წამოდგა და მხედრულად გაიჭიმა.

— დიას?

— თქვენ მე არ მალაპარაკეთ.

— შენ კიდევ რამის თქმა გინდა? — შარაშენიძემ თვალში გაკვირვებით დააჭყოტა.

ნექვაბიშვილს სხვებიც გაკვირვებითა და ინტერესით მიაჩერდნენ.

— მე მაინც მიმანია, რომ კუბატაძე ბულიშვილს შემოაკვდა. მე პროკურორის ბულიშვილის დაზარალების სანქციას მოვთხოვ.

— ჩემი ნებართვის გარეშე?!

— დიას!

— სცადე და ახლავე გეუბნები: მაგ შეცდომასაც გაბატაუბე, მაგრამ იცოდე: ეს უკანასკნელი იქნება.

— შესმის!

რაიონის პროკურორმა ალექსანდრე ბაჯელიძემ ნექვაბიშვილი მისიანებში ბარე საათნახევარი აყურყუტა და მერეღა მიიღო.

— გისმენთ!

ვალერიანმა ყველაფერი დაწერილებით მოახსენა.

— ვე საქმე მე ვიცე. — დღის ბოლო იყო და დაღლილ ბაჯელიძეს ლაპარაკი აშკარად ეზარებოდა. — ცუდია რასაკვირველია რომ მკვლელი ამდენ ხანს ვერ მოინახა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ... დიას, მე თქვენ არ გირჩევდით შარაშენიძის, ასე ვთქვათ, წინ გადარბენას. გამოცდილებას პატივი უნდა ვცეთ. თქვენ ჯერ ახალგაზრდა ბრძანდებით, გამოუცდელი, ერთი მფორე... შარაშენიძე მე უკვე მელა-

პარაკა ამ საქმეზე. სანქციას მე თქვენ, რასაკვირველია, ვერ მოვცე. ამის ნაცვალა პარაკიც კი ზემტია. მკვლელები უნდა თუოდ უნდა მოინახოს. და რაც უფრო ადრე მოინახება, მით უკეთესია, ჩვენს საზოგადოებაში ადამიანის მკვლელი — რა? მკვლელი დაუსჯელად არ უნდა დადიოდეს!

თაზო ბულიშვილმა თავისი ქუნა ისე ნირწამხდარმა და დამძარბულმა აიარა, თითქოს ციხიდან სახლში კი არა, პირიქით, სახლიდან ციხეში მიდიოდა. შვილის დანახვაზე ეკატერინეს ელდა ეცა. საქმე ის იყო, რომ ეკატერინემ თაზოს ბრძანება არ შეასრულა და მარტო დარჩა თუ არა, ის თავისი ბებერი საყვარელი იხმო. ეს წყვილი ტახტზე ნებევრობდა, თაზომ როცა კარი შეაღო. წამოხტომა ძლივსღა მოასწრეს და ბერიკაცმა უიმედოდ, მწარედ გაიფიქრა, ეს არის, ამ ერთხელაც მაგრად გავილახეო. მაგრამ თაზოს მათთვის არ ეცალა. ორივეს ერთი ძალივით კი შეუღრინა, სკამს ფეხი გაჰკრა, თავის უფანჯრო ოთახში შევიდა და, სინათლეს არ აუნთია, სიბნელეში ტახტზე გულადმა გაიშოტა. ფიქრისაგან საფეთქლები სტკიოდა. სად წახულიყო? ამხანაგებს იგი აღარ უნდოდათ. ამაში თაზო მაშინ დარწმუნდა, როცა პურ-მარილების გამართვა და ფულის ჩუქება დაუწყეს. თანაც ისინი ახლა დარწმუნებულნი იყვნენ. თაზო რუსეთში გადაიმალაო. თაზოს რომ ახლა თავმოყვარეობაზე ხელი აეღო, ბიჭებთან მისულიყო და ეთქვა, მილიციამი გამოეცხადდი და ყველაფერი ვაღიარე, მაგრამ არ დამიჯერეს და უკანვე გამომაბრუნესო, ვინ დაუჯერებდა? და ვინ იცის, რას არ იფიქრებდნენ? მილიციამი ხომ არ მიიკარეს. მაშ, რა ექნა? ასე, სახლიდან გამოუსვლელოდ ეცხოვრა? სანამდე? ფული ჯერჯერობით კი ჰქონდა და იმ სამისი მანეთის გამოსართმევადაც დედამისს სვალ მაგრატკველიძებთან უსათუოდ გააგზავნიდა; ისე მისცემდნენ, როგორც ორჯერ ორი ოთხია. ამაში დარწმუნებული იყო. მაგ-

რამ, ჯერ ერთი, ის ფულიც მალე გათავ-
დებოდა, და მეორეც, ასე უაზროდ ოთხ
კვადელში გამოკეტვით, სანამდე უნდა ეც-
ხოვრა? თუ მართლაც ამდგარიყო და რუ-
სეთში გაქცეულიყო? მაგრამ იქ ვინ ელო-
და, თბილ ქვეშაგებს ვინ გაუშლიდა და
გულში ვინ ჩაიკრავდა? ან როდის იყო,
რომ ადამიანის მეკლელმა თავისი სიცოც-
ხლე მოსვენებით გაატარა? ადრე თუ გვი-
ან მაინც ყველაფერი გამოირკვეოდა, საკა-
ვშირო ძებნას გამოაცხადებდნენ და თავს
ქვესკნელშიც კი იბოვნიდნენ. და, მაშინ,
მეჭეპბიშვილის მიერ შეპირებული შეღავა-
თის ნაცვლად, უმკაცრეს სასჯელს მიიღე-
ბდა. არა, რუსეთში თავო ბუღეიშვილს
ახლა ნამდვილად არაფერი ესაქმებოდა.

მაშ, რა გქნა?

ეკატერინეს თავისი ბერიკაცი გაუსტუ-
მრებინა. თავს ოთხსაღი შემოვიდა და
ტახტზე შვილის ფეხებთან ჩამოცუკქდა.

— მე შენ რა გითხარი? — თავო არც
კი განძრეულა.

— რა, შვილო?

— ისეთ შვილს მოგცემ, რომ ათამდე
ვეღარ დაითვალა! მე შენ რა გითხარი,
ის ბებერი ძალი აქ აღარ ვნახო—მეთქი.

— თავო, შენ მომიკვდე, ჩემი კუბო ვე-
ნახოს, თუ იმას აქ კიდევ ფეხი შემოგად-
გემეინო. სწორედ მაგისტვის დავიბარე,
რომ მეთქვა, აღარ გცნობ, შენ შენთვის და
მე ჩემთვის—მეთქი.

— მეტი შენს გაოსხრებულ თავს რა
ვუთხრა!

— ახლა... თუ კი აღარაფერს დამი-
ჯერებ...

— მაგრაქველიძესთან იყავი?

— არა. აკი მითხარი, ხვალეო?

— უსათუოდ მიდი და ის სამასი მანე-
თი უკლებლივ აქ მომიტანე. და ხვალვე
სამუშაოზე მოეწვევ. არაფერი უკუდმარ-
თობა აქ აღარა ვნახო. გესმის?

— მესმის, შვილო, მესმის... შენს ნათ-
ქვამ სიტყვას როგორ გადავალ. მაგრამ...

— რაო?!

— დილას ისე წახვედი, ვიფიქრე, სა-
დღაც შორს მიდის და დიდხანს ვეღარ
ვნახავ—მეთქი. დედის გული — ხომ იცი...
შენ კი ისევე შენ მომიბრუნდი.

— შერე? მივდიოდი და გადავიფიქრე.
აღარ წავედი. ახლა?

— არა, არაფერი... ნეტავ შენს ცქერას
არ მოვშორდებოდე და... ჩემო სიცოცხ-
ლე...

— კარგი მორჩი. ხვალ მაგრაქველიძეს-
თან მიხვალ. ოღონდ ღმერთი არ გაგვიწყ-
რეს, არ წამოგცდეს, რომ მე სახლში ვარ.
ასეა საჭირო.

ახლა კი აქედან გადი. დადლილი ვარ
და მუქინება.

— დაიძინე, შვილო, დაიძინე. მოისვენე.

ეკატერინე გავიდა.

თავს თვალებს ძილი არ ეკარებოდა.
გაუთავებლივ იმაზე ფიქრობდა, მილი-
ციაში რატომ არ დაუჯერეს და უკანვე
რატომ გამოაბრუნეს. რა, იმოდენა ვაჟა-
ცობაც კი არ შესწევს, რომ თავისივე და-
ნაშაული აღიაროს? თავის ტკივილი კი
ხულ უფრო და უფრო აწუხებდა. დედა-
მისი ისმო და რაიმე აბი სთხოვა. ეკატე-
რინეს ასეთი რაღაცეები არასოდეს ელო-
და. შვილს მაშინვე რაღაც ორშაურაინის
ოდენა თეთრი აბი შემოურბენინა. და აღ-
ბათ, ამ წამლის წყალობით იყო, რომ თავს
მალე ღრმა ძილი დაეუფლა და მეორე
დღის ნაშუადღევამდე ფეხიც აღარ გაუნ-
ძრევია.

ეკატერინე თავისი დიასახლისობის
კვალობაზე შვილს კარგი სადღიო დაახ-
ვედრა. თავს მისთვის ფული არ მიუცია,
ეს ალბათ, იმ ბერიკაცის წყალობით იყო.
ნასადილევს კი თავს შეეკითხა, მაგრა-
ქველიძესთან მართლა წავიდე, თუ არაო.

— რამდენჯერ უნდა გითხრა?! ოღონდ
იცოდე, ფეხებითაც რომ დაგკიდონ, არ
წამოგცდეს, რომ სახლში ვარ. უბრალოდ,
გუშინ დაგემშვიდობე და წავედი. სად —
არც შენ იცი.

— ფეხებით რატომ უნდა დაჰკიდონ!
— ეკატერინე ცოტათი კიდევ შემფოთ-
და.

— სიტყვის მასალად გითხარი! ვის რა-
ში უნდისხარ! არაფერი წამოგცდეს კი.

— არა, შვილო, რა ღმერთი გამიწყრე-
ბა! რაკი შენ ვერ გინდა... მაგრამ შენ
გუშინ ცხრა საათი მითხარი...

— ჰოდა, შენც ცხრა საათზე ზიდი ვინ გაჩქარებს? ახლა კი აქედან გაეჩორე
ვატერინე მაგრაქველიძესთან ცხრის ნახევარზე წავიდა და ათი საათი არც კი იქნებოდა, უკან რომ მობრუნდა. რამდენიმე ოცდაათმინეთიანი თაზოს ტახტზე დაუწყო და თვითონ — აშკარად დაბნეული, ფერწასული და შეშინებული — იქვე გაჩერდა.

— რაო?

— შენ ნუ გაჯაერდები, შვილო, მაგრამ... რაკი... მე რა შენი შეშინახავი ვარო, ვინა ხარო, საიდან გამომეცხადეო...

— მერე?

— შე წამოსვლა დავაპირე. ვიფიქრე, ეს არც არაფერს მომცემს და ან ეგეთი ფული რად მიწდა-მეთქი.

— შენი მყარლი ბებრის ფული სჯობია, ხომ? მერე?

— მაშინ მითხრა, დაიცაო. ეგ ფული მომაყარა და დამეშუქრა, აქ აღარ დავინახოო. არც კი ვიცო, რამდენია.

ვატერინე ნამდვილად ძალიან ჰკმინებული და დაბნეული ჩანდა. სათქმელს თავს ძლივს აბამდა. ვინ იცის, იქნებ იმ ქონის ტომარა კალისტრატემ ისიც კი უთხრა, შენს შეილს კაცი შემოაკვდაო?

— კიდევ რა გითხრა?

— მეტი არაფერი. ყველაფერი გითხარო.

„ერუობს. — გაიფიქრა თაზომ. — სახეზე ეტყობა“.

— ხომ არ წამოგვდა, სახლშიაო?

— არა, შენს თავს გეფიცები. ეგ არც იმას უფიქრნია.

— კარგი. აქედან ვადი.

იმ ღამეს თაზომ ისეთივე აბის წყალობით დაიძინა. მერე დღეს კი... სხვა ვეღარაფერი მოიფიქრა, ჩაიცვა და ისევ იმათგან გასწია, ვისაც — თაზომ ეს ძალიან კარგად იცოდა — მისი დანახვა გულზე ეკლად დაეხობოდა რუსთაველის გამზირს გაჰყვა და ლალიძის წყლებთან გაჩერდა.

ცაცხვის ქვეშ, მზიარულად მოცინარე

ახალგაზრდების წრეში თაზომ ბესარიონის სქელი, წითელი კისერი დაინახა. ხალხის ბრბო გაარღვია, იმ ახალგაზრდებს მიუახლოვდა და შორიახლოს გაჩერდა. სხვებს ისევ ამათთან ყოფნა ერჩინა. ეტყვის, რუსეთში წასვლა გადავიფიქრეო. გინდ დაუჯერონ და გინდ არა. და თუ საქმე გაიხსნება და თაზოს დაპატიმრებენ, ჯანდაბას! სულერთია, შერჩენით მაინც არ შერჩება.

კარგა ხანმა გაიარა, სანამ ახალგაზრდები თაზოს შენიშნავენ, თენგივ ჯაფელიძე რაღაც ძალიან სასაცილოს ყვებოდა, თვითონაც ბეირდებოდა და სხვებსაც ახარხარებდა. მერე ცოტა გვერდზე მდგარ მირზა ჭირაქაძეს ფერი ეცვალა — თაზო პირველმა მან დაინახა.

— თაზო, ეს შენა ხარ?! — მირზა ჭირაქაძის კილოში დაეცინეც კი ივრძნობოდა.

ყველანი ელდანაცემებით მოტრიალდნენ.

— ვაჰ, თაზო! — ჯაფელიძემ თვალები აახშამა. მისი წედანდელი მზიარულება უკვალოდ გამქრალიყო. სახეზე კი აშკარად ეტყობოდა, რომ ბულეიშვილის დანახვას მისთვის არაერთიანი სიამოვნება არ მიუნიჭებია. მერე მიიხედ-მოიხედა და ისევ გახუმრება სცადა:

— ერთი ამას უყურეთ! მე კი მეგონა თაზო უკვე ბაიკალზე თევზაობს-მეთქი.

მაგრამ აღარავის გაუცინია.

ბესარიონ მაგრაქველიძე ალუწილი, საქციელწამხდარი იდგა. მან მშვენიერად იცოდა, თუ გუშინ მამამისმა რა დღეც აყარი თაზოს დედას. მაგრამ რაღა უნდა ექნა? სხვა თუ არაფერი, თაზოსთვის „კამარჯობა“ ხომ მაინც უნდა ეთქვა?

— რაქვია... ცოტა მოულოდნელი ამბავია, მაგრამ... ბატონ თაზოს ჩუქნი სულაში და პატივისცემა! — და დანარჩენებს თვალი შეავლო, ხომ სწორედ მოვიქცეოთ.

მისი საქციელი არც არავის მოუწონებია და არც დაუწუნებია.

□ ზაზარიაშვილი იმანდა □

ჯარჯი ფხოველი

რომანტიკული პაღანხვხა

წვეთაუდა რთიალი: კამკამებდნენ წვეთები
გარინდებულ კედლებზე, იატაკზე, ქერზე...

ირხეოდა დარბაზი, ირხეოდა ყელი,
ირხეოდა საყურე
(პოი... გრძნობის ამრევო!)...
ფართხალებდნენ თითები კლავიშების ქაფში...

და ბეტონის ფილებზე
დახრილ ცათამბჯენების,
ამწვეების სერხემლებსა და ტრახების ზემოთ
იდგა მწერამორღვეული
საუკუნის ღმერთი —
თერმობირთველ ცეცხლის ალით
გადატუსულ თმებზე
აცვიოდნენ წვეთები, კამკამებდნენ წვეთები —

წვეთაუდა რთიალი... წვეთაუდა რთიალი.

ფიქრი

გაღნა ვარსკვლავი. ჩაიწურა ციური ლანდი...
აწ აღარ ნათობს ციყინათელი...
მარტოდენ ფიქრი
მანათობლის ცეცხლოვან კვალზე
მიეშურება სამყაროთა სამანებს იქით.

იგი კოსმიურ ლანდთა უსწრაფეს
მოივლის,



მოფენს ხორციელის ნატურფალებით
 იმ თვალუწევარ, უკუნ მზარეებს,
 სად ცა ყვაფილობს ოქროსტერფა ირმის ნახტომზე.
 ცა,
 უკუნეთის ბუწუწებით მობალახული.

მოივლის ფიჭრი,
 მოიხილაფს და წამოიღებს.
 ვარსკვლავთა კენჭებს — დედამიწის ბებერ დამეში
 ააკიაფებს იმ ნაფოტებს.. მწუხრის თავანზე
 რომ ენთოს მარად
 და მოგზაურს გზას უნათებდეს.

ქ ქ ქ

ქვის მდუმარება — მილიარდ წლობით
 რომ ჩაქანგულა, გაბნეულა ლოდებად, ქვიშად
 მდინარეების ფსკერზე,
 ველთა განიერ მხრებზე
 და ვარსკვლავეთის უდაბნოებში...

ქვის მდუმარება — უხვოვარი ამბის მომტანი
 ჭამთა გაღმიდან, სადაც ბეტუტავენ
 ღამის ბალახით შეჭვარტლული სამყაროები...

იფშენება, ტყდება, იფანტება,
 მაგრამ მაინც მწყემსავს ერთგულად
 თავის უძველეს საიდუმლოს,
 პირგაკერილი.

სახლის კედლებში ატანებენ,
 უკრავენ ხელ-ფებს,
 ათრევენ მდინარე,
 ნაკადული ვეჯგურება,
 წყველი ზვავი ანაფოტებს... მაგრამ მაინც ბედნიერია —
 რადგან ამქვეყნად საითაც კი გადააგდებენ,
 სუსველგან თვისტომს შეეფეთება.

თამაშობს სიყვარული

ისევ თამაშობს სიყვარული
 თვალებდათბრილ ფანჯრების მიღმა,
 მდუმარ და პირქუშ სასახლეებში...
 ისევ თამაშობს — გადაწინწყველი



შურისძიების სისხლის კოწლით,
 დალატის ცრემლით განბანილი, შუბლდაღარული, უძილობის ეკლებით სავსე...
 პარტიის მსოფლიო

უნაყურებლო დარბაზების წვეული, ქვეყნად
 ერთადერთი და მარტოსული,
 ტანით რომ არცინ არ ეგებება.

ისეე თამაშობს.. იმის კვალზე წამომართული
 იბელისკების და ძველების ტყე გარინდულა —
 მისი აქ ყოფნის უტყუარ მოწმედ...

ის კი თამაშობს თავის პირქუშ სასახლეებში,
 თვალეზიამჭრალი ფანჯრების მიღმა,
 შურისძიების სისხლით ნაფერი,
 დალატის ცრემლით განბანილი, შუბლდაღარული,
 უძილობის ეკლებით სავსე.

შ ა მ თ ა რ ი

მთვარეს, იანვრის გუბეებში ჩაყინულ მთვარეს
 კოსმიური მტვრით სავსე სიზმრებში
 გაელანდება თვალსაწიერზე
 თოვლის ჭრილობებშეხვეული მიწის ვორგალი...

მღივარი,
 ცისფერსამოსიანი,
 ზედ რომ აჩნია ზორცეულის სისხლის წინწყალი..
 ვაცთა დუმილის ღორღით სავსე,
 რომ ურიგებს ყინვის ზორკილებს
 ტყვს და მღინარეს — თაიგულებს აწვდიდეს თითქოს...

თოვლით ჭრილობებშეხვეული მიწის ვორგალი...
 გაელანდება თვალსაწიერზე
 მთვარეს,
 იანვრის გუბეებში ჩაყინულ მთვარეს

გ ი ა ლ ს ვ ლ ა

რამდენი ვინმე დაეღირა, რამდენი ვანმე...
 რამდენი ვინმე აეწება — გუდამშიერი,
 რამდენმა ხელი სისხლიანი ჩაავლო ხელზე,
 რკინის ტერფებით დააბიჯა რამდენმა ვინმემ —
 ჯანგი და ლაფი შეახოცა.. რამდენი ვინმე



გადასახვევად დაედირა... რამდენმა ვინმემ
 დამარხა ვიდრე... მიატოვა რამდენმა ვინმემ...
 რამდენმა ვინმემ... მაგრამ ის ორი —
 ღამე და მთვარე — შერჩა ორი თანაზიარი.

სამოსად ეცვა ღამის ბალახი
 და მთვარე ვერცხლის ცრემლებით ბანდა
 ჩენი მიწის დამსკდარ ბაგეებს.

წარწერა კარზე

სახლში არა ვარ: გავემგზავრე დედამიწიდან...
 გააღე კარი, შემოიხედე.
 სუველაფერი აქ დაგტოვე, ყველა წვრილმანი...
 გაბნეულია ამ ფანჯრებზე
 ჩემი მშერის ანბეჭდები...
 ჩანიშნულია ეს წიგნები ფიქრთა ფოთლებით...
 და ჩემი ჩრდილი ოთხივე მხარეს —
 ყრუ კედლებზეა ამოტვიფრული...
 სახეც — პირქუში, დაღმამზირალი,
 აქ შემოგვხვდება დაღარული, გაჭვავებული
 პრეისტორიულ ქვეყარმავლის ნაფხურით...
 და ყველაფერი, რაც ჩემს ფიქრში უნდა გეხილა,
 რაც ჩემს მხურამი ეტყოდა — ისევ აქაა...
 გააღე კარი.. შემოიხედე.

ორი უსამართლო კახიშლის ნიშნები

1.

შემოაბიჯებს სარკმლებიდან ყორნის ყრანტალი —
 გიციობ ყორანო —
 კრწანისიდან მოჰფრინავ, ვიცი...
 თითქმის ორასი წელიწადია
 ასე ყოველდღე
 გადაუვლი ქალაქს ყრანტალით...
 და გენატრება ქართველის სისხლი!

2.

მე ჩემში ვდგევარ... და ჩემი ცისე —
 ხორშაკი ქარით დაღარული,
 მზის ბრტყალებით ნამოკაწრული
 შორიდან მომხდურს მოელოდება...



და ჩემი მზერა — დანგრეული ციხის ნაპრალი,
რომლის წვედიადშიც
იქანგება დიდბანია
დამარცხებული მეციხოვნის ფარ-მუზარადი —
ღამედ არტყია ნანგრევებს, ღამედ,
რომ მტერს აუბას საწიერი, რომ მუხანათი
მუხლებს იმტვრევდეს ნანგრევთა ძვლებზე!

გაქვითის პრიმიტივი

ის მაღლა ენთო. ქარებს ეჭირათ...
და კამკამებდა ცაზე გელათი —
მთვარის სიზმარი, გადაკეტილი
უფლის ცრემლების ზორხომელათი.

ის მაღლა ენთო — თეთრი კოცონი —
სად შორეული ქარები ჭროდენ...
მიშხეფებოდა ხავსის კოწოლი
ბაგრატოვანის სამარის ლოდებს.



ალუდა არაბული

ჩანასახებიდან

ხმალო, თუ ვამპრი წეხი ას,
შენ რადღა კაცთა ენაო .
ხალხური.

რა კარგად გითქვამს,
რა უბრალოდ
და გითქვამს მოკლედ.
ნეტავი ვინ და, —
ან როგორი იყავი მოყმე?
რისთვის ირჩიე ხმლის კრილობა, — არც ისე ამო,
რამ გათქმევინა
სამდურავი ენისა გამო?!
ცილი რამ გწამეს,
თუ გათრივს
ფოლორც და ფოლორც? —
რისთვის?... ეს კითხვა,
ერთადერთი კითხვაა მხოლოდ.
არ მგონია. გაგეყიდოს შენ სიტყვა კაცის
და მოძმეთათვის
გაგეტეხოს ფიცი რამ მკაცრი, —
მელექსის საქმედ.
ჯერ ართქმულა
საქმე ამგვარი...
არც ის იქნება, —
მოგეყვანოს მტრების ლაშქარი
და მროწლები გაგერეკოს სოფლის და თემის, —
ან მიგვეზაუნოს
მზარავები ჯოგის და რემის...
არც ამგვარი რამ



გამოსულა მელექის ხელით, —
 ამგვარის გამო —
 არ გათრევენენ —
 ამბისთვის ენით.
 იქნება ქალი არ დაინდე, ან პატარძალი, —
 ან სოფელს იქნებ გაუძარცვე ნიში-ტაძარი?..
 არც ამნაირი
 საქმე თქმულა
 მელექის საქმედ...
 მამ რისთვის?... კითხვა-
 მოდარაჯე კითხვა დგას აქვე.
 რისთვის ირჩიე ხმლის კრილობა, — არც ისე ამო,
 რამ გათქმევიდა
 სამდურავი ენისა გამო?
 ალბათ ცხოვრებას
 თადარიგი ვერ დაუჭირე,
 სარჩო მელექსემ
 ცოლს და შვილებს
 ვერ გაუჩინე
 და ხალხის თვალში
 უმაჭინის ვერ გაცდი საზღვარს, —
 გაექცეოდი ვეღარც სადმე თრევას და ლანძღვას.
 იტყოდნენ, ვიცი,
 მწიერ-ტიტველს აქვსო რა ფასი,
 ფლახი რაა და
 სახლში არც თუ უცდია ფლახი.
 რა ელექსება.
 მიაფურთხოს ლექსების მომგონს...
 მოხსნიდნენ პირს და
 უკვე ვიცი.
 მოხსნიდნენ როგორც...
 თუმცა კარგი ქნეს, —
 რაზეც იყო, — ძვირი რომ გითხრეს,
 შე ასე ვიტყვი,
 რა თქმა უნდა,
 თუ სადმე მკითხეს...
 არ ვიცი ვინ და, —
 ან როგორი იყავი მოყმე.
 ვიტყვებს ზარით,
 თუ საფლავთან გულცივად მოგვყვნენ...
 არ ეთქვათ ძვირი,
 არ ეტყინათ რომ შენთვის გული —
 ხომ იქნებოდა თვით ვე ლექსად
 დღეს დაკარგული...

აქვე ისევ: ყანა და მდელი,
ცხენი და მუშის რუხი საბელი,
აქვე კავი, ქო, ხაყვარულო;
ტაბიკ-უღელი და მოსამბელი...

იქით ჭალები და მურყნის ტყე,
ხვეის წყალი და ლასტის ხიდები...
ქო, ხაყვარულო, ლამაზი დღეა, —
მდელის ჭაფი და ფოთლის ზვირთები...

სანამ გიბია კარზე უღაყო,
უღელში — ხარი, კვალში — გუთანი..
კედელზე სმალა და ზამბულაკი, —
მამასადამე, გაქვს საყუდარი...
სანამ ჟერ კიდევ ამბობ, — ნახვამდის! —
ხვამ და უგონოდ სანამ არ თვრები,

სანამ აუბნებ ენას ლაქარდით, —
და ესე იგი; მოემართები...
მოდიხარ, სანამ მოკვანები, —
სანამ ანბანი გაქვს საკუთარი, —
გაქვს მშობლიური სანამ გარემო, —
მამასადამე, გაქვს საყუდარი...

გაგა კინკარულს

კორშის, გუდელის გახსოვს ფიჭვები,
ბევრი ფიჭვი და, ბევრი ბიჭები,
პურის ყუა და ბოთლი არაყი,
ამით ბიჭების გული ამაყი.
მერე მთიბლები... მერე მაყარი, —
ზოგჯერ ჩხუბი და აყალმაყალი.
ბიჭო. ყველა თუ გახსოვს ესენი, —
და კიდევ შენი კარგი ლექსები...
წავიდეთ; — ისევ გვიცდის ცხენები,
ისევ ჩავიცვით თორნი ჯაჭვისა,
თუ მტერი დაგჭრის, მოგეშველები,

შენ მომეშველე შე თუ დამჭრისა.
კიდევ დაგლიოთ თითო არაყი,
თითოც შევემართო ცხენი ამლაყი,
და კვლავ დაგთესოთ ყანა ქერისა, —
პეშვით დაგლიოთ წყალი ღელისა...
და ვიძმაკაცოთ, ისევ ძმაკაცოთან.
გადადღეს თამი თუ წრეს გადაცდა.
კვლავ დავიყაროთ ხელზე მარცვალი, —
მოდი, წავიდეთ, არი, რაც არი...
თითოც დაგლიოთ კიდევ ქერისა,
ფუძის პატრონის და დამჭერისა...

წავალ; — სამშობლო გადამიკოცნე,
ეს ერთი თასიც ვარ ალავერდი; —
ისე ტკბილი ხარ როგორც სიცოცხლე
და ისე ნაზი როგორც ხავერდი.

ისე წმინდა ხარ როგორც აკვანი
და ისე ნედლი როგორც ალურდი.

წავალ, — ეს მიწა გადამაყარე
ეს ერთიც კიდევ ვარ ალავერდი, —

აღუესებელით წავალ ფიალით, —
წავალ, — სამშობლო გადამიკოცნე...
გულმოღებული შენ ხარ ტრფიალი, —
ხარ ისე ტკბილი, როგორც სიცოცხლე...

მეუღლას



უსამი ბაღიღე
 საქმეა... და საქმე ყელამდე...
 არც სამკაული, —
 არც სამოსი, —
 ფერად-ფერადი;
 ჩითის კაბეებით მიდის შენი ახალგაზრდობა
 და მხოლოდ ფრთები
 თუ გაკვლია შაინც ფრენამდე, —
 მე ყველაფრისთვის,
 ყველაფრისთვის
 გიბდი მადლობას..
 არც სამკაული, —
 არც სამოსი,
 ფერად-ფერადი,
 მივდივართ ისე... დარიბული გვიწევს მგზავრობა...
 სიყვარულისთვის,
 სიყვარულით გიბდი მადლობას..



ტირისო — მკ პი არ მკერა

ტირისო, — როცა ილევა
ზამთრის კენესა და კირთება,
როცა ზეიმობს მიდამო,
ყვავილთა ფერით ირთება.
როცა ლაგვარდი იცინის,
ამღერებულა მთა-ბარი,
ტირისო — რალაც არ მკერა
ეს სვედიანი ზღაპარი;

როცა მზე თესავს ბაჯალოს,
ზურმუხტი ქარავს მწვანესა,
ვას რალად უნდა ვხედავდეთ
გულმდულრად მგლოვიარესა?
ტირის კი არა, — ალალებს
ბუნების შესხმა-შეკება,
ტირის კი არა, — პირს იბანს,
სინათლეს ეაწიკება.

სტუმარ-მასპინძლობა

ეს მარანი, მადლით სავსე,
ანგელოზის დაგვილია,
ძოდან ბახუსს ვმასპინძლობდით, —
ცოტა ღვინო დაგვილია.
ესლა მოდი, სანთლის სუკით
გაგვინათე ქვევრის პირი,
მიღვეგრძევე ეს სტუმარი!
თვალნათელი „ოქროპირი!
დღეს მესტუმრა, დავარღვიეთ
მასპინძლის და სტუმრის წესი,

ვამუშავე, — ვერ მოვძებნეთ
სხვა გართობა უკეთესი.
ვასის სხვლაში დამებმარა,
ოფლი ღვარა ვაშთან, სართან.
და დღეს, როგორც ამირანი,
უფრო მეტად გაიზარდა.
შენ გვისმინე გულისყურით,
სიტყვის ზავით გულზე გებას,
რა ლექსებად ავანქვევებო
ღვინის ძალის აფეთქებას!



სოლომონ დემურხანაშვილი

მოთხრობები

დიდი მარკოზის შემობრა

მთის ძირში გაშენებულ ამ ძველმძველ ქალაქსაც თავისი საკუთარი სამყარო აქვს, თავისი ხასიათი და ადამი.

როგორც კი ინათებს, ჭერაც უკაცრიელ ქუჩებს გრძელტარიანი ცოცხებით ცვლავენ შევსოვენა. მათი შემხედვარე ისე იფიქრებს, თითქოს ქვეყნიერებამ სიცოცხლე დაასრულა და ეს პირქუში, ზეციდან ჩამოსული ამრდილები საბოლოოდ შლიან იმ ქუჩების კვალს, ადამიანებმა რომ დატოვეს დედამიწაზე თავიანთი არსებობის მინძილზეო. მაგრამ გამოხდება ხანი, ნოიქცევა მზე და კვლავ განმეორდება ორომტრიალი. ქუჩები აივსება ქრელ-ქრელი ხალხით — დალხინებულებით, გაჭირვებულებით, მატყუარებით, გულუბრყვილოებით, მუყაითებით, რწმენადაკარგულებით, ყალთაბანდებით... როგორც მდინარე წვიმის შემდეგ, ისე აზვირთდება ქუჩები ქალაქისა. ფაბრიკაქარხნები, სასწავლებლები თუ სხვა საუწყებონი შეიწოვენ ადამიანებს და ქალაქიც ცოტა ჩაცხრება.

სადაც არის, გახდება ცხრი საითი, მოედანზე, დიდი შენობის წინ, თავს იყრიან ქალაქის მესვეურები. ისინი თითქოს ვიღაცას თუ რაღაცას ელიან.

ცოტა ხანიც და გამოჩნდებიან მთლად უფროსნიც ამა ქალაქისა. თავდაპირველად მიესალმებიან დიდი შენობის წინ თავმოყრილებს. ეს უკანასკნელნიც, ლამის დედამიწამდე დალუნჯენ თავებს და აღერსიანი მზერით გააცილებენ. მერე კი, არც მთლად კმაყოფილნი, არც მთლად უკმაყოფილონი ნელა-ნელა დაიშლებიან. კმაყოფილნი მამინ ბრებიან, თუ ყველაზე უფროსი გუნებაზეა და ცოტახანს იმათთან ინებებს შეჩერებას. იგი მამანეე ალყაში მოექცევა, თუ რაიმეს უგერვილოდ გაიხუმრებს, მთელი ხროვა აბარხარდება, ერთმანეთს ეკიბრებიან, ვინ უფრო მეტად ააქებს მლიქვნელური სიცილით.

დიდი მარკოზიც იმათ ამქარშია. იმოსი ყოველდღიური ცხოვრება აქედან იწყება, ისიც, ვითარცა ბევრი სხვა, ვერ აქ უნდა გამოცხადდეს, დიდი შენობის წინ (ეს დაუწერელი კანონია), თავიციებს დაენახვოს, მიესალმოს, გამოელაპარაკოს, გული დაიარხინოს და მერე ისე წავიდეს თავის საწყესოში.

დიდი მარკოზი...

მარკოზი მარკოზია, მაგრამ დიდი რომელმაც უჩინმაჩინოსანმა დაუძმღვარა, ან რისთვის, — კაცი ვერ მიხვდება.

ვიდრე დიდი მარკოზი თავის სახელისუფლოში მივიდოდეს, ცოტა ხელი მოეინაცვლოთ და გავიცნოთ იმისი ცხოვრების გზა.

თითქმის ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, ღვინის სარდაფში რომ დაიწყო მოღვაწეობა. ცხოვრებამ მალე დაგვმა და მიხვდა, მუშტარს როგორ უნდა დახვედროდა. ისეთი მოწინებითა და პატივისცემით მიიპატიებდა ყველას, ვინც არ უნდა ყოფილიყო, თითქოს ხელმწიფე ესტუმროს. სახელდახელოდ გაშლიდა მცირე პურ-მარაღს კასრის თავზე, თვითონაც გვერდით მიუჯდებოდა მუშტარებს და ყურებგამახვილებული უსმენდა, რაზე საუბრობდნენ.

ერთი სიტყვით, რამდენიმე ხნის შემდეგ მარკოზმა მარტო ანეკდოტები კი არ გაიხეზებია, უკვე შეეძლო ყველაფერზე გამოეთქვა თავისი აზრი.

— მარკოზი მიპოვეთ, სადაც არ უნდა იყოს! — ბრძანებდა მარკოზის უფროსი, როცა დედაქალაქიდან საპატრიცეზო ხალხი ესტუმრებოდა. ენაწყულიან მარკოზსაც თან იახლებდა და ყველანაირად კმაყოფილებს გასტუმრებდნენ ჩამოსულ ამხანაგებს.

თანდათან ღრმად და ღრმად გაიდგა ფესვი უკვე დიდად წოდებულმა მარკოზმა და მალე კიდევ დააწინაურეს, სარდაფიდან ამოაძვრინეს და წვრილწვრილ დამამზადებლებს ჩაუყენეს სათავეში.

მერე უფრო დიდი ადგილი მისცეს.

— სად არის მარკოზ არჩილოვიჩი? — ჰკითხავდნენ დიდი მარკოზის გაიწყინებულ მდივანს და ისიც ერთსა და იგივეს პასუხობდა, როცა უფროსი კაბინეტში არ იყო:

— მარკოზ არჩილოვიჩი ობიექტებზეა გასული.

ამ დროს დიდი მარკოზი დავლახე იყო. თავის ხელქვეითებს ჩამოუვლიდა, შეახურებდა, მერე დათვის წილს წამოკრეფავდა და დაბრუნდებოდა. ვინაც ვერა ნახავდა, თავის კაბინეტში

დაიბარებდა, მაგიდის უკრას გამოსწევდა და ვითომ იქით არც იუტრებოდეს. ვერცა ხედავდა, შიგ როგორ ცვიოდა ხელის ქუჩყი.

გადიოდა დრო. წლები წლებს მისდევდა და დიდი მარკოზის ხაზინაც იზრდებოდა. ბოლოს დედაქალაქამდე ჩაიღწია მისმა სახელმა, იქაც დაიწყეს მითქმა-მოთქმა, დიდი ფულის პატრონი ყოფილაო. ამ ამბავმა ერთხელ კიდევ წამოაყოფინა თავი მოშურნეებსა და მეტოქეებს, ერთხელ კიდევ მოუსინჯეს კბილი, მაგრამ ვერაფერი დააკლეს და სამუდამოდ ჩაიჭინეს ხელი. მარკოზმა ერთი კი ჩაილაპარაკა ღიმილით: წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიათ, და იმის შემდეგ თავის ნაქუჭში ჩაიკეტა, შეეცადა თავისი არსებობა დაევიწყებინა ზოგიერთისათვის და არც არავინ ჩაეხედებინა თავის საქმეში.

აი, მას აქეთ მარკოზი უცვლელი თავმჯდომარეა. იმ დაწესებულების შენობა, სადაც დიდი მარკოზი თავმჯდომარეობს, ქალაქის გულშია, მთავარი ქუჩის პირას. სწორედ იმ შენობის წინ, ქუჩაში დიდიდანვე მოკალათდება ხოლმე ერთი ცალფეხა და ცალხელა მათხოვარი. იმ მათხოვარს თხელი ქერა თმა ისე ჩამოშლია, ღამის სეკდიანი ცისფერი თვალები მთლად დაუფაროს. კარგახანია, რაც იგი ამ პატარა ქალაქში გამოჩნდა და ქალაქელებიც ისე მიეჩვივნენ მას, თითქმის ქალაქის მკვიდრად მიიჩნიეს, თუმცა არავის მოუწადინებია გაეგო, საიდან მოვიდა ან რა წარსული ჰქონდა მას. არავინ იცოდა, რა ქარიშხალი გამოიარა ამ მათხოვარმა, რა ბეწვის ხიდზე იარა და რომელმა ტალღამ შეავდო მათხოვრის ტახტზე. აღამიანები, ვინც მუდამ დიდ ცნობისმოყვარეობას ამჟღავნებენ, გულგრილად ჩაუვლიდნენ ხოლმე მას და თითო-ორიოლა შაურს ჩაუტვებდნენ ქუდის ძირში. ეგ არის და ეგ.

დიდი მარკოზიც ყოველთვის სიბრაულს ამჟღავნებდა მის მიმართ და ხა-

ლისით ჩუგდებდა ხოლმე მანეთიანს, ხან კი უფრო მეტსაც.

ამ დღით თავისი დაწესებულები-საყენ მიმავალმა მარკოზმა შორიდანვე დაინახა მათხოვარი და მაშინვე გუნება წაუხდა, რადგან წუხანდელი საზარელი სიზმარი გაახსენდა.

წუხელ სიზმარში იმ მათხოვრის აღ-გილას ვითომ თვითონ იქნა მარკოზი. სასტიკად აცხენებდა მზე. ოფლში გა-ხეთქულს ლამის გული გაპარვოდა. ტანსაცმელი მთლად შემოფლეთოდა, შიშველი სხეული მოუჩანდა. ცალი ფე-ხი ზედ მუხლზე ჰქონდა გადაჭრილი და იბრა ჭერაც არ შეხორცებოდა. გა-დაჭრილი მუხლის თავი უღვთოდ ეწ-ვოდა. წინ ქედის მაგივრად თავისი მა-გიდის უჭრა ედო და შიგ დასტა-დასტა ჰყრიდნენ ფულს გამვლელები. მერე ვიღაც წვერმოშვებულმა კაცმა ჩა-მოიარა, საზიზღარი ხარხარი ატეხა, უჭრას ფეხი წაჰკრა და ფული ქუჩაში გაფანტა.

ამ ყოფაში გამოეღვიძა მარკოზს. ოფლში ცურავდა, სულს ძლივს ითქვამ-და, მუხლი კი ისე ეწვოდა, თითქოს მა-რთლა გადაჭრილი აქვსო.

როგორც იყო მოითქვა სული, მუხ-ლიც დაუშადა, მაგრამ სიზმარმა მიინც ძალიან გაუფუჭა გუნება. იბრა, რამ და-ასიზმრა ის მათხოვარი? მთელი დამე აღარ დასძინებია, ისეთი ეჭვი და ფიქ-რი აეკვიტა, თავის დღეში რომ არ მოსვლია ახრად. დღით, როცა ქალაქ-ში გავიდა, სიზმარი მთლად დაავიწყდა და აი, ამ მათხოვრის დანახვამ და სი-ზმრის გახსენებამ ისევ აუშდვრია სუ-ლი.

მათხოვარს რომ მიუახლოვდა, შე-ჩერდა და დააკვირდა. მათხოვარმა, ვინც მარკოზისგან ყოველ დღია დიდ მოწყალებას იღებდა, კეთილად გაუღი-

მა. ამ ღიმილმა უარესად მოშალა მარ-კოზი, ოღონდ თვითონაც არ იცოდა, რათ ემწარა ეს ღიმილი.

— აქედან წადი, — ზაზღით უთხრა მარკოზმა მათხოვარს, — დღეიდან აქ აღარ დაგინახო.

მათხოვარი გაოცდა და მოიღუშა.

— მე... მე სულ აქა ვარ, ბატონო, ეს არის ჩემი ადგილი!

— წადი აქედან! — კბილებში გამო-სცრა მარკოზმა, მაგრამ მათხოვარი არ ინძრეოდა. ქუჩაში გამვლელებმა რა-ღაც იყნოსეს და შეჩერდნენ. მარკოზი უცებ აენთო, მათხოვარს ფეხი წა-ჰკრა და საშინლად იყვირა:

— დაიკარგე აქედან, რომ გუუბნები! მათხოვარმა ისეთი კივილი მორთო, თითქოს ცხელ თონეში აგდებნო. იმა-ვე წუთში ხალხი შეიყარა. მარკოზის დაწესებულებიდანაც გამოვიარდნენ თა-ნამშრომლები და უფროსს შემოეხვიე-ნენ, მთლად რომ გაფითრებულყო და კანკალებდა.

— მარკოზ არჩილოვიჩ, რა მოხ-და? დაწყნარდით, მარკოზ არჩილოვიჩ!

— მეზიზღებიან მათხოვრები! — ჩა-ილაპარაკა მარკოზ არჩილოვიჩმა და გაშმაგებით გააყოლა თვალი ახანხალე-ბულ ხეივარს.

ვიღაცამ ვალიდოლი დაძრო ჩიბი-დან და მთლად აკანკალებულ, გაფით-რებულ მარკოზს მიაწოდა. მერე ხელი მოჰკიდეს და თავის დაწესებულებაში შეიყვანეს. ქუჩაში დარჩენილები კი გაკვირვებით იჩეჩავდნენ მზრებს და ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— რა დემართა მარკოზ არჩილო-ვიჩს, ეს მათხოვარი სულ აქ არ ზის?

მაგრამ პასუხს ვერავინ იძლეოდა. არავინ იცოდა, რამ გააშმაგა დიდი მარკოზი.

შხამა

ახლა შხამასი უნდა გვიამბო, შხამასი და ქალაქელი ლექტორის ამბავი.

შხამა მინდვრის ბალახია, იგი წამალიც არის და საწამლაიც.

ვისზედაც მე ვიამბობ, იმ კაცს, არ ვიცი, რად ეძახდნენ შხამას, ეგების იმიტომ, რომ მახვილივით ბასრი და მოწამლული სიტყვა ჰქონდა. ასეა თუ ისე, სოფელში ვერავინ დამისაბუთა, რად გადაარქვეს ნათლობის სახელი და შხამა რაზე დაუძახეს. ვერც ის მითბრეს, ვინ იყო მეორე ნათლია. ეს უჩინ-მაჩინოსანი მეორე ნათლიები ერთი ხელის დაკვრით გააცამტვერებენ ხოლმე საბუთებში ბეჭდით დამტყიცებულ ვინაობას და ერთადერთი ზედმეტი სახელით ზუსტად დაახასიათებენ ადამიანს. კარგი ბიჭი ხარ და გიიგე, ავთანდილი რომ ჰქვია მევანსა და მევანსა, ან აბესალომი, რა აღნაგობისა და რა ხასიათის კაცია. მაგრამ გოგრისა, ხედა, კონკილა, სეიპიკალია, კისერა, ცქიმფია (ესენი სულ აქაურებს ჰქვიათ), ანდა ეს ჩვენი შხამი, თუ კარგად ჩაუფიქრდები, ასე თუ ისე მიგანიშნებს, რა კაცი უნდა იყოს ამ სახელის პატრონი.

შეადი ბიჭის მამა იყო შხამა. უქონელი, მაგრამ მხნე, უჩუმრად ჰირთა-მთმენი, სიყვარულით სავსე, ოღონდ გულდახურული, პირში მთქმელი, მაგრამ სიტყვამწარე.

შენც ვახსოვს, ომამდეც და მით უფრო ომის დროს, სოფელში მცოდნე ხალხი ჰირდა. არც ექიმი ჰყავდათ, არც ბეითალი, არც კბილის მკურნალი. ეგ კი არა, დალაქიც ძვირად მოინახებოდა. შხამა ერთი ხელი ყველაფერი იყო. გაუხდებოდა ვინმეს ძროხა ავად და:

— არიქა, შხამას დაუძახეთო!

ხუნავმეყრილ ბავშვს სუნთქვა რომ შეეკვრებოდა და საშველი აღარსაით იყო, გულგახეთქილი მშობელი შუაღამით მიადგებოდა შხამას სახლის კარს. აი მაშინ კი ნურას უკაცრავად, უძძველად გაიხსენებდნენ ნათლობის სახელს.

შენი მარჯვენის ჰირიმი, ივანეო, ბავშვს ხუნავი მიხრჩობს და ეგებ მიშველოო. შხამი აბუზღუნდებოდა, აქამდე რას უყურებდით, წმინდა გიორგის იმედზე იყავითო, არ გადმოგხედათ წმინდა გიორგიმ და შხამა პერეა გაგახსენდათო.

ამას კი იტყოდა, მაგრამ მაშინვე დაფაცურდებოდა, თავდაღუნული, უჩუმრად გაჰყვებოდა დაბოღმილ მშობელს. მიუახლოვდებოდა ავადმყოფ ბავშვს, ლოყაზე ალერსით მოუთათუნებდა ხელს, ყელში ჩახედავდა და შეიცხადებდა:

— მოგიკლავთ ბავშვი და ეგ არის, თქვენ შვილის ღირსები ხართ!

მერე საგულდაგულოდ დაიბანდა ხელებს, სალოკ თითზე რალაცას წიცილებდა, მგონი დანაყილ ნიორსა თუ მარილს, ან ეგებ ორივეს ერთად, და დაჩირქებულ ადგილს გამორწყავდა.

ავადმყოფი მაშინვე თვალბში მოიხედავდა.

შხამა კი ისევ რალაცას წაიბუზღუნებდა, მერე კუმტად დაარიგებდა ავადმყოფის მშობლებს, ბავშვს ასე და ასე მოუარეთო, დალუნავდა თავს და წაეიდოდა. კარგად იცოდნენ ამ უცნაური კაცის ხასიათი, გასამრჯელოს ვერ შეებედავდნენ.

როგორც ვითხარი, შხამა დალაქობასაც მისდევდა, მაგრამ იმის სადალაქო სკამზე ძვირად თუ ვინმე დაჯდებოდა ბიჭი იყავ და შეგებდნა, ასე და ასე გამკრიჭყო, მაშინვე შეფხუკიანდებოდა, თუ ხელობა იცოდი, აქ რაღას მორბოდიო, ან დამაცადე, ან არადა მოუხვიო. ამ დროს კიდევ ერთი ზედმეტი სიტყვა და შუა კრეპაში გაჟანებებდა თავს. ერთი სიტყვით, ვინც იმასთან მივიდოდა, კეთილი უნდა ენება და ქვასავით მკდარიყო, თავის ნებაზე მიეშვა დალაქი.

აბა ასეთ უცნაურ კაცს ვინ შეეგუა-

ბოდა. ამიტომ შხამა თითქმის უმეგობროდ იყო, ხალხში მომფრთხილად.

გავიდა დრო, ქვეყანა დაწინარდა და მოლონიერდა. სოფელში ექიმიც მომარავლდა, ბეითალიცა და დალაქიც. ამასობაში შხამასაც მოადგა კარზე სიბერე. ჯანიც მოუძაბუნდა და მუხლიც, მაგრამ გული ალბათ მაინც ძველებურად ერჩოდა, ხასიათს კი, აბა რა გამოუცვლის კაცს.

აღგნენ და კოლმეურნობაში შეველედ დააყენეს. ერთი იაბო მისცეს და სოფლის თავში რომ პურის ყანები იყო ხოლმე, ის ჩააბარეს. სწორედ რომ შესაფერი ხელობა გამოუჩინეს, ჯაფა აღარ დაადგებოდა.

დიდი გულმოდგინებით მოეკიდა შხამა ახალ თანამდებობას. ცალ გვერდზე ხანჭალი დაიკიდა, მეორე გვერდზე ძველებური დამბაჩა გაიჭო, ალბათ იმისი პაპისპაპა ლეკიანობის დროს რომ იყენებდა, მხარზე თოფი გადაიკიდა, იაბოზე ამხედრდა და დღე და ღამე გარს უვლიდა ჯეჯილს.

აინმეს საქონელს ცალი ფეხიც რომ გადასცდენოდა ყანაში, შხამის კანკებს ვერ გადაურჩებოდა. მასთან არც მეზობლობა სჭრიდა, არც ნათლიამამობა, ყველას ერთი ადლით ზომავდა, შინაურსაც და გარეულსაც.

აი, ასეთი კაცი გახლდათ შხამა. ერთ დღეს კი, ეს იყო შარშან ზაფხულს, დიდი უცნაურობა ჩაიღინა.

წყნარი საღამო იყო. მზე უკვე ჩადიოდა, მაგრამ ჯერ ისევ სულისშემბუთავი სიციხე იდგა... შხამამ უკვე დაიწიფებულ პურის ყანას ერთხელ კიდევ შემოუარა ცხენით და რასა ხედავს; სოფლის მენახირე ბრუტიან ზაქრუას, ცალთვალა დევს რომ ჰგავდა, ნაშკალში მიუშვია საქონელი და ამოვებს. შხამამ ცხენი ზედ მიავლო და დაჰკვიღლა: ვინ გიბრძანა ნახირი აქ შემორეკეთ. ბრუტალა ზაქრუამ გულგრილად აპხედა თავით ფეხამდე შეიარაღებულ შხამას და კითხვა შეუბრუნა:

— ლეკები უკვე გააბრუნე?

შხამამ—კარგად იცოდნა ზაქრუა რა

დღის კლანჭიც იყო, იმასთან არაფერი გასჭრიდა და კითხვებზე წინააღმდეგობა

— შენ რასაც გეკითხები, მხამზე უბასუხე.

— ვინა და თავმჯდომარემ მიბრძანა.

— სტყუი...

— წადი და ჰკითხე.

— თუ ტყუილი გამოდგა, ხანჭალზე წამოგაგებ.

მენახირემ ჩაიციინა.

— ჯერ ცხელა, შხამავ, ხორცი მარილს არ მიიღებს.

შეველემ აღარაფერი უბასუხა, ცხენი შემოაბრუნა და გაცეცხლებული სოფლისკენ დაეშვა.

კანტორაში არავინ დახვედრია, დამლაგებელმა უთხრა, ქალაქიდან ლექტორია ჩამოსული, კლუბში ლექციას კითხულობს და ყველანი იქ არიანო. კლუბი იქვე, კანტორის გვერდით იყო. შხამამ ცხენი ხეზე გამოაბა და კლუბის კარი შეაღო. დარბაზი ხალხით იყო სავსე. სცენაზე, წითელმაუღდადაფარებულ მაგიდასთან კოლმეურნეობის შესვეურები ისხდნენ. ლექტორი კი ფეხზე იდგა და ლაპარაკობდა შუა ხნის კაცი იყო, ქალივით ლამაზი, გადატყეპილი პირისახე ჰქონდა იარაღსხმულმა შეველემ რომ შემოალაქა. თავმჯდომარემა და სხვა თავაკცებმა ერთმანეთს ისე გადახედეს, ეტყობოდათ, არ ესიამოვნათ.

შხამამ თოფი მოიხსნა, სკამზე დაჯდა და მუხლებშუა ჩაიყუდა. იგი სმენად იქცა, უცებ შეიძყრო ცნობისმოყვარეობამ, გაეგო, რას ქადაგებდა ეს ქალიქიდან ჩამოსული კაცი. ის კი რიხიანად განავრძობდა:

— პირისაგან მიწისა იღიგავენ ისეთი ძლიერი ქვეყნები, როგორიც იყო კართაგენი, ბაბილონი, ასურეთი... ჩვენმა ქვეყანამ დღემდე მოიტანა თავისი ყოფა და თავისი ენა. დღეს კი რა ხდება, ამხანაგებო, აღარავის უნდა ერთ ან ორ შვილზე მეტი იყოლიოს, ლამის გააფშენდეთ ჩვენი კულაბზიკობით. არადა, ასეთი პირობები არასოდეს არა

გვექონია. რა გინდა ბატონო, სწავლა გინდა, გზა ხსნილია, ხელობა გინდა, აირჩიე, მაგრამ რაშია საქმე, რად დავკარგეთ მამულიშვილური გრძნობა? დიდ მშენებლობაზე მოძმე რესპუბლიკები გვახმარებენ სპეციალისტებს, ჩვენ რომ აღარ გვეყოფნის ხალხი.

ეშხში შესული ლექტორი შეჩერდა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და დარბაზს გადახედა. ხალხი ფრთხილად აჩურჩულდა და ამ დროს სკამიდან წამოდგა შხამა.

— თუ შეიძლება ერთი კვითხით?

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კისერი წაიგრძელა. შხამას გადმოხედა და ისე აფორიაქდა, თითქოს რწყილები შეესივნენო. რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ლექტორმა დაასწრო:

— ბრძანეთ, ბრძანეთ, დიდი სიამოვნებით.

შხამამ ჩაახველა:

— ვინ გამოგვზავნა აქა?

დარბაზი გაინაბა.

ლექტორი შეცბა ამ მოულოდნელ კითხვაზე, მერე წარბი შეკრა და უპასუხა:

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

— ამას წინათ, — დაიწყო შხამამ, — რაიონიდან ერთი კაცი იყო მოსული, ვიცნობ, რა შეილიც ბრძანდება, აქ ვაიზარდა. ჰოდა, ის კაცი პატიოსნებას გვიქადაგებდა. გულზე გაუსკდი, სად გაგონილა, მგელი ცხვრებს უქადაგებდეს, მგლობას თავი დაანებეთ და ცხვრებივით იცხოვრეთო. თქვენა შვილოსა, სხვისი ხელით გინდათ ნარის გლეჯა. მე შეიდი გავზარდე, შაშვიანთ საბამ ცხრა, ჩინთამ რვა. ეს მოთხარი, თქვენ და თქვენისთანები რამდენსა ზრდით? ვინ გამოგვზავნა აქა, ჩვენ რაში გვეკირდება მაგის ქადაგი!

ხალხი ამოჩქოლდა. ლექტორი ვერ

მოიღუშა, მერე დამცინავად მოკურთხა თვალები და მოკამათეს ისე მიჩურჩულა: — დაჯექი შხამავ, გეყოფს... შეტეძაბა ხალხიდან ვილაცამ.

— ნუ ჩააშხამებ ხოლმე, შხამავ! თავმჯდომარემ ვილაცას რაღაცა ანიშნა, მერე ლექტორისკენ გადაიხარა და ყურში უჩურჩულა:

— არ გაგივირდეთ, ბატონო, მაგის ცოტა კრამიტი აქვს დაცურებული.

— რა აქვს დაცურებული? — გაიოცა ლექტორმა.

— კრამიტი. ესე იგი, გვარიანად დაუდის.

— რა დაუდისო, რა კრამიტიო? — დაიბნა ლექტორი.

— ცოტა აკლია, ბატონო, ცოტა კი არა, გვარიანად. ერთი სულელი გყავს სოფელში და ვინახავთ. ხან მეველედ გაუშვებთ, ხან... აბა რა ვქნათ.

— აბა, გასაგებია, — ახლა მიხვდა ლექტორი და უცებ გაიბადრა — ეტყობა, ეტყობა, მეც არ გამივირდა...

ამასობაში კი შხამა ბუზღუნ-ბუზღუნით გაიყვანეს ვარეთ.

— სიმართლის მთქმელ არავის გინდათ, შვილოსა! — ესლა თქვა და კარიც მიუხურეს.

ლექტორმა კი რამდენჯერმე ჩაახველა, მერე შევებით ამოისუნთქა, რაკი დაარწმუნეს, რომ მოკამათე სულელი იყო, ამოჩქოლებულ დარბაზს ხელით ანიშნა, დაწყნარდითო და, როცა თავმჯდომარე თავის ადგილას დაჯდა, განაგრძო.

— ეგ არაფერი, ამხანაგებო. უნდა მივუტყვიოთ. ავადმყოფი კაცი ყოფილი-მამ ასე, იმას ვამბობდი, სად გაქრა ჩვენი მამულიშვილური მოვალეობა, ჩვენი სინდისი და პატიოსნება...

ხალხი ისევ განაბული უსმენდა რაიონიდან ჩამოსულ ქადაგს.



3080 ჯონაპი

ბ ა ხ ი ლ ი

მოთხრობა

— შოვეში თუ ყოფილხართ? თუ არა, მაშ გირჩევთ ეწვიოთ სამოთხის ამ პატარა კუთხეს. ვიკვირთ? ჰო, ჰო, სამოთხისას. წელს პირველად ვიყავი და ვერ მიპატიებია თავისათვის, რომ ადრე არ მოვიინახულე ეს წალკოტი. თუმცა რა, — მარტო ჩემს აზრს კი არ მოგახსენებთ, ეს ყველას აზრია. ყველა მათი, ვისაც კი ერთხელ დაუდგამს ფეხი იქ, კავკასიონის მთებში ნიშევით შედგმულ კურორტზე. დაისვენო? თქვენ რას ეძახით დასვენებას, მხარეთმცოდნე წამოწოლას? მე ცოტა სხვა აზრისა ვარ დასვენებაზე. დაისვენე და მერე როგორ? დილით ადრე წამომდგარი, ხან ჭანჭახის ნაპირებს ავუყვებოდი, ხან ნაძვნარში შეერგავდი თავს და ხან კიდევ მარადიულად თოვლის ნაბადწამოსხმულ მთებს შევყურებდი მონუსხულივით.

— ჰო, დაისვენე! დაისვენე და მერე როგორ! ქალაქის მონიტორურ ხმაურს მოცილებულს, შოვის შემოგარენში მთელი დღის ხეტიალს რა დასვენება სჯობია.

შოვი ყველაფრად კარგია, მაგრამ ჩემთვის სულ სხვა რამ გამოდგა...

...პირველად შოვეში შევხვდი. შოვეში

კი არა, შოვის ნაძვნარში.

ეს კი ასე იყო:

დილით ადრე ჩუმაღ წამოვდექი საწოლიდან. ისე, რომ ჩემი ოთახის მდგმურები, რომლებიც დილის საამოძილში ჩაძირულიყვნენ, არც გამოღვიძებია. გავედი ჭანჭახზე და შემდეგ თავი ნაძვნარში ვდურთე. შორს არ წავსულვარ. დიდი მანათობელი გადმოგორდა კავკასიონის დაკბილულ წვერზე და ტყეს სტყორცნა ყველგანგამლწევი ვერცხლისფერი სხივები. დილის ნისლზე სხივები ათასფრად აკიაფდნენ და ტყეში უალო კოცონი დაანთეს.

ზღაპარი იყო. დილის მოყოლილი ზღაპარი, რომლის მოსმენა ბევრს ერთად არ შეუძლია. მას მხოლოდ ერთმა უნდა უსმინოს და მერე სხვებსაც მოუყავს ტყეში მოსმენილსა და გაგონილზე.

მეგონა მარტო ვიყავი მთელ სამყაროში, მაგრამ ოდნავ რომ წავართვი თავი ზღაპრის სმენას, ჩემს მოშორებით დავინახე ქალი, რომელსაც თავი ზევით აელერებინა, თმები მხრებზე ჩამოეშალა და ხეებში მზის გამოღიმებას მისჩერებოდა.

შილითად ეცვა. მზის სხივებს მისი

დატყვევება უნდოდით ალბათ და მისთვის ის კაბაც შემოეძარცვათ. კაბა ნისლის საბურველი გამხდარიყო და აღარ ფარავდა მის სიშისველს.

კვლავ ოცნებაში მეგონა თავი. ის ქალი კი ტყის ფერიად წარმოვიდგინე და თვალეში მივლულე ნეტარების უფრო კარგად შეგრძნობისათვის. რამდენ ხანს ვიყავი ასე, არ ვიცი. როცა თვალეში გაეახილე, ველარც ის ფერია დავინახე და ველარც მზის სხივები, რომლებიც ადრე ცერად იჭრებოდნენ ნაძვნარში.

ასეთი საამო დილა ალბათ ბევრს არ ახსოვს.

სიმართლე გითხრათ, თუმცა ის დილა სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში, მის გამეორებაზე არასოდეს არ მოცინებია. ის ზღაპრად დარჩა და ზღაპარი ხომ ერთხელ მოყოლით უფრო სასიამოვნოა, ზღაპარი ბავშვებისთვისაა მოგონილი, რომ დაიჭერონ, იფიქრონ კეთილზე და ბოროტზე, კარგზე და ცუდზე. მე კი ბავშვობის ასაკს საკმაოდ ხანია მოვცილდი. მაგრამ ზღაპარი დიდებისთვისაც არის.

შეგბულება ისე მალე გამოთავდა, რომ უკან მოხედვაც ვერ მოვასწარი. დადვა შოვთან გამოთხოვების დროც. იმისათვის, რომ წასვლაზე არ შეფიქრა, ავტობუსის ბილეთი გვიან ვიყიდე. უკანასკნელი ბილეთილა დარჩენილიყო. ფიქარი ჩემი გუდა-ნაბადი, ერთხელ კიდევ მოვავლე თვალი გარემოს და ავტობუსში სულ ბოლო სკამზე წამოვსკობდი, ავტობუსი ხალხით იყო გაჭედილი, მაგრამ ჩემს გვერდით ერთ ადგილს ვერ არავინ დაპატრონებოდა. ვიდაცას ვიდაც აცილებდა, ვიდაცა ვიდაცას რა-დაც დაპირებებს აძლევდა. მე კი არავინ მყავდა გამცილებელი.

ავტობუსის გასვლას ორიოდ წუთი აკლდა, რომ ამოვიდა. წინა კარებიდან მიათვალ-მოათვალა იერა ადგილები და უკანა სკამებისაკენ გააოჰწია, აშკარა იყო, რომ ის ჩემს მეზობლად მოდიოდა. არავისთვის დაუქნევია ხელი, არავის გამოშვებულებია.

მაგრამ საქმე ეს კი არ იყო. საქმე ის იყო, რომ იგი მეცნო, თუმცა დატრეკებაც შემეძლო, რომ ადრე არსად არ შევხვედრივარ.

ჩემს გვერდით დაიკავა ადგილი. ვიჩქეი და თავს საშველს არ ვაძლევდი კითხვით: საიდან მახსოვს ის, სად მინახავს, სად დამილანდავს? მაგრამ პასუხი კვლავ გაუცემელი მრჩებოდა.

ავტობუსი დაიძრა. ზოგს შოვის გზა ცუდი ჰგონია. ეს სულაც არ არის ასე. მიდიხარ მიხვეულ-მოხვეულ გზაზე და ავტობუსი აკვანივით გარწყევს, ძილბურანში გხვევს. ვიციკირებოდი ფანჯრიდან და თან გონების თვალს ვავლებდი იმ დროს, რაც შოვში ვეატარე.

უცებ, მომაგონდა ის დილა, რაღაც შედავათი ვიგრძენი, შევებით ამოვი-სუნთქე. ჩემი მეზობელი ხომ ის ფერია იყო, რომელიც მაშინ, ნაძვნარში, მზის სხივებში გახვეული ვიხილე.

თავი ვერ შევიკავე და შევხედე გვერდით მჯდომს. თითქოს ჩემი სურვილი გვიგოო, იმანაც შემომხედა. როგორც ხდება ხოლმე. აუცილებლობად ჩავთვალე ოდნავ გამედიმა, როგორც ხდება ხოლმე, იმანაც თითქოს გამიდიმა.

სისულელეა ზღაპრის ან სიხმრის ასრულება, მაგრამ მაშინ რომ სიხმარი ამიზდა, უდაო იყო. ეს იყო და ეს. მთლიანად აღვიდგინე ჩემს მეხსიერებაში მისი თმები, რომლებიც ახლაც ისევე ჰქონდა ჩამოშლილი, მისი ტანი და სახეც კი, რომელიც მაშინ კარგად არც კი გამიჩჩევია.

ჩვენი მხრები მანქანის გამძვურებასთან ერთად ერთმანეთს ეხებოდა და შეხება საამო ქრუანტელად მივლიდა ტანში.

ონში ისე ჩამოვედით, გამოლაპარაკება ვერ მოვახერხე. მაგრამ საოცარი ის იყო, რამდენჭერაც კი მოვინდომე შემეხედა მისთვის და თავი მისკენ მივებრუნე, ისიც დაპირებულებით შემომხედავდა ხოლმე. ოდნავი, მოკრძალებული ღიმილი გვეხატებოდა სახეზე.

ონში დიდხანს არ ვაჩერებულვართ. მანქანამ თბილისისკენ ჰქნა პირი.

ავტობუსში მოუთავებელი კრიამუ-ლი იდგა. ზოგნი საუბრობდნენ, ზოგნი რალაცას იწონებდნენ ან იწუნებდნენ. მაგრამ მერე და მერე ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ აღამიანი თუ საერთოდ შეტყველი იყო, ვევი შეგებარებოდათ. ალბათ ემოციები უკვე გაეზარდათ და ახლა ბევრი იმათგანი, ვინც ყველაზე მეტს ლაპარაკობდა, თავჩაქინდრული თვლენდა.

მე არც აღრე მილაპარაკებია და არც ახლა ჩამიქინდრავს თავი.

არც ჩემი მეზობელი იყო სიტყვაბარაქიანი. ორივე გასუსტლები ვიცქირებოდით ფანჯარაში. მე ათას რამეზე არ ვფიქრობდი. საფიქრალი ერთი მქონდა. ის რაზე ფიქრობდა, აბა, რა მეცოდინებოდა!

ამოვიარეთ ირი და კვიასა. ერწოს ტბასთან თითქოს ყველა გამოცოცხლდა და თავი მარჯვნივ მიაბრუნა. ტბას გასცქეროდნენ. ჩემი მეზობელიც მარჯვნივ გადმოიხარა. ამ დროს მანქანის უკანა თვლები ალბათ ორმოში ჩახტა, ყველა აფეხტუნა, ჩემი მეზობლის მკერდი ჩემს მკლავს მოხვდა.

უნეტარესი სითბო ვიგრძენი, რომელიც ქრუსენტლად დამიარა. ამ რაღაც რბილის, რაღაც ხელშეუხებელის შეხებამ ელექტროდენივით გამკრა. ბოლოში მომიხადა, მაგრამ საბოლოო რა მქონდა.

— აქეთ ხომ არ დაქდებით? — შევკითხე და ფანჯრისაკენ, საითაც მე მქონდა ადგილი, მივუთითე.

— რა ვიცი? — მან უკვე ჩვეული ღიმილით შემომხედა და იმ ღიმილით მივხვდი, რომ ფანჯრისაკენ უნდოდა დაქდომა.

უხმოდ წამოვდექი და ისიც უხმოდ გასრიალდა სკამზე. მე მისი ადგილი დავკავე.

საუბარს ვერც შემდეგ ავუბი მხარი.

მერე ერთგან ავტობუსი სულ მთლად დაიკარივლდა. მგზავრებმა გზაზე გადაწყვიტეს წახემსება. მხოლოდ ჩვენ ორნი დავრჩით ჩვენ-ჩვენ ადგილზე. ის კი არა, ჩემს გვერდით ადგილიც განთავ-

ვისუფლდა, მაგრამ ოდნავადაც არ ჩამოვჩოჩებულვარ გვეტლირამ შეტბამ ის ისევე ისე მხარიმხარა მხოლოდმოხილი ვიჯექით და ამით მე მგონი არცერთს არ გვიგრძენია უხერხულობა.

როგორც იქნა, ავტობუსი კვლავ გაიტენა და — ჰერი თბილისისაკენ.

თბილისში ისე ჩამოვედით, რომ ერწოს ტბასთან ნათქვამი ორიოდ სიტყვის გარდა, არაფერი დაგვცდენია. ავტოვავხალშიც ისე დავცილდით, რომ არ გამოვშვიდობებვიართ. ის თავის გზით წაივდა, მე ჩემი გზით.

სამსახურიდან ყოველთვის ორნი გამოვდივართ, მე და ჩემი სამსახურის უახლოესი მზნაგი ქუჯი. გამოვლევთ ხოლმე რუსთაველის გამზირს, დავუყვებით ვლბაქიძის დაღმართს, გავალთ მარჯანიშვილის მოედანზე, იქ შევყოვნდებით. დაწყებულ საუბარს დავასრულებთ და ხუთი-ათი წუთის შემდეგ ვცალდებით ერთმანეთს. ასეა თითქმის ყოველ დღე.

იმ დღეს კი ქუჯისთან მოვიმიზზე, რომ სხვაგან წასასვლელი ვიყავი და ვერ ავუბამდი მხარს. არაფერი უთქვამს. ის აღრე წაივდა, მე კი ცოტა შევყოვნდი სამსახურში.

— რა იყო მიზეზი?

იმ დღით, გათენებისას, ტკბილად ჩამქინა. ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ რალაც ბიძგმა გამაღვიძა. დავიბენი. ვერ მეგონა კარებზე აჯავნებდნენ. მაგრამ აღარ გამეორებულა. ვეღარ დავიძინე. ლოჯინში მწოლიარემ სიგარეტს მოვუკაღე და ფიქრებს მივეცი თავი. ჩემი პატარა ოთახი თამბაქოს ბოლით გაიბურა. ამ დროს კი ერთადერთ ფანჯარაში, რომელიც ჩემს ოთახს აქვს, მშემ შემოანათა.

ფიქრებში და ბოლში გახვეულს ფანჯარაში შემოჭრილმა სხივებმა შოვი და ის დილა მომაგონა, როცა პირველად დავლანდე ჩემი ავტობუსელი მეზობელი.

ოცნებამ მორევში ჩამითრია და ამე წარმოვიდგინე, რომ მას შევხვდი, შევ-

ხედებოდი აუცილებლად. ათასგვარი ნისლი აირია ერთმანეთში, ერთმანეთს გზას არ უთმობდნენ და ამ ნისლთა უბილში ყოველთვის იგი იღვანოდა როგორც ქანდაკება.

ღივიწყე მასზე ფიქრი. ვფიქრობდი და მიკვირდა, რომ აგერ უკვე თვე გადის და რატომ არსად არ შეგვხვდა მეოქი-მას.

მერე ბევრი ვიფიქრე და უცებ ვადავწყვიტე, რომ მას აუცილებლად ნინო ერქმეოდა. რატომ მაინც და მაინც ნინო? რა ვიცი? ასე კი მჯეროდა.

ქუჩიბ სამსახურში ჩემს გატანულ სახეს რომ შეხვდა, შემომცინა და მიოხრა:

— შეაყოლე წუხელი? დიდხანს სვი?

არაფერი მიპასუხია.

მთელი დღე, რაც სამსახურში ვიყავი, მჯეროდა, რომ ნინოს უსათუოდ ვნახავდი დღეს. ვნახავდი და არ მინდოდა ვინმე მყოლოდა მოწმედ.

ამიტომ არ გავყევი მაშინ ქუჩის.

...გამოვედი სამსახურიდან და გამვლეღ: გამომვლელს სახეში მივჩერებოდი. შინდოდა მათში ნინო დამენახა და მივსალმებოდი.

პონერტა სასახლესთან გამზირი გადავჭერი და პროსპექტს გავუყვები. ქაშუეთის ეკლესიას გავცედა და სურათების გალერეასთან უცებ გავხვედი. ჩემს შესახვედრად სასტუმრო „თბილისის“ მხრიდან ნინო მოდიოდა.

კვლავ ისე ვუღიმიოდით ერთმანეთს, როგორც აგტობუსში. ხელი გავუწოდე. გამომიწოდა. დიდხანს მეკავა მისი ხელი ხელში. ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხეთ.

— გამარჯობათ! — ვუთხარი მე.

— გაგიმარჯოთ! — მიოხრა მან.

მერე კვლავ გავველიძა.

— საით მიდიხართ? — შევეკითხე, რადგან სხვა ვერაფერი მოვახერხებ უბრის წამოსაწყებად.

— აქეთ.

— მეც! — ვუპასუხე კვლავ საუბ-

რის გაგრძელების სურვილით შეპყრობილმა.

— წაიდეთ!

ორივეს გაგვეცინა.

მერე წამოვედი ერთად ორივე იქით, სადაც უკვე მისულნი ვიყავით. მე მასთან მივდიოდი და ხომ მივედი. ვერაფერს ვეუბნებოდით ერთმანეთს.

— კი მაგრამ სახელი რომ არ ვიცი, თქვენი? — ვკითხე მე.

— ნინო! — მიოხრა მან და შევდექი, — რა მოხდა? — გაცივებით შემომხვდა მან.

— არა, არაფერი... ნინო.

— თქვენ რა გქვიათ?

— მე ზურაბი, — ვუთხარი და შედგა, — რა მოხდა? — გაცივებით შევხვედღე მე.

არა, არაფერი... ზურაბ.

...დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ. პირველად ვათვეთ დამეს მე და ნინო ჩვენს პატარა ოთახში. მეგობრებმა პატარ-პატარა საჩუქრები მოგვიტანეს, დავგლოცეს და შემოგვეცალნენ. მე და ნინო მარტონი ვართ.

— ზურაბ, რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ! — მიოხრა ნინომ და ხელები მომხვია მხრებზე. გულში ჩავიკარი და დავუცოცხე სახე, თვალები, ხელები, თმები. მერე ხელში ავიყვანე და მთელი ოთახი შემოვატარე. ვკოცნიდი ნინოს და ამ ქვეყნად ცხოვრების ქეშმარიტ სიკეთეს პირველად ვეზიარებოდი.

— მეც, ჩემო ნინო, მეც რომ იცოდე... — და ველარ ვამთავრებდი, — რომ იცოდე რამდენი რამ მაქვს მოსაყოლი...
და ერთხელ სულ სხვა დროს ნინო მომიყვა:

— არა, ზურაბ, არა, ჯერ მე მოგიყვები, მეც ბევრი რამ მაქვს მოსაყოლი, ბევრი...

და ერთხელ სულ სხვა დროს ნინო მომიყვა:

— შოეში ერთხელ გნახე. მერე კი აგტობუსში. მერე დაცილება და მერე საუკუნეზე დიდი ის დრო, რაც ველარ

შეგზვდი. მაგრამ იმ დღეს კი ვიცო-
დი ვნახავდი!..

— იცოდი?!

— ჰო, ვიცოდი!

— საიდან, როგორ?

და ნინო მომიყვებ:

იმ დღით, გათენებისას, ტყბილად ჩამეძინა. ნახევარი საათიც არ იყო გასული რომ რაღაც ბიძგმა გამაღვიძა... ველარ დავიძინე. მერე შოვი მომაგონდა. დავიწყე ფიქრი და ფიქრებში სულ შენ მოცურავდი. ვფიქრობდი შენზე და მიკვირდა, ამდენი ხნის განმავლობაში რომ ვერ ვნახე... ფიქრები მტანჯავდა. მინდოდა შენი ნახვა... რომელსაც, ზურაბ, არ გაგვიკვირდეს და, ზურაბი შეგარქვი.

— არა, ნინო, სულაც არ მიკვირს, მაგრამ შე როდის მოგიყვები ეს ამბავი? იქნებ ძილბურანში წამომცდა როდისმე.

— არა, ზურაბ, მაცალე. ნუ დამცინი. მერე ჩემი თავი დავარწმუნე, რომ იმ

დღეს აუცილებლად ვნახავდი. ვიცოდი, ვიცოდი აუცილებლად ვნახავდი და... ვნახეთ კიდეც ერთმანეთი.

ეს უკვე სიზმრის გაგრძელება იყო.

— შენ რა უნდა მომიყვე? — შემეკითხა ჩემს ხელებში დატყვევებული ნინო.

— არაფერი ჩემო კარგო, შენ უკვე მოჰყვევი. ჩვენ იმ დღით ერთმანეთისათვის დაგვიძახია და ეს ძახილი გავიგონეთ. მეც ეგ მინდოდა მეთქვა, მეც ნინო შეგარქვი და აი...

— ზურაბ, რატომ ცრუობ?

— არა ნინო, მე მართალს ვამბობ და თუ შენი თავის გჯერა, მეც დამიჯერე.

სადაც „შოფერმა“ მანქანა დამუხრუშა. ორივე შევეკრით. ქალაქი სავსეა ყოველგვარი მოულოდნელობით.

ჩვენ მაინც ერთმანეთთან ვიყავით.

თუმცე ცხოვრება ძახილია. ხოლო ძახილს ცხოვრება მოსდევს. ცხოვრება ხომ ლტოლვია უკეთესისაკენ?..



რ ა რ ა

„...რამეთუ კული ძაღლისა არა განემართებხ, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“.

ქართლის ცხოვრება

გიორგი მესამის ჯანმრთელობა დღით-დღე უარესდებოდა. სასახლის ექიმში ურჩევდა მეფეს მცირე ხნით მაინც ჩამოშორებოდა სახელმწიფო საქმეთ. მეფის სახლობაც ამ აზრის იყო. გიორგი მესამე დიდხანს ჯიუტობდა, მაგრამ ბოლოს დაჰყვია მათ რჩევას. ბუნებით დაუდგრომელი და მოუსვენარი მეფე დედაქალაქის მახლობლად მყუდროდ ვერ იქნებოდა, საზრუნავს აქაც გაიჩენდა. ამიტომ ურჩიეს გეგუთს დასვენება. ხანდაზმულს მამა-პაპათა საქვალეც იქით უხმობდა, თანაც იქიდან გელათიც ახლოს იყო. იქ ბაკურს მოინახულებდა, მისი დახმარებით უნდა გაერკვია, თუ რა სწადდა მეჭურჭლეთ-უხუცესს ყუთლუ-არსლანს. „ახლად დადგენილი ვაზირები ერთგულ სამსახურს გაუწყვენ ჩემს ასულს ჩემი სიკვდილის შემდეგ, — ფიქრობდა მეფე, — მაგრამ ყუთლუ-არსლანი? რას იხამს იგი, როგორ მოიქცევა?“

გიორგი მესამე კარგად ჰკრეტდა, რომ მეჭურჭლეთ-უხუცესი ყველა დანარჩენ ვაზირებზე და თვით ვაზირთა

უპირველეს, მწიგნობართ-უხუცეს ანტონ ჭყონდიდელებზე უფრო განსწავლული ჩანდა. კიაბერი კი მეფეს უმტკიცებდა, რომ ყუთლუ-არსლანი სახელმწიფოს მართვის საუკუნეებით დაკანონებული წესების შეცვლას ესწრაფისო. მაგრამ რა სურდა ყუთლუ-არსლანს? რა ცვლილება სწადდა, მისთვის ამოუხსნელი რჩებოდა ჯერჯერობით. მხოლოდ გელათში, ბაკურის შემწეობით თუ შეიძლებოდა ეს გაეგო. თვით ყუთლუ-არსლანთან ამის შესახებ საუბარს მეფე თავს არიდებდა.

გეგუთში წასვლის წინა დღეებში მეფემ შანშე მოინახულა სასახლის ბაღში. ისაუბრეს. სთხოვა გეგუთში შენც წამოდიო. მეფეს სურდა ბაკურს შანშეს თანდასწრებით შეხვედროდა. შანშეს იქ ყოფნა, მეფის აზრით, ხელს შეუწყობდა მეჭურჭლეთ-უხუცესის შესახებ გულახდილ საუბარს. ასედაც მოხდა, შანშე გეგუთს გაემგზავრა მთელი კვირით ადრე, დიდი ხანია არ ენახა მამა, და ახლა საბაბი ეძლეოდა.

მეფეს განზრახული ჰქონდა, აგრეთვე, რაკისა და თაკვერის გავლენიან ერისთავთ-ერისთავს კახაბერს შეხვედროდა გეგუთის სასახლეში. როგორც

*ერთი თავი ისტორიული რომანიდან „მეჭურჭლეთ-უხუცესი“.

კი ნაჭარმაგვეს გიორგი მესამის თანამოსაყდრედ თამარის კურთხევა დამთავრდა, რაჟის ხანდაზმული ერისთავთ-ერისთავი კახაბერი შემდგომ ზეიმს არ დაელოდა და ავადმყოფობის მომიზეზებით თავის საერისთაოში გაემგზავრა, ჩაიკეტა სასახლეში და ორი წელი გარეთ არ გამოსულა. ამის მიზეზიც ცნობილი იყო მეფისათვის. გიორგი მესამეს არ ეგონა, თუ რაჟის ერისთავთ-ერისთავი ასე აშკარად გამოამყდრებდა წყენას. ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა გეგუთს ისვენებდა, რაჟის ერისთავთ-ერისთავი ეახლა და შესჩივლა, რომ სვანთ ერისთავთ თაყვერის ხეობაში სანადირო ადგილებს უმართებულოდ ედავებოდა. მართალია, მეფემ მოდავენი შეარიგა, მაგრამ კახაბერი განაწყენებული დარჩა ამ გარიგებით. მაშინ მეფეს პირდაპირ ვერ შეებდა უკმაყოფალების გამოთქმა, მაგრამ ღვაჩილი გულში ჩაიხვია: გიორგი მეფემ მიკერძოებით შერიგებაზე თანხმობა დამტყუაო.

გიორგი მესამეს სურდა გეგუთში ყოფნით ეს არგებლა და რაჟის ერისთავთან შესარიგებლად ნიადაგი მოესინჯა, თავის მხარეზე გადმოებირებინა.

...მეფის გეგუთს გასამგზავრებლად ყოველივე მზად იყო. ახლად დანიშნული ჩუხჩარხი ვარდან დადიანი სამასი მონა-სპის თანხლებით აღრევე უნდა გასულიყო თბილისიდან. შექმნილ პირობებში მეფის უვნებელყოფა მგზავრობის დროს მეტ სიფრთხილეს მოითხოვდა და ჭიბბერს საზრუნავიც გაუჩნდა. მეფის პირადი ამალის უფროსის შეცვლა გადაწყვიტა ჭიბბერმა — არასამელო კაცად მიანიდათ. მეჭურჭლეთ-უხუცესის შვილი აღმასხანი, რომელსაც მანდატურთ-უხუცეს ყუბასარის მარჯვენა ხელად თვლიდნენ, ჭიბბერთან მეგობრობდა. სწორედ აღმასხანის რჩევით ჭიბბერმა მეფეს დამცველ რაზმის უფროსად თავა მოიწვია, იწინის ბრძოლაში თავნახებულები, მეფის ერთგული იორამის შვილი.

ამ მზადებაში იყვნენ, როცა მეფემ სასახლეში იხმო მეჭურჭლეთ-უხუცესი ყუთლუ-არსლანი და უბრძანა მასთან ერთად გეგუთს წასასვლელად განწყობილიყო.

ყველასათვის მოულოდნელად, გიორგი მესამემ რაღაც გადაუდებელი საქმეები გამოჩხრიკა და ქიზიყს, კამბეჩოვანთა მხარეს წავიდა, რომელიც იმ დროიდან მომძლავრებული გლეხობითა და ულამაზესი ასულებით იყო განთქმული. როდესაც მეფეს თავის ხარკსთან შეყრის სურვილი აღუქვრებოდა, მაშინვე ქიზიყს მიაშურებდა რამდენიმე დღით. „სულეერ სიმშვიდეს და ძალას მმართველსო ქიზიყს ყოფნა“, — უთქვამს მეფეს ერთხელ თავის მახლობლებთან. რასაკვირველია, ყოველივე ეს მეტად ფარულად ხდებოდა, მაგრამ ტაოსკარელ კაცის საშუალო ხელოვნება არ ღალატობდა არასდროს და წინდაუდგომელ ცდუნების დროსაც თავის მეფეს საიმედოდ იცავდა. ამჯერად გიორგი მესამე დიდხანს არ დარჩენილა ქიზიყს, ორი დღის შემდეგ დაბრუნდა. გეგუთს გამგზავრების წინა დღეს კი სახლობას გამოეთხოვა და მცირე ხნით თავის დასთან, რუსუდანთან განმარტოვდა.

— რუსუდან, ბურღუხან დედოფალს სამიქვეყნო პირი არ უჩანს. მიძიმე ხვედრი არგუნა ბედმა. ძალიან მიძიმეს მისი დატოვება, მაგრამ მჯერა, შენგან ზრუნვა არ მოაყლდება, საყვარელო დამოსხვა ყოველივე ცნობილია შენთვის. საიმედო საყრდენი ხარ თამარისათვის.

გიორგის ხმა აუკანკალდა, თვალი აუტრემლდა, თითქოს წინასწარ გრძნობდა გარდღეულ უბედურებას და რუსუდანს გადაეხვია.

— შენი იმედით მივდივარ გეგუთს! — გზა დამილოცნია, ღმერთი გფარავდეს, ძმაო — მიუგო რუსუდანმა.

...მეორე დღეს დილით, რიყრაცზე, მეფემ ყუთლუ-არსლანთან ერთად, თბილისი დატოვა.

...როცა გეგუთს მიმავალი გიორგი მესამე თავის ამალით გორს მიუახლოვ-

და, ზედაველს სერიდან, მის თვალ-
წინ აღიმართა ციხე-სიმაგრის ვალაყან-
ზე გუშაგებივით ჩამწკრივებული ქონ-
გურები. მზით გამთბარი ამინდი იდგა.
აყვავებულ ხეხილის ბაღებსა და ვენა-
ხებს გლეხები მოფენოდნენ სამუშაოდ.
შუადღე იქნებოდა. იქ, სადაც მეჭვრისი
ლიახეს ერთვის, მუშაობით დაღლილი
გლეხაკი აბიზინებულ მწვანე მდე-
ლოზე, კაკლის ხის ჩრდილს შეფარებო-
და, პურის ქამად დამჯდარიყო. იქვე,
მის გვერდით, ფეხი მოერთხა პატარა
გოგონას, მამისთვის სადილი ამოეტანა.
ტბილად ეტიკტიკებოდა. გიორგიმ
ყუთლუ-არსლანს გადახედა.

— რა მადიანად შეეჭკევა ეგ და-
ლოცილი, ქამის საღერღელი ამიშალა,
ვაზირო!

— მაგ გლეხაკთან პურის გატეხა
სამო იქნება მეფეო!

— ვეწვიოთ, — თქვა გიორგიმ და,
ყუთლუ-არსლანთან ერთად, გლეხაკს
მიუახლოდნენ. გლეხი წამოდგა. თუმც
მეფე და მისი ვაზირი შესაფერისად არ
იყვნენ შემოსილნი, მაგრამ გლეხაკი-
სათვის შეუმჩნეველი როდი დარჩა,
რომ სტუმრად მოსულნი მდაბიონი არ
იყვნენ.

— სიკეთე და მშვიდობა მგზავრ-
სტუმართ: გვეწვიეთ საყანე სუფრაზე...
ვეტყობათ შორი გზა გაქვთ გამოვლი-
ლი!

— თქვენც სიკეთე, მასპინძელო,
უხვი მოსაგალი... უზომოდ მოგვშოედა
და გადავწყვიტეთ თქვენთან ერთად
პური ვავტეხათ.

მამამ გოგონას რაღაც ანიშნა და
ისიც მაშინვე თვალს მიეფარა. სულ
მოკლე ხანში სამი ვაჟაკი გემრიელად
შეეჭკეოდა მწვანეზე გაშლილ გლეხურ
სუფრას.

— ლიახვის ცივი წყალი გაგვაგრი-
ლებდა... — თქვა ყუთლუ-არსლანმა.

— ლიახვის წყალი გემრიელია, მაგ-
რამ ველარ გაკადრებთ. ცხონებული პა-
პა იტყოდა, რაც წარღვნიდან იხსნა
აღამიანები ნოემ, წყალი პირუტყვთ
ანება, ჩვენ კი კურთხეული ნუნუა გვი-
ანდერძა, — გლეხაკმა ლიახვში ჩაიცი-

ებული ხელადიდან ჩამოსხმული ღვინო
მიაწოდა სტუმართ ზის ფილით.
— ალბათ დიდი გზა გიდევთ, კოდე-
წინ, კეთილი მგზავრობა, ბატონებო!

— და მასპინძელმა ფილა დაკალა.

გიორგიმ და ყუთლუ-არსლანმა სამა-
დლობელი დალიეს.

— ვაზაფხულს კარგი პირი უჩანს, —
თქვა გიორგიმ მცირე შეყოვნების
შემდეგ.

— ჭერ სამღურავი არა გვაქვს რა,
ბატონო!

— რამდენ დღიურ მიწას ამუშავენ,
მასპინძელო?

— ათი დღიური მიწა გვაქვს საყა-
ნედ, ბატონო, და ჭალაბის გამოსაკვე-
ბად მყოფნის.

— რამდენი შვილი გყავთ? — ჰკი-
თხა გიორგიმ.

— შვიდი ბატონო.

— წმინდა გიორგი იყოს მათი მფარ-
ველი.

— კურთხევისათვის თქვენც სიკე-
თე ნუ მოგაკლოთ ღმერთმა, — თქვა
გლეხაკმა და გაელიმა.

— გეტყობათ გსიამოვნებთ, ბებრი
შვილი რომ გყავთ, — ჩაერთა საუბარ-
ში ყუთლუ-არსლანი, რომელსაც გლეხ-
კაცის ღმილი შეუმჩნეველი როდი
დარჩა.

— თქახის მომრავლება დიხაც რომ
სასიამოვნოა, ბატონო... მალე ღრეობა
მოელის მთელს სოფელს...

— ღრეობა?

— დიხა, ბატონო, ჩემი ჭალაბი კი-
დეგ ერთი შთამომავლით გაიზრდება.

— დღეგრძელი იყოს, მაგრამ სოფე-
ლი რა შუაშია? — იკითხა გიორგიმ
გაკვირვებით.

— ჩვენში ასეა მიღებული. როცა
ოჯახს ახლადშობილი შეემატება, მთე-
ლი სოფელი გზას ულოცავს მას.

— ეგ კარგი წესი ჭკონიათ, მასპინძე-
ლო.

— ასეა ბატონო, მამა-პაპათაგან მო-
გვდევს.

მეფემ კმაყოფილება ვერ დამალა,
ახლა თვით დაისხა ხელადიდან ღვინო.

— დღე-სეიანი იყოს მერვეც. იმ-
რავლოს საქართველომ! — სამივემ ერ-
თად შესვეს სადღეგრძელო.

მცირე ხნით სიჩუმე ჩაპოვარდა.

— ამ მხარეში ავაზაკები თუ დაძრ-
წიან კიდევ, ხომ არ ვაწუხებენ, —
იკითხა მეფემ.

— ბოლო დროს ძალზე შემცირდა,
ბატონო. ამბობენ ჩვენმა მეფე გიორგიმ
სასტიკი სასჯელი დააწესაო მძარცველ-
აშწოკებელთა მიმართ. აქა-იქ კიდევ
გამოყოფენ თავს, უფრო ვაჭართ ერ-
ჩიან. გასულ კვირას სურამში მგზავრთა
თავშესაფარს დასხმიან და უცხოეთით
შემოტანილი საქონლით მოვაჭრენი გა-
უძარცვავთ.

გიორგიმ იწყინა, დანაპირები რომ
ვერ შეუსრულა დიდვაჭართ.

— გიორგი, გონიერი მეფე მოგვიე-
ლინა ღმერთმა, მალე აღმოფხვრის
უსამართლობას.

— მერედა ვინ არიან ეს ავაზაკები,
ან ქართლის ერისთავთ-ერისთავი გულ-
ზე ხელდაკრეფილი რად შეჰყურებს
მათ თარეშს?

— აბა რა მოვახსენოთ. — ამბობენ,
ჩვენს მეფეს რომ ორბელიანი განუდგა
და დამარცხდა, მისი მიმხრობილი
არიანო ტყეს შეფარებულნი.

— აქაური აზნაურები ხომ არ აწუ-
ხებენ გლეხობას?

— მეფის შიშით ვერ ბედავენ, მაგ-
რამ...

— რა მაგრამ, მასპინძლო, რისი
თქმა გწადია?

— ბოროტ საქმეს არ ერიდებიან,
ბატონო, უკმაყოფილონი არიან!

— რითი არიან უკმაყოფილო მეფი-
სა?

— გიორგი მეფემ მდაბიონი ილაზე-
ვაო, თავზე დაგვასვაო.

— კარგად მოქცეულა მეფე.

— მან უკეთ იცის... ალბათ ასეა სა-
ჭირო, ბატონო:

— ბოროტების ჩამდენთ მაშინვე
უნდა წაიცილო კისერი, არა მასპინძე-
ლო?

— ასე უნდა იყოს, ბატონო. პაპა

გვეტყოდა ხოლმე, კანკანდამინისა სი-
ფრიფანაზე უფრო თხელია, მაგრამ თუ
სადმე გასკდა, კამეჩის ტყავზე სქელი
ხდებოა.

გიორგი წამოდგა. მადლობა გადაუხა-
და გლეხაკს მასპინძლობისათვის და
გამოემშვიდობა:

— ყოველივე მოგვარდება. ეს კი
იცოდე, მასპინძელო, ასე ვემრიელად
თვით მეფეც კი თავის სასახლეში ვერ
შეძლებდა დამშეულ მგზავრთა დაჟუ-
რებას. ერთი სათხოვარი მაქვს და უნდა
შემისრულო: რადგან აქე გონიერად
რაც ჩვენს მეფე გიორგის, თუ ოჯახს
ახლად შემატებული ვაჟი გამოდგეს,
მეფის სახელი შეარქვი ვაჟაკს — გა-
მოსამშვიდობებლად ხელი გაუწოდა.

— აგრე იყოს ბატონო.

...შებინდებისას ნაჭარმაგვეს ჩა-
სულმა მეფემ სრა-სასახლის უხუცესს
უბრძანა: მეორე დღეს, დილითვე ქარ-
თლის ერისთავთ-ერისთავი რატი სუ-
რამელი ხლებოდა სასახლეში.

ვახშობისას გიორგი მესამემ შეაბ-
სენა მეჭურჭლეთ-უხუცესს:

— როგორც კი გვევლს ჩავალთ, მა-
შინვე უნდა შევუდგე გელათის წყალ-
სადენის შეკეთებას, ვახირო!

— გადმომცეს მეფეო, მთიდან წამო-
სულ ნიაღვარს ძლიერ ჩაუხერხავს
წყალსადენი მილეების სანგარი.

— ალბათ შორი მანძილით უხდებთ
წყლის ამოტანა ამეამად. ცხუმის ერის-
თავთ-ერისთავს ოთალო შარვაშიძეს
ჰყოლია მილეების დამზადების კარგი
ოსტატები. ორიოდ თვის წინათ თბი-
ლისს მომინახულა ძმადნაფიცმა და
მითხრა, ბიჯის სივრცის კარგად გამო-
კირულ და გამძლე მილებს ამზადებენ
ცხუმში. ბაგრატიის ტაძრისათვის გაუგ-
ზავნია. მოძღვარი კმაყოფილი დარჩე-
ნილა.

— უნდა ვთხოვოთ, გელათს, თავი-
სი დახელოვნებული ოსტატებითაც
დაგვეზაროს, მეფეო.

— სანგარებიც უფრო ღრმად უნდა
გაითხაროს. შარვაშიძესთან კი, გირჩე-

დით აქედანვე ვაგვეგზავნათ კაცი და ჩემი სახელით გეთხოვათ დახმარება.

მგზავრობისაგან დაღლილობის მომიზეზებით მეფემ პატიება თხოვა ვახშამზე წვეულთ და დასასვენებლად განკუთვნილ ოთახში გავიდა.

დილით, როცა ვიორგი მესამე სასაულზოდ გამოვიდა თავის ოთახიდან, ქართლის ერისთავთ-ერისთავი უკვე ამოსულიყო ნაჭარმაგვეს და მეფეს დარბაზში მიეგება. ერთურთი მოიკითხეს. პირველად მეფემ ქართლის საერისთაოს ამბები გამოკითხა რატი სურამელს. ერისთავმაც დაწვრილებით გააცნო მეფეს ყოველი, რაც საპიროდ ცნო, ვაჭართა გაძარცვის შესახებ კი კრინტიც არ დაუძრავს. მეფე ყურადღებით უსმენდა რატის. ბოლოს მოულოდნელად შეაწყვეტინა საუბარი და იკითხა:

— ერთი ის მითხარი ერისთავო, როგორ გრძნობს თავს თქვენი უფროსი ქალიშვილი. რუსუდან დედოფალი წუხდა მისი ავადმყოფობის გამო.

— ახლა უკეთ არის, მეფეო.

— ნუ ანებიერებთ და გირჩევთ, გელათს გაისტუმროთ სასწავლებლად. კარგად გაწვრთნილი დაგიბრუნდებათ უკანვე. გონებანათელი ადამიანები გვიპირდება სახელმწიფოში. ჭერ კიდევ ბევრი უფროსი და უფიცნი დგანან ქვეყნის სათავეში და განაგებენ.

— ანტონ ჭყონდიდელმაც ასეთივე რჩევა მომცა შარშან თბილისს ყოფნისას, მეფეო.

საუბრე დამთავრდა. მეფე, მექუტრულეთ-უხუცესის და ქართლის ერისთავის თანხლებით სასახლის ბაღში გავიდა ბაღის ბილიკზე სეირნობით გართული მეფე კაკლის დიდ ხესთან შეჩერდა.

— აი, ხედავ ამ კაკლის ხეს, შამაჩემს მაშინ დაურგავს, როცა პირველი ვაჟი, შმა ჩემი დავით შეეძინა. იცით როგორ იყურსება, კანიც თხელი აქვს, ნაყოფით ხავსეა. სასახლეში ერთმა ვაჭარმა მითხრა საქართველოს სხვა კუთხეებში მოშენებულ კაკალზე უფრო

მსუყვე და ზეთოვანია აქაური კაკალი, უნდა იზრუნოთ, ვაზირო, მისი მოშენებისთვის, ბევრი ზეთი გამოვხადოთ და უცხოეთში გავიტანოთ, ვივაჭროთ!

— უთუოდ მეფეო!

— თუ მეთანხმებით, გავაკეთოთ. რატიც ხელს შევიწყობთ.

მეფე ჩაფიქრდა. მერე ისევ მექუტრულეთ-უხუცესს მიუბრუნდა და უთხრა:

— ვაზირო, კარგად მახსოვს ივანე ორბელიანის დამარცხების შემდეგ თქვენ ერთ-ერთი პირველთაგანი უქერდით მხარს რატისთვის გადაგვეცა ქართლის საერისთაოს გამგებლობა, როგორც ჩანს, რატი ქართლის ღირსეული ერისთავთ-ერისთავია. აუხსენით მას, თუ რაოდენ დიდი სარგებლობა მოაქვს სახელმწიფოსთვის ვაჭრობის განვითარებას მეზობელ სახელმწიფოებთან.

— დაწმუნებული ვარ მეფეო, რომ ქართლის ერისთავი კარგად ერკვევა ვაჭრობის საქმეებში.

— მაშ, როგორ მოხდა, რომ მის საერისთაოში ჭერ კიდევ ბოგინობენ ავაზაკები და გასულ კვირას სურამის უღელტეხილზე მგზავრთა თავშესაფარს დასხმიან თავს და ვაჭრები გაუძარცვიათ, ვაზირო?

— ერთი მათგანი შეიპყრეს ჩვენმა სარანგებმა მეფეო, — თქვა რატიმ და გულში გაიფიქრა, უკვე მოუსწრიათ ვიორგი მესამისთვის ამბის მითხანა ენატანიებსო.

— მაგრამ ვაჭრები ხომ გაძარცვეს, — გაიმეორა გარკვევით უკმაყოფილო მეფემ, — ალბათ მალე თქვენს საერისთაოში კარგების ვადარაზვასაც შემოიღებთ მათი შიშით, ერისთავო!

რატი წინასწარ გრძნობდა, რომ მეფე ვაჭრების გაძარცვაზე სიტყვას ჩამოაგდებდა, ვაფითრებული იჭდა მეფის გვერდით და ხმის ამოღებას ვერ ბედავდა.

— თუ ძალა არ გყოფნით, ერისთავო, მათ ასალაგმავდ, — განაგრძო მეფემ — მიგემართათ მანდატურთ-უხუცესისათვის, უეჭველად დაგეხმა-

რებოდათ, — მეფე რატის ჩააცქერდა და შეპურობილის ვინაობა იკითხა.

— არტანუჯელი გამოდგა, დიღუგში მყავს გამომწყვდეული. პირველად თანამდგომ ავანაყთა ვინაობის დასახელებაზე უარი თქვა, მაგრამ, როცა ჩემმა კაცებმა ვვართ აგიზვიზებულ ცეცხლის აღზე აბტუნავეს ზეთში გაყონილ ტანსაცმლით, ენა ამოიღვა. მათ შესაპურობადაც მიღებულაა ზომები მეფეო, მართლმსაჯულებას ვერ გაეცევიან.

— ვინ დაასახელა?

— ანანია დვინელის უმრწემესი ძმა ფიცით შეკრულან.

— მძარცველნი და ფიცი? გააძლიერეთ, ერისთავო, სარანგთა რაზმები, აღკვეთეთ მათი ბოროტება!

— ყოველივეს ვიღონებთ, მეფეო! ახლა მეჭურჭლეთ-უხუცესს მიუბრუნდა გიორგი მესამე.

— რა დაუწერია კოლხურ სელზე, ვაზირო, იმ განსწავლულ ელინელ მოგზაურს, კოლხები ეგვიპტელებად რომ მიუთათლავს?

— ბრძენი კაცი, კოლხური სელის ქსოვილებს ქებით იხსენიებს, მეფეო!

— აჟი ამბობს, კარგი ვასაველი ჰქონდაო ელინდების ქვეყანაში.

— დიახ, მეფეო!

— კიდევ კარგი, რომ ხუჭუჭა თმა მაინც გაიმეტა კოლხელი ვაჟკაცებისთვის იმ დალოცვილმა, — მეფემ გულიანად გადაიხარხარა, — ახლა ხომ ამზადებენ კოლხეთში სელის ქსოვილებს, ვაზირო?

— დიახ, ამზადებენ.

— მერედა, რატომ შეპიცირდა მისი გატანა უცხოთა ქვეყნებში?

— შექმნილმა მდგომარეობამ შეუწყო ხელი, მეფეო!

— ოდიშიდან და სვანეთიდან ამტანიანი მარულა ბედაურების გაყვანაც უცხოეთში იმავე მიზეზით შეპიცირდა, არა, ვაზირო?

— დიახ, მეფეო.

— აი, ხომ ხედავთ, რას ამბობს მეჭურჭლეთ-უხუცესი, ერისთავო, — მი-

უბრუნდა გიორგი მეჭურჭლეთ-უხუცესი — რად ატეხინებთ თქვენი შეჭრის დად ვაჟართათვის მიცემულ სიტყვას!

რატი დუმდა, თავდახრილი იდგა მეფის წინაშე.

...შუღამე გადასულიყო, როცა ტაოსკარელი კაცია ჭიაბერს გამოეშვიდობა: და თავის კაცებით მეფეს მიჰყვა კვალდაკვალ. ჭიაბერმა, როგორც იქნა, მოათავა გეგუთს ვასამგზავრებლად საჭირო ყოველივე მზადება და ის იყო დასასვენებლად ამირებდა წასვლას, მოულოდნელად კარი შემოაღო ორმოც წელს მიღწეულმა ჩია კაცმა. ოთახში შემოვიდა მეფის კარზე აღზრდილი, ენაწყლიანი დადა. მთელს სასახლეში და მის მიღმაც ცნობილი იყო დაიდა დაუბრუნებელი, მახვილი ენა. თუ ვინმეს თვალში ამოიღებდა სასახლეში და მის გარეთაც, შენს მტერს, ისე დაგვსლავდა, როგორც კი ამის საშუალება მიეცემოდა, რომ ეს შხამი გულღვიძლში წლობით ჰქონდათ გაძღარი. ამის გამო მასთან საუბრის დროს სიფხიზლეს იჩენდნენ თვით ვაზირებიც კი, რილით და პატივით ექცეოდნენ სასახლეში ყველანი. თვით გიორგი მესამეც თავის აღზრდილს მეტად სათუთად ეპყრობოდა. მართოდენ ცხუმის ერისთავთ-ერისთავის, გიორგი მესამის ძმადნაფიცის ოთალო შარვაშიძესათვის იყო ცნობილი, რომ დადა მეფის უკანონო ნაშვიერი გახლდათ და სიყრმის წლები, სანამ გელათში მოაწყობდნენ სასწავლებლად, ცხუმში ჰქონდა გატარებული, შარვაშიძეების ოჯახში. განუკურნებელი სენით დაავადებულს სასახლის ექიმები უვლიდნენ, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოაშლევიან დადას კირის ქამა. ავადმყოფობით გაღიზიანებულს ბოლო დროს გულფიცობაც დასჩემდა.

ჩვეულებრივად დადერემილი დადა, ამჯერად კარგ ხასიათზე იყო. ჭიაბერი კი გაკვირვებით შესცქეროდა მას, არ ელოდა.

— ჭიაბერს მშვიდობა! ამ ბოლო

დროს გიორგი მეფე (ასე ეძახდა დადა, გიორგი მესამეს) ზედმეტ ზრუნვას იჩენს და განსაკუთრებით მიფრთხილდება. ჰაერისა და საყენის გამოცვლა მოაგონდება, მითხრა ვუშინ და მიბრძანა გეგუთს შენთან ერთად ვიმგზავრო!

— ჩემთან ერთად? — გაკვირვებით იკითხა ჭიანჭველა.

— დიახ, თქვენთან ერთად, ბატონო მეგინიბეთ-უხუცესო. — ოდნავ გაჰიანურებით თქვა დადამ და თანაც დამკინავმა ღიმილმა გადაურბინა დანაოკებულ, გაშავებულ სახეზე.

— ჩვენს მეფეს მადლობა ასეთი ნდობისთვის.

დადამ ყური არ ათხოვა ჭიანჭურის პასუხს და იკითხა:

— როდის გაქვთ გადაწყვეტილი გამგზავრება, ერისთავო?

— ხვალ დილაადრიანად ეტოვებ ქალაქს.

— ხვალ დილით, ადრიანად?

— დიახ, დილით ადრე, — გაიმეორა ჭიანჭველა.

— რა გაეწყობა, უნდა მოვეშადო. თუმცა ადრიანად ადგომას დიდი ხანია გადავეჩვიე. ამ ბოლო დროს ბევრსა ვფიქრობ და მხოლოდ მაშინ ჩამეძინება, როცა მზე ამოჰყავს თავს. ტკბილ სიზმრებში ვატარებ ამ დროს. მეგინიბეთ-უხუცესო, — მცირე დაყოვნების შემდეგ თქვა დადამ, — მართალი მითხარი, მაინაშენის სულის ცბონებაში, თუმცა შენი მეორე ხელობა გულგახსნილობას ვიკრძალებ. მეფე გიორგის რომ არ ებრძანებინა და მე მეთხოვა, თუ გაზედავდიო ჩემს წაყვანას გეგუთში?

ჭიანჭერი ოდნავ ჩაფიქრდა.

— გაზედავდი და იცი რატომ, დადა?

— რატომ!

— ვიცი, ჩვენს მეფეს ძალიან უყვარხარ და იმიტომ!

— აბა, ის თუ იცი, რატომ ვუყვარხარ?

— კუჰამახვილი ხარ და ენაც გიპირის, დადა!

— მარტო მაგისთვის? კუჰამახვილი აღმანები ამ ბოლო დროს საკმაოდ მომრავლდნენ სასახლეში. მე კი გეტყვი, რატომ მე მეფე გიორგისთან ყოველთვის გულახდილი ვარ და კუჰამახვილს ვაუწყებ, ზოგჯერ ძალიან მიძნელებდა ეს, შორით მოვლა მჭირდება, ქარავმების მოშველება კი, დიდი ჯაფაც მადგება, სანამ მიზანს მივაღწევდე, მაგრამ რა გაეწყობა!

— განა სხვები არაქუჰამახვილს ურჩევნ მეფეს, როცა კი მათ მოსმენას ინდომებს?

— ზოგჯერ შეიძლება. მანავის ერისთავო, ვიცი გიორგის ხელში ხარ აღზრდილი და მისი ერთგულიც...

— სიკვდილამდე, დადა, — შეაწყვეტინა ჭიანჭველა.

— თუ კი ასე ერთგული ხარ მისი და გიყვარს კიდევ, მაშინ ერთი ის მითხარი, ახლად დანიშნულ ვახიზზე, რად სდუმხარ მეფესთან?

— ჭიანჭერი ოდნავ ჩაფიქრდა და შემდეგ შეეკითხა:

— ვის გულისხმობ, დადა?

— მეჭურჭლეთ-უხუცეს ყუთლუ-არსლანს, ერისთავო!

— მეჭურჭლეთ-უხუცესი მეფის ერთგული მსახურია და დიდათ გონიერიც. მეფე გიორგიც ამ აზრისაა.

— მართალია, მაგრამ მეჭურჭლეთ-უხუცესი რაღაც ახლის ძიებაშია, რაც საშიშია ბაგრატიონთა ტახტისთვის. ან ის კარავი რა კარავია, მის თანამდგომთა სამსჯავროდ რომ სურს გაიხადოს კორიდეთის ერისთავმა!

ჭიანჭერი დაბნეული უსმენდა დადას, სმენამ ხომ არ მიოღალატო, ფიქრობდა, კარგად ვერ გარკვეულიყო და უნებლიეთ შეეკითხა:

— საიდან იცი, დადა, შენ ყოველივე ეს?

— ცხვირი ქარის მიმართულებით მიჭირავს, ჭიანჭერო, და ყოველივეს დროზე ვიგებ. ბევრი რამ ვიცი შენთვის უცნობი. მართალია ყუთლუ-არსლანი

გელათში ყოფილა კარგა ხანი და დიდად განსწავლული კაცია, მაგრამ სწავლულნი და გონიერნი ყოველთვის როდი არიან სანდო საყრდენი. არა უშავს, თვითვე შეიციან, რომ ნაადრევია ის, რისთვისაც იღწვის.

— მაინც?

— მე შენი მშვერავი არ ვახლავარ, რომ მოგახსენო. აბა ერთი ის მითხარი, წარსულ პარასკევს მენალბანდის ოდის საყრდენ ბოძზე წალი რომ შებრუნებულ იყო, რა ვადმოგცა მეჭურჭლეთუხუცესზე ტაოსკარელმა კაციამ?

ჭიბერი ადგილზე გაქვავდა, ენაც დაება, დადა მიხვდა, რომ ვადაამლაშა, მიუახლოვდა და თითქმის ყურში ჩასჩურჩულა:

— მტკიცედ გჯეროდეს, ჭიბერო, მარტო შენ არ ემსახურები მეფე გიორგის ერთგულად!

დადა უცბად შემობრუნდა და ნელი ნაბიჯით გაემართა გასასვლელისკენ. აქ ცოტათი შეჩერდა, ისევე ჭიბერისკენ მოტრიალდა და უთხრა:

— ბატონო მანავის ერისთავო, თქვენს ბანკარგულებაში ვარ გეგუთს გამგზავრების მოლოდინში, ვთხოვთ ცოტათი შეაგვიანო ქალაქიდან გასვლა, რომ შენმა კაცებმა ძილი არ დამიფრთხონ დილაადრიან. თანაც ნუ დავიფწყებთ, რომ ხვალ ოცდარვა აბრილია, ყოვლად წმინდა დადას დღეა. წმინდა გიორგის ეფიცავარ, მეტი პატივით მოპყრობა გმართებთ ჩემს მიმართ, მაშ, ერთად მივიდეთ ეგრისს. გელათი და გეგუთი აყვავებული დაგვხვდება. მე კი, მისი საყვარელი შვილი, აგრე ჩამომჰყნარი ვეახლები სათაყვანოს.

— შეიცადე! — მიამაბა ჭიბერმა გასასვლელად კართან მდგარ დადას.

— კიდევ რა დავავიწყდათ გეტქვათ, ერისთავო, გამომშვიდობებისას, ალბათ ტყბილ ძილს თუ მისურვებდით!

— გიორგეთ, გიორგი მეფეს ჯერ ნუ გადასცემ ჩვენს საუბარს!

— ნურაფერს მირჩევ ჭიბერო, ღმე-

რთმა ჩემთვის ჯეჟის მეტი არაფერი გაიმეტა. როცა ჯერ მეფის წამოწვილი ვიყავ, გონება გაუწვრთნელი, ბრძანთა მიერ უამრავი რჩევა-დარიგების შესწავლა მოვასწარი. მათი შთაგონებით თავში აღძრულსა და მიმზიდველ რჩევებს ცაში დავყავდით ფრთებასხმული, მიწას არ მაკარებდნენ. ამ რჩევებიდან არაფერი არ გამოვიდა. ისევე მიწას დავუბრუნდი. ამის შემდეგ ყურს ჩაწვეთებული ყოველი რჩევა ცულ გუნებაზე მაყენებს, მეჯავრება კიდევ. გიორგი მეფეც ხშირად მირჩევდა — ასე და ასე მოიქეციო, დადა, ბილწი ენა გაქვს, თავის შეკავება გმართებსო, მაგრამ როცა დარწმუნდა ამო ყოველივე, ასეთი რამ მითხრა ერთხელ — როგორც კული ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს, შენი გამოსწორებაც არ იქნებაო, და თავი მანება.

— უმჯობესია შევიცადოთ, დადა!

აქამდე თითქოს დამშვიდებულ დადას სახე აღეანძა, აიძურა დაბეჩავებული კაცი. მანავის ერისთავს, მეჩინებეთ-უხუცესობა აბედვინებდა მისთვის რჩევის მიცემას. ვერ მოინელა, იკითხა:

— ვისთვის არის უმჯობესი, ჭიბერო?

— საქმისთვის.

— გიორგი მეფისთვის, რომელიც განუზომლად მიყვარს, თქვენთვის, ჭიბერო, მეჭურჭლეთ-უხუცესისთვის და კიდევ ვინ იცის რამდენი ვინმესთვის? შე ყველას მსახური ვარ, ჩემს წინაშე კი ვინ არის ვალდებული, არავინ. რაო, აგრე უცნაურად რად მიცქერი, ნიადგაშერყეული ხომ არ გგონივარ, კარგად იცოდე, საკუთარ ფეხებზე მყარად დგავარ და ჩემი მსგავსი ბევრნი რთი დალოდავენ ამ ცოდვილ მიწაზე, ჭიბერო!

დადამ კარები გაიხურა, გაეწდა. ჭიბერი კი დიდხანს იდგა ერთ ადგილას გაოგნებული...

მოდის იბნ ეზრა

შუა საუკუნეების ეპიკაში მოღვაწე ებრაელი
პოეტი (1055—1130).

მიდის მდინარე, მიეფინება...

მიდის მდინარე, მიეფინება...

ცაო, შენ გესაგ — სევდა მინელო!

მთით მომდინარე ტალღის დინება

სად წარადინე, წარსადინელო!

წყლის წიაღთაგან მესამის ღალადი, აღმით დაღმა რბის უცხო ჩვენება,
მძიმედ მიქშუის,

მიდის ნაკადი, —

ზღვის უდაბნოში მიესვენება.

„— წყალო, სთქვი რამე ყოფნა-არსობის!“

ისევე ყრუდ ისმის ტალღის თქაფანი,

კლდეზე მკრთალად ჩანს კვალი ღვარცოფის, მიწაც ქაფს იშრობს,

ნალგართქაფალი.

„— უბზოდ რომ ილტვი დანამდურივით, გვარქვი, რას გვითქვამს

ცათა უფლება!“

ყურად არ იღებს,

მიდის დუმბილით,

ბნელ წიაღებში მიიმწურება..

— უნდა მოგეწყლა თუ უნდა გვაბარო? — რაო, რას ბქობენ შესთა ტახტები!..

ვენახს ვერ მოსცემ, ნავენახარო,

თუ შეღმეორედ დავენახდები?“...

...ისევე მზე მიაქვს, მიაკიაფებს.. ისევე უტყვია მისი დინება,

მიდის მდინარე,

ზურბავებს მიაფენს, —

ცხელ უდაბნოში მიიჩრდილება...

„— მაინც რას ამბობს ცათა კრებული, ჩემო მთაო და ჩემო ტრამალო,

უნდა ქვე დავხდე გაოგნებული.

თუ ლაქვარდებში შევიფრთაშალო?

მალე მივალწვეთ უცხო წიაღებს, თუ გაგრძელდება ჩვენი კირიღება
მიდის მდინარე,
ტალღებს მიაფენს, —

ბნელ სივრცეებში მიიწვირთება...

აჰა, ლოცვად ვდგე, ხამლი ვიძარცე, მაინც უბრად დგას ბნელი ტინები,
ისევ შეედგები სჯულის ფიცარზე, ისევ შეეძრავ და

შეგეტირები:

„— სადით სად მოხვალ, მწუსრის ზეწარო, მარქვი, — როდემდე უნდა ვეწამო,
ვინ საყუდართო ქვეშეთისაო, —

გაუვალო და

გაუბეწავო!..

სევდამ ხელი გვყო, ურვამ მოგვიცა... უხმოდ განგვიდგა იგი დროება,
აღარ გვეთნევა ჯამი როკვისა,

არც სისარული გვესათნობა.

წყალი ურწყულს ჰგავს, დაბა — უდაბნოს... ვკოცნი, რას ვკოცნი,

ღმერთმა დაწვევლის:

სახეს უგვანს ვჭვრეტ,

ბაგეს — უთაფლოს,

ძუძუს — უტკბოს და

უნელსაცხებლოს...

იწვის,

ტყე იწვის,

იწვის ტაძარი,

ტყისკენ გარბიან სათნო კრავები,

მოყვასს შტრად ვიხდი, ნამოყვასარი,

და სათვისტომოს ვებუღრავები.

ცეცხლი ედება დაცლილ ხანაგებს, ცრემლად იცლება ვაზის მტვევანი
და სიბნელესთან მამხანაგებს

ჩემი მეკვლე და

თანამდევარი.

წყალო, კელავ გკითხავ: წერას ბედისას როდის მოვდრეკ და მოვისადავებ!
სიდან სად მოვდექ?

საით გადაველ,

კელა სადაურსა მისმობს სადაველ...“

...ისევ მზე მიაქვს, მიაცაიავებს.. ისევ უტყვია მისი დინება,

მიდის მდინარე,

ტალღებს მიაფენს,

ბნელ ხანახებში მიიჩრდილება.

ტყეს გამოვცილდი ჩუმი გალობით, აღარც ბოლო ჩანს, აღარც სათავე,
ბნელში გზას მიკვლევს თანდათანობით

დროის მეკვლე და მეთანდათანე...

„— ჩემო დღეო თუ

ჩემო შავეთო,

მაცნე ბედისა თავზე მევლება-



ყმად დამიდგება საფარსკვლავეთო,
 თუ კოჯოხეთი დამემსველება?...“

...ისევ ყრუდ ბრუნავს მღვრიე მორვეით, ძნელად არ უჩანს ძალის მოკრება,
 გარე-მოვლით ვალს,
 მიდის ზმორებით, —
 ზღვის წიაღებში მიიფოფრება...

ვეტყვი:

„— რად კვდება ჩემი ნუგეში,
 რატომ ვერ გულობს გული საგულოდ?
 თქვი: ყანობიართა სითავთუხეში

რად დამიტყვეს უჭირნახულოდ?..

გულზედ რად მოხვდათ ჩემი სიბეცე, ბჭე სინათლისა რატომ შეხურეს?
 მეგზურს თუ ვნახავ ცათა კიბეზე,
 ფეხი თუ კბობს
 მესაფხურეს?...“

...ისევ ჩრდილში რბის — უბზოდ მედინი, ჩალად არ უჩანს ჩემი ბრალდება,
 ისევ ქარს მისდევს ტანახსლექტილი,
 ბნელ წიაღებში მიიწვართება...

ასე მიღმა ხმობს ჩქამი ხმიერის, ასე შორით მჭურეტ, ცაო მდუმარო,
 რომ ხვაშიადი ცათამიერის
 მიწყვი ახშო და აიდუმალო...

გული მაინც ვთხოვს,
 მაინც ვსასოებს...

გარნა უქმად რბის დღეთა რიგები
 და წუთისოფლის საჯამბაზოებს კვლავ საძრახისად ვეციგლივები..

ისევ მიელტვის სული ჩრდილოეთს, —
 ველარც წიბოს ვგრძნობ,
 ველარც წიბურებს,
 ველარც ქარი შლის სანაპიროებს, —

ვილა გვიძმობს და გვიმოციქულებს?

ვინ ჩამოჰყვება საღეთო ბილიკებს,
 სად გაბრწყინდება სისხლი ტარიგთა?...
 მზეს რანაირად ჩამოგვირიგებს, თუ ვველაფერი
 ბნელში ჩარიგდა?...“

„— რაკი თქმას შევთხოვ, ესეც მითხარი: ხმა მიჯნურისა როდის ჩაგვსმა?
 ენამ ვით გამცნო მოსაკითხავი,

ბაგემ რა გითხრა,
 უბადაგვსმა?

რით წარგუდგებით ცათა გალაყნებს, სად გასრულდება ჩვენი კირთება?...
 ისევ ყრუდ მიაქვს,

მიაქარაყნებს,

ბნელ წიაღებში მიიზვირთება...

—, ფრთვო ნათლისავ, თავსე გეველები, გარნა რას ხმობენ ბნელი ხევენები?
რომელ წყალს ერტყმი,
რომელ მდინარეს,

ვის სადინარებს ესათხეველები?...

აჰა, გასრულდა ესე ზმანება, აწ აღასრულე საქმე საქველო,
სცან სახიერის სახივანება,

ცას წარესახე,
წარუსახველო!

ამცნე: ძალი მცენ, ხული ჩამიდგან... ჩემი სასო ხარ, ჩემი ნუგეში...
სულო, წყალს ჰგავდი დასაბამითგან,
უბნეს იყავ თუ...
უჭაბუკესი.

— წყალო, ხთქვი რამე ყოფნა-არსობის!...“

ისეც ყრუდ ისმის ტალღის თქაფანი,
კლდეზე მკრთალად ჩანს კვალი ღვარცოფის, მიწაც ქაფს იშრობს, —

ნაღვართქაფალი.

მადის, თან მიაჭეს ოქროს თაველი, მაგრამ კვლავ ბურავს ბური საბურეს
და შეხტირიან შესართავეები

ზღვათა სიღრმეს და სიუდაბურეს...

ისეც ყრუდ ელტვის მყუდრო წიაღებს, ისეც უტყვია მისი დინება,
ჩიღის მდინარე,

ტალღებს მიაფენს,
ბნელ წიაღებში მიიწრდილება....

ქველებრაულიდან თარგმნა

ჯაივალ აჭიაფვილია.



• • •

ბოსფორზე, კარგო, თუმც არა ვიცი,
არ ვყოფილვარ და არც რა მსმენია,
მე შენს თვალებში ვხედავ ზღვის
სივრცეს,
ცისფერი ცეცხლი რომ მოჰყენია.

არ ვავეოლილვარ ქარაიანს ბაღდადს,
არც დახლზე ფარჩა გამიფენია;
რომ შევაფარო თავი შენს კალთას
და დავისვენო, ის მირჩევნია.

ათასჯერაც რომ გიამბო დღეში,
შენთვის, ძვირფასო, ხომ სულ ერთია,
რომ ჩემს თვალუწვდენ, მშობელ რუსეთში
დიდი პოეტის სახელი მქვია.

ტალიანკის ხმა დაჰყოლია სულს,
ღამეს — ძაღლების ყეფა და მთვარე.
ქალო სპარსელო, ნუთუ არა გსურს?
ნახო ცისფერი რუსეთის მხარე?

აქ მოსვლა იყო ზრახვა ბედისა,
თითქოს მიხმობდნენ თქვენი ველები,
და თითქოს ფრთები თეთრი გედისა,
ყელს შეხვეოდნენ შენი ხელები.

ჩემს წარსულს არ ვთელი დაწყველის
ღირსად,
თუმც შევბას დიდხანს ეძებდა სული,
მიმდერე რამე შენი ქვეყნისა,
ეგზომ ლამაზის და მზიარულის.

რომ კაემანი მომეშვას გულზე,
 უცხო თილისმით ძალა შემმატო,
 რომ ჩრდილოეთის ტურფა ასულზე
 არ ვიფიქრო და აღარ ვიღარდო.

ბოსფორზე თუმცა არა ვიცი რა,
 მე მაინც შევთხოვავ მასზე ბალადებს,
 შენი თვალები ზღვათა სივრცეა,
 ეგზომ რომ მწვეავს და ცინფრად ანათებს.

• • •

არავის უხმობს, არ გლოვობს სული,
 ვით ვაშლის ყვავილს ელის გაქრობა;
 ჭკნობის იერით გარემოცული
 დროს მიაქვს ჩემი ახალგაზრდობა.

წინანდებურად ვერ აძვერდები,
 გულო, სიცივე რომ შეგპარვია.
 არყის ხის მხარეც სადაც ვბერდები,
 მე ფეხშიშველა აღარ გავიარ.

მოსეტიალე სულთ, ნაკლებად
 ატყვია ტურებს აღმური ტრფობის,
 ნეტავ სად გაქრა ძველი აგზნება,
 თვალთა სიშმაგე, სიუხვე გრძნობის.

სურვილებს ადგას სიმუნწის ჩრდილი,
 ეგებ მესიზმრე, ჩემო ცხოვრებაე?
 ჰგავდი აღრიან მქუხარე დილით
 ვარდისფერ ცხენით გამოქროლებას.

აღსასრული ხომ ყველას მოგველის,
 ცვივა ნეკერჩხლებს ფოთოლთა წვება...
 კურთხეულ იყოს ქვეყნად ყოველი,
 რაც მზის ქვეშეთში ჰყვავის და კვდება.

თარგმანა ზურაბ ბაბუნიაძე



გურამ ბატიანიშვილი

ცხოვრების გზის პიეზაში

პიორგი ციციშვილის ახალი რომანის გამო

ლიტერატურამ იცის იმეგარი შემოქმედებითი სახეცვალებების შემთხვევები, როგორც ეს გიორგი ციციშვილს ხვდა წილად, მაგრამ უფრო ადრეულ ასაკში, გ. ციციშვილის ასაკში რწეითად ხდება, რომ ლიტერატურათმცოდნე, ლიტერატურის კრიტიკოსმა პროზას მიმართ ხელი და ესოდენ წაუღიერებ იყო. მათუბეტეს, რომ გ. ციციშვილის ეს შემოქმედებითი გარდასახვა, მისი პროზაში მოხვდა, ერაობ იღბლიანი გამოდგა — ამ ორიოდ წლებ წინათ შკითხველმაც და სალიტერატურო კრიტიკამაც კარგად მიიღო მისი პირველი წიგნი ახლახან კი „მნათობში“ (№ 11, 12, 1977 წ. 1-4, 1978 წ.) გამოქვეყნდა „სძლე სიხარბესა შენსა“... ბარდამ აქვე გამოვთქვამ ვაოცებას ამ თწულების თანრული გაგების გამო: „სძლე სიხარბესა შენსა“ რომანისტიკის თანრს განეუთვნება, იგი სწორედ რომ ამჟამოფილებს უყელა იმ პირობას, რომელიც რომანის თანრის ქმნილებას უნდა წაუყენოს ადამიანსა, მაგრამ რაკომდე უფრნაღში დაიბედა, როგორც მოთრობა.

უოველი ლიტერატურული ქმნილება ადამიანის უწწველით ფსიდება, ადამიანის სულიერი საშუაროს წედომით, მისი საწყოს შიგან არბეულის გამომწურებით, მისი არსის ადამიანებთან შიხლოებით. ამიტომ ჩვენი უოველი კონტაქტი მსატრულ ქმნილებასთან გაიწოშება იმით, თუ რა ემოციურ წეგაუღენას იქონებს იგი ჩვენსე. ამ ემოციურ წეგაუღენაში კი უთუოდ იგულისხმება ის რაციონალური წეგაუღენაც, რომელსაც ნაწარმოები ახდენს ჩვენსე. რაციონალური თავისებური ემოციურია, რადგან ჩვენს გონებაში აღიბეც-

დება, აწრს ქმნის. ქეშმარტი აწრი კი შუღამ ემოციურია.

ეს რომანი პირველსავე ვერღებთან ამჟარებს კონტაქტს შკითხველთან. და ამას აქვს თავისი მთავარი შწეზი; რომანში — „სძლე სიხარბესა შენსა“ — ადამიანის საინტერესოდ ნაამბობი ცხოვრება ჩიავლის შკითხველის თვაღწინ, ვრცელი, რთული, თავისი შხუსხავი და ბედნიერი დღეებით აღსავსე ცხოვრება, მაგრამ ბედნიერება, რაშელიც ამ რომანის ბერბონავებს ეწვევთ ხოღე, უოველთვის როღია ქეშმარტი, უოველთვის როღი იქცევა ნამდილო სხარულის მოწინებლად. იგი სიხარულის მოწინებელი ვეგონია, იმიტომ რომ წუთიერს, დღეანდელს ვართ აოღალი და ბინის კარგად შოწყობა, თუ ეკონომიური კეთილღეობის შექმნა, ბედნიერებად შიინწევა. არადა, რა შორსაა უველსფერი ეს ქეშმარტი ბედნიერებისთან. რაოდენ დიდად დარბდება სულიერად ადამიანს, როცა მისი ცხოვრებას მთავარი შიზანი ეკონომიური კეთილღეობის მიღწევა ხდება და სწორედ ამჟვარი დონიბრობით, სძლეირით ცდილობს ბედნიერების წედომას. ანეტ დროს ორი დანკენა შეიძლება გამოვტანოთ — ან ადამიანსა არ იცის, თუ რა არას ქეშმარტი ბედნიერება, ან ცხოვრება, გარემომცველმა საშუარომ აიძულა მას მოქცეხს ამიარად. ორივე შემთხვევაში სხარალოა ადამიანი. გიორგი ციციშვილის მიერ ნაამბობი გოდერბი ზეწელსავლის ცხოვრებას წიგნს რომ დაბურავ, შრავალი საღიქრალი ადგებარის. შწერალმა თავისი გმირის ადრე სიკბატუც გაგვაცნო და მისი ბოლო ამოსუნთქვის მოწმეც გაგვხადა. ეს ბოლო ამოსუნთქვა კი ღამის შერვე ათუღ წელში გამოგარს

ზედა წილად, ჩვენს თვალწინ გაიხსნა ადამიანის ცხოვრების წიგნი და ჩვენს თვალწინვე დაიხურა იგი, რამდენი რამ დატარებდა ამ წიგნში, რამდენი ადამიანის ცხოვრება დაუკავშირდა გოდერძის ცხოვრებას. რამდენი ზედი გამრუდდა, რამდენის გასწორდა ცხოვრების ვრცელ გზაზე რომაში დანახვა უამრავი ადამიანის ხსენ, ხასიათი, შეიქმნა ცოცხალი სურათები აგერ, გუშინდელი ქაოტის ცხოვრებისა, მაგრამ მთავარი მაინც დარჩა გოდერძის ზენკლიშვილის ბედი და ის თემა, რომელიც ამ რომანიდან უნდა გამოიტანოს მკითხველმა — ძმებო ცხოვრება, ძალიან ძვილი, მით უფრო, თუ ისეთ რთულ, ცვალებად, მორალურ და უპიკურ ფაქტურაზეა ერთდროულად მსხვერვისა და შენების პერიოდ დაემთხვა იგი, როგორც გოდერძის დრო გახლდათ (ოქტომბრის რევოლუცია, მეწველები საქართველოში, საბჭოთა ზედიხეულები დაშვარება, სოფლის ბრძოლა წელში გამართვისათვის, მომხრეების გამარჯვებული ზღვის უფო, მომხრეებელი ტენდენციების აღზეება-გამაღვრება, შერე ამ ტენდენციების მსხვერვის პროცესი), მაგრამ შენ ადამიანი გქვია და უნდა დათრავდეს ყველაფერი, არავითარმა ცოცხლებს არ უნდა სძლიოს შენს სულს და სულიერი გაწმენდილობა, ამოღებულმა უნდა გასართულო გზა ცხოვრებისა.

მწერლის ამ თეზის საქმიან ცხადად ამოკითხავ რომაში, ამოკითხავ გოდერძის ზენკლიშვილის ცხოვრების წიგნში. სწორედ ამისათვის დახატა მან გოდერძის ბიოგრაფიის, ხასიათის ადამიანი იგი ურველი მოვლენის შუაგულში იყო, ყველაზე ტრიალებდა, ყველაფერმა მის თავს ვადაიარა, რადგან ცხოვრების დედილი შეიღო იყო — რიგითი, გამოურჩეველი, და ყველაფერი ირეკლებოდა მის სულში, მის უფოში. ამიტომ მისი ცხოვრების გზა არის გზა იმ ქართველი კაცისა, რომელმაც საუფოს პარველ ოცნებულს ჩახედა ცხოვრებას თვალში, არასოდეს არ უყოფდა განზე გამდგარი, ვარიუელი. ამიტომაც ერთნაირად იზიარებს ამ ცხოვრების ავხაც და კარგსაც, რადგან მოწმე კი არა, მოწაწილე, შემქმნელი ამ უფოსა, ქართლის ერთ პატარა სოფელში მცხოვრები გოდერძის ზენკლიშვილიც გახლდათ ავტორი იმ ცხოვრებისა, რომელიც ზენკლიშვილი იყო ოციანი წლებიდან მოყოლებული დაემდე. ასე რომ გ. ციციშვილი წარმოგადგენს ცხოვრების ვრცელ პანორამას. ამიტომაც მისი ქართლი ძალიან მკავს კახეთს, იმერეთს, სამეგრელოს და სხვა კუთხეებს მთელი საქართველოსი. ყველაზე თითქმის ასე ცხოვრობდნენ, როგორც გოდერძის ზენკლიშვილის სოფელი ცხოვრობდა (ცხადია, განსხვავებულ იყო, მაგრამ ეს განსხვავებულობა მხოლოდ და მხოლოდ სპეციფიკური ხას-

ათის ვახლდათ. მთავარი ციციშვილი რომაში ვნებავთ, კოლორიტი კი ვნებავთ. არის ჩვენი საზოგადოების უფოსა კი ყველაფერ ახელი იყო).

ასე რომ აქ, სწორედ იმეორე ტიპობობასთან ვეპყვს საქმე, როცა წვეთში ზღვა შეიცონობა. გ. ციციშვილისათვის ქართლის ერთ პაწია სოფლის ცხოვრებაზე საუბარი იმდროინდელი საქართველოს უფოზე საუბარს ნიშნავს. მაგრამ მთავარი მაინც ის არაა, თუ რა არის, რა მხოლოდგაგების დასაქვიდრებლადუ გაიხარა მწერალი ეხოლენ ურთო ტილოს შესაქმნელად. ეს არის, რაც ასე რიგად ვეწოდება ამ ნაწარმოებში, ვეწოდება ადამიანის ცხოვრების ვრცელი გზის სიყვარულიანი დანახვა. სწორედ ეს სიყვარულია მთავარი — ადამიანის, მისი ცხოვრების გზის სიყვარული, თუნდაც შეცდომებით სავსე იქოს ადამიანის ცხოვრების გზა, თუნდაც თავისი ზოგირითი თვისებით ემჭინებოდეს კიდევ იგი ჩვენი საზოგადოების მორალურ პრინციპებს, უალიამ ფოლენებს ეყოფის მწერლისათვის ბაბლიათით შენაწილელი სიტყვები: „მწერლის საბატო ვალია შეველოს ადამიანს მოთმინება-გამმლოებაში. გამხმნევოს, გული გაუშვაროს, კვლავაც მოგონოს მამაცობა, პატრონება, იმედი, სიამაფე, თანაგრძობა, სიბრალული, თავგანწირვა — ყველაფერი ის, რაც ადამიანის წარსულს დადებოთ მისადა. პოეტმა უბრალოდ კი არ უნდა აღწესობს ადამიანის უფო, უნდა დახმაროს მის, საურდენ ბოძად. ბურჭად გამოადგეს, შეაქლებინოს ამტანობა და გამარჯვება“. მართლაც, ყველო მწერლის გული ფიცარზე დასაწერი სიტყვებია.

ამ წიგნში სწორედ გოდერძის ზენკლიშვილის იმეორე თანადგომა ვეწოდება. თუმცა, გოდერძის როგორც საზოგადოებრივი ელემენტო, ამ თანაგრძობას უფელთვის როლი ამსახურებს, მაგრამ მწერალი ეხოლენ სულმოკლედ არ განახილავს ადამიანის უფოს. პიოთვის ერთიმეორისაგან განუყოფელი ავიცა და კარგიც, იცის, რომ კვლავ ადამიანები სწადიან ავხა და კარგს. ამიტომ რა გზებზეც არ უნდა იაროს ადამიანმა, ყოველთვის მის გვერდით უნდა დადგე, ხელი უნდა შეამველო.

ცხოვრების რთულ გზებზე იარა გოდერძის ზენკლიშვილმა, ჩვენი ოფოლოგიისაგან განსხვავებული მორალური პრინციპებთანაც იცხოვრა, მაგრამ იგი მაინც არ იწვევს ზიზღს. თუ რაიმე დამოკიდებულება გიჩნდება გოდერძის მიმართ, სიბრალულის გრძობაა მხოლოდ, რადგან იგი საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროდუქტია და მას მოუწია თავის თავში მოიყვას, თავისი მხრებით ზიღოს ამ საზოგადოების ყველა ნიშან-თვისება. ამ საზოგადოებრივ ნიშან-თვისებათა მყოფო გამოხატულებ-

მა ვოდერის ზენკლიშვილი. ამიტომ მის პირველად, მის ცხოვრებაზე საუბარი ჩვენი საზოგადოების ბიოგრაფიის გარკვეულ მონაკვეთზე საუბარს ნიშნავს.

დაიწყო ადამიანის ცხოვრების გზა. იგი იყო ახალ-მართალი, პატოსანი, შემდეგ ცხოვრებაში ფერი იცვალა და გოდერძიძე ამ ცხოვრების ძალედებს აქვს. ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობისაგან განსხვავებული მორალური პრინციპებით იცხოვრა, ქონი მოიღო, სიმადღერ დაგროვა (თითქმის იმედ გქვს, რისთვისაც მისი სიმამრი შორეულ გზას ვაუწყუნეს და სამშობლოს ცა აღარც ანახეს; ახლა სიტყვა კუდაგი ამოგდებულა ჩვენი ურთულდღობრივი ლექსიკონიდან. თორემ თავისი სიმადღერის გოდერძი ზენკლიშვილი პარე სეთ კულასა და შეტხაც ჩახსენა ჭიბენი, ათასი ადამიანი დაემგზავრა ცხოვრების გზაზე. ზოგი ფიციდარა და ზოგი მართალი, მაგრამ მოავარი მანც ქონების დაგროვება ვახლა მისთვის. ადრე პატოსანი, შრომელი, მეტაბოკაცო იმთა ამქარში გვრია, ვინაც ქონებით აფასებდა ადამიანს. მერტვა ვინ არ არის ამ ამქარში. გ. ციციშვილი შექმნა მთელი ვადერეა მათიო სახეებისა (ბაქალის მიღვანი, ვაწოფიღების გამეც, ისეა დანდღიშვილი დასხვანი); ასე აღზევდა გოდერძი. მერე შვილის ცხოვრებაზე იზრუნა, გზა ვაუწყა, მაგრამ როცა ცხოვრების მიდინება შეიცვალა, ურველ საგანს, მოვლენას თავისი სახელი დგარქა, უფლას პასუხი მოეთხოვა თავისი განკლები გზის გამო, გოდერძი იმთა შორის აღმორჩნდა, ვინაც მრავალ უნაიმონო კითხვებზე უნდა ვაყცა პასუხი. ვახცა კიდევ თავისებური პასუხი და ამ პასუხით სულერი წონსწორიბაც პოვა. იმ ეკონომიკური სიძლიერისაგან განპარკული გოდერძი ზენკლიშვილი, თითქმის ახალი კაცია, სინამდვილეში თითონაც ვერ ხედება, რომ საკუთარი სული დაამარუნა საკუთარ სხეულში, რადგან ეს სული (დამოკლებულება ადამიანებისადმი, ცხოვრებისადმი) თითქმის ვიდაცეებს ვაწოლოდა თან. ახლა კი კვლავ იმონა თავისი თავი. მაქარა... (სრული პარპონა თითქმის მიუღწეველია კაცთა მოდებისათვის) ანახობაში სიცოცხლედ ვასრულდა.

რა დარჩათ ადამიანებს მისგან? თითქმის არავერი, რადგან ის, რაც ადამიანებმა მასზე იციან, მეტად აბურდული, ზეგზავების, ოქრო-ბოქრო ვახლავთ, ხოლო მისი საშობლო ვაღაწვებიღების შემდეგი ცხოვრება (ვამწმინდილი კაცის ცხოვრება) არა ვგონებ ძლიერ აღიბეჭდოს ხადის მესხერებაში. ახლათ, დიდა დრო იყო სპარო, რომ ხალხი შეჩვეოდა და დემოკრატიზმის კიდევ ახალი გოდერძი ზენკლიშვილი.

ასე რომ, გ. ციციშვილი მთელი სიგრძეზა-

ვანით წარმოგვიდგენს ადამიანის ცხოვრებას, წარმოგვიდგენს სრულად, ურთულსამცხედლად. იგი არ არის მინიატურების მანკანო, მანკანო მონასტები უფრო ანახათებს, დიდი რეაღისტური ტილოებისკენ მიუწევს ვლო.

„სხდე სისარბება შენას“ ორი ღირსება ვაინია, ეს ორი ღირსება ვანახლერავს ჩვენს დამოკლებულებას რომანისადმი.

ცხოვრების ცოდნა — ერთი უმთავრესი პირიბა მწერლისთვის, მაგრამ ვაინია რავარ ცხოვრებას იცნობ, ვის ცხოვრებას სწავლობდი. დღევანდელ ურფას იმდენი განშტოება, დარგობრობა ანახათებს, რომ თითქმის შეუძლებელია ყოველსამცხედლად იცნობდე მას. მდგომარეობა უფრო რთულდება, თუ ესტრის ადამიანის მთელი ცხოვრების გზა წარმოუდგინო მეთხედვებს. რთულდება, რადგან ადამიანის ცხოვრების გზაზე ათასი რამ ვადაირბენს, არა მარტო სხვადსხვა სახათების, პედის ადამიანებზე ვიხდება წერა, არამედ ამ ადამიანებთან დავაწარბებულ საქმებზეც, რადგან სწორედ საქმესთან ურთიერთობაში ვლინდება მათიოდ ადამიანი. მართალია, გ. ციციშვილი გოდერძი ზენკლიშვილის ცხოვრების წიგნს სწერდა, მაგრამ „სხდე სისარბება შენას.“ გოდერძი ზენკლიშვილის დროის წიგნც ვამოდა, რადგან ამ რომანში ერთი მთავარი მომენტი ვახლავთ დრო. დრო, რომელიც ცხოვრობდა გოდერძი. თუ ვათვაღისწინებუდი არ ოქნებოდა დრო და მისთვის და მახსიათებელი უსიქოლოდა, არ შეხდებოდა ეს წიგნც. დროისა და მისი უსიქოლოკის ცოდნა კი ცხოვრების ღრმა ცოდნისაგან წარმოსდგება.

სწორედ ცხოვრებას ღრმა ცოდნა ამ რომანის ერთი ღირსება. — ნამდვილი ცხოვრების, დაუფარებლის, დაუშლადის, რთულის; გ. ციციშვილი მინებულად ხედავს მას, რაცც წერს. ნანებულად იცნობს თავისი პერსონალებს ურფას, არა მარტო პერსონალებს, მთელი სამების ცხოვრება იცის. სამება ხელსაგულზე უწერია, ვათვისებული აქვს მისი ურფელი ქენა, მისეულ-მოსეული, და რაც მთავარია იცის თუ რითი სუნთქვენ სამებლები, რას სწრადღვან, რას უქობობენ. ხერითოდ იცის სამების უსიქოლოკია, მისი მოსალოდნელი რეაქცია ამითიმ მოვლენაზე, ეს კი მნიშვნელოვანი მომენტი და განპირობებს კიდევ ნაწარმოების რომანს. ცხოვრების ღრმა ცოდნა ვახლა რომანს პერსონალები უსოდენ ცოცხალ ხანებად, გოდერძი, მთელი, დანდღიშვილი, ვახტანგ პეტროვიანი, მანდისი, მარინე, სანდრა ჩანებულად დარქალი სახეებია. ცხოვრების ასეთი ღრმა ცოდნა გ. ციციშვილს უთოოდ მოეყვანს ვანზოგადებული თანამედროვე სახეების შექმნაზე. შეუძლებელია მწე-

რღის ეს თეატრი უფრო დიდ შემოქმედებით ფასეულთაში არ გადაიზარდოს. ამის დახტუ- რითა სახე გოდერძის ზენკლიშვილისა, რომე- ლიც წაწარმების მთავარ მამოძრავებელ ღე- რძადა ვეველიანება. იგი ამ მუხასა ჰყავს, თავის ირველად მრავალ ხეს რომ იტრებს და ქმნის ტყეს. ამ ტყეში კი ათასწორი ხე ღვავს, ნა- უფოფრიცა და უნაეფოცა.

როტული, წინააღმდეგობებით აღსავსე პიროვ- ნებია გოდერძი. ამაზე მეტყველებს თუნდაც ერთი გარემოება — მას, მრავალი მანეთი და- მინიშებულს, მრავალ არასაკადრისი საქმის ჩამ- დენს, ამავე დროს, არაერთი დადებითი თვით- სება გაანინათ. ვიორგი ციციშვილია მყოფი მის ცხოვრება ვადავისეული, უველიან მის გვე- რდით ვავაყოლა, მათან ერთთად ვვატარა, მავ- რამ მისაწვენი, უნიათო, ვვისმქნემლი არასო- დეს არ უოფილა გოდერძი; იგი თავისი პრიმი- ტიულობითაც კი მიმოადევლია, რადგან წარ- თალია, არასოდეს ნიღებს არ ააჯარებს და ამ- იტომ არას მართალი.

რავლა გოდერძის პიროვნული „შე“ აღმო- ანებთან ურთიერთობაში ვლიანება, ჩვენიც ამ ურთიერთობათა მიზანტრებას მიფიქვით. ვინ რად მოვვლინა გოდერძის მისი „მოქცევის“ გზაზე? ამ გზაზე პირველი ისაა დანიშლიშვილი აღ- მოჩნდება, „ვეფელით კვეანი და ემიყავი კაცი“. მიუხედავად იმისა, რომ ვ. ციციშვილია ისა- კის ცოცხალი პორტრეტი შექმნა, მისი სახე შიინც სწორხაზობრივია, ამდენად სწორხაზობ- რივი და სტატურიც, რომ ვანიეთარება არ- ცა აქვს სახეს. უველიანერი თავიდაუნვე ეციტი მსახვ. დამატებით თვლითარებას არც მწერალი- საგან ვიღებთ და არც ისაკვას საქციელოსავან.

ისაკვა ეს პიროვნება. ვინც გოდერძის „აბ- ლეტურად“ საქმიანობას ჩავგონებს. იგი უო- ველადღიურად ჩანჩინინებდა — ახლა „სხვა დროს“, და ჩვენს თავს მივხედოთო. ისაკვს შე- ვონებები მომანებრებელი, ვაქიანურებული და ზედმეტად დედაქტაქტრია, მიოთმეტეს, ისეთი ხსიათის კაციანთის, რვგორიც გოდერძი, კაციანთის, რომილაც თუ რამე არ მოსწონს, ძალიან იოლად შეუძლია წამოიძახოს: „ერთი მკათო პატრონი დედისა?“ იგი პირდაპირია და მოურიდებელი, ისაკვსთან კი რა პქონდა მოსარიდებელი? ვფიქრობ, ისაკვს იფილოლო- ვის და დასახატად სხვა გზა უნდა მოსახლეოყო, მაგრამ ასეა თუ ისე, ისაკვა მანიც ამ მსალა ვაიოთვა, რომელმაც დაანქარა გოდერძის „მო- ქცევა“, მისი მაცოფრ გზაზე შედგომა. მაგრამ ისაკვა მართო არ არის — ამ გზაზე შედგომა გოდერძის სხვა ტაქტიტ, და უფრო დამაქტრებ- ლად უფარისაა საყოფარჩაა შეიღმა. ისაკვა კი ვაუთავებულად დანარაკობს და არა მარტო ვო- დერძისაგან ვეგრევენება დაუქტრებულად უოვე- ლადე ამის მოხმენა; არა ვცონებს ისაკვს ხა-

სიათის, ბიოგრაფიის აღმოჩენა, მოქცეულიყო ასე. ვფიქრობ, ბოლომდე ვარჩეულია გ. ურის ისაკვას ბუნება, მისი საზოგადოებრივი აზრი და მისი ქმედება. ამ ქვეყანა და ენაყავი კაცმა უველიანერი იცის თავისი საქმისა, ვანოცდალი- ცვა, ენერგიულიც. ამიტომ დაუქტრებელია ის- ეთი მაცოფრი სულის, ამ ბიოგრაფიის, ამ ხა- სიათის კაცი ასეთ ვრძელ სენტენციებს უოიბს- ავდებს ვინეცს. მართალია, გოდერძი ვლესე- რად კვეიანია, მაგრამ ისაკვს ვირეშეპაკობა მე- ტრი აქვს. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ისაკვს დასტოვა შეცვლილი ხამება, სხვაგან ვა- დიოტანა სამოქმედო არე და იქაც წინებულად ვანავტრო თავისი საქმიანობა. საზოგადოებ- რივი ატმოსფეროს წმენდას მისთვის არავითა- რი წინაა არ მოუტანია, ისაკვა თავისმა ვირეშ- მაყობამ, მოხერხებულობამ ვამარქვებამდე მი- იუყვანა (ცხადია, ისაკვს ვავებით), გოდერძი კი კატახტროფამდე (ებეც ისაკვს ვავებით), მავ- რამ, ეს, რაც ისაკვს ვავებით კატახტროფა, სინამდელიუმს სულიერი ვანწმენდის პაროცე- სია და თუნდაც ამ პაროცესის ჩვენებას, ვო- დერძის ბუნებაში აღმოჩენა თვისებათა კვლად აღწერილის ასეთ თვლიანთად ჩვენებისათვის ღირდა ზენკლიშვილების ცხოვრების წიგნის დაწერა.

მაგრამ ამ სულიერ წმენდამდე გოდერძიმ ტანჯვის გზებზე უნდა იაროს, ამ ტანჯვის გზე- ბზე ვასტებაში კი დივი როლი შეასახულა ვო- დერძის ქვეყანაში შეიღმა. გოდერძისა და მალ- ხაზის ურთიერთობა რომანმა ერთ ძლიერ კონტრასტუტს ქმნის. გოდერძის დამოკიდე- ბულება შუალისდაში ნამდვილად მამაშედე- რია, იგი სრუნავს შულის მომავალზე, ცდ- თლობს გზა ვაუთაფოს მას, მაგრამ ვის ვაკა- ვის მიოთადებს მაღლანი ვარნახობს. ამ მიოთა- თა არხი საქელო დახასიათებას აქლივს მაღ- ხაზს. სწორედ მაღლაზისნარი ბიოგრაფიითა და გზებით ვეველიანებთან მაღლაზისნარი სედე- მდვანულები. მიოთავს მამის ქონება, ეკონო- მიური სიმლიერე ამ კიბედ იქცევა, რომელ- ცაც რაიონში პარტაკული მუშაობის მაღად სარითულეში აშუავთ კაცი. ტიპურია მაღლა- ზის მიერ ვაჯელი გზაც. თუშეცა, ეს გზა ერთი არავდვირეპიხეთელი დედალით იწყება; მხედ- ველობაში ვვაქვს გოდერძი ზენკლიშვილის მი- ერ ოჯახისათვის მიწქანის უხეღის ამბავი. გო- დერძი ფიქრობს შვილს ეტოშო მიწქანანს შე- ვუყვარალებდ და ვავახარება. მაღლაზი კი მანი- დამიანც დიდად არ დაუთოდება ამ „მოსკო- ნის“ ვამო (იგი ღრმა ცურვაზე შოცენება კა- ცია) და იტყვის — ვე მაწქანა რაიონის ხა- ხალბო ვანათლების ვანოფილებს ვამცეს ვა- დავუყვარიო ეტოშო. საქმე ეს ვანდვათ, რომ რაიონში ერთ-ერთ ვავლენიან კაცად ქვეული გოდერძი ზენკლიშვილის ვფი კარვა ხანია უნაყოფოდ ატალიანებს რაიონის ვანათლ-

ბის განყოფილების გამგის კარს — ისტორიის მასწავლებლის ადგილი მომეცითო. ამიტომ მალევე ვანიჭრება ქრთამად „მოსკოვიზი“ მონარხის განყოფილების გამგეს. ვფიქრობ, აქ გათვალისწინებული არ არის ერთი გარემოება: ყველაფერი ეს რაიონში ხდება. რაიონის თავკაცი, პირველი მდივანი ვადგარი წევრები შეიძლება სუფრის უცვლელი თამადა. ვინა ეს გარემოება უსიტყვოდ არ იქონიება წევრების განყოფილების გამგეზე. როცა წევრები შეიძლება ერთადერთი იმედი სამსახურის სათხოვნელად მიაღებოდან? ან, სამუშაო განსაკუთრებული ცხოვრების წესის მიხედვით სულაც სხვა რამე უნდა მომხდარიყო — განყოფილების გამგე თავად შეტანებოდა მალხაზს, რომ მისი მეოხებით წევრები შეიძლება იქნებოდა განყოფილების მონაწილე გამხდარიყო და ამით რაიონის თავკაცის სახლოვეს ეტრიალა. ამას ვგაიანებოდა გ. ციციშვილის მიერ დახატული სამუშაოს ცხოვრების წესის დოკუმენტი. მაგრამ დავუშვათ განათლების განყოფილების გამგე იმ ადამიანთა კატეგორიას განსაკუთრებდა, რომლებიც სულაც არ ცდილობენ დიდაცთა თვალწინ ისტორიულ, განსაკუთრებით დგანან და უზნებრივად ჩემი საბოლოო ავსებენ თვითდავანთ ქისა. ასეთი რამეც დასაშვებია, რადგან ასეთი ხასიათის ადამიანები საქმიად არიან, მაგრამ მინც დაუჭერებოდა გოდერძი წევრები შეიძლება ასე უზნებრივად, იმავე დამის ვადგევანთ თავისი „მოსკოვიზი“ განყოფილების გამგის ენით — წესზე შეიძლება მასწავლებლის ადგილი მიეცეთ. მისთვის რომ სრულად უზნებრივ საქმე იყო რაიონის მდივანსათვის ან თუნდაც განყოფილების გამგისათვის თორთუ სიტყვა ეთქვა და ბიჭს ისტორიის მასწავლებლის ადგილი ვარანტრებულად ექნებოდა, ან აიღებოდა კი ასეთი უზარმაზარი ქრთამს განყოფილების გამგე იმ კაცისაგან. ვინც ასე დახლოებული იყო რაიონის თავკაცთან? მართალია, სამუშაო ძეგლსა და რბილია გამგდარი — შენც ქმეც და მეც მიუბეო, მაგრამ განათლების განყოფილების გამგე თუნდაც იმის გამოც მიგრადებოდა წევრები შეიძლება ვინა ქრთამის მიღებას, რომ ხელს ისევე აუჭარებოდა. დინჯად ეთადა ქონი სამებელთაგან.

ახლა თუ ისე, დავყო მალხაზის ცხოვრების გზა. შემდეგ მამის ქონება დამის ქაღალტულ ხალიჩად ექცა და რაიონის მდივნის ხვარტულზეც წამოასუბა. მაგრამ გ. ციციშვილი ვერ იოლად და სწორხაზოვანად როდ ვკარგვინებს მალხაზის სახეს. მალხაზი მყოფოდ მამის ქონების მეოხებით არ წამოსუბებულა რაიონის მდივნის სკამზე. ავი აღლიანი მიუჭიდ არის, იყის ხად რა თქვას. როგორ მოქცეეს, ვინ როდის შეირთოს, ვის როდის ვაუაროს, ყველაფერი ამის აუტეებს უზნებრივად,

იყის თავდაჭერა, დამაზად დამარჯი, თურმე საქმიად ნაიბიბე ყოფილა. და აი, ახლა მამების სკოლის მასწავლებელს დირექტორობა მოუნდა. ვფიქრობთ, აქაც ერთ გათვალისწინებულ გარემოებასთან ვაქვს საქმე. მხატვრული დაუჭერებლობის შეგარძნებას ბადებს რომანის ის მონაკვეთი, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ გადირექტორდა მალხაზი. მალხაზის ბუნებას, მის მიერ განვილად გზას, მის სიტყვა-მასხებს, მოქმედების დოკუმენტობას თუ ვაითვალისწინებთ, სულაც არ ვგვარება ექვი, რომ ერთ მშვენიერ დღეს იგი დირექტორის ვახდებოდა, მაგრამ მთავარი ეს როდის მთავარია გზა, რომლითაც მან დირექტორობას მიაღწია. ასე ვგვარია, რომ იგი ასეთ გრძელ გზას არ აირჩევდა. ეს თახვარი გზაზე ნავალი, თბილისიდან ახლადმოკვლენიანი მივი ისე ვაუტრებოდა სამუშაო ახალგადაცლებულ ზაქარას, რაიონის შემწეობით ისე გამოცდილი სკამს, რომ ზაქარია გონს ვერც მოკიდებოდა. მალხაზი მასთან „იშუშებოდა“ სწორედ იმ შეთოვით, როგორც ილიასთან — ლეკა რომ დამის მახარადაც კი იღებოდა მალხაზი წევრები შეიძლება, მაგრამ შემდეგ ლეკას ხელზე დაქვევა მას არ ვაუტრებოდა.

ერთი შეხედვით, რომანი ვადგარი წევრები შეიძლება, ვადგარი ერთადერთი პერსონაჟი რომანისა, მაგრამ ვადგარის ცხოვრების აბურდულ გზებს მალხაზი წარმარავს, ნებით თუ უნებლოდ მალხაზის ცხოვრების რიტმს, კანონებს ვაუტრებოდა ვადგარისა და მალხაზის ყოფა. ამიტომაც ვაუტრებოდა ასე მალხაზზე ხაუბარი და ბოლოს მინც ვინ არის მალხაზი, რა სულიერი საქმიარობის პატრონია, საიდან მოდის და საით მიდის?

ამ კითხვებზე პასუხის ვაუტრებოდა მალხაზის სოციალური რაობის განხილვით ვაუტრებოდა — იგი მოდის იმ ცხოვრებიდან, რომელიც ჩვენი ყოფის ამიან წლებს მოსყვება და რომლის სრული სურათიც დავახატა გ. ციციშვილმა. დავკვირდით: მალხაზი იზიარებოდა ჩაღის ცოდ საქმეს, ხოლო თუ ჩაღის ქრთამის მიყენი განათლების განყოფილების გამგისადმი, სკოლის დირექტორისადმი, ლეკას შერაცხა და შერც ვაუტრებოდა ა. შ.). ყველაფერი ეს იმედიანობა აქტება. მალხაზი იმედიანობა ქრთამი ვადგარის, რომ სამსახურში მოხედეს, სხვაგვარად მან ვერადგარი ვაუტრებოდა, სკოლის დირექტორი თანხმობა სამსახურზე კი დახატოვარ, ოღონდაც სახლი აუშენონ. სანდარს ქაღის ერთავს იმიტომ, რომ დამანხა დრო შეიცვალა და თუ ამ ქვეყნად დიდი პატრონი არ ვაქვს, შეიძლება ნარეცხი წყალვით მოკისროლონ. ასე რომ, ადამიანი მუდამ დაუტეებს დახატრენს, რომლის მეოხებითაც ცხოვრების ქარტუხალი წონისწორების შენარჩუნებას ცდილობს. რაიონის მდივანი მალხაზი წევრები

შვილი ან, გენბაუ, აღმასკობის თავმჯდომარის მოადგილე მალხაზ ზენკლიშვილი სულაც არ არის უფრო ბედნიერი, ვიდრე ერთ-ერთი საშინელტროს მთარგმნელი, გიტარიანი მალხაზ ზენკლიშვილი იყო. მაშინ მალხაზი უზრუნველად ცხოვრობდა, ახლა კი ყველა თხოვრისს — მამაც, ხალხიც ყველას წინაშე ვადიდებელია აღმაინი, რომელმაც ამდენი მკვდარი ნაბიჯი გადადგა, რომ რაშენიარად ცხოვრების გზაზე დაქვარდნით ერთმა მკვდარმა ნაბიჯმა მეორე განაპირობა, აწიგამ ზემოთის მალხაზ ზენკლიშვილი უფრო, მაშინვარებულად იყო ერთი არ არის, არამედ პრაოდუტი და მსხვერპლია იმ საზოგადოებრივი ურთიერთობებისა, რომელიც ხანუხში სუფიველა და რომელიც სხვაგვარად ცხოვრების საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომაც მიზნა აქვე გავიხსენო გ. ციციშვილის მიერ მართალია ცოტა გაჟიანუბრებული, მაგრამ ცხადად დაბატული ერთი ქუთუხი ვოლდერძი ზენკლიშვილის სახლიში, როცა მოკვდილებს ქიტა ღაჩაძე შემოუწოდებდა. არის ქიტა ღაჩაძის პირველადი თეატრებში ბევრი ისეთი რამ, რაც ქართულ თეატრებს მიეწერება, მაგრამ მალხაზისა და მისი დიდილიც, ამ დიდილიც საზოგადოებრივი, გაძლიერებს ყიდვე ერთზედ ვადიდებ ამ დიდილიც. ყურადღებით წაიკითხოთ ამტკიცებთა მოხაზრებანი.

დაეწყოს ამით, რაც მთავარია — გ. ციციშვილი ჩინებულად გეპაბატებს ქიტა მასწავლებლის პორტრეტს, მეტად ხელშესახებდა. ცოცხლად წარმოგვიდგება ამ კაცის სახე, ვინ არის ქიტა ღაჩაძე? საქართველოს სახალხო მასწავლებელი (ყოველშემთხვევაში, იგი ასე ეძახის თავის თავს), საჯარო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, პარტიის წევრი 1921 წლიდან, მიიღეს ქართული ცნობილი იმით, რომ სტალინთან შეგობრობდა, პირდაპირი და მოურიდეტელი (შე რომ კაცმა შეითხოვს, იმ დინამი და აუტორიტეტი ვოლდერძის ნიშნისან სიტყვა-პასუხს ათასწერ ვარებდე ამ პერიოდის ანტარტულბას) აღმაინი, სახლისთვის მასალა დასჭირდა, სამებაში ჩაშოვიდა და ვოლდერძი სამსაბურში რომ ვერ აპოვნა, „სახლში შემოპობო, ყველა ოთახი გზირიით დაარა“, და მოქუიფებს შემოეკრა. არ, აქ გ. ციციშვილი ერთმანეთს უპირისპირებს ცხოვრების ორ გზას — გზას ვოლდერძისას და გზას ღაჩაძისას; ვოლდერძის ანტიკვარული ავტოთ ვაწყოშილი სახლი სრა-სასახლებსა შავს, ქიტას სახლს კი ჭერი დაუძველდა და წვიმა ჩაშობდა. ეს ვარემობა უპიანაპარობებს კონსულტის ქიტასა და ვოლდერძის შორის. აღბათ, სწორედ ამიტომ არის ასეთი ბძოლის ტინზე ქიტა ღაჩაძე. ყველას თავისი მიუზლო, მილიანდ-მოლიანდა, მაგრამ მას სიტყვა-პასუხში ყოველთვის კარბობს სა-

ეთორი მეს პრინატი. იგი თავის მეს ძალზე ინტენსიურად. უხეშადი კი სტუდეს თავს მსმენებებს. მართალია, მისმა მსმენებლებმა უარყვეს ქიტა ღაჩაძის თაობის ცხოვრების გზა, ვადიდებებს მას, მაგრამ ეს მიიწე არ ადიდებს ქიტა ღაჩაძეს უფლებას ასე მოეკეტეს აღმაინებს, როცა ისინი საკუთარ ოჯახში ღხინის სულთს უხეშდენ. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემთვის მთავარია ქიტასა და მალხაზის კამათი კაცმა რომ თქვას, მალხაზის თუმა სავსებით მისაღებია. იგი ამტკიცებს: „— მე პატოისანს ვფაბი არა ისეთ ძალად პატოისან ხალხს, რომლებსა საშუალება თუ მიეყო, პირობები თუ შეუქმენი, შეიძლება ყველაზე დიდ უარდებად ვადიციცნენ, არამედ ისეთ მამაც, კვიან და გამხედეა აღმაინებს, ვისაც შრომა აქვს რაიმე ცოდვის ჩადენისა, უნარც ვაინა დიდი პირადი სარგებლობას ვაშინახვისა, სიამაყვეც მოხეღამს რისკზე წასვლისა და მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც არცერთ ცოდვაზე არ მიიღენ. მაინც პატოისან აღმაინებად რჩებიან“.

ეს არის მალხაზის მთავარი თემა და იგი მხარდაჭერის ღირსიცაა. ამიტომ ვერ დავეთმებებით ქიტა ღაჩაძეს, როცა იგი კუბს შეატრიალებს, მალხაზს ვოლდერძის საქმიანობის იდეოლოგად გამოაცხადებს და პირში ატაკებს — „სახეზვეს ამოსული უვავილი ხარო“.

მალხაზი ხელმძღვანელი მუშაი გაბდა და აეტორის მიერ პირველების სწორი განაღებობად მიჩნევა ის ვარემობა, რომ დაწინაურებულ, ხელმძღვანელ მუშაიდა კვეულ მალხაზს არაფერი ისეთი არ ჩაუდენია, რაც ჩვენს წევრობრიად წმინდა საზოგადოებრივ ურთიერთობებს დაუპირისპირებოდა. არადა, მას სწორედ ახლა აქვს საპასიო საშუალებანი. ეს ტრისხელ კიდვე ვადიდებს უფლებას ვაოუქროთ, რომ მალხაზის მიხლა-მოხლა, ზიჯავებიანი გზებით სიარული მისი მუნებრიდან კი არ მომნიარებოდა, არამედ არაგანსაღი ვარემო განაპარობებდა ყველაფრის; თუ უფრო მორს წავალთ, აქვენ რაიკომის ახალ მდივანსაც კი ესავედუროს მალხაზის ათვალწუნების გამო. მართალია, მალხაზმა არასწორი გზით მოიპოვა თანამდებობა, მაგრამ შემდეგ იგი წესიერად, პატოისანად, თვევადიდებულ ემხებურება თავის საქმეს და რაოისს. იმ, აღბათ მდივანისა კი არაფერი ვიციოთ. აღბათ, იმითომაცაა რომ ერთგვარი სობრალულისა თუ თანაკდობის ვრმნობაც კი ახლავს მალხაზისადაღი ჩვენს დამოკიდებულებას, რადგან მას ერთი მხრივ მამის საზოგადოებრივი მდგომარეობა უშლის ხელს ცხოვრების სწორად წარმართავა, მეორე მხრივ კი თავისი წარსლის გამო არ აღვივდ მოსვენებას. არადა, ვუდწრფელად სწავლია პატოისანად ეწახუროს თავის საქმეს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რომანს ორი მთავარი ღირსება გააჩნია-შეთქი. პირველ მათგანზე — მის ცხოვრებისეულობაზე უკვე ვისაუბრეთ. მეორე კი გახლავთ ის, რაც ერთ-ნაირად ახასიათებს რომანის ავტორს და რომანს. ამ ნაწარმოების მიხედვით გ. ციციშვილი კარგ მთხრობელად გვევლინება. მას ძალუძს ისე ცხადად, უზრალოდ დასწეროს აზრები, თითქმის ავტო ნივთს წინ იღებს მოუზარნი და ნაწერს კი არ ვკითხულობდეთ, არამედ ნათქვამს ვისმენდეთ. გ. ციციშვილი რომ სამებას ჩინებულად იცნობს. ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, იგი სამებულთა მებრუნებულებსაც კარგად იცნობს, მათს კილოს. აზიომაც ქმნის ასეთ ცოცხალ პერსონაჟებს. მებრუნებულებს, მისი ინტონაცია ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს გ. ციციშვილისათვის პერსონაჟის პორტრეტის შექმნისას. მას შეუძლია გვიამბოს და მოხაწვენა არ გახდეს, ეს კი დიდი ღირსებაა მწერლისა.

დაბოლოს იმაზე, რაც ერთ-ერთ მთავარ საკითხად მიიჩნევა რომანის ღირსების კვლევისას. ეს არის გოლდერძის ე. წ. მოქცევა. გოლდერძის გადაწყვეტილება და მისი შესრულება, მხატვრული ხორცსხმა, ეს მებადა საინოობრო. მებადა თავსატეხი საკითხია და მოთუბეტის, რომ გ. ციციშვილის ამ გვირობ ასეთი გადაწყვეტილება ცოცხალი მოულოდნელიც კი იყო. მოულოდნელი იყო ორი მიზევის გამო. ავტორები ერთდებთან ასეთი სიტუაციის შექმნას, პერსონაჟთა ბუნების ასეთ შემობრუნებებს და მეორეც — ძალიან ძნელი დასაწერებელია, რომ აღამაინა მთელი ცხოვრება ან რომის, ეკონომიური სიმძლავრე დაგვიროს, ამოღენა სახასხლე ააშენოს და შემდეგ თავმოებრებულთა ასე შევიდოს მას — უველაფერი მთავრობას გადასცეს — თქვენ მოინშარეთო ძნელი დასაწერებელია, მაგრამ გ. ციციშვილმა დაგვიტერა გოლდერძი ზენკლიშვილის ამ საქციელში. ეს სელოვური, იდეოლოგურთადად გამართლებული ფანალი კი არ არის, არამედ მებადა ადამიანური, ცხოვრებისეული. გოლდერძი ზენკლიშვილი მოქცეოდა ასე. მთელი რომანის მანქალზე გოლდერძი ზენკლიშვილის ხასიათი, მისი ცხოვრება ისე ეთარბება, რომ სუბიექტურად შეიძლება ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს გოლდერძი. მაგრამ არსებობს ობიექტური მიზეზებიც, რაც უმთავრესია გოლდერძის ამ გადაწყვეტილების მიღებისას — ეს არის რესპუბლიკის სულ სხვა რობიო, სხვა განწყობილებით ცხოვრება. ცხოვრების სიხალღე განაპრობა გოლდერძის „მოქცევა“, ცხადია, ამ სიხალღე ერთი მხრივ აიძულა, იძუ-

ლებულთუ ასეთი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ გოლდერძის შემდეგი ცხოვრება სულაც არ ცხოვრება ამ კაცისა, რომელმაც უბრუნებულა რომ მქმნა, პირიქით, სულიერად დამშვიდებულთა, ვაწინასწარებული კაცის ცხოვრებაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შექმნილმა ატომსტერამ საკუთარი თავი აპოცინა.

გოლდერძის ხასიათის კაცი იწამდა ამას. ამის დახტურად მე მინდა გავხსენო გოლდერძი ზენკლიშვილის ცხოვრების ერთი დღე, ერთი უველაზე რთული, მიმღე და მოულოდნელი აღმოჩენით გამოგნებელი დღე. ეს არის დღე, როცა გოლდერძი ზენკლიშვილმა ისაკას ზავონებითა და წაქეზებით „ჩიხის ფულა“ მიატოვა ვახტანგ ჰეტროვჩის. ჩინებულად დაწერილი ეპიზოდია თუნდაც იმის გამოც, რომ კარგად არის გამოწვეურებული თავად გოლდერძის სული, მისი შერწუნება იმის გამო, რასაც თვითონ აუკეთებს, ვაოცება იმის გამო, რომ თურმე შეიძლება რაიკოშის მდივანმა ქრთამი აიღოს, მისი ხაერთო დაბრუნლება და შემდეგ რაღაც სულიერი სიმსუბუქე, რომ რაიკოშის მდივანი უკვე მისია, მისთვის ვაშინაურებული კაცი, ახლობელი, რაღვან მან გოლდერძის ფული ჩაიღო ქიხეში.

გოლდერძი ამ თაობის კაცია, როცა მარეტიანი, ფარაქანი რაიკოშის მდივანმა ზანღეტებთან, კულაკებთან, მესახოტაეებთან ბრძოლაში იღუპებოდნენ. ე. ი. კვლავოდნენ კეთილი, ნათელი იდეალებისათვის. დღეს კი ვერაფრით ვერ შეათავსა იმ ხალხთან ვახტანგ ჰეტროვჩინის რესპექტაბელური ვარეგნობა. როცა აღამაინა ასეთი რომ — რაიკოშის მდივნისათვის ეს ქრთამის მიცემა ასე შეაძარწუნებს. მას სულში კიდევ ბევრი სასიკეთო რომ შეპროჩენილია და ჭერაც არ გახრწნილი. მისგან რაღაცის უნდა ველოდოთ. სწორედ ამ შერწუნების, ამ ვაოცების გამო გვეტერა გოლდერძისა, როცა იგი გადაწყვეტს ხელი აიღოს თავის მონადარზე და მთავრობას გადასცეს უველაფერი.

გ) სუბიექტის III პირის მრავლობითობის ნიშანი დრო-კალთა პირველ, მეორე და მესამე ჯგუფში (ისინი აშენებდნენ თუ აშენებდნენ? იზრდებოდნენ თუ იზრდებოდნენ? გაფითრდნენ თუ გაფითრდნენ? მოვიდნენ თუ მოვიდნენ? შეკითხვებოდნენ თუ შეკითხვებოდნენ?);

დ) ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორეში (ეშობილვარ თუ შობილვარ? ეშობილიყვი თუ შობილიყვი ან ეშობილიყვი?);

ე) ორპირიანი გარდაევალი ვნებითი გვარის ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით მეორეში (შეგვიკითხებოდი თუ შეგვიკითხებოდავი?);

ვ) ორპირიანი -აე და -ამ სუფიქსებიანი ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით პირველში (გაუბნადეს თუ გაუბნადეს? მოუკლეს თუ მოუკლა? უნახავს თუ დუბნა? შეუსვამს თუ შეუსვია? უნახავს თუ უნახია?);

ზ) -ებ სუფიქსიანი გარდაევალი ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით მეორესა და კავშირებით მესამეში (აეშენებდას თუ აეშენებდა? აეშენებინოს თუ აეშენებინას?);

თ) ორპირიანი გარდაევალი ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორეში (გაუტეხია თუ გაუტეხინია? გაუტეხეს თუ გაუტეხნა?);

თუ თუღულა ეს საკითხი განხილულია ისტორიულ ასპექტში, ნორმა დადგენილია ყოველმხრივი ანალიზის შედეგად.

არნ. ჩიქობავას ყველაზე თვალსაჩინო და უმნიშვნელოვანესი დამსახურება განმარტებითი ლექსიკონის შექმნა, რაშიც განსაკუთრებით შეფიქვრ გამოვლინდა მისი მეცნიერული და ორგანიზატორული ტალანტი. ამგვარი ლექსიკონის შედგენის აუცილებლობა დიდხანს მწკვიდედ იტარებოდა ჩვენში. ლექსიკონს უნდა მოეცა ნათელი სურათი იმ უზარმაზარი აღმავლობისა, რაც ვანიცადა ქართული ენის ლექსიკამ ახალ ეპოქაში. დიდი სახასა და ჩუბინა-შვილების ნასათუფევი საუნჯე დიხრეულ შემკვიდრეს ელოდა. და აი, დიდი სამშულო ომის დამთავრებისთანავე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა ქართული განმარტებითი ლექსიკონის კომისია ავად. არნ. ჩიქობავას თვქმნილობით.

არნ. ჩიქობავამ შეიმუშავა ლექსიკონის შედგენის პრინციპები, რომლებიც განაზღვრა და

მოიწონა კომისიამ. 1948 წელს გამოიცა განმარტებითი ლექსიკონის საცდელი ნიშნულისი, რომლის მიზანიც იყო დაინტერესების განზრახვებისა და პირებისათვის გაეცნო ლექსიკონის სახე, რომ მათი შენიშვნები ვადეფინისწინებით შეშობის ბოლო ეტაპზე.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ გამოიცა 1950-1964 წლებში რვა ტომად, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ამჟამად დროს არნ. ჩიქობავა არის პირველი ტომის რედაქტორი და მე-4 ტომის თანარედაქტორი (მ. ჰაბაშვილთან ერთად). მის მიერვე არის დაწერილი ვრცელი გამოკვლევა—„ქართული ენის ზოგადი დახასიათება“, რომელიც წინ უძღვის პირველ ტომს.

ლექსიკონი სრულად ასახავს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ სიმდიდრეს. მასში შედის 112,949 სიტყვა და 14,538 იდიომი. ლექსიკონის დიდი ღირსებაა დიდი მნიშვნელობის სიმდიდრე. ლექსიკურ ერთეულთა ამონაღებურ უმეტესობას ახლავს სათანადო განმარტებები მხატვრული მწერლობიდან, პუბლიცისტური თუ სამეცნიერო ლიტერატურიდან, პრესიდან... ეს საშუალებას აძლევს მკითხველს კონტექსტში დააზუსტოს სიტყვის მნიშვნელობა, წარმოადგინა იქნობის მისი მხარებისა და გაერტყვების არხზე.

ერთი სიტყვით, ლექსიკონი ყოველმხრივ აკმაყოფილებს თანამედროვე ლექსიკოლოგიის მოთხოვნებს და ქართული ეროვნული ენობრიბის მაღალი დონის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ როგორც სამკოთა, ისე უცხოელი სპეციალისტების მაღალი შეფასება დამსახურა. ცნობილი ნორვეგიელი ქართველოლოგი, პროფესორი პანს ფოტის სიტყვით, „აგი დივიტრა ფროდ მნიშვნელოვან ადგილს ჩვენი დროის ეროვნულ ლექსიკონებს შორის. ეს არის ძველი, აღმართული ენისა და მისი ძველი, ათასწლეულთა წლოვანი ლატერატურის სადიდებლად და საამაოთა მოთვისი, ვინც ჩადიქვრა ეს სისტილული საქმე და ვინც განახორციელა იგი“. მეორე ცნობილი ენათმეცნიერს, ფრანგ ქართველოლოგს, პროფესორს რენე ლაფონს თავისი რეცენზიის დასასრულს მოჰყავს არნ. ჩიქობავას სამაღლომელო სიტყვები მაოდამი, ვინც ლექსიკონის გამოცემის საქმეს ხელი შეუწყო, და თავის მხრივ დასძენს: „აი მხოლოდ ქართულია და კავკასიურ ენათა სპეციალისტები, არამედ ყველანი, ვინც ქართულად კითხულობს და დაინტერესებულა ქართულით, უფროებენ თავიანთ მაღლობას ჩიქობავასას. ისინი მაღლობას უხდებიან აგრეთვე საქართველოს სსრ მწიერებათა აკადემიას და დიდ ქართველ ლინგვისტს, რომელიც ამ ეროვნული და მეცნიერული წამოწყების სტელისამდგმელი იყო“.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შექმნისათვის ქართველ ენათმეცნიერთა ჩვეულებრივად ირან. ჩიქობავას მეთაურობით საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა.

ირან. ჩიქობავა დაჯილდოებულია აგრეთვე მრავალი სხვა პრემიით, სამატიო წოდებითა და ორდენებით. ის არის მოსკოვის უნივერსიტეტის შ. ლომონოსოვის სახელობის პრემიის ლაურეატი, თბილისის უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ჰინიჭებული აქვს საქართველოს სსრ, დაღესტნის ასსრ და ყაზახეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებანი, აგრეთვე — პეშობადტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტის სამატიო დოქტორის წოდება, არჩეულია დიდი ბრატანეთის ჯილდოვანთა საზოგადოების სამატიო წევრად დაბადების 80 წლასთან დაკავშირებით არან. ჩიქობავა მეთხუთხედ დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. მიღებული აქვს აგრეთვე შრომის წითელი დროშისა და სამატიო ნიშნის ორდენები.

თავის საიუბილეო თარიღს მხეოვანი მეცნიერი მხნედ და შემოქმედებით ენერგიით აღსავსე შეეგება. მას კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი საქმე აქვს დაგეგმილი და წამოწყებული. ეუსურვებთ ჩვენს ძვირფას მასწავლებელს და სახელოვან მამულიშვილს დიდხანს განმრთვლობას, რომ შესძლებოდეს თავისი შემოქმედებითი გეგმების განხორციელება.



ირაკლი აბაშიძე

ნოდარ დუმბაძეს

რა ახალგაზრდა კაცი ხარ შენ
და უკვე რამდენი ხანია ისმის შენი სახელი ქართულ მწერლობაში და განა
მარტო ქართულ მწერლობაში!

რამდენი ხანია დააბიჯებენ საქართველოს გზებზე და განა მარტო საქართველოს
გზებზე, შენი ბებია, ილიკო და ილარიონი, შენგან დაუვიწყრად ნაქან-
დაკები ახალგაზრდები.

სწორედ ხევაიანი მოსაგლით ზღვები შენ შენს ორმოცდამეათე დაბადების
დღეს.

სულით და გულით გილოცავ. მიიღე ჩემი დიდი მადლობა უთვალავი
ტრემლიანი, სწორედ ტრემლიანი სიცილისთვის, რომელიც შენ ჩემთვის ამ წლე-
ბის მანძილზე გიჩუქნია წიგნებიდან, სცენიდან, ეკრანიდან.

რა ახალგაზრდა კაცი ხარ შენ!

რა არის 50 წელი?

წინ კიდევ რამდენი რამ არის...

გურამ ასათიანი

თავისთავადი და განუმეორებელი

ნოდარ დუმბაძის სახელი ჩემნაირი
გეოთხველისთვის უფრო მეტს ნიშნავს,
უფრო ფართოა და მრავლისმომცველი,
ვიდრე ერთი კონკრეტული მწერლის
ინდივიდუალობა.

ის უკვე თავისებური მოვლენაა ჩვე-
ნი სინამდვილისა, უფრო ზუსტად —
თავისებური გამოვლინება, ფენომენი.

თვით მისი პიროვნებაც კი საკუთარი,
განუმეორებელი ნიშნითაა აღბეჭდილი
და თავისთავადაც ახდენს ზემოქმედე-
ბას ადამიანებზე.

არ დამავიწყდება ვალენტინ კატაევის
აღტაცებული სახე იმ საღამოს როდესაც
მან პირველად ნახა და მოისმინა
ნოდარ დუმბაძე.

ნოდარმა სულ რამდენიმე სიტყვის თქმა მოასწრო სტუმრების საპატივცემულოდ გაწვილ სუფრაზე.

კატაევი წამოდგა, მიუახლოვდა (თვალეზი ცრემლნარევი დიმილით ჰქონდა გაბრწყინებული) და დაუფარავი სიხარულით უთხრა:

«Обижаю веселых людей».

ერთი რამ იყო საკვირველი, ეს უკვე მოხუცებული კაცი, რომელიც ახლოს იცნობდა ჩვენი საუკუნის უმზიარულეს ადამიანებს: ოლეშას, ბაბელს, მიხეილ სვეტლოვს, ილია ილფს, ვეგანი პეტროვს (პეტროვი ხომ ღვიძლი ძმა იყო კატაევისა), ისე ღელავდა თითქოს პირველად ნახა ნამდვილი მზიარულეობა, პირველად გაიგონა ნამდვილი გონებაშახვილური სიტყვა.

ვინც ნოდარ ღუმბაძეს მხოლოდ მისი წიგნებიდან იცნობს, ან მხოლოდ „ხალსში“ შეხვედრია, მის თვალში ეს ადამიანი ალბათ სიხარულის, სიღალის, მზიარულეობის განსახიერებაა.

უმრავლესობამ არ იცის, რამდენ აუტანელ ტყვიელს ატარებს მისი გული. ჩემი პირველი ყველაზე ღრმა შთაბეჭდილება მასთან შეხვედრისა, სწორედ ერთ ასეთ ტყვიელთან არის დაკავშირებული. მას შემდეგ თითქმის მეთოთხედი საუკუნე გავიდა. დიდ მწუხარებაში ვნახე, — გამხდარი, მხრებში მოხრილი, მეგობრებს გამოყავდათ მუჩაში. მახსოვს, როგორ უმტყუნა ნაბიჯმა საღარბაზოდან გამოსვლისას.

ასეთი მწუხარება ჩვეულებრივ თრგუნავს ადამიანის ბუნებას. ზოგი ხატებს ამტერვებს, ზოგს საშუალოდ სძულდება „ზედნიერი კაცობრიობა“, და შურისძიების ფარული ოცნებით განაგრძობს არსებობას.

ნოდარ ღუმბაძე ადამიანთა იმ იშვიათ მოღვაწეს ეკუთვნის, რომელთა სულშიც პირადი ტყვიელი სხვეებისთვის შევების მოტანის ცხოველმყოფელ წყურვილს აღვიძებს.

რამდენ ადამიანს მოეფრა ის თავისი სიტყვით, რამდენთა გულის გათბობა მოასწრო, რამდენი ხელჩაქე-

ული შემოაბრუნა, მოაქცია, დაარწმუნა, რომ ცხოვრება ღირს, რომ სიცოცხლე, მიუხედავად უამრავი უსამართლობისა, უღმერთობისა, უკეთურობისა, მაინც მადლია, მაინც სიკეთეა, მაინც მშვენიერებაა. და სინამ ცოცხალი ხარ, შენც ამ სიკეთეს უნდა მოუარო, მოესიყვარულო, ამრავლო და აღორძინო.

მე მინახავს ნოდარ ღუმბაძეზე შეყვარებულები, რომლებიც მას პირადად არ იცნობენ, წამოიკითხავს შორეული ქვეყნებიდან მოსული წერილები, რომელთა ავტორები მას წრფელი აღსარებით მიმართავენ. ყველა ამ წერილში იყო დიდი ნდობა და დიდი იმედი, რომ ასეთი მწერალი მათაც გაუგებდა, მათ ქირსაც უშველიდა...

ნოდარ ღუმბაძის იუმორი მრავალფეროვანია, მაგრამ მას აქვს ერთი არსებითი თვისება — ჩემი აზრით, ყველაზე ძლიერი.

ამ თვისების ერთი სიტყვით დახასიათება შეუძლებელი უნდა იყოს (ყოველ შემთხვევაში, პირადად მე შესაფერისი ტერმინი არ მაგონდება), ამიტომ ასე ავხსნი!

ბევრჯერ ვყოფილვარ მომსწრე იმისა, თუ როგორ დასციინის ნოდარი თავის ახლობლებს, ან როგორ იგერიებს სხვათა დაცივნებს (თვითონაც არაერთგზის აღმოვჩენილვარ მისი ენამახვილობის შუაციცხლში). ყოველთვის მაკვირვებდა და მზიბლავდა ამ სიცილის უცნაური ტექნიკა. განსხვავებით მრავალთაგან, ის ისე „განადგურებს“, რომ შენ არ გწყინს, დამცირებულად არ გრძნობ თავს და ზოგჯერ სხვებსავით ან სხვებზე უფრო გულიანადაც იციანი, შენი განქიქების გამო.

რალაც მალამოა ამ დაცივნაში, რომლის საიდუმლოება მხოლოდ მან იცის.

სიცილი ნოდარ ღუმბაძისათვის თვითდამკვიდრების ისეთივე ბუნებრივი ფორმაა, როგორც მხედართმთავრისათვის ომი, ან ჩიტისათვის ფრენა.

ერთხელ, პირადი საუბრის დროს მი-
თხრა: მე თავისუფლება მინდოდა და
სიცილი იმისათვის ავირჩიეო. ამ სიტყ-
ვებში ჩემთვის დიდი და ამაღლებული
აზრი დევს: სიცილით მან მართლაც
დიდი გასაქანი მოუპოვა თავის ნააზ-
რებს და გულისნადებს. და, რაც მთა-
ვარია, ეს თავისუფლება ბოროტად არ
გამოუყენებია. მისი სიცილის მთავარ
დანიშნულება სიკეთისათვის კარის
გაღებაა. სწორედ სიცილით შეგვაყვარა
მან თავისი უსაყვარლესი გმირები,
სიცილითვე გვანიშნა ადამიანთა შეც-
დომების შრავალი სათავე, ოღონდ ისე,
რომ ყველა თავის მსხვერპლს გამოსა-
ვალი დაუტოვა, ნუგეშის წყალი არ
გადაუწურა, ნდობითა და თანაგრძნო-
ბით მოაღბო მათი გახევებული შეგნე-
ბა.

ამ თვისებას იშვიათად ღალატობს
და თუ როდისმე მაინც ღალატობს, მე
ვიტყობი, რომ თვითონვე ღალატდებ-
ა ამით, ვინაიდან მწარე, დაუზოგავი
ირონია უცხოა მისი ნამდვილი ბუნე-
ბისათვის. ბუნებამ ის სხვა მოწოდების
სხვა მისიის აღსასრულებლად ჩაიფიქ-
რა.

მას უნდა ემცნო ჩვენთვის (ჯერ ქარ-
თველებისათვის, მერე კი მკითხველთა
გაცილებით უფრო ფართო წრისათ-
ვის) თუ რამხელა განძს, სულგრძელო-
ბის რა უზღუავ მარაგს, სიცოცხლისა-
დმი დაუღლეო სიყვარულის რა გან-
საკვიფრებელ უნარს ფლობენ საუკუ-
ნეთა მანძილზე გვარემული, ნაგვემი
და ნაოხარი ძველთაძველი ქვეყნის
დღევანდელი შეილები, როგორ ვადარ-
ჩა და შეინახა თავი ჩვენს ბუნებაში
ღმილის ნიჭმა, ნდობის ნიჭმა, სიმ-
ხნევის ნიჭმა, როგორ იხარა ნამეხარ
ძელქებაზე ჩვილმა რტომ, როგორ შეს-
ცინა შუეს, როგორ იმედიადად გას-
წორდა წელში მარადი ყოფნის ახლი-
დან (კიდევ ერთხელ!) დასაწყებად...

სიცილი ადამიანის სიცოცხლისუნა-
რჩიანობის უმთავრესი ნიშანთაგანია
ვიდრე ადამიანს მტერზე, მოყვარეზე,
თავის თავზე, საერთოდ რაიმეზე გაცი-

ნება ძალუძს, ეს იმას ნიშნავს, რომ
მისი საქმე ჯერ კიდევ არ წამოწყდა,
ხალხი, რომელმაც ასეთი საღი, ასე-
თი გადამდები სიცილის უნარი შეი-
ნარჩუნა, ჯერ კიდევ არ არის განწირუ-
ლი.

ეს უნდა თქმულიყო, ეს უსათუოდ
უნდა ეთქვა ვინმეს ჩვენს დროში —
დიდი ზარისა და განსაცდელის, საუ-
კუნის დიდ წარღვანათა შემდეგ. და ეს
თქვა ნოდარ დუმბაძემ, ეს იყო მისი
უპირველესი სათქმელი. ამის ასე თქმა
სხვას არავის შეეძლო.

ნოდარ დუმბაძის ფენომენი განუყო-
ფელი ნაწილია ჩვენი დღევანდელი მწე-
როლობისა, ის თავისებურ ელფერს აძ-
ლევს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრე-
ბას და მისი განვითარების ერთ-ერთი
ყველაზე გავლენიანი წარმმართველია.

უფრო მეტიც: ამ ფენომენის გარე-
შე დღეს შეუძლებელია თვით ჩვენი
ეროვნული ცხოვრების, მისი ამჟამინ-
დინდელი რეალობის წარმოდგენა. მან
შეძლო ლიტერატურიდან ცხოვრებაში,
ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში, გადასუ-
ლიყო და თანამედროვე ქართველობის
დიდი ნაწილის განწყობილებებს დაუ-
ფლებოდა.

ნოდარ დუმბაძეს ახლა ბევრი ნამ-
კარა თუ შენიღბული) მიმბაძეული
ჰყავს. მის ინტონაციას ზოგჯერ სრუ-
ლიად სხვა, არამონათესავე წარმომავ-
ობის ნაწარმოებშიც კი შეხედებით. ეს
გავლენა უკვე თავისებურ ინერციად
იქცა და მთელ ნაყად დაუღო სათავე.

ამავე დროს ნოდარ დუმბაძეს დღე-
ვანდელ ქართულ მწერლობაში ჰყავს
არაერთი სერიოზული (ასევე აშკარა
თუ ქარაგმით მეტყველი) ოპონენტი.
მე მხოლოდ ცალკეულ კრიტიკულ გა-
მოსვლათა ავტორებს არ ვგულისხმობ.
ისეთი მხატვრული ნაწარმოებებიც და-
იწერა, რომელთა შინაგან პათოსს ნო-
დარ დუმბაძესთან პრინციპული პოლე-
მიკა უღდევს საფუძვლად.

ნ. დუმბაძეს ეკამათებიან ზოგიერთი
მეორეხარისხოვანი წერილმანის გამო,
ზოგჯერ გემოვნების გამო და, რაც

მთავარია, მსოფლმხედველობის. მხატვრული თუ ზნეობრივი პოზიციის გამო.

უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა ამ ანტითეზას, რაც ნოდარ ღუმბაძისათვის დაუპირისპირებიათ, უკანასკნელი ოციოდე წლის მანძილზე, პქონდა და აქვს თავისი ობიექტური საფუძველი. და მაინც ღმერთმა ნუ ქნას, რომ ყველა ამ მრჩეველისა თუ მსჯავრმდებლის ზრუნვას ნოდარ ღუმბაძე მთლიანად „გამოესწორებინოს“ მაშინ ხომ ჩვენ სრულიად სხვა პიროვნებას, სხვა შემოქმედს, სხვა მხატვარს მივიღებდით! მრავლის მსგავსს, მრავალი იდეალური თვისებისაგან შედგენილს, შესაძლოა სანიმუშოსაც... მაგრამ აღარ გვეყოლებოდა ერთადერთი, თავისთავადი, უბადლო ნოდარ ღუმბაძე.

ღღევანდელ ქართულ მწერლობას, მთელ ჩვენს სულიერ ცხოვრებას და აკლდებოდა ერთი აუცილებელი სხივი, ერთი აუცილებელი, მკაფიო ფერთავანი მისი ცოცხალი სპექტრისა.

ნოდარ ღუმბაძის გარეშე ლიტერატურული ყოფა საგრძნობლად დაკარგავდა სითბოსა და ეშს. არავის არც-

ერთ ჩვენთაგანს არ ხელეწიფებდა ამ-ქამად ქართველ მკითხველთან, ქართველი ადამიანის გულთან მსუთი მამნდობი, ასეთი გულითადი საუბარი, არავის არ უბყრია ხელთ ასე ისტატურად მისი გულის ვასალები.

სიჭარმაგვის ასაკი ასეთი აუდიტორიის მფლობელ ისტატს მეტს ავალებს, უფრო დიდი აღმართებისაგან მოუხმობს, უფრო მეტ ფასს ადებს ყოველ მის სიტყვას.

მე მინდა ჩემს საყვარელ მწერალს, ჩემთვის უაღრესად ძვირფას ადამიანს ვუსურვო ის, რაც მის ასაკში ცხოვრების ნახევარგზავალილს აკაკიმ უბრძანა თავის კურთხეულ კალამს: „რას მიქვია პირადი მწუხარება!“

ისეთი პიროვნებები, როგორც ნოდარ ღუმბაძეა, სულიან-ხორციანად ხალხს ეკუთვნიან. მშობელ ხალხს ეკუთვნის მათი გული, მხოლოდ მშობელი ხალხია მათი ბედისა და გულისთქმის გამგებელი, მათი ფიქრისა და წადილის ნამდვილი მოკარანაზე. ქართველი ხალხი კიდევ პეგრს მოელის და მოითხოვს თავისი რჩეული შვილებისაგან. სხვა მბრძანებელი მათთვის არ არსებობს.

ელგუჯა მაღრაძე

ვასდაუღებელი ნობათი

ძვირფასო ნოდარ! ჩვენი სიჭაბუკის გარიერაზე მეტნაკლები სიცხადით თითქმის ყოველგვარად წარმომედგინა ჩვენი მომავალი ცხოვრების დღეები. ნებაუნებლიეთ, ისევე როგორც ყველას, ყველაფერზე მიფიქრია, მაგრამ როგორი გრძნობით უნდა შევსწრებოდი შენი მერე ნახევარი საუკუნის დამდევს, დღესაც ვერ გამისივრქევიანებია. ეს იმიტომ ხდება, რომ, როცა ადამიანი შენს ახლოსაა, იგი ტყვედა

ჰყავს შენშივე დავენებულ ხიბლს მაღალნიჭიერი მთხრობელისა.

ძვირფასო ნოდარ! ალბათ გამიჭირდებოდა თქმა იმისა, რაც გულში საიდუმლოდ მქონდა აღბეჭდილი. ასე მეგონა, მაგრამ, რაკილა შენ თვითონვე გათქვი ის საიდუმლო და იმ ადამიანთა შორის მეც დამასახლე, ვისაც იმთავითვე ჰქმნარიტად სჯეროდა შენი შემოქმედების წარმატებებისა, ჩემი ამოცანა ამჯერად გაადვილებულია.

შენ ამჟამად ყველა გარს დაგფუხფუხებს, გელოლიაება, გეტმასნება და გეპოტინება, რადგან შენ წარმატებული, საჭირო კაცი შეიქენი და უცებ ამ წუთისთფლის, ჩვენი დროისა და რამდენიმე თაობის ბედნიერ აღმოჩენად იქეცი, ვინაიდან სინამდვილეში ხარ ბედნიერი შერწყმა ჰეშმარიტი შემოქმედისა და მომხიბვლელი პიროვნებისა. როდესაც შენს წიგნებს ვკითხულობ, ყოველთვის მგონია, რომ არის რაღაც იდეალი, ბოლომდე გაუხსნელი და პირველ წაკითხვაზე შეუცნობელი, შენი ცრემლიანი სიცილის მღვამა. თვითონ შენი ცხოვრების გზაც ხომ ასე მოაწყო საწუთრომ, ხშირად სვეგამწარებულს, მხოლოდღა სევდიანი ღამილი მოგმადლა სანუგეშოდ. შენ გიყვარს უბრალოება, რაც განზრახ თავმდაბლობის ჩრდილს არაა ყასიდად შეფარებული და ნაზიარები.

მე აგრე მგონია, ილიკოს, ილარიონს, ზურიეკლას, სოსოიას, ხატისს, თემურს, აეთოსს, ბაჩანას იმიტომაც წარმოსახავ ასე უბრალოდ, სასაცილოდ და საცოდავად, რომ შურიანთა მსახერალმა ხელმა ვერ მიაგნოს მათი სულის ღრმა ფსკერზე გადაშალულ საგანძურს.

შენ მიერ სულჩადგმული დევდარიანი და გულოიანი თავიანთი ადამიანური სულიერი სიმდიდრით ამკარად ჩრდილავენ ფარისეველთა და საღუქვევლთ.

ჩემო ნოდარ! შენ კარგად იცი, რომ ზოგ-ზოგება აყალ-მყალთ, ფართი-ფურთით, ყვირილითა და შანტაჟით

მიიწევენ სახელისა და სხვათა სიკეთეთა მოსახვეჭად, შენ ღრმადი, ტოვილიანი და ცრემლიანი ღამილით, ადამიანისადმი სიბრალულით, ადამიანის სულში ნაღვერდალივით მიშქრალი სულიერი სიკეთის გამოჩხრეკით, სულის ბერვითა და წარმოჩენით, გინდა საწადელის მიღწევა და აღწევ კედეც. შენ ადამიანის თანადგომით, მისი ზნესრულობისა, მისღამი სიყვარულისა და ადამიანში არსებული სიკეთის ჩვენებით, ახალი სისხლი გადაუსხნო-70-იანი წლების ქართულ რომანისტიკას.

შენ ადამიანური სიყვარულის, კაცი-სადმი სიბრალულის სახელით ამხილე ყოველგვარი ბოროტება ამ ქვეყნად, ამხილე და გამოამწეურე ისე, რომ ზოგიერთი დღესაც ვერ მიშხდარა ამ მხილვების სიღრმესა და საზოგადოებრივ მნიშვნელობას, ვერ ჩასწვდომია შენი რომანების ძალას, რომელმაც უხმაუროდ იტვირთა საუკუნის ძნელბედობის გაიოლება, და იგი ახალ რელიგიასავით მიიღო შენმა ხალხმა, როგორც რწმენა და სიყვარული. შენი შემოქმედება ჩვენი საუკუნის ქართული სულის მადლმოყრილი ვარაყია, შენი რომანის ლუსკუმი კი შენს სახელსა და გვარს ქამთაგაუთავებლად შედუღაბებული სალოცავი.

საღსალამათადა და პირნათლად ვატაროს ბუნების ძალამ საუკუნის მეორე ორმოცდაათწლეულში, უფრო ხევრიელი სამკალითა და სამშობლოსათვის ფასდაუღებელი სანობათით.



ელგუჯა ამაშუკელი

შტრიხები კორტაბიტისათვის

ხარბია ქვა, მირიადი წლებია ისრუტავს, სვამს მზის შუქს, ვერ კი ძღება, არას დაიმჩნევს და არას გაგრძობინებს, რომ მზითაა სავესე, უფრო ხარბია მოქანდაკე, ხელმძღვანელი, ვნებიათი ოსტატი, რომ გამოსძალავს ქვას იმ მზეს, მისი შორეული წინაპრები რომ ეტრფოდნენ, ეფერებოდნენ, სისხლში ისხამდნენ, როგორც ღვინოს, ტანზე იმწვედნენ, როგორც უდაბნოს ქვიშას, სულში იღველფავდნენ, როგორც ღადარს.

საცოდავია შემოქიერი, უფრო რე ის მხატვარი, ვინც მარტოოდენ წარმავალი დღის სურათ-ხატს აცოდვილებს, მარადიულს არ მიეღტვის.

მისი ქმნილება არად არგებს არც ერს, არც კაცს, არც ქვეყანას.

ხელოვნებაში იმარჯვებს ის, ვისაც უკუსვლის ისეთი დიდი უნარი აქვს როგორც ადგილზე მყარად დგამისა და წინ მოჯირითესავით გავარდნაც შეუძლია, მაგრამ შემცენებელი თვალხედულობით და გონკახსალობით.

არ არსებობს დღევანდლობა წარსულის გარეშე, ისე როგორც — მომავალი დღის დღის უქონლად.

ელგუჯა ამაშუკელი იმ რჩეულთა

რიცხვს ეკუთვნის, როგორც ერს არც თუ ისე ბევრი ჰყავს...

ელგუჯა ამაშუკელი უყავარჯნოდ, მარჯვე მუხლით, ხელმიუბჯენლად ჩადის დიდ სიღრმეებში, იქ, სიძველეთა მშვენიერ ნანგრევებში ჩაკეულთა ჩიქულს აგრძობებს, ხავსს აცლის, ერთად აქუჩებს, მერე ნატებს-ნაბზარს მოუსინჯავს, ერთმანეთს მიუსადაგებს მოარგებს და კირ-ღუღაბით გაამთლიანებს... კიბეებად შედგამს და იმ დიდებული კიბით, რომლის თითო საფეხური რამდენიმე საუკუნედ მაინც ღირს, საფეხურ-საფეხურ მიიწევს წინ და მალდა. ასე ამოდის დღევანდლობაში აღზევებული და ამალღებული.

ეგი იმ ბედნიერ მხატვართა სოსხლი სისხლთავანია, ვისაც ბედმა ეს ჭილღო მიანიჭა...

მის წინასწარ ხედვაში იცნობა ის ბრძენი კაცი, რომელიც იქ, შორეულ წარსულში, უძველესი მეწამული ზღვის, თუ პონტოს ნაპირებიდან ხელმოჩრდილული იხედებოდა აქეთ, ჩვენკენ, მომავლისაკენ. „ღმერთმა არ მოგიშალოს ეგ ხედვა“ — ეტყვის ქართველი კაცი თავის მოყვარეს.

რადგან ხელოვანიც კაცია, ადამიანი, ყოველდღიური საზრუნავი მასაც აწ-

უხეხს, მაგრამ წარმავალი პატარა ადამიანური სისუსტეები ფერმკრთალდებიან იმ დიდ ნათელ ხილვებთან, რომელთა სიერცხთა უკიდვანო არეალები, ა. ზრდობენ ამ დაუღალავი მკობნიერის სულს. როგორც ერის ამადლებული ნაწილის ნიშანხატს.

ზესტაფონში დგას ელგუჯას ქანდაკება — „არწივი ვნახე დაქრილი“. ეს ქანდაკება თავისი მოქნიული პლატაკურობით, მხატვრული ღირებულებით, ასახვის ამადლებული კულტურით, ბევრ დიდ არქიტექტურულად გამართულ, განებივრებულ და თავმომწონე ქალაქს შეშურდებოდა.

მაგრამ... მაგრამ ხდება ისე, რომ ჩემი თანამემამულე, ჩემი ღვიძლი სისხლი და ხორცი, ჩემი მიწაწყლის კაცი, რომელსაც ბუნებით საუკუნეებში იმდენი პეწი და ლაზათი მოსდგამდა, რომ ზოგი ქვეყნის არისტოკრატისა შეშურდებოდა... ვერ იქნა და ვერ შეეგუა ამ ქანდაკებას.

მიზეზი?

მიზეზის ძიება შორს წაგვიყვანდა, მითუმეტეს, ქართველს კაცს თუ გაუპარებელი კეთის სწავლება დაუწყებ, არ მოგისმენს, არ დაგიჩერებს; მაგრამ მაინც ვიტყვი, მაინც გავებდვ პირდაპირ ვთქვა სათქმელი და ვუთხრა იგი ჩემი მიწის შვილს: მეტი გულისყური, მეტი გულის თვალი და მეტი გულისხმა გემართებს, ჩვენივე ერისკაცებს მიმართ, ხალხის სულის რხევათა ფაქიზად შემეცნებლის მიმართ, მეტი გულისყური გემართებს დღეს, სწორედ დღეს, ამ მშვიდობიან და ბედნიერ ყოფაში.

მეტი მოსმენა გემართებს ერის ფხიზელი კაცების სიტყვისა, მეტი აწივა მამულიშვილების ფხიზელი ნასაქმარისა.

ელგუჯა ამაშუკელი ახლა იმ ასაკშია, როცა სიბრძნის ცის შვიდივე კარი ეხსნება, რასაც ის ხედავს, შენ, ჩემო ძმარ და მოკეთეო. შეიძლება შენი ყოველდღიური საზრუნავით გადატვირ-

თულმა ვერ შეამჩნიო, ამაშუკელი ველი არაფერია. მშვენიერად შემეცნებელი უნდა მოიშველიო, სიკეთე ხომ შენი ძირეული ფესვია... ენდე მას... მერე ეცადე შეიციო იგი და ამით ერთმანეთისაგან გაარჩიო ყალბი და ნამდვილი.

გვჩრდებს, რომ ოსტატის გული და სიცოცხლე — იმის ცდაშია, რომ შენ სიკეთე მოგიტანოს... რა თმად, სისხლად და ჯადად უჯდება ეს მას, მისი საქმეა და შენი გულშესატკივარი.

ელგუჯა ამაშუკელს არ აკლია თავანისცემლები და აღიარება, როგორც შინ, ისე გარეთ.

სანთელივით ანთიან და მამულის დეაწლში იწვიან ერის კაცები.

გავუფრთხილდეთ მათ ფაქიზ, წმინდა საქმეს და სახელს.

„ამადლი ჭერო! მოკვდი მტერო“ — იტყოდა წინაპარი...

ამადლი მამულიშვილო — გეტყვი მე.

შენ გაქვს ის, რითაც შეგიძლია იამაყო გაქვს და ისე ჭარბად, რომ მტერს კი არა, მოყვარესაც შეშურდება.

ელგუჯა ამაშუკელის გორგასალი შენი სიამაყეა.

მისი ქმნილებები — ქართველის დედა, კოლხეთის დედა, ფიროსმანი, სიბრძნის პაპა და რომელი ერთი გითხრა... შენი სიბრძნეა, შენი განძია, დედაა შენი. თვალის და გონის ხედვა ამადლებული, შთბლგახსნილი და შემართებული ბრძოლისათვის.

იგი ქალაქ გორისათვის დღეს აუთებს დიდი სიღრმით და გააზრებთ აღსავსე ქანდაკებას — „ბოროტსა სძლია კეთილმან“.

მე არ შევეცდები ამ ქანდაკების ახსნას, ის გარემო, სადაც იგი უნდა დაიდგას, ადგილის დედა და სახელი ქანდაკებისა თავადაა შენთვის ბევრის მთქმელი...

ელგუჯა ამაშუკელს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. ვულოცავ და ძმურად ვებვევი ჩვენს შესანიშნავ ოსტატს.

ნანახი და განსდილი

მსოფლიო მწერალს ლადო გეგეჭორის ახალი წიგნისათვის „წლები და შეხვედრები“ დაურქმევია. ავტორი ამ წიგნში თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის შთაბეჭდილებებით მდიდარ წლებზე, სახელოვან აღმშენებელთა მრავალრიცხოვან შეხვედრებზე მოგვითხრობს. ძუნწად, სადად, ჰარმონიურობის გარეშე გვიამბობს გარდასულ დროთა ამბავს.

მკითხველის წინაშე გვიდგას მწერლისა და მოქალაქის თვალთ დასახული ცხოვრება. ამ ბუნებრივსა და ლალ აზრობაში იცვლება ხასიათი აღმშენებლისა, რომელსაც გასაქირიც ბევრი უნახავს, სხაბრულიც, ბაგრი უმრთობი საჭვეურო საქმიანობის სხვადასხვა ასპარეზზე დაუხარჯავს სულიერი ძალა და ნიჭი.

ლ. გეგეჭორი წიგნში თითქმის მხოლოდ მისეველ ფაქტებს ავიწყრს, მრავალრიცხოვან სახელოვან აღმშენებელთა თავის შეხვედრებს იგონებს, თითქმის უნდა მხოლოდ შევხასხროს, ვინ იყვნენ ეს აღმშენებლები, მაგრამ ამ ლაკონურ ნაამბობში ცხადად ჩანს სხვადასხვა საჭმის, სხვადასხვა მსოფლმხედველობის, სხვადასხვა ასაკის აღმშენებელთა ურთიერობაში როგორი ჩამოყალიბდა თვით ავტორის პიროვნება.

ერთი შეხედვით წიგნი შეიძლება მოგვეჩვენოს მხოლოდ ლადო გეგეჭორის მიერ განცდილ წლებად, მხოლოდ მის შეხვედრებად. სინამდვილეში კი ეს არის წიგნი მთელი თაობის შესახებ; თაობისა, ვინც, თავის ქეაყანასთან ერთად, შერეე საუკუნის უველა ქარტბილი გამოიარა.

ლ. გეგეჭორი უბრეტტნიო შოკონებებში ვადმოგვეყვას ბევრეობის შთაბეჭდილებებს, ავტობილებს ჩვენს თვალწინ მშეენიერ სამეგრელოს, ფრთის, ქუთაისის, თბილისის, სოხუმის, ვჯანობს მოწინავე ქართველ შოლვაწეებს. ძნელია ითქვას ახალი აზრი ვალაკტიონის, იოსებ გრიბაშვილის, ვიორჯი ლეონიძის, ააკობ გოგებაშვილის, შიო მღვიმელის, ვალერიან ვენიასის, აროდონ ვედოშვილის, შესანიშნავი ქართველი ქალების ანასტასია თუმანიშვილის, მირიამ დემურაას, ნინო ნაკაშიძის და სხვათა და სხვათა შესახებ... მაგრამ აქ ამ პატარა წიგნის უბრეტტებზე ჩვენ კარგად ნაცნობი აღა-

მინები დავინახეთ ლადო გეგეჭორის თვალთ. ვავიციანთ ბევრისთვის მანამდე უცნობი შოლვაწენი.

ქუთაისის სახელოერი სასწავლებლის, თბილისის სახელოერი სემინარიისა და ათიანი წლების პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომის ცხოვრება საინტერესოა დღევანდელი მკითხველისათვის.

ძალზე შოკრმალბულად, ქეშპირტი ინტელიგენტისა აღა დამახასიათებელი თვედამბლობით გვიამბობს ავტორი განიონილ ქართველ მუცნერთა ცხოვრებისა და შოლვაწეობის ეპიზოდებს. ლ. გეგეჭორის პირადი ურთიერთობა ჰქონია ი. ყიფშიძესთან, ა. შანიძესთან, მ. ბერძენიშვილთან, ვ. ბერიძესთან, ვ. თოფჩიასთან, ს. ჯანაშიასთან, ა. ჩიქობავასთან, ვ. კატეტიშვილთან. ახლადდაარსებული ქართული უნივერსიტეტის პირველი მდივანი-მწიგნობარი ყოფილა, სიტუაქამულ მწერლობაშიც უღვაწია, განათლების სახალხო კომისარიატშიც უმუშავია. ქართულ აკადემიურ გუნდსა და ძნელ ლოლუას გუნდშიც უმღერია. ყოველივე ეს ძალზე მცირეა, მხოლოდ ფაქტების აღწერსხვათა, ლ. გეგეჭორის საუკუნოვან მდიდარ ცხოვრებასთან შედარებით.

წიგნში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ რაოდენ დიდ ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა თვით ლადო გეგეჭორი, როდესაც 1914-1915 წლებში ბაქოში ცხოვრებას პერიოდში თავის მუდღელსთან, თამარ გელოვანთან ერთად ყოველნაირად ბელს უწყობდა ქართული სკოლისა და ქართული სტენის აღორძინების საქმეს.

არაფერს ამბობს, და აღმათ ვერც ვერაფერს იტყობდა თვითონ ავტორი იმაზეც. თუ რა დიდი ღვაწლი დასდო მან ქართულ საბავშვო მწერლობას.

ლ. გეგეჭორი არა ერთი საბავშვო წიგნის, მრავალი კარგი საბავშვო ლექსისა თუ მოთხრობის ავტორია.

ლ. გეგეჭორის საბავშვო ნაწარმოებების ენა სხარტია, მოქნილი, სიუფეტი მარტივი და საინტერესო. მისი ლექსები თუ მოთხრობები ძალდაუტანებლად უნერგავენ ნორჩებს შამულსა სიყვარულს, გამტანობას, კეთილშობილ-

ბას, მოყრბალებას, ნების სიმტკიცეს, უზაყ-
ლობას, უშერეველობას... ასწავლიან მშეენიე-
რის დანახვას და მის თაყენისცემას...

დღეს ყველა ასაკის ქართველთა შორის მრავალი მოძებნება აღბათ სიყმაწვილეთი ლ. გეგეკოროს საბავშვო ლექსებისა და მოთხრობების მკითხველი აღმაინა.

ლადო გეგეკორო ქართული ხალხური სიმღერის ტრფილია, მისი უანგარო მსახური.

არაერთი ქართული სიმღერის გუნდი დაუშეგნებია მის მომზებლავ ხმას, არაერთი კონცერტზე რგებია მაყურებლის ვულწრფელი ტემი, არაერთი აღმაინისათვის გაუღვიძებია თავისი უშუალო მოღვაწეობით სიყვარული, ინტერესი ქართული ხალხური სიმღერისადმი, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა მისი მოღვაწეობისა დიდი ჯაფა გასწია ლ. გეგეკორომა ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესახაწვილად. წიგნების სეროით აქართული ხალხური

რი სიმღერის ისტატემა", წვეული სასადგოთ ამღერა ქართველ მომღერალთა კრებულმა და შემოქმედებმა, მკითხველს მისი მოღვაწეობის მოღვაწეობის, — ხალხმრავალ გუნდის წიაღში ტბილად მოღუღუნენი. ვააცოცხლა მათი ლაწლი, ვამოაღვიფვა გუნდიდან და საზოგადოებას წარუღავინა.

მრავალი ქართველი მოღვაწე წარმოამინა ლ. გეგეკორომა თავის მოვაწებების წიგნში. არაღერა თქვა თავის დიდ ოჯახზე, მეუღლეზე — მრწწინიელ ქართველ პედაგოგ ქალზე — თამარ გელოვანზე, შვილებზე — რესპუბლიკის სახალხო არტისტებზე, მერაბ და გიორგი გეგეკორობზე. ეს გასაყვებია.

90 წლის ლადო გეგეკორო დღესაც არ ნეღებმა წელით სიმრავლეს, ისევე წერს, დაუღალავად წერს; უნდა რაც შეიძლება მეტე მოაწროს, გაუზიაროს აღმაინებს ნანახი და განცდილი.

ლადო გეგეკორო

ბობოქარი ტლანტი

თითქმის ნახევარი საუკუნე გემორბებს საწდრო ასმეტელის სპეტაკელებს. რამდენმა წყალმა ჩიაჩია მას შემდეგ, რამდენი რამ შეიცვალა ზვენი ცხოვრების ყველა დარგში, ყერბოდ კე ქართული ხელოვნების განვითარების გზაზე, რაჩაგ ამალდა მაყურებლის მოთხოვნის დონე და ვაფაქიზდა მისი გემოვნება, დაიხვეწა სასყენო ხელოვნების კულტურა, თეატრალური გამოსახველობის ფორმები და საშუალებები, სტილი და მეთოდები, მაგრამ ძველი თაობის აღმაინებს, ვისაც რუსთველის თეატრში საწდრო ასმეტელის წარმოდგენები უნახავს, არა თუ დაეიწყებია ეს სპეტაკელები, არამედ დღესაც ვერ დაუცხრია ეს ვასაოცარი აღმართვანება, ვულსმგერა და აღტაკება, ვერ გაუფანტავს ეს გამაბრუნებელი შთაბეჭდილება, ამ ოჯახი ათეული წლისა და უფრო მეტი ხნის წინათ „ღამარას“, „ანზორის“, „ყაჩაღების“ ხილისას რომ განუღვიდა...


ცხადვე უცხადესია, ანგვარი სპეტაკელების შექმნა მხოლოდ დიდი ტალანტის მქონეთა ხეღრია, ღრლის დიდ მანძილს მხოლოდ დიდი ვარსკვლავები ანათებენ...

ქართული ხელოვნების ცის კანადონზე ასეთ დიდ ვარსკვლავად, კოტე მარჯანიშვილთან ერთად, საწდრო ასმეტელი ამობრწყინდა, რომლის დანადების 90-ე წლისთავი აგერ სულ ახლახან ზეიმათ აღნიშნა მადღერმა ქართველმა ხალხმა.

საუბილეო ზეიმი კემშობრბად დაამშენა, მეტი ემხი და ლახათა შექმნა ზვენი ცნობი-

ლი თეატრმცოდნის ვისილ კენახის ფუნდამენტრმა მონორაფიამ — „საწდრო ასმეტელმა“. ერთი შეხედვით თითქმის უცნაურიც კია, რომ ასეთ დიდ რეჟისორზე, ქართული თეატრის დიდ მოამაგესა, მშეენებასა და საამაფიზე აქამდე არ იყო დაწერილი სეროიზული, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ყველა მხარის მომცველი მონორაფიული ნაშრომი; მრავლისმეტყველია წიგნის წინათქმის აგტორის ოთარ ევახის შემდეგი სტრიქონები: „იმდენად რთული, ღრმა და ორიგინალური აღმოჩნდა ასმეტელის ფენომენი, რომ თითქმის ბუნებრივად იქცა იგი წინააღმდეგობისა და აზრთა ტიდილის წარმოსაქმნელად. მაგრამ ყველას მიერ ძლიერ შემოქმედად მიჩნეული, ლამის მიწქალღული აღმოჩნდა. მისი პირველი სპეტაკელიდან (დომიტრი არაყიშვილის „ქმეულემა შორის რუსთველებზე“), ე. ა. 1919 წლიდან დღემდე, თითქმის სამოცი წელი გავიდა, მაგრამ მაინც არ ვაგვანდა ასმეტელზე ფუნდამენტური გამოკლევა. ამას ისიც დგერთო, რომ ორი ათეული წელი (1935-1954) პარწმინდად ასმეტელის ვანკიუცეას მოხმარდა. არც მეტი დააკლდა დამიერება, ამავის აუგად სენემა ზოგჯერ მეგობარ-შევიარღების მხრივაც. მაგრამ იყენენ აღმაინები, რომლებმაც მეტად მძიმე საქმეს მოჰკიდეს ხელი, დაიწყეს ასმეტელის შემოქმედების შესწავლა. მისი ცოდევა მადლის სამართლიანი ვარჩევა“.

ამ აღმაინათა შორის, რომელთაც „მეტად მძიმე საქმეს მოჰკიდეს ხელი, დაიწყეს ასმეტელის შემოქმედების შესწავლა“, უპირველ-



სად უნდა მოეხსენიოთ თეატრმცოდნე — ნინო შეანგირაძე და ვასილ კიკნაძე. მწერალი შალვა აფხაძე და სხვანი. მათ, როგორც უველა პატიოსან მიუთერაობებელ მკვლევარსა და ქვეშაირ პატრიოსტ სეპეფარს, გული შესცოვდათ პატიოსან ობიექტად უსამართლოდ ქცეული დიდი ხელეწიანისთვის, მგზნებარე პატრიოსტისა და ინტერნაციონალისტისათვის, თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობად მიანდათ სანდრო ამბეტელის საბელოან, ერთად ხელყოფისაგან დაეცათ ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიის ოქროს ფურცლები.

მართალია, 1954 წლიდან გაეცხლდა სანდრო ამბეტელის სახელი, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ადვილი არ აღმოჩნდა ამ კეთილშობილური მისის შესრულება. თუ რატომ, — ამის სახეს საჩუქრისო წიგნი ვაძლავს. „ყველა აიშალა — წერს წიგნის ავტორი ე. კიკნაძე — შიძინებული ვნებები, თვისებურად განაწლდა ის წინააღმდეგობანი, რომლებიც ამბეტელის სიცოცხლში იყო და ისიც, სიკვდილის შემდეგ რომ იქნებოდა მითებისა თუ „ფილოლორის“ სახით, ყველა თავი მოიყარა ამბეტელთან დაკავშირებულმა ათასგვარმა პრობლემამ, ათასმა საკითხმა. ამ წიგნზე მეტი დრო დასჭირდა ფართელსა და ამჟამა ბრძოლეს, ყველა გაეცხლდა ძველი ბრალდებები. ყველა დაიწყო ბრძოლები...“

წიგნის ავტორი რამდენიმე სტრიქონით შეანაწივად გვიხატავს დიდი რევისორისა და მოქალაქის პორტრეტს:

„დაბ. ამბეტელის შემოქმედება აღსაქვს იყო უჩვეულო, სხვებისაგან განსხვავებული თვისებებით. იგი თავად ებრაელია უველას და უველაფერს, რაც ღირსების, მხატვრული მრწამსის საპირისპიროდ მიანდა. „ჩვენ ყოველთვის ენებრეთ ჩვენი სექტაკლებით“ — ამაყად აღსაქვდა ამბეტელი. ამიტომ არც უნდა გავივიკრდეს, აღედნ კონფლიქტში რომ იყო ვახლართული. მას არ ჰქონდა ძეწინისა და ობიექტის მოქნილობა, იგი მუხასაყით იდგა ამაყად და მსრებამილი“...

სანდრო ამბეტელი, როგორც აღამაინი და როგორც შემოქმედი, უღრუსად თავისებური, კოლორიტული, შანაარსით აღსაქვს, მეტად საინტერესო, სიცოცხლის მჩქეფარებითა და ტრაგიკული ბედიით უველასგან გამოირჩეული ფიგურა იყო და სავსებით ბუნებრივია, რომ თეატრმცოდნე ე. კიკნაძე მისმა ღრმად დამხნეულმა კვლამ მიიზიდა და დაინტერესა, მისი რთული შემოქმედებითი ცხოვრების ხიფათიან გზას დააკვირდა და ორი ათეული წელაწად ამ ვნის უველა კუთხე-კენჭულის გამუქებისათვისო შეაწიარინა. ამრიგად, უცნობის საარქივო მასალები, რომლებსაც ავტორმა რუსთაველის თეატრში მუშაობის დროს მიაკვლია, შემდეგ მის მიერვე გამოქვეყნებულ

ცალკეული წერილები და პროზურები, რომლებიც შეენიერულად შესწავლილია (ს. კიკნაძე) მოიცილეს, შეუპოვარა, გულმოდგინედ მუშაობის შედეგად უფრო გაღრმავდა, შეიესო, გაუართოვდა, გაერთიანდა და დიდ (430-გვერდიანი), მრავალმხრივ საინტერესო წიგნად იქცა, რომელსაც შეიპოველია ე. გვგუშვილის „კოტე მარჯანიშვილის“ გვერდით საპატიო ადვალს მიუწენს წიგნის თაროზე.

ავტორის საქმის სიყვარულით შეუწავლია ის პრობლემები, რომელთა გამუქება და გადაწყვეტა სპირო იყო ამბეტელის, როგორც შემოქმედის, მრწამსის შესაცნობად და სასიამოვნოა იმის თქმა, რომ მან სწორად გადაწყვიტა ეს პრობლემები, ღრმა ცოდნა და ვრუდიცია გამოაშვლავნა სწორედ ცოდნა დაღებარა ბოლო მედლი ს. ამბეტელისა და რუსთაველის თეატრის ირგვლივ დღემდე არსებული მეერი ვაუგებრობისათვის, საფუქლიანად გაეშუქებინა საერთოდ ქართული თეატრის სპირობროტრა, საყანმო, საარსებო, სისხლზორცეული საკითხები. ცნენია: ფორმისა და შინაარსის, ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ურთიერთობის, რიტმის, მუსიკის, პლასტიკის, მხატვრობის, მასობრივი სცენის, ტრაგიკომიკურის, ტრადიციისა და ნოვატორობის, ეროვნულისა და ზოგადაკობრიულის შერწყმისა და სხვა საკითხები.

წიგნი კარვად არის გამუქებული, თუ რა დიდი ადვილი ვჭირა ს. ამბეტელის თეატრის რეპერტუარში რუსულ დრამატურგიის, საყმარისია გავისენოთ ბ. ლეარნევის „რდევა“, ა. გლუხოვის „ზავუეა“, ე. ბილდელოცერკუესის „საქე მარცხნივ“, ე. კირშონის „ქარაა ქალაქი“, პ. იარკევის „ღვარძლი“, ლ. სლავინის „ინტერვენუა“, ე. შეკარკანის „ნაბიჭვარი“, და ბოლოს — ეს. ივანოვის „ყვეწნოსანი 14-69“, საფუქლად რომ დაფლი ს. შანშიაშვილის „ანზორს“, რომლის სცენურა განაორცელებაც მარტო რუსთაველის თეატრისა კი არა, მთელი ქართული, და შეიძლება ითქვას, მთელი საბჭოთა თეატრის ისტორიის ოქროს ფონდში შევიდა.

ს. ამბეტელის შემოქმედებაში ძალეზად ვღერდა ეროვნული შორევი დიდ რევისორს ქართული ერის გმარული წარსული, ქართული კაცის დიდბუნოვნება გულში სიამაყისა და სიყვარულის ცუბლს აღდნთება, მავრამ სწორად იმიტომ იყო ის დიდი შემოქმედი და დიდი აღამაინი, რომ ამ ცუბლს ხალხთა მშობისა და მეგობრობის, ინტერნაციონალიზმის ვრწმობები უღვევებოდა და უფრო დიდ კოცონად უქცედა: წიგნის ავტორი დიდი რევისორის სიტყვებს მოვავგონებს, „ერთეული კულტურის ხარისხობრივ ვანეითარებას ინტერნაციონალურისკენ მივეყვარათ“, „ჩვენი თეატრის მზანი მასებს ინტერ-

ნაციონალური აღზრდათა, და გვიჩვენებს, რომ ამხეტელი ყოველთვის საქმით ამშვენებდა სიტყვას. ის ხომ ახლო შეგობარი იყო რუსი, უკრაინელი, სომეხი, ბელორუსი და სხვა ერთგვების მწერლებსა, მსახიობებისა, რეჟისორებისა; ამხეტელი სექტაკლებითა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებთან პირადი ურთიერთობითაც, სხვა რესპუბლიკებისა და მხარეების თეატრებისთვის გაწეული დახმარებითაც (ყველა იცის მისი დახმარება ჩეჩენეთ-ინგუშეთის თეატრისადმი, წიგნის ავტორი ვეცენოვს მოსკოვში უახახეთის სრულფუნქციანი წარმომადგენლის ტოკაშვიცის ბარათს, რომელშიც ის ამხეტელს სწერდა, ვითხოვ უახახეთის თეატრის შეფობა იყოსროთ, რათა მან თავი დააღწიოს დახმარებებს და სიძნელეები გადალახოს) ჭადაგობდა ხალხთა ძმობას, უმღეროდა ხალხთა შეგობობასა და სიყვარულს.

ყოველივე ამით საბოლოოდ ეცლება ნიადაგი ზოგიერთი ვაჟკაცისთვის ნაიალებს, თითქოსდა ამხეტელი ნაციონალისტი ყოფილიყოს.

კვლავ მოვუხსინით წიგნის ავტორს: „სრული კოლისწამება ს. ამხეტელის გამოცხადება ამხეტელთა ნაციონალისტად. არც თეორიული ნაზრები იძლევა ამის საფუძველს და არც მისი რეჟისორული პრაქტიკა... საინტერესოა ვაეხსენოთ, ამხეტელის აზრით, რა იდენტურ საფუძველზე უნდა ამშენებულყო ქართული საბჭოთა თეატრი“.

ს. ამხეტელის მთავარი დებულებები ასეთი იყო: „ჩვენი თეატრის ფუნქცია ის არის, რომ გამოვწხოთ კომუნისტის იდეების გამოხატვის ერთგული ფორმა“. „სოციალისტური სინამდვილის შედგება დიდი კულტურული ღირებულებები შეიქმნა — აღნიშნავდა ს. ამხეტელი, რომლებიც ხალხში იყო ჩამარტული, და შესაძლებელი გახდა შექმნილიყო ნამდვილი საბჭოთა ეროვნული თეატრი — ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური“. 1933 წლის 3 ივნისს რუსთაველის სახელობის თეატრის მოსკოვში გასტროლების დროს ამხეტელი ამბობდა: „ჩვენი ყველაზე დიდი მასწავლებელი ჩვენი საბჭოთა ცხოვრებაა“. თითოვე წლით ადრე მან ეტრნალ სოვეტსტეატრში“ გამოქვეყნა წერილი „რუსთაველის სახელობის ქართული თეატრი“. ამხეტელი, როგორც საბჭოთა ქვეყნის დიდი პატრიოტი, აღტაცებული წერდა: „მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეეძლო რუსთაველის სახელობის თეატრის წარმოშობა და განმტკიცება... საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე თეატრში შემოდის ახალი ნაყოფი, ახალი მუშა მკურნებელი, კომპოზიტორი... წითელიკაციანი. სწორედ ამით შექმნეს და შეადგინეს ის ახალი, სორჩი,

მწვე, ხალხიანი საზოგადოება“. „ჩვენ დამარცხდებით, თუ ჩვენი ერთგულნი მწერნი გაუგებარი დარჩებიან. ფორმის სიმსუბუქება და არა შინაინი“.

„სად არის აქ ნაციონალისტური თეორია?“ — კითხულობს ვ. კიკნაძე და დასძინს: „იქნებ იმ ფაქტში, რომ ამხეტელი ქართული ხალხის წიაღში ეძებდა ქართული თეატრის ფორმებს? ან ქართულისათვის დამახასიათებელ რიტმს, პლასტიკას? ასევე ეძებდნენ ეროვნული თეატრის აღორძინებისათვის „შინაგან წყაროებს“ გენიალური კ. სტანისლავსკი და ვლ. ნემიროვიჩი-დანჩენსკიც, ე. ვახტანგოვი და ეს. შეიერხოლდიც. საინტერესოა, სხვაგვარად როგორ უნდა იქცეოდეს ერის დიდი შვილი? ვადააოთ, რომ ამხეტელი ბევრ რამეს არ იზიარებდა სტანისლავსკის სისტემისას, ყოველთვის არ ენდობოდა მისი. განა ეს ნაციონალიზმს ნიშნავს? ანდა ასე: ამხეტელი ამბობდა, რომ ქართველ ეკეს თავისებური შორაობა აქვს, განსხვავებულია მისი ემოციურობა და ა. შ. მერედა, რა არის ამაში ნაციონალისტური? კ. მარკინიშვილიც ხომ ამბობდა: „მზე, რომელიც ცხრა თვის განმავლობაში მცხენვარებს, იქ უფრო სხვაგვარ ვაწყოილებას, სხვაგვარ ფერებს ქმნის, ვიდრე ჩრდილოეთში“, ამას ამბობდა იგი 1930 წელს მოსკოვში, კომუნისტურ აჯანყებაში წაყოფილ მოხსენებაში. მაგრამ არც იქ, სხდომაზე, არც შემდეგ, ეს ნაციონალისტურ აზრად არ გამოუცხადებიათ. ერთი და იგივე აზრი რატომ ხდება სხვადასხვა შეფასების საგანი?“

ვ. კიკნაძე გულისტყვილით აღნიშნავს, რომ დიდმნიშვნელოვან ნაშრომში — „საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორიაში“ (მესამე ტომი), ასევე ზოგიერთ სხვა ნაშრომში განუყოფად არის გამოყარებული თეატრთან ამხეტელის გაეყვების დროს წამოყვებული ყოველად უსიფუძველი ბრალდებები. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ, თუ ლოგოს მიყვებით, რამდენადაც ამხეტელის თეატრის წარმატებები გარკვეულწილად მთელი ქართული საბჭოთა კულტურის დონეს ასახავს და საბჭოთა ხელისუფლების წლების მონაპოვარია, აღნიშნულ ბრალდებათა რესტავრაცია ამ მონაპოვრის წინააღმდეგეც არის მიმართული. „საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორიაში“ საინტერესო სტატიის ლიტონ სიტყვებს, რომ თითქოს ამხეტელი მარჩაინიშვილის რეალისტურ ხელოვნებას, სტანისლავსკის სისტემას ებრძოდა, ვ. კიკნაძე სამართლიან მოსაზრებას უპირისპირებს: „ამხეტელი არც კ. მარჩაინიშვილის რეალიზმს ებრძოდა და არც სხვებისას, რადგან თავად იყო დიდი რეალისტი, და თუ ვინმეს ეკამოტებოდა, ეს შემოქმედებითი კამათი იყო, და თუ ვინმე არ მოწონდა, ეს მისი ესთეტიკური პოზიცია იყო... შემოქმედებითი პოზიციების სხვადასხვა-

ობა არ შეიძლება ბრალდებად წავეყნოთ მო-
ღვაწეებს. თუ ვინმე იტყვის, ამბეტელი მარჯა-
ნიშვილის რეალისტური ხელოვნების წინაღუ-
დევ გამორიფიდაო, მან ისიც უნდა დაასაბუთოს,
რომ, ვთქვათ, ამბეტელის სპექტაკლები „არღვე-
ვა“ ან „უჩაღღები“ ანტირეალისტური იყო.

ჩვენ აზრით, ვ. კენაძე არ ცდება, როცა
ხალხური შემოქმედებისადმი ს. ამბეტელის
გამახვილებული უფრადღება საბჭოთა ხელოვნების
დიდ მონაბოგრად მიაჩნია და წერს, ამის
უბუნდებელიყოფა, ხალხური საწიხისების ძიების
ეგზოტიკად და არქაიკად გამოცხადება, სხვა
არა ამბეტელი ვთქვათ, ვალტერებელია. ააო.
თეატრმოდნე ასაბუთებს, რომ „ლაშარას“ და
„თეთნულში“ სრულიად არ არის „ფეოდალური
საქართველოს რომანტიზაცია“, უფრო მეტიც:
„თეთნულში“ სულით ბორცმად საბჭო-
თა პიესა იყო.

ავტორი რაბული კრიტიკის გამოძახილად
მიიჩნევს და მარჯვედ ამათილებს იმ დაუსაბუ-
თებულ მოსაზრებას, თითქოს „თეთნულის“
დადებითი გმირის დაღუბვა პიესის იდეის რე-
ალუბის ნიშნადღეს და აღნიშნავს, რომ ამბეტელის
მათელ საბჭოთა კავშირში პირველმა სცედა
ძველისა და ახლის ჰიდილი ოპტიმისტური ტრა-
გედის ფორმით გაღმოეცა, რომ ამ სპექტაკ-
ლში მათრად, შეუღამაზებლად გამოიხატა
ძველისა და ახლის ბრძოლა, რომ ახალგაზრდების
მისი თეთნულდის დაპყრობა საბჭოლური
მნიშვნელობისა“ იყო.

ვ. კენაძე არ უარყოფს „ლაშარას“ მიმართ
თავის დროზევე გამოთქმული ორი შენიშვნის
სისწორეს — სპექტაკლი წარსულის იდეალიზ-
აცია ჩანსო, არ არის კლასიო ბრძოლა, მე-
რამ ამის ლოგიკურ საფუძვლებს უთბენის: მინ-
დაას საბით ვატაცებს თვითონ ამბეტელი მრ-
ვალი მოსაზრებით ასაბუთებდა, მით შორის,
იმით, რომ მთავი, ამ უბატონო კეთბეშ, თ-
ვისიუფალ საშუაროში უხვად და წმინდად იყო
შემორჩენილი თეატრისათვის სასურველი ფორ-
მები; თვითონ ამბეტელი წერდა „ქასნაია
ვაზეტაში“: „ჩვენში ეს არის ქართული კლასი-
ციხენი შემობრუნება, შემობრუნება გენილური
პოეტის ნაწარმოებისაყენ, პოეტისაყენ, რთ-
მელის ომხაჯა ხალხური ლეგენდების მსა-
ლებზე“; თუ რატომ არ არის პიესაში კლასი-
ბრძოლა, ამას მარტივად, სადად შეიძლება გე-
ცის ლოგიკური პასუხი: პერსონაჟები უბატონ-
ნო ჭვეჯანში მოქმედებდნენ გაეხსენით, რომ
ე. ბესიანმა „ლაშარას“ სიუჟეტის ტრაგე-
დია უწოდა. თუ ვავითვალისწინებთ ამ სპექ-
ტაკლის უდიდეს მბატრულ საბლოერეს, იმას,
რომ მისი ეჭო ღღესად არ განელებულა, სი-
ბოლოო ანგარიშით; დიდი მადლიერებით უნდა
გავიხსენოთ მისი დამღებელი.

ერთ დროს ცალკეული კრიტიკოსები რაბით
იყბადებდნენ, რუსთაველის თეატრი მხოლოდ

ამბეტელის წახელის შემდეგ დაადგა რეალისტი-
კისა, თეატრში დიდი ვარდატენი ჩამხნდა სო,
როგორც იქნა გაამარჯვა რეალისტიკური
გამარჯვების მწვერტოლებს მხოლოდ ახლა მია-
ღწით. ისინი ისტორიის დამახინჯებას, ახალი
თათბების მოტყუებას ცდილობდნენ, მაგრამ
ეს ადგილი როდია და ვერც მიღწიეს ამას. მა-
გრამ ამ მოვლენათა უველზე სრულყოფილი
და ღრმა ანალიზი ვ. კენაძის წახნაში მოცე-
მული. ავტორი სრულიადვე არ ამცირებს თე-
ატრის ამბეტელის შემადგენელ ხელმძღვანელობის
ღეიფებს და უტყუარია საბუთების მოშველებით
ნათელს ხდის, რომ „ისინი არსებითად ამბეტე-
ლის გზას აგრძელებდნენ“, რომ „თეატრში მა-
ინც ძლიერი იყო ამბეტელის სული“.

ვ. კენაძე ფარდას ხდის იმ სუბიექტურად
განწყობილ პირობა ნაზრევს, რომლებს ამბე-
ტელის „რეალისტ ფორმალისტურ ვალატებზე“
ლაშარაკობდნენ და სწორად აღნიშნავს, რომ
ფორმის ძიება ზედამ ფორმალისში როდია
ამის დასადასტურებლად ის თვითონ ამბეტელის
სიტყვებს გვაცნობს: „ფორმა საშუალებაა და
არა მიზანი“, მოგვაგონებს, რომ „შინორიც“,
„არღვევა“, „უჩაღღები“ აზრით, „შინარსით
იყო აღსავსე, რომ „უჩაღღები“ ერთ-ერთი
ეპიზოდის — ხალხსაყრადღის სცენას, ნიღბ-
აფარებულთა საზეიმო სერობის ფორმის მძაფ-
რი შეგრძნებით გადამწყვეტს საჭიროება მიო-
თხოვდა, რომ ფორმას აზრისთვის ხელი არ შე-
უშლია, პირიქით, უფრო შიამბუღებდად გვიჩვენ-
ნა ფრანც შოთრის ავანტიურისტული ბუნება.

დიდი რევისორას მოწინააღმდეგეებმა თავი-
ანთი „ბრალდებების“ უსაფუძვლოა უველზე
შეატად თითონ მოგვარებებს, როცა ამქარა ვაქ-
ტებსა და ელემენტალური არითმეტიკის ლო-
გიკას აუარეს გვერდი. ამბეტელი ქართულ დრ-
მატურებთან არ მუშაობდაო, თეატრში პიესის
დიდ როლს არ ანიჭებდაო. ამ უსუსური ცილის-
წამების გასაბათილებლად ავტორი აღნიშნავს,
რომ ს. ამბეტელის პირველი სპექტაკლი „ლა-
ლატი“ იყო, შემდეგ ამას მოჰყვა „ბერდო ზმა-
ნია“, „ჩაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ლატე-
რა“, „თქმულზე შოთა რუსთაველზე“. მართა-
ლია, ერთ პერიოდში მის რეპერტუარში ნაკლე-
ბად იყო ქართული პიესები, მაგრამ ეს ქარ-
თული დრამატურგიის ბრალია, შემდეგ კი ამბე-
ტელის ხელმძღვანელობით არსებულ თეატრში
დიდგა ნ. შუჟაშვილის, ა. მამაშვილის, ს. შა-
ნშიაშვილის, შ. დადიანის, პ. სამსონაძის, გ. ში-
ტერაშვილის, ს. შუჟაშვილის მივსებო. ამბეტე-
ლი ბეკრს მუშაობდა ახალგაზრდა დრამატურ-
გებთან. მარტო ის რად ღირს, რომ მან 23
წლის ახალგაზრდას — გ. შიტერაშვილს რუს-
თაველის თეატრის კარი გაუღო. მარტო 1928
29 წლების სეზონის რეპერტუარში ცხრა პიე-
სიდან ექვსი ქართული იყო.

მრავლისმეტყველია ის უწყნარობა, რომ ს.

ახმეტელის მოწინააღმდეგენი როდის როგორ დასჭირდებოდათ, ისე ლაპარაკობდნენ: ხან უკეთინებდნენ ჭართელის მეტი არაფერი არა ვწამსო, ხან კი ეუბნებოდნენ უცხო დრამატურგიას უჭერ მხარსო. ამ ვაჟიტიკოსებს სარეცენზიო წიგნში საკადრისი პასუხი აქვთ გაცემული.

ამ წერილში შეუძლებელია უფლა იმ საკითხზე ლაპარაკი, რომლებსაც სარეცენზიო წიგნის ავტორი კუთხილნიდისიერად და მსალის ღრმა ცოდნით ამუქებს. მას ძალა და ენერჯია არ დაუშურებია, უოველ სტრიქონში სიფვარული წაუტყოსოვია, რომ მკეთხველის თვალწინ წარმოედგინა შემოქმედებითი პორტრეტი დიდი რეჟისორისა, რომლის დევნი იყო: ეროვნული თეატრის იდეა, თეატრალურა ემოცია, პუმიანში და ინტერნაციონალიზმი.

სანდრო ახმეტელზე ხომ აღტაცების სიტყვები გულუბად დაუხარჯათ ზეენი ქვეყნისა და უცხოეთის გამოჩენილ შემოქმედთ და მოღვაწეობის. ა. კრისტენსენი სანდრო ახმეტელს ვენი-

ლერ რეჟისორს უწოდებდა, პარი. ფლანაგანიც წერდა ახმეტელზე: „ქართულ თეატრს თავის ვენია ჰყავსო“, ახმეტელს ამერიკაშიც იწვევდნენ, ევროპაშიც. აი საერთაშორისო საკონცერტო ბიუროს დირექტორის ა. პომენბერგის მოკრძალებული პარათი: „როგორც ვეიგელ, განზრახული გქონიათ ვისად დიდი ტერნიე მოაწყოთ ამერიკაში. უფლებას ვაძლევ ჩემს თავს მხოლოდ შეგვეკითხოთ: ვაქეთ თუ არა სურვილი მანამდე ჩამობრძანდეთ ევროპის მთავარ ქალაქებში, ვფიქრობ, პირველად ვენაში, შემდეგ ბუდაპეშტში, პრაღასა და ვარშავაში, ცურისსა და პარიზში, ლონდონსა და ამსტერდამში, პრიუსელში, ჰააგასა და, შესაძლებელია იტალიაშიც“...

ერის ასეთ შეილზე დაწერილ წიგნს რომ წაყითხავს, იმ წიგნს, რომელიც დასაბუთებულად წარმოგვიდგენს სინამდვილეს, მკითხველი ვულს სიამაფითაც აღივსებს და ავტორის მიმართ დიდი მადლობითაც.

ალექსანდრე ხეგაშვილი



8560 80 333

0-1/33

ИНДЕКС
76128

„МНАТБИ“

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ